



ქართული
ლიბრეო

მწიგნობარი

1610
1992

12




საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
წიგნის მოუფარებელთა საზოგადოება


თბილისის
საბჭოთა

(12) 1978
21.9.78



აღმანახი „მწიგნობარი“ მოგვიტოვებს
წიგნებსა და წიგნის უმეცმედეგებს,
ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებს,
კიბებებს წიგნის საყვაროში,
კვლ წიგნებს,
სხვადასხვა ქვეყნისა და მხარის
წიგნისმოყვარულებს.



ენიბნობარი

91-92

სკუბ-2000
შეოქმეგულია

თბილისი
1992

002
76.11
002
8797



მთავარი რედაქტორი


ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო საბჭო:

- ლეილა ბარაბაძე
- გურამ გუხნიკაშვილი (მთ. რედ, მთაღვილე)
- ალექსანდრე გვახარია
- გურამ გვერდჭითელი
- რევაზ ინანიშვილი
- ელენე მაჭავარიანი
- ლევან მენაბდე
- გივი შიქაძე
- ედუარდ სიხარულიძე
- ზაირა სტურუა
- კელო დელეჟვა (პ/მგ. მდივანი)
- რევაზ ღლონტი
- ცისანა ღლონტი
- სარგის ცაიშვილი
- აკაკი ძიქივური
- ვენერა ხუნდაძე
- სოლომონ ხუციშვილი
- პახტანო ჯავახაძე

მხატვარი ანჟორ თოდრია

საქართველოს
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



ნიბნი
და
სსოპრეპა

1850
~~1850~~
3

წიგნი უცნაური რამ არის. ძნელად
წარმოლაგენია აღამიანთა ცხოვრების
ის მონაკვეთი, როცა წიგნი არ არსე-
ბოვდა.

კონსტანტინე გამსახურდია

წიგნი

წიგნი

წიგნი

„მთვარის მოტაცება“ — ეპოქის ღოჭუმენტი

ერგეაშვას მღერის კაც ზვამბაია — ასე იწყება „მთვარის მოტაცება“. ერგეაშვა მიქელგაბრიელის სიმღერაა. მას მღერიან „მოგზაურთა, გზამოჭრილთა და წყალში გაჭირვებულთა გასაგონად“. იგი დაღუპვის წინ აღმოხდება გულს, როგორც მოახლოებული განსაცდელის ამონაყენესი. მაგრამ თურმე ეს გოდება მთელი ეპოქის კატასტროფის სიგნალიც ყოფილა, არა მხოლოდ ერთი თაობისა ან წოდებისა.

მოხდა ისე, რომ ოფიციალური ხელისუფლება და მკითხველი საზოგადოებრიობა მეტი ინტერესით ეკიდებოდა ჯერ „დიდოსტატის მარჯვენას“, შემდეგ — „დავით აღმაშენებელს“. მაგრამ 70-იანი წლებიდან შეიცვალა დამოკიდებულება „მთვარის მოტაცებისადმი“. დაიწერა ეს-სეები და გამოკვლევები, დაიდგა სპექტაკლი, გადაიღეს ორსერიიანი ფილმი, შეიქმნა ოპერა. მაშინაც, როცა „დიდოსტატის მარჯვენა“ საზღვარგარეთ იცემოდა, მწერალი მთარგმნელებს სთავაზობდა „მთვარის მოტაცებას“. ოცნებას აღსრულება არ ეწერა — რომანი უცხოურად არ თარგმნილა. საქმის გამოსწორება უკვე გვიანია — წიგნი თავისი ეპოქის შვილია და ყოველ დროში როდი ექნებოდა შესაფერისი რეზონანსი. დღევანდელი მკითხველი სხვა ინტერესით ცხოვრობს. სხვა იყო 30-იანი წლები, რომლის სული ქართულ მასალაში მოაქცია მწერალმა, ქართული განწყობილებითა და სევდით შემოსა. ახლა ამ რომანს უხდება არა მხოლოდ ენობრივი და ნაციონალური, არამედ — დროის ბარიერის დაძლევა. ეს შეუძლებელია იმ რუსული თარგმანით, რომელიც დიდად შორდება ორიგინალს და მის მშვენიერებას ოდნავადაც ვერ გვაგრძნობინებს.

„მთვარის მოტაცება“ 1933—1934 წლებში იწერებოდა და იმავე დროს იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე. ხოლო ცალკე, სამ წიგნად გამოიცა 1936 წელს. რომანს დიდი მოწონება ხვდა წილად, თუმცა გამოითქვა არაერთი შენიშვნაც — ძირითადად იდეოლოგიური ხასიათისა. განსაკუთრებულ კამათს იწვევდა ორი პერსონაჟი — თარაშ



კონსტანტინე გამსახურდია ქართველ
მწერლებთან

ემხვარი და არზაყან ზეამბაია. შემდეგ კიდევ უფრო გართულდა სიტუაცია. „მთვარის მოტაცების“ ავტორობა სახიფათოც აღმოჩნდა. ლავრენტი ბერიას ერთ-ერთ მოხსენებაში (რომლითაც რესპუბლიკაში გამოცხადდა სტალინური სახელმწიფო ტერორი), სხვა პარტიული ხელმძღვანელების, მწერლების, ორგანიზებულ მკითხველთა გამოსვლებში მკაცრად გააკრიტიკეს კონსტანტინე გამსახურდია. როგორც ვიცით, „მთვარის მოტაცების“ ავტორზე მანამდეც საკმაოდ იყო დაბეჭდილი წერილები, რომლებშიც იგი „ნაციონალისტად“, „კონტრრევოლუციონერად“, „ფაშისტად“ იწოდებოდა.

კონსტანტინე გამსახურდიას რთული ბიოგრაფიაც იძლეოდა პოლიტიკურ ცილისწამებათა საბაბს. იგი წლების მანძილზე სწავლობდა გერმანიის უნივერსიტეტებში, იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი, იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობის ორიენტაციას. უნდობლად უყურებდა ბოლშევიკების პოლიტიკას, იჭდა მეტეხის ციხეში, 1926 წელს გადაასახლეს თეთრ ზღვაში მდებარე სოლოვკის არქიპელაგზე, 1931 წელს გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან (რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი თავად იყო); რაც ყველაზე მთავარია, იგი თავისი შემოქმედებით ოპოზიციონერად რჩებოდა. მხოლოდ 30-იანი წლებიდან თითქოს დაიწყო თვალსაზრისის შეცვლა, ღირებულებათა გადაფასება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ „მთვარის მოტაცება“ იყო



მომავალი კატაკლიზმის საოცარი წინათგრძნობა, ხოლო „დიდოსტატის მარჯვენა“ — ისტორიაში გადატანილი 1937 წლის მოდელი (ტირანია მეფისა და თავისუფლებადკვეთილი ხელოვანის პარადიგმა). შემოქმედებით, მსოფლმხედველობით, სტილით კონსტანტინე გამსახურდია დაკავშირებული იყო გერმანულ კულტურასთან (აქედან — ერთი ნაბიჯი ე. წ. აგენტის იარაღამდე!), ძველქართულ და ელინურ სამყაროსთან. ამასვე ერთვოდა აზნაურული წარმომავლობა.

„მთვარის მოტაცება“ სკოლაში არ ისწავლება, ტომეულების გარეშე ცალკე წიგნად არ იცემა, თანაც — საზოგადოებრიობა ეცნობა შესწორებულ ტექსტს. 30-იანი წლების ქართულ სინამდვილეზე მსჯელობისას მოსწავლეები იფარგლებიან ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვათი“ და კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრით“. მაგრამ თუ რეალურად როგორი იყო „სოციალისტური სოფელი“, ამის გასაგებად უკეთესია „მთვარის მოტაცების“ წაკითხვა. იგი არა მხოლოდ დიდი კულტურით, გემოვნებითა და ოსტატობით დაწერილი რომანია, არამედ ტრაგიკული ეპოქის მატრიანცაა. შეიძლება გავოცდეთ კიდევ, როგორ დაიბეჭდა ეს რომანი მაშინ, როცა ინგრეოდა კულტურა და ეროვნული შეგნება. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ წიგნში ასახულ მეგრულ და აფხაზურ გარემოს, სახელებსა და გვარებს, სიმღერებს, ლეგენდებს, ადათ-წესებს იცნობდა ლაგრენტი ბერია და იქნებ ამ გულქვა პიროვნებასაც ადამიანური გრძნობანი გაუღვიძა ბავშვობის დღეების გახსენებამ.

„მთვარის მოტაცების“ ლირიკული და პათეტიკური ინტონაცია, რომელსაც კვებავდა ძველქართული მეტყველება, ნიცშეს სტილი, მეგრული სიმღერების სილბო, უახლოვდება გალაკტიონ ტაბიძის დიონისურ-აპოკალიპსური ეფემერების რკალს. რომანი აღსავსეა კონკრეტული და მშობლიური რეალიებით. მათ შმანების ნისლეული ახვევიათ, რომელსაც ჩვენამდე მოაქვს უძველესი მითები, ლეგენდები და რიტუალები.

დღევანდელივობამ. საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის კურსმა სხვა თვალთ დაგვანახა ისტორია. პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ რეფორმათა შუქზე რეალისტურად გაიაზრება არაერთი ლიტერატურული ფაქტი, მოვლენა, სახელი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „მთვარის მოტაცების“ სოციალური ასპექტი.

რომანის სიუჟეტურ ღერძს და იდეურ პლანს ქმნის თარაშ ემხვარისა და არზაყან ზვამბაიას ურთიერთობა და ფარული კონფლიქტი, როგორც ორი მსოფლმხედველობის, ორი ძალის სიმბოლოთა შეჯახება. ისინი იბრძვიან ერთი ქალის — თამარ შარვაშიძის დასაუფლებლად. შემდეგ მას შეენაცვლა მეორე ქალი — ლამარია. ამ გარეგნული ფაქტების



მიღმა და შიგნით ბობოქრობს მთელი ცხოვრება, სასტიკი და მწვენიელი, დროის უღმობელი ტვიფრით აღბეჭდილი. ანტიკური ბედისწერა აქ პოლიტიკად არის ქცეული და იგი განაგებს ადამიანთა ცხოვრებას, მიჰყავს ისინი გამარჯვებისა და დაღუპვისაკენ.

თარაში (თავადი) და არზაყანი (გლეხი) ერთად გაიზარდნენ, ერთი ქალის ძუძუს სწოვდნენ. მაგრამ სწორედ დედის ძუძუსთან წაიკიდნენ. სატანურმა დრომ ისინი არათუ შეარიგა, არამედ კიდევ უფრო დააშორა ერთმანეთს. ორივენი სულში გაფოთლილ ძალაუფლების ნებას, ამ ფარულ ძალას ემორჩილებიან. ოღონდ ერთი თუ ღელვას გზას ვერ უძებნის და შინაგანად იფიტება, ჰკარავს სიცოცხლის უნარს, მეორე — ახდენს მის რეალიზებას. ერთი ხურავს გვაროვნული ისტორიის სახელოვან მატრიანეს, მეორე — იწყებს და საერთოდ — თარაში და არზაყანი ერთი გეოგრაფიული და ფსიქიკური გარემოდან ამოზრდილი კონტრასტული წყვილია. ამიტომ ერთმანეთისაგან ცნობიერად დიდად განირჩევიან, ხოლო არაცნობიერად — ემსგავსებიან.

არზაყანის უნდობლობა მამისადმი გამოიწვია ახალმა სოციალურმა გარემომ, თარაშისადმი — შარვაშიძის ქალის ტრფიალმა. თამარი ხომ თავადისა და მღვდლის ასულია, რომელიც ახალ ძალას უნდა ერგოს, როგორც ნადავლი. არზაყანი არის შურისმაძიებელი, დამმორჩილებელი, რომელიც თვითდადგენას, თვითდამკვიდრებას ელტვის და ეს ვლინდება სიყვარულშიც. არზაყანს მეომრის მამაცი სული უდგას, ტყვიასავით პირდაპირია და უშიშარი. ისცენსტიტ (კაცის სიზმარი) და მამის მოკვლით მან საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი ძველ ცხოვრებასთან, თავისი რუბიკონი გადალახა. ხოლო თარაში ინტელიგენტია, მკვრეტელი და მეოცნებე, ფიზიკურად ჯანსაღი, მაგრამ მელანქოლიით სნეული, „უღრობის გმირი“.

თარაშის შორეული წინაპარი — ვარდან ჰემუხვარი ხმლით იპყრობდა კარნუ-ქალაქს, რისთვისაც თამარ მეფემ უბოძა სამკვიდრო ევრის წყლიდან კილასურამდის. მაგრამ იგივე ვარდანი დაწყევლა კათალიკოსმა ფსალმუნის ასდამერვე ლეჩხით, ისევე როგორც 700 წლის შემდეგ ტარიელ შარვაშიძემ — ვარდანის უკანასკნელი შთამომავალი. ასე რომ ემხვარების დასაბამი და დასასრული წყევლით არის დადაღული. მათ გვარს საუკუნეების მანძილზე სდევს არა მხოლოდ მეომრული სული, არამედ — წყევლით მოგვრილი ნევროზი და მელანქოლიაც. თარაშის იდეალია ბიძანისი — მარტოდშთენილი ერამხუტი, ვინც შამილს შეელოდა და ხმლით ებრძოდა რუსთ ხელმწიფეს.

თარაშ ემხვარის სულში წარმართული ლხენაა ჩაჭრილი, ეტრფის



წმ. გიორგის, რომლის სახელქვეშ ძველქართული მთვარის ღვთაება იცხადება. წმ. გიორგი იყო გამოსახული ფეოდალური საქართველოს დროშებზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბზე, მის სახელზე აშენდა უამრავი ეკლესია. მთვარის მოტაცება იმასაც ნიშნავს, რომ ენგურმა (ერთის მხრივ — რევოლუცია, მეორეს მხრივ — აქერონტი) ჩანთქა მთვარე — წმ. გიორგი, ე. ი. ემხვარმა დაკარგა დამოუკიდებელი საქართველო, წარმართულ-ქრისტიანული წარმოდგენებით აღსავსე — სიცოცხლის მთავარი მიზანი.

თარაშია თითქოს აირჩია „გზა სტალინისა“. მაგრამ ბოლოს აღიარებს, რომ ვერც ფაშისტებს მიემხრო და ვერც კომუნისტებს. ალბათ იმიტომ, რომ ორივენი ბარბაროსები იყვნენ (თარაშიც შორეული ძირებისავენ ილტვის. მაგრამ მისი იდეალია ელინური კულტურა და ცხოვრების წესი). ცნობიერი მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ უნივერსიტეტმა დაუწუნა გამოკვლევა — „კოლხური ფეტიშიზმისათვის“, როგორც თანადროულობისათვის მიუღებელი, ე. ი. მისი ცოდნა, კულტურა სოციალისტურ სახელმწიფოს არ სჭირდებოდა. ემხვარს უხარია, რომ ძლიერდება საბჭოთა საქართველო (თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ რადიოინფორმაციას ისმენს მას შენდევ, რაც ყელგამოჭრილი ბიძამისის—ნოშრევან ფარჯანიანის ბინა დატოვა, ე. ი. ერთმანეთს ერთვის სისხლი და აღმშენებლობა). მაგრამ ცივილიზაციის ეშინია, ფიქრობს, რომ ეს არის დიდი ერის ექსპანსიის ნიღაბი, რომ ცივილიზაცია გაასწორებს მთასა და ბარს, წაიშლება ეროვნული ნიშანთვისებანი, არა მხოლოდ საზღვრები და ის რაც ვერ გაკეთდა ცარიზმის მიერ, აღსრულდება რუსი კომუნისტების ხელით.

ამიტომ ეტრფის პატრიარქალობას, სვანეთის პირველყოფილ ბუნებას, ადათ-წესებს, ლეგენდებს, ქორა მახვშის კლანს. მაგრამ ლალუმების გრიალით მოდის სისხლისფერი ყამი და თარაში სვანეთშიც ვერ პპოვებს შვებას. ის ყველგან ზედმეტია, ყველგან მესამე. ცოლი არ შეურთავს, ვერც ერთმა ქალმა მისგან ჩასახული ბავშვის შობა ვერ შეძლო, სამეცნიერო ნაშრომი დაუწუნეს და ცეცხლს მისცა და მესამე — სიკვდილის გზას დაადგა (იგი ხომ ყოველთვის უარყოფდა კაპიტალისტურ სამყაროს).

თარაშს უსაზღვროდ უყვარს ქართველი ხალხი, ძველი საქართველო. ამიტომ იხვევს შორეული წარსულისაკენ, წმინდა და ძლიერი ძირებისაკენ. ახარებს ბერძნულ კულტურაზე მუსაიფი, პლატონს ეტრფის მისი წარმართული სული, გმობს ქრისტიანობას, ქრისტეს ჯვარს. კოლხური ფეტიშიზმის კვლევით მსოფლმხედველობრივ საწყისებსაც იმაჯრებს,



რაც ანტიმისტურ, მიტოსურ, პავანისტურ წარმოდგენებს ეფუძნება, თარაშს ორი ძლიერი ვნება აქვს—პოლიტიკა და ქალი, რაც არა-ცნობიერ ფსიქიკაში ერთდება, როგორც ძალაუფლების ნება. ადრე ელ-ლენ რონსერს ეტრფოდა, ხიბლავდა ამ ქალის სიმშვენიერე და არის-ტოკრატიზმი. მაგრამ მათ შორის ჩადგა სამშობლო და დედა. შემდეგ თამარ შარვაშიძე შეუყვარდა. მაგრამ თუ თარაში ევრობას გამოექცა და ცივილიზაციით იყო მოქანცული, თამარი ახლა უნდა ზიარებოდა თა-ნამედროვე ცხოვრებას. ემხვარი მას წარსულისაკენ ეზიდება. მაგრამ თამარს ისტორია არ უყვარს, არ ესმის გარდასული დროის რომანტიკა. ამდენად — დრომ და საგნებმა გათიშეს იგი.

ბოლოს თარაშმა სვანი ქალის — ლამარიას შერთვა მოინდომა, მაგ-რამ ლამარია ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლიკაა და იგი უხეშ, მტკი-ცე არზაყანს აირჩევს და არა ცივილიზაციით გაფაქიზებულ, ე. ი. და-სუსტებულ ემხვარს, რომელსაც სწყურია ხელახალი გაბარბაროსება. უკანასკნელ გზაზე იგი მისმა ძუძუმტემ — არზაყანმა გაამგზავრა, თა-ვისივე საყვარელი არაბიათი.

ამ ორი პიროვნების შუღლი, განსხვავებული ფსიქიკა და ტემპერა-მენტი, ცნობიერება და ხასიათი ნაჩვენებია ნაირგვარი ხერხით. მწერა-ლი თავის თვალსაზრისს გვისაბუთებს მიტოსური და ისტორიული აღუ-ზიებითა და პარალელებით, სიუჟეტის ლოგიკური მდინარებით, არქე-ტიპების, ტოტემებისა და ჰიპოსტასების სისტემათა თხზვით, რითაც ცნობიერების ფსიქოლოგიზმს ერთვის არაცნობიერის ფსიქოლოგიზმი, ხატვა იქცევა აზროვნებად.

მწერალმა სწორად გაიაზრა არზაყან ზვამბიას ხასიათი, ძლიერი ნე-ბისყოფა, ფანატიკური ერთგულება პარტიისა და სტალინისადმი, სი-სასტიკე და პირდაპირობა, სწრაფვა ცივილიზაციისა და განათლებისა-კენ. მაგრამ არზაყანი აღმშენებელი არ არის. იგი დამანგრეველია. მის-თვის ჭერ ძველი ყოფის დასამარებაა მთავარი. ამიტომ მსახურობს ჩე-კაში, დასდევს და ზოცავს ყაჩაღებს, ჰკლავს მამას და წილს დაიდებს ქორა მახვშის, თამარისა და თარაშის დაღუპვაში. ასეთი მტკიცე, ძლი-ერი და თავზეხელაღებული კომუნისტები იცავდნენ პარტიის ინტერე-სებს, მაგრამ აშენება უჭირდათ. მისთვის ისტორია დღევანდლობიდან იწყება. თარაშისათვის კი დღეს მთავრდება. ამიტომ ძველ მორალსა და ზნეობასაც უარყოფს. შემზარავია შიშველი იდეის კულტი, ადამიანურ ღირსებათაგან განძარცვა, ტოტალური ეგოიზმი. სვანეთიდან ჩამოიტანა თავის მიერ „ღვეის ქვაბში“ მოკლული მამის ძვლები. სახლში შევიდა, ხურჩინი დაადო და ძაბული ძალით დაიმორჩილა. არ შეაკრთო იმან, რომ იქვე ხურჩინში მამის ძვლები ეწყო.

ლუკაია ევედრება არზაყანს, რათა ახალგაზრდებს აუკრძალოს ღმერთის გამასხარავება, ისე ევედრება „თითქოს არზაყან სტალინის ყოფილიყო“. „ქრისტეს მიერ რეგენი“ ლუკაია ყველაზე კარგად მიხვდა, რომ არზაყანი არა მხოლოდ სტალინის ერთგული მიმდევარია, არამედ — პატარა სტალინიც არის, რომლის გზა დიქტატორობისაკენ მიდის. ამიტომ გადაჰყავს იგი „ცეკას ახალ მდივანს“ (იგულისხმება ლ. ბერია) ცენტრში, ე. ი. ცენტრალურ კომიტეტში. არზაყან ზვამბაიას წინაშე ახალი პერსპექტივა გადაიშალა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი კიდევ უფრო ფანტიკოსი სტალინისტი გახდება და თავის წვლილს შეიტანს მომავალ ტრაგედიაში. ჭაბუკი ზვამბაიასათვის ხომ მიზანი ამართლებს საშუალებას და ძალა განსაზღვრავს სიმართლეს.

ჯერჯერობით კი არზაყანის ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ მოკლა თავისი ღმერთი — მამა, ძველი სამყაროს სიმბოლო, პატრიარქალობის მოძულემ სტიქიურად გაიმეორა ბარბაროსული წესი (შდრ — სტალინის სიძულვილი მამისადმი), ე. ი. არაცნობიერად ის უფრო ახლოა უძველეს ჟამთან, ვიდრე თარაში! თარაში უფრო გლოვობს კაც ზვამბაიას, ვიდრე არზაყანი, რადგან თარაში მამის ერთგული შვილია. ხოლო არზაყანი ახალი ღვთაების ხატება, რომელმაც ძმების სახელით გასწირა მამა (შდრ. — სოციალ-დემოკრატების მიერ ილია ჭავჭავაძის მოკვლა, ბოლშევიკების მიერ ნიკოლოზ II-ის ოჯახის ამოწყვეტა).

ინსცესტიც ძალაუფლების სიმბოლიკაა, აკრძალულის გადალახვა, გზა მშობელი დედის დაუფლებიდან მშობელი მიწის დაუფლებამდე (გაიხსენოთ იულიუს კეისრის შემზარავი სიმზარი რუბიკონის გადალახვის წინა ღამეს და მას შეეუფარდოთ საქართველოს 1921 წლის ტრაგედია).

მეზირის მოკვლას თარაშიც ესწრება და თავისი პასიურობით მკვლელობის მონაწილე ხდება. ამიტომ ისიც გარბის სვანეთიდან. მოშულლარი ძმები ჩაიდენენ დანაშაულს, რადგან მითოლოგიურად მამის წინააღმდეგ ძმები ერთად იბრძვიან. მაგრამ როგორც კი მამას მოიცილებენ, შემდეგ ერთმანეთს დაერევიან, რადგან მამის ადგილი უნდა რამდენიმე ძმას. ძმათა შუღლი ტრაგიკულად უნდა დამთავრდეს და ერთმა შეცვალოს მამა-ღმერთი. თანასწორთა შორის იწყება ბრძოლა ერთის გამოსავლენად, ახალი ბელადის, მამის, უფლის დასამკვიდრებლად (შდრ — სტალინის ბრძოლა აბსოლუტური ძალაუფლებისათვის, ძველ თანამებრძოლთა და თანამოაზრეთა განადგურება). თარაშიც მაშინ გაამგზავრა სასიკვდილო გზაზე არზაყანი, როცა კაც უკვე აღარ იყო ცოცხალი. ას-

პარეზი დარჩა არზაყანს, რომელმაც გაიმარჯვა, ცოლი შეირთო და ცხენების წარმმართველ ძალად იქცა.

დამარცხდა თარაში, ელინური მზის მოტრფიალე, მრავალი ენისა და კულტურის მცოდნე, 1921 წელს ევროპაში გადახვეწილი, დამარცხებულ სამშობლოზე დარდით გულმოკლული. გაიმარჯვა არზაყანმა, ვინც მაუზერით ამკვიდრებს ახალ ცხოვრებას, უარყოფს მრავალსაუკუნოვან ადრე-ადრეებს, მორალს, ზნეობას, სამშობლოს გრძნობას, ვისთვისაც მთავარია ძალაუფლება, ხოლო განათლებას შემდეგ ეზიარება (შდრ. არზაყანის მაუზერი, ჩექმები, ცხენი, გიმნასტურა, თარაშის — კალამი, კოსტუმი, მელონის ქუდი, ჰალსტუხი).

არზაყან ზეამბაია არის კომუნისტის (ბოლშევიკის) სიმბოლური და კრებადი სახე. ამიტომ არის იგი კომკავშირელი, პარტიის წევრი, ჩეკისტი (ლენინის ერთი თეზისის თანახმად ყველა კომუნისტი უნდა ყოფილიყო ჩეკისტიც და ეწერა „დანოსები“). ხოლო სიმბოლურად განსახიერებს კაენს, ოიდიპოსსა და კეისარს, ე. ი. თავის ბუნებაში აერთებს მათ ცოდვასა და უმძიმეს დანაშაულს.

კულტურასა და ეროვნულ შეგნებას სპობს მოზეიმე ბარბაროსული ძალა — კომუნისტური იდეოლოგია. ასეთია რომანის მთავარი იდეა. ეს არის წიგნის ძირითადი პათოსი.

კ. გამსახურდიამ იგრძნო აპოკალიპსური კატასტროფის მოახლოება. ამიტომ, როცა ეს ნამდვილად მოხდა, მოითხოვეს რომანის კორექტირება. ამოიღეს კაცის ინსცესტური სიზმარი, მამისმკვლელობის სცენა, სტალინის შედარება ნაპოლეონთან და ასე დაბეჭდეს 1947 წელს (შდრ. — ს. ეიზენშტეინის ფილმი „ბეჟას მდელი“ გაანადგურეს, რადგან მთავარი გმირის პროტოტიპად პავლიკ მოროზოვი დაინახეს). შემდეგ ეს ტექსტი დაკანონდა. ლიტერატორთა მოთხოვნა ყურად არავინ იღო. მხოლოდ ახლა ხერხდება ცალკეული ეპიზოდების აღდგენა.

გარდა არზაყანისა რომანი სხვა კომუნისტებსაც გვაცნობს. ესენია — არლან არენბა, ჩალმაზი და როსტომ ლიჩელი. არლანი ძველი ბოლშევიკია, რომელიც წარსულით თავმომწონეობს. იგი მკაცრია და უხეში. სწორედ მისი ბრძანებით გადასწვეს ღურბაშის ხუთასწლოვანი მუხა, მოსპეს ტოტემი და ამით სიმბოლურად მშობელი ხალხის განადგურებაც დაიწყეს. არლანიც უბედურების მომტანია მოძმეთათვის, არც იგი ერიდება სისხლსა და ნგრევას. მაგრამ თუ არზაყანმა არ იცის კომპრომისი, არლანი პირად კეთილდღეობაზე ზრუნავს, ინტრიგების ქსელს ხლართავს, ცოლად ირთავს ნათავადარ გვანჯი აფაქიძის ასულს. მას უკვე დავიწყნია თავისი რევოლუციური წარსული, ის იდეალები, რისთვისაც



თავს სწირავდა. ამიტომ ებრძვიან არლანს არზაყანი, ჩალმაზი და როსტომი. თუ 30-იანი წლების პოლიტიკურ ტერმინოლოგიას გავიხსენებთ მაშინ არლანი უნდა მიეკუთვნოს ე. წ. „ტროცისტულ-ზინოვიევეურ ბლოკს“, ხოლო ჩალმაზი და როსტომი — ლენინელებად მივიჩნიოთ. სუბიექტურად ისინი თავიანთი ცხოვრების წესით, მოქმედებით, შეხედულებით სიკეთესა და რწმენას ემსახურებიან, ისევ შერჩენიათ ადამიანისა და მომავლის იმედი. სხვა საკითხია — რამდენად ადამიანურია იდეალები, რომელთაც ფანატიკურად ერთგულობენ.

როსტომი ნიკოლოზის დროს გადასახლეს, მენშევიკებმა დაიჭირეს, დენიკინთან ბრძოლაში მარჯვენა დაკარგა, ახლა არლანმა მოხსნა. ამიტომ ამბობს გულგატეხილი დედა: „მე არ ვიცი, ჩვენი დრო რომელია, ნანასქუა“? ეს კითხვა, ისევე როგორც სხვა მრავალი, უპასუხოდ რჩება. მაგრამ თავად მკითხველმა უნდა შეაფასოს მოვლენები, გამოიტანოს დასკვნა, თუ რა ნაყოფი გამოიღო ვითარების დრამატიზებამ, რეპრესიამ და შიშმა, ადამიანის ფსიქიკისა და ცნობიერების გადაკეთების პროგრამამ.

კ. გამსახურდიასათვის კომუნისტი ერთმნიშვნელოვანი ცნება არ არის. იგი ამჩნევს განსხვავებულ ტენდენციებს (თუმცა 1933—1934 წლებში ჯერ კიდევ სრულიად არ იყო გამოვლენილი ბოლშევიზმის სატანური არსი და ინტელიგენციასაც ყალბი წარმოდგენა ჰქონდა მასზე). იმასაც ხედავს, რომ ტროცისტი არლანისა და კოლექტივის მოძულეთა დათრგუნვის შემდეგ ძალაუფლებისაკენ ერთად მიიწევენ ლენინელი ჩალმაზი და სტალინელი არზაყანი. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი სხვადასხვა თაობას ეკუთვნიან. მალე „ტანმორჩილი, პენსნიანი“ კაცი საქართველოში ადასრულებს ბელადის ნებას და გაანადგურებს ლენინურ გვარდიას, მათ, რომლებიც 1921 წლის თებერვალში წითელი რუსეთის ჯარებს შემოყვნენ, ე. ი. არზაყანმა უნდა მოკლას ჩალმაზი ანუ ერთ ბოროტებას მოსპობს მეორე ბოროტება, უფრო სასტიკი და საზარელი.

„მთვარის მოტაცებაში“ მოქმედება იწყება 1931 წლის აპრილში და მთავრდება 1932 წლის აპრილში. დასაწყისი და დასასრული უკავშირდება 23 აპრილს, წმ. გიორგობას. ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული მთლიანი კოლექტივიზაცია. კოლექტივის წინააღმდეგი არიან ძმები ტარბები, გვანჯ აფაქიძე, ლონგაც ესვანჯია, კაც ზვამბაია, ფაქტიურად საზოგადოების ყოველი ფენა, ცხადია გარდა კომუნისტებისა. წიგნში კომუნისტებისადმი სიძულვილი და ტერორი ამ ფაქტსაც უკავშირდება. გავიხსენოთ კაც, არზაყანის მამა: „ბლუზიანი და კეპიანი ხალ-

ხი უნდა ამოწყდეს“, „ორივენი გადით ჩემი სახლიდან, წადით, კოლექტივის ძროხები მწყემსეთ, იცოდეთ ნემსსაც არ გაგატანთ“, „საქართველო საერთოდ სძაგდა კაცს. ვაზეთები და წიგნები იქედან მოდისო, სოციალისტები, აჯანყება და ტიფიც იქ იწყებო პირველად, ტფალისში არიანო უღმერთოები და „საკატორლო ხალხი“, სოციალისტები და „ქვეყნის დამქცევლები“. კაც არასოდეს ახსენებდა „ბოლშევიკს“, ე. ი. ბოლშევიკი მისთვის ტაბუირებულია, როგორც უხსენებელი (შდრ — გვანჯის, ტარიელის, ქორა მახვშის სიტყვები).

არზაყანი მაინც ვევიდა კოლექტივში. ამ ამბავმა მამა-შვილი გაჰყარა. „არზაყანს სამზადი ერგო და ეზოს ნახევარი“. ცხენის წასაყვანად მისული მილიციელი ასე ეუბნება ზვამბაიას: „მებრალეზიო სულო, მე კარგად ვიცოო ცხენისადმი სიყვარული როგორ მწარეა, მაგრამ მე პატარა კაცი ვარ, მე ვინ მკითხავსო საქვეყნო ამბავს“, ე. ი. ხელისუფლების წარმომადგენელზეც მბრძანებლობს უცხო და უღმობელი ძალი. პროტესტის ნიშნად კაცმა იმავე საღამოს დახოცა თავისი ხარები; ძროხა და ფურ-კამეჩი. მოხუცი მთელი ღამე შფოთავდა, ბორგავდა, ვერ იცილებდა დახოცილი საქონლის ღიადღარჩენილ თვალებს და თხისრქებიან ეშმაკს.

რომანში ნაჩვენებია როგორ ნადგურდება პატიოსანი და მშრომელი გლეხობა, როგორ გამოცოცხლდა ნათავადარი და მღვდელყოფილი, როგორ განახლდა საპასუხო ტერორი და შეთქმულება ხელისუფლების წინააღმდეგ. კ. გამსახურდია არ თანაუგრძნობს კოლექტივიზაციას. იგი სიყვარულით ხატავს დამარცხებულ სამყაროს, გლეხსა და თავადს. მაგრამ ითვალისწინებს ობიექტურ რეალობას, მოვლენათა განვითარების პერსპექტივას. გლეხობის ვანდების საშინელება თავიდანვე აშკარა იყო. სტალინის გვიანდელი შეფასებით 1933 წელს სსრკ-ში შიმშილობდა 25—30 მილიონი კაცი. დაიღუპა მილიონობით ადამიანი. თითქოს ეს იყო აუცილებელი მსხვერპლი ინდუსტრიალიზაციისათვის, რაც წინ უსწრებდა 1937—1938 წლების გრანდიოზულ კაცთშეწირვას ბოლშევიკური სოციალიზმისადმი.

1929—1933 წლებში, როგორც წერს ი. ჩერნიჩენკო, განადგურდა და დაიხოცა 17,7 მლნ ცხენი, 25 მლნ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათ შორის 10 მლნ ძროხა (რამდენიც დღეს ჰყავს აშშ-ს), 10 მლნ ღორი, 71 მლნ ცხვარი და თხა... სტალინის წერილი „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“ (1930 წ.) შეცდომის სხვათათვის გადამბრალებისა და მოსახლეობის დამშვიდების ცდა იყო. მაგრამ ტოტალური და ანტიჰუმანური სოციალური ექსპერიმენტის დამღუპველი ძალა იწვინა არა

მხოლოდ 30-იანი წლების გლახობამ, არამედ — შთამომავლობამაც, და იქნებ არა ნაკლებ მწვავედ.

ტარიელ შარვაშიძე, ლუკია ლაბახუა, ლომკაც ესვანჯია დრომ ფიზიკურ გაჭრობამდე მიიყვანა. შეუბრალებლად ისპობა რელიგიური — ქრისტიანული და წარმართული სამყარო. არეულმა დრომ ღვთის მსახური ტარიელი ღვთისმკვლელად აქცია. ახალი ანტირელიგიური ფსიქოზის საფუძველი: 1929 წელს ლ. კავანოვიჩის მითითებით დაიგზავნა დირექტივა, რომლის თანახმადაც რელიგიური ორგანიზაციები ერთადერთ ლეგალურად მოქმედ კონტრარევოლუციურ ძალად მიიჩნეოდა. ეს იყო აღმინისტრაციულ-რეპრესიული ბრძოლის ბრძანება. თუ აღრე ინგრეოდა ეკლესიები, მონასტრები, იკრძალებოდა რელიგიური წიგნები, ამჯერად ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. მთავარი იყო არა მხოლოდ რწმენის აღმოფხვრა, არამედ რწმენის ქადაგთა, რწმენის მტარებელთა ფიზიკური მოსპობა. როგორც სტალინი აცხადებდა, თუ არის ადამიანი — არის პრობლემაც, არ არის ადამიანი — არ არის პრობლემაც!

როგორც ითქვა, თარაშ ემხვარის სახით იღუპება ძველი კულტურა, არა მხოლოდ არისტოკრატიული, არამედ — ინტელიგენტურიც. ძველი არისტოკრატიული გვარები — შარვაშიძე, ემხვარი, აფაქიძე, ორბელიანი, ბაგრატიონი, ფარჯანიანი დრომ ჯერ გლეხებსა და მუშებზე დაბლა დააყენა. ეს თავისთავად იყო მტკივნეული პროცესი. მაგრამ სტალინის დიქტატურამ ესეც არ იკმარა და მათი ფიზიკური ლიკვიდაციაც დაიწყო. გამარჯვებული რევოლუცია უარს ამბობს დასავლურ კულტურაზეც, რომელსაც ბურჟუაზიულად მიიჩნევდა. იგი ანადგურებს პატრიარქალობასაც. თარაშისათვის ესეც ტრაგედიის ნაწილია, ხოლო ობიექტურად თითქოს პროგრესს ნიშნავს. ბოლშევიზმი ცივილიზაციის პაროლით გამოდის, ცივილიზაციის სახელით გაჰყავს გზა სვანეთში, არღვევს უძველეს კლანს, აარსებს კომკავშირს და კოლექტივს, კლავს პატრიარქალობის სიმბოლოს — მეზირს. როცა ვიციტ ბოლშევიკური სოციალიზმის არსი, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ამგვარი ფერისცვალება ბედნიერების მომტანი ვერ იქნება. მთაშიც გაბატონდება შიში და ქაოსი, შუღლი და სიძულვილი, დაიდგრება მამებისა და ძმების სისხლი.

ასე რომ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი გვიჩვენებს თუ როგორ ტოტალურად ითრგუნება არისტოკრატია, ინტელიგენცია, სამღვდელოება, გლეხობა, თუ როგორ მზადდება ატმოსფერო დიდი კატასტროფის აპოკალიპსური წარღვნის მოსავლენად (რომლის მხედრები ეზმანებათ თამარს და თარაშს) და ვინ იქნება მისი წარმმართველი ძალა.

2. მწიგნობარი

საპროტესტო
მ. რ. მ. მ. მ. მ. მ.
ს. მ. მ. მ. მ. მ. მ.

რომანში არაერთხელ იხსენიება სტალინი. საინტერესოა აზრი ბელადზე, მისდამი ამბივალენტური მიმართება.

უძველესი არისტოკრატიული გვარისშვილი სტალინს განადიდებს, კეისარზე, პეტრე დიდსა და ნაპოლეონზე მალლა აყენებს. არა იმიტომ, რომ სტალინის პოლიტიკა მოსწონს ან უყვარს. მან კარგად იცის, რომ სწორედ სტალინის წყალობით დაეწვრა ოჯახი, გააქციეს უცხოეთში, ჩასვეს ციხეში, აუწერეს მამული, დაუწუნეს ნაშრომი და მოუჭრეს მომავლის გზა, ხოლო საქართველოს ხელახლა დაადგეს ჩაგვრის უღელი. მაგრამ თარაშს ყველაზე მეტად ხიბლავს „ძლიერება და მშვენიერება“, როგორც რომანტიკოსსა და მჭვრეტელს, არაპრაქტიკულ პიროვნებას. ძლიერი თავისთავადაც არის მშვენიერი, რადგან იგი ბედისწერის ურჩია ან თავად არის ბედისწერა.

Amor fati-სადმი ინტერესი ვლინდება ძლიერი პიროვნების კულტით, რასაც ერთის მხრივ მივყავართ ნიცშეს ზეკაცთან, მეორეს მხრივ — ბერძნულ ესთეტიზმთან. საერთოდ XX საუკუნის პირველ ნახევარში მრავალი ერი შეიპყრო ოცნებამ ახლად მოვლენილ მესიაზე, უძღვევლ პიროვნებაზე, ვისაც ადამის მოდემისათვის არნახული, სხივმოსილი გზა უნდა გაეკვალა, ქრისტიანობის სამოთხე მიწაზე გადმოეტანა. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ნაპოლეონი და სტალინი რევოლუციის გმირები იყვნენ. მაგრამ შინა და საერთაშორისო რეაქციასთან ბრძოლის მიზეზით თუ საბაბით, აკვიატებული იდეებით შეპყრობილნი, დიქტატორებად იქცნენ. თითქოს თარაში აქ ხედავს მათ შორის განსხვავებას. სტალინს მიიჩნევს „უხმლო გმირად“, რომელიც უმძიმეს ბრძოლებს იხდის თავის მარტივად მოწყობილ კაბინეტში.

გავიდა რამდენიმე წელი და ნაპოლეონის დარად სტალინმაც ხელთ მახვილი აიღო, ოღონდ ჯერ მოძმეთა და თანამოაზრეთა შესამუსრავად. თარაში ერთმანეთს უპირისპირებს ნაპოლეონის პოზას და სტალინის სისადავეს. მაგრამ მალე ისიც ნათელი გახდა, რომ სტალინის უბრალოებას მეტი სისასტიკე და განდიდების მანია ახლდა, ვიდრე ნაპოლეონის ლაშქრობებს, სიტყვებსა და ქესტებს. ასე რომ ძლიერი პიროვნების მახვილი აიღო, ოღონდ ჯერ მოძმეთა და თანამოაზრეთა შესამუსრად. არსი იგივე დარჩენილა, შეცვლილა მხოლოდ ნიღბები. თარაშის აზრით, სტალინი „ბუნების სტიქიონია“, რომლის „გულკანის ერუპკია“ მომხიბვლელია შორიდან საყურებლად. მაგრამ მის მიერ აღძრული გრივალეები მეტწილად ყველა თანამედროვეს ეჯახება: „ზოგს ცეცხლის თქეში ანადგურებს, ზოგსაც ვეება ბელტები ეცემა, ზოგი ისრისება, ზოგი ნადგურდება. ამიტომ მრავალთაგან მრავალს მისი ეშინია, მრავალზე უმრავ-



ლეს უყვარს იგი“, ე. ი. სტალინი წარმოდგენილია როგორც ბოროტისა და კეთილის მიღმა მდგარი ძალა, ზეკაცი, ნიცუმეს სიტყვებით ვთქვათ—ურჩხული ანგელოსის ფრთებით.

თარაში თვლის, რომ თანამედროვე მოქალაქეს აქვს ორი გზა — მუსოლინისა (ფაშიზმი) და სტალინისა (სოციალიზმი). იგი გონებით ირჩევს სტალინის გზას, მაგრამ გულით ვერ ღებულობს, როგორც მისი ბუნებისა და წარმომავლობისათვის უცხოა. თარაშ ემხვარი, მეფის გენერლის ვაჟი, ყოფილი ემიგრანტი და ნაციონალისტი, თვლის, რომ „ჰკვათამყოფელი“ ქართველები იამაყებენ სტალინის სახელით, უფრო მეტიც: „ერთი დიდი კაცი მთელს ერს უდრის ხანდახან და ისტორიაში ისეთი მომენტიც ღგება, რომ იმ კაცის გამარჯვებაზე ჰკიდია მთელი ერის პრესტიჟი“.

ეს იყო ჰიპერტროფირებული ოცნება ქართული სულის ძლიერებაზე. რაც სტალინის სახით გამოვლინდა, ნიცუმე ამბობს, რომ ყოველი კაცი თავისი ღმერთის რისხვისაგან უნდა დაიღუპოსო. ასე ღუპავს კონსტანტინე სავარსამიძეს დიონისო, არზაყანს — სტალინი, ე. ი. ცნაურდება ბელადის დემონური ძალა.

ისიც საინტერესოა, რომ თარაშმა ვერ დალია სტალინის სადღეგრძელო. ხოლო მთვრალ ჩალმაზს ჰგონია, რომ ნათავადარი და ვილაც გერმანელი ქალი უკეთურად ახსენებენ პარტიის ბელადს, ე. ი. მისი არც ამ კონტექსტში ესმის მმართველ ძალას.

1933—1934 წლებში არავინ იცოდა საბოლოოდ თუ რა სახეს მიიღებდა რევოლუცია. მაგრამ ველური ვაკხანალია, ფანატიზმი, ძველის ნგრევა, განახლების პათოსი და სისხლიანი ექსპერიმენტები თუ ერთის მხრივ ჰეროიკას აღვივებდა, მეორეს მხრივ იწვევდა შიშსა და დებრესიას პატიოსან მშრომელთა გულში. კონსტანტინე გამსახურდიას შთაგონება იყო იანუსივით ორსახოვანი დრო, საქართველოს ბედი, ეპოქის სულის გამოკვეთა ადამიანთა სახეებად. ამიტომ არის „მთვარის მოტაცება“ არა მხოლოდ დიდი წიგნი, არამედ სასტიკი სინამდვილის ნართალი დოკუმენტიც.

ახალი სიტყვები

ჩემთვის არა ერთხელ მოუმართავთ საყვედურით თუ რისთვის ვხმარობ ჯერ უხმარ უცხო სიტყვებს. მე ამ საყვედურს არ მივაქცევდი ყურადღებას, მაგრამ როცა ისეთი სერიოზული ორგანოს რეცენზენტი ასეთსავე საყვედურს მაკადრებს, რთგორიცაა — „ხომალდი“ (იხ. ყურნალი № 5, 6,), მე საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვა: ყურნალი „ხომალდის“ მეზიბლიოგრაფე აღნიშნავს რა ჩემს ნაწერებში უცხო სიტყვათა სიუხვეს, იქვე დასძენს: „მაგრამ შეიძლება ეს ქართული ენის ლექსიკური სიღარიბით აიხსნებოდეს“.

საქმეც ეს არის, რომ თანამედროვე ქართული ენა მეტად ღარიბია, დღეს ყოველი კულტურული ადამიანის ემოციური და ინტელექტუალური მეტყველება ისე გართულებულია, რომ ვერც ერთი ეროვნების წარმომადგენელი ვერ იაზროვნებს მარტოდენ თავის მშობლიურ იდიომიდან აღებული სიტყვებით, მით უმეტეს ქართველი მწერალი.

მე დაგისახელებთ უგანათლებულეს ნაციას დღევანდელ ევროპისას — ინგლისელებს, რომელიც განუწყვეტლად ღებულობს უცხო სიტყვების ნადენს, როგორც მკვდარ ბერძნულ-ლათინურ, ისე ახალ ფრანგულ-გერმანულ ენებიდან. არც ერთ ენას არ შეუსრუტავს იმდენი ბარბარიზმები, რამდენიც ინგლისურს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ინგლისური ენა ერთი ულამაზესი ენათგანია მთელს ქვეყანაზე და თავის ელასტიურობით, მათემატიკური პრეციზობით მეტყველებაში ინგლისური უსწრებს გერმანულსა და ფრანგულს.

მით უმეტეს ესაჭიროება ბარბარიზმებით შევსება ჩვენს ენას.

ბარბარიზმების სესხი უეჭველად კულტურული ენებისაგან უნდა იქნას აღებული. იყო დრო, ქართული ლიტერატურა ინდოეთსა და სპარსეთს ესესხებოდა სიტყვებს, ამ დროს იდეებიც ამ ქვეყნებიდან მოდიოდა საქართველოში.

რუსთაველი — უდიდესი პოეტი ქართული გენიისა, ყველაზე უფრო დატვირთულია ბარბარიზმით, ალაგ-ალაგ ზონაზე მეტად.

აღმოსავლური ენების გავლენა ალექსანდრე ჰავჭავაძემდის არ შეწყვეტილა.

მე პირადად, როგორც მწერალი, მუდამ მოწადინებული ვარ გავდევნო ქართული ენიდან ის ზედმეტი ბალასტი, რომელიც საუკუნეების გავლენით ჩაღეჭილა ქართულ ენაში. პარალელურად, ჩემის აზრით, უნ-

და ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების ლექსიკის საშუალებით.

უნდა შემოუშვათ ქართულ ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტიკის სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურულ კილოდან. ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას, მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთელი „ენას უწუნებდა“ მას.

ყოველ ცოცხალ ენას მოეპოვება დაუშრეტელი იდიომური აუზი, ეს არის ბერძნული და ლათინური ენა.

ქართულ ენას ყველა უცხო ენებზე უფრო ეხამება ამ ენებიდან აღებული სიტყვები.

ეს ორი ენა დღეს უპატრონო კაპიტალია, იგი ყველა ერს ეკუთვნის. მე არ მწამს „ნაციონალიზმი“ ენის საკითხში.

1918 წელს გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა პრუსიის სამეცნიერო აკადემიას ხელოვნურ საშუალებებით გაეძეგებიათ ფრანგული ბარბარიზმები გერმანული ენიდან, მაგრამ ამ ცდისაგან არაფერი გამოვიდა.

არის შემთხვევა, როცა მშობლიურ ენაში მოიპოვება რომელიმე ცნების გამოსახატავი სიტყვა, მიუხედავად ამისა, მწერალი არჩევს ნასესხები სიტყვა იხმაროს. სიტყვის ხმარებაში მწერალს ათასნაირი მოსაზრება ამოძრავებს:

ზოგი სიტყვა დაობებულია, გაცვეთილი, ათასი სხვა მწერლის პირში, ზოგი სიტყვა ყრუა, ზოგიც ბლაგვი, ზოგი მივიწყებულია და ქანგ-მოდებული, ზოგი ხორკლიანი, ზოგიც გამოფიტული.

მე მიჩვევია ქართულ სიტყვას „მგრძნობიერობას“ — სანტიმენტალობა, ეს სიტყვა აპატიურია, ჩემთვის არ არის რალაც შინაგანი აპატიასიტყვის მიმართ, გარდა ამისა, ამ სიტყვაში ერთიმეორეს ხვდებიან კონსონანტები მ. გ. რ. დ. ნ.

უფრო მეტს ვიტყვი: სიტყვა „მგრძნობიერება“ შეუწყნარებელი სიტყვაა: მე სიტყვის ტირანი რომ ვიყო, ასეთ სიტყვებს ენას მოვაგლეჯდი. არიან სიტყვები, რომელნიც გატეხილ ზარსავით უკვე აღარ წკრიალებენ და თქვენ რუსთველისეული ენერგიითაც რომ მოუქნიოთ, ვერ გამოაღებინებთ მას იღუმალ წკრიალს, რომელიც ყოველი კარგი სიტყვიდან მოგვესმის ჩვენ...

არიან სიტყვები, რომელნიც მაშინაც, როცა მათ ხმარობს ხალხი, მწერლისათვის მკვდარია.

არიან სიტყვები, რომელნიც სიძველეთა სავანეში უნდა იქნან შენახული როგორც ძველი სისტემის ზარბაზნები, რომელთაც თანამედროვე ომში კარგი ვაჟკაციც ვერ იხმარს.





არიან სიტყვები, რომელნიც სავსებით უნდა იქნან გაძევებულნი იქნან სიტყვები, რომელთაც ვერც ერთი სახელმწიფური, ეთნიური და ნაციონალური საზღვრები ვერ დააკავებენ. ისინი იდეურ ატმოსფეროს დაპყვებიან.

არსებობენ გადაუთარგმნელი სიტყვები.

არიან შეუცვლელი სიტყვები.

ახალ იდეებს მუდამ ახალ სიტყვათა მარქაფები მოსდევენ.

ახალ კულტურას მუდამ ახალი სიტყვების მაყრები მოუძღვიათ წინ.

1922

* * *

მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო. იგი დაკავშირებულია 1930 წლის ზაფხულთან. ბაკურიანში ვისვენებდი. მოულოდნელად მეწვია კონსტანტინე, სანადიროდ მივდივარ და შენც წამოდიო, მთხოვა. გაციებულ ვიყავი, სიცხე მქონდა, თავს სუსტად ვგრძნობდი. გული დამწყდა რომ ვერ წავყვივი. კონსტანტინე დაღონდა, მაგრამ რა უნდა ექნა, მარტო წავიდა. მე აივანზე გამოვაცილე... ძალიან უხედბოდა შავი ჩოხა და ფაფახი, როგორც მონადირეს შეპფერის. თოფი ეჭირა ხელში, წელზე ხანჯალი ეკეთა, თანაც ორი მწვევარი ახლდა — თეთრი და ნაცრისფერი... თვალს ვერ მოსწყვეტდი, ისეთი მშვენიერი და კოლორიტული იყო. ჩემმა მეუღლემაც ეს მითხრა: რა უხვად დააბერტყა ბუნებამ თავისი კალთა, ნიჭიც და სილამაზეც—ყველაფერი მისთვის გამოიმეტა... ყველაფერში განსხვავებული და თავისებურიყო.

მართლაც ტანწვრილი, არც თუ ისე მაღალი, მაგრამ ძალიან აწყობილი. დამენანა თხოვნა რომ ვერ შევუხსრულე... როცა გზას მიეფარა, მაშინვე ოთახში შევბრუნდი, ფანქარი ავიღე და მისი სილუეტი მეხსიერებით მოვხაზე. ნახატი ხუთმეტ წუთში მზად იყო.

შემოდგომამაზე კი, როცა თბილისში დავბრუნდი და კონსტანტინესთან მივედი, ეს ნახატი საჩუქრად მივუტანე. ძალიან გაეხარდა, იცინა, ისევ გაიხსენა ის დღე. ისევ სინანული გამოთქვა, რომ ვერ წავყვივი...

მითხრა, რაკი ასე მასია მოვწენ, მეტი გზა აღარაა, უნდა გაპატიო იმ დღის ავადმყოფობაო...

ლადო გუდიაშვილი

გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი

სამამულო პრესის ისტორიაში უდიდესი მგოსნის — აკაკი წერეთლისა და გალაკტიონ ტაბიძის სახელდებითი ჟურნალებია ცნობილი. ამ ჟურნალების თავისთავადობა, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ მათ უმთავრეს მიზანს რედაქტორ-გამომცემელთა შემოქმედების პოპულარიზაცია წარმოადგენდა.

მაგრამ ამ ჟურნალებს შორის თვალსაჩინო სხვაობაც არის. „აკაკის კრებულში“ დამაარსებლის ნაწარმოებები დომინირებდა. „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ კი — სხვათა თხზულებები, მაგრამ ისინი გალაკტიონის მსოფლმხედველობით-შემოქმედებით ხაზს განამტკიცებდნენ. „აკაკის კრებულს“ სხვა დანიშნულებაც ჰქონდა — ქართული ხალხური სიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის შესწავლა. გალაკტიონის ჟურნალს ასეთი ამოცანა არ დაუსახავს; იგი მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე ამახვილებდა ყურადღებას. გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის დამახასიათებელი თავისებურება იყო ლირიკულობა, ფაქტებისა და მოვლენებისადმი ლირიკული მიდგომა, სამყაროს აღქმისა და შეფასების ლირიკული პათოსი. ჟურნალის სპეციფიკის — სახელდებითობისა და ლირიკულობის ხაზგასმა იმითაა მოტივირებული, რომ წინასწარ მართებულად განისაზღვროს მისი შეფასების კრიტერიუმი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გალაკტიონმა ადრევე გამოამჟღავნა პრესისადმი ინტერესი — სემინარიაში ხელნაწერ „შუქს“ ხელმძღვანელობდა, 10-იანი წლების დასაწყისში ალმანახის დაარსებას აპირებდა, ერთხანს ჟურნალ „სატირიკონის“ გამოცემასაც ფიქრობდა და ა. შ., — მაშინ ვასაგები გახდება ახალგაზრდა პოეტის ლტოლვა ჟურნალ-გაზეთების დაარსებისაკენ.

გალაკტიონს საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული გაზეთის მნიშვნელობაზე: „რომ გავითვალისწინოთ გაზეთის მნიშვნელობა თანამედროვე კულტურულ ცხოვრებაში, აუცილებლად უნდა გავსინჯოთ იგი როგორც ეკონომიური მოვლენა, საზოგადოებრივ მოთხოვნის კი-



თხვათა დამაკმაყოფილებელი“¹. და შემდეგ: „ყოველი ცნობა გაზეთში აუცილებლად იმისთვის უნდა იბეჭდებოდეს, რომ საზოგადოების ყურადღება მიიქციოს. ცნობას, რომელიც მხოლოდ ერთი პიროვნებისათვის არის საინტერესო, გაზეთში ადგილი არ უნდა ჰქონდეს... ძირითადი მიზანი გაზეთისა არის საზოგადოებრივ მოვლენებზე წერა, იმგვარი კითხვების აღძვრა, რომლებიც მჭიდროთ არიან შეკავშირებულნი“¹.

გალაკტიონს პრაქტიკული ნაბიჯიც გადაუდგამს სალიტერატურო გაზეთის დაარსებისათვის. ამ მიზნით 1921 წელს მოხსენებითი ბარათიც წარუდგენია მწერალთა კავშირის საბჭოსათვის, რომელშიც წერდა: „რადგან ამჟამად ქართულ ენაზე არ მოიპოვება არც ერთი სალიტერატურო ჟურნალი ან გაზეთი, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო მოვალეა გამოსცეს გაზეთი სახელწოდებით: „უწყებები სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა“. ეს იქნება მწერალთა კავშირის ოფიციალური ორგანო.

გაზეთი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული.

მას ექნება მთელი რიგი განყოფილებების: პირველად წავა წერილები პრინციპიალური მნიშვნელობის, თანამედროვე ესთეტიკური საკითხების შესახებ. ყურადღება მიექცევა ქართული სიტყვაკაზმული მწირობის აღორძინების საქმეს, დასმული იქნება პრობლემები თანამედროვე პოეზიისა და პროზის და სხვ.

შემდეგ მოთავსდება ლექსები, მოთხრობები, ნოველები; პირველ ხანებში გაზეთი ვერ მოახერხებს დიდი პოემების, მოთხრობების და რომანების ბეჭდვას; ამისთვის მწერალთა კავშირი იზრუნებს შემდეგისთვის: იგი გამოსცემს დიდტანიან ყოველთვიურ სალიტერატურო ჟურნალს. ჭერჯერობით კი აუცილებელ საჭიროებად უნდა ჩაითვალოს ყოველკვირიული გაზეთის გამოცემა.

სასურველია გაზეთს ჰყავდეს თანამშრომლები უცხო მწერლებიც, კორესპონდენტები, რომლებიც მიაწვდიან გაზეთს წერილებს სპეციალურად უცხო ლიტერატურულ მიმდინარეობათა შესახებ. ესენი იქნებიან იმნაირივე თანამშრომლები, როგორც იყო, მაგალითად, რენე გილი, ფრანგი პოეტი — რუსული ჟურნალისათვის „Весты“.

გაზეთში მოთავსდება წერილები ჩვენი ლიტერატურის ისტორიიდან. გამოკვლევები, მოგონებები ძველი ქართველი მწერლების შესახებ. ბიოგრაფიები, კრიტიკული წერილები — ძველი და ახალი მწერლების შესახებ.

¹ გ. ტაბიძე, თხზ., ტ. 12, გვ. 58.
² იქვე, გვ. 59.



იქნება სპეციალური განყოფილება ქართული მეტრის, რიტმის, ვანების და ფორმისა, გამოკვლევები ქართული რითმების, მისი, მდიდარი რითმის, შემოკლებული რითმის, ასონანსების, ხმათამიბაძვის, ალიტერაციის, დისონანსების და სხვ. შესახებ. გზადაგზა შესწავლილი იქნება ძველი ქართული ანტოლოგიები. აგრეთვე უცხო ანტოლოგიებიც, რომელთაც ჰქონდათ გავლენა ქართულ პოეზიაზე.

არის საკითხი ლექსის ფორმის. აქ უნდა გაშუქებულ იქნას სხვადასხვა ფორმები, როგორც მაგალითად: ალექსანდრიული ლექსი, ტერცინები, სონეტი, რონდო, რიტორნელი, ბალადა, კანცონა, სექსტინა, გაზელა, განმეორებული რითმა, ლექსთწყობა სპარსული, სომხური, იპონური ტანკა და ხაე—კაე.

ჩვენ, ქართველ მწერლებს შეგნებული გვაქვს ფონი, რომელზედაც გათამამებული იქნება ჩვენი ახალი ხელოვნების დიდი მისტერია: ეს არის ჩვენი საუკუნე. ანიტომ გაზეთი ყურადღებას მიაქცევს თანამედროვე რევოლუციონურ ხელოვნებასაც, პროლეტარულ პოეზიას და სხვა.

გვექნება ბიბლიოგრაფიული განყოფილება, ქართული ახალი წიგნების შესახებ.

იქნება ქრონიკა ლიტერატურისა, სალიტერატურო საღამოებისა და სხვ.

ს. ს. მწერალთა კავშირის ოფიციალურ განყოფილებაში მოთავსდება საბჭოს დადგენილებები და განცხადებები.

თავისთავად ცხადია, დიდი ყურადღება მიექცა გაზეთის ლამაზად გაფორმების საქმეს.

გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით. იქნება მოზრდილი ფორმატის: დაახლოებით 60 სანტიმეტრიან ქალაღზე, 1 გვერდი დაიტევს 8 სვეტ მასალას, დაახლოებით 7000 სტრიქონს ჩვეულებრივი შრიფტით.

დაიბეჭდება 2000 ცალი, — ეღირება № 5000 მანეთი.

სახელწოდებას გაზეთისას ქართული სტილის მიხედვით შეასრულებს მხატვარი ო. შარლემანი“.

მოსხენებითი ბარათი დაწერილია 1921 წლის 15 ოქტომბერს. გადათეთრებულია 30 ოქტომბერს.

ჩვენთვის უცნობია თუ რა ბედი ეწია ამ წერილს. წარადგინა კი იგი პოეტმა სადაც ჯერ არს? ფაქტია, რომ „უწყებები“ არ გამოსულა. ამის მთავარი მიზეზი, საფიქრებელია, ის იყოს, რომ გალაკტიონმა მალე შეიცვალა აზრი, გაზეთის ნაცვლად ჟურნალის დაარსება გადაწყვიტა. მიაღწია კიდევ მიზანს. 1922 წლის დამდეგს გამოვიდა ჟურნალი „ლომისი“.



მართალია გალაკტიონის მიერ მწერალთა კავშირისათვის შეთავაზებული გაზეთი „უწყებები...“ არ გამოცემულა, მაგრამ საინტერესოა თვით მოხსენებითი ბარათის შინაარსი, რაც კარგად ამჟღავნებს გალაკტიონის არა მხოლოდ საგამომცემლო, არამედ ლიტერატურულ მიდრეკილებებსაც. გალაკტიონი „უწყებებს“, უპირველეს ყოვლისა, მწერალთა კავშირის განმტკიცების, მისი წევრების ლიტერატურულ-ორგანიზაციული შემჭიდროების ფუნქციას აკისრებს. მას განსაზღვრული აქვს სამამულო მწერლობის ევროპული ხაზით გამართვა.

მოხსენებაში აქცენტირებულია პოეტიკის საკითხები, რაც ლირიკოსის ბუნებრივი მისწრაფებების გამჟღავნებად აღიქმება.

სხვათა შორის, ამ მოხსენების შავ ეგზემპლარზე პოეტს ასეთი სტრიქონები მიუწერია:

„რომ დავიწყება შემეძლოს რითმე,
რომ გადაკარგვა შემეძლოს სადმე,
რომ მაპოვნინა ისეთი რითმა,
უსაგნო ძეგნი ვინმედ და რამედ...“


სხვათა შორის, ეს სტროფი გარკვეული ტრანსფორმაციით „საახალწლო ეფემერაში“ შევიდა.

ლექსი დაუმთავრებელ-გაურანდავია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: გალაკტიონი ამჯერადაც რითმაზე და, საერთოდ, მხატვრული ოსტატობის საკითხებზე ფიქრით არის გატაცებული.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისიც, რომ გალაკტიონი საგანგებოდ არ ამახვილებს ყურადღებას ახალი წყობილების შესაბამისი ლიტერატურის პრიმატიზაციაზე. იგი მხოლოდ ხარკს იხდის მთავრობის წინაშე და თანაც ოსტატურად: „...გაზეთი ყურადღებას მიაქცევს თანამედროვე რევოლუციონურ ხელოვნებასაც, პროლეტარულ პოეზიას და სხვ.“ ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვა მრავლისმთქმელია. ნაწილაკი „ც“ ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვნების ატრიბუტად აღიქმება. ხსენებული ფაქტი ერთხელ კიდევ გვკარნახობს, ღრმად და საფუძვლიანად დავფიქრდეთ გალაკტიონის მსოფლგანცდასა და ესთეტიკაზე.

მოხსენებით ბარათში გალაკტიონის ფართო ინტერესები ირეკლება. მგოსანი აუცილებლად თვლის სქელტანიანი ჟურნალის უახლოეს ხანში დაარსებასაც. როგორც ჩანს, სწორედ ამ მისწრაფებამ მიიყვანა იგი „მნათობის“ სათავესთან.

ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს, რომ გალაკტიონი ჟურნალისტისადმი თვალსაჩინო მიდრეკილებას ამჟღავნებს, მაგრამ ეს სრული-



დაც არ ნიშნავს, რომ თანაბარი სიძლიერითა და ინტენსიურობით შეეძლო
 ემუშავა პოეზიასა და პუბლიცისტიკაში; რომ ერთნაირად ხელეწიფე-
 ბოდა ორივე სფეროს მწვერვალების დაპყრობა.

20-იანი წლების დასაწყისში სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებს ნაკ-
 ლებობა არ იძლეოდა საშუალებას მწერალთა ნაღვაწის პოპულარიზაცი-
 ისა. ამიტომ 1922 წელს გალაკტიონი სერიოზულად იწყებს ბრძოლას სა-
 კუთარი პერიოდული გამოცემის დასაარსებლად. ეს გულისხმობდა არა



მხოლოდ სათანადო ნებართვის მიღებას, არამედ თანამშრომელთა შეკრებას, მოკრებას, ფინანსების გამონახვას, პოლიგრაფიული ბაზის შეკრებას და სხვა.

როგორც ირკვევა, გალაკტიონი ამ შემთხვევაშიც მარტოდმარტო მიაჩნდებოდა ტალღებს. მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ მის გვერდით ვერცერთ დიდ მწერალს ვერ ვხვდებით (ეს არცაა გასაკვირი). სამაგიეროდ პოეტს უანგარო სამსახურს სთავაზობენ თაყვანისმცემლები, მას მხარში უდგას მიხეილ ბოჭორიშვილი, რომელსაც მდივნის მოვალეობა დაეკისრა. ი. ჭარელიშვილი ეკონომიკურ-ფინანსურ სექტორს ხელმძღვანელობდა და ა. შ. ჟურნალის გამოცემაზე სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ გალაკტიონი გატაცებით, საოცარი ენთუზიაზმით მოეკიდა საქმეს და 1922 წლის მიწურულს მკითხველებმა მიიღეს კიდევ ჟურნალის პირველი ნომერი. ამის შესახებ გაზეთ „ტრიბუნის“ 3 დეკემბრის ნომერში ვკითხულობთ: „გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, № 1. ჟურნალში მოთავსებულია მასალები როგორც თვით პოეტის, აგრეთვე სხვა ცნობილი მწერლებისა და პოეტების. ჟურნალი გამოდის ყოველკვირეულად. № ღირს 30 ათასი მანეთი“.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, კონკრეტულად რა მიზანს ისახავდა ჟურნალის რედაქცია, გავანალიზოთ მოწინავე სტატიები და სხვა მსგავსი მასალები.

საპროგრამო წერილში, რომლითაც იხსნება ჟურნალის პირველი ნომერი, და რომელიც ჟურნალის სარჩევში შეტანილია „ლიტერატურული მანიფესტის“ სახელწოდებით, ორიგინალურადაა ჩამოყალიბებული რედაქციის მრწამსი. იგი გვერდს უვლის სტერეოტიპს, როცა საპროგრამო წერილში მკაცრი „აკადემიზმით“ მთლიანად ცნებებზე დაყრდნობითა და უზუსტესი ლოგიკური თანმიმდევრობით (ხშირად მუხლობრივადაც) რედაქციის მრწამსი და მისწრაფებანია გამჟღავნებული.

მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახოვან სტილისტიკას, ქვეტექსტს, „პოეტურ ხარვეზებს“. იგი ამ შემთხვევაშიაც საკუთარი თავის ერთგული რჩება — გამოუსწორობელი ლირიკოსი.

„ლიტერატურულ მანიფესტში“ უპირატესად საუბარია მ ა რ ა დ ი უ ლ გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა ზ ე, ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს მ დ გ რ ა დ ო ბ ი ს და

³ საპროგრამო წერილი უსათაუროდ დაიბეჭდა. პოეტის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში კი იგი შევიდა როგორც „წინათქმა“. ჩანს, მხედველობიდან გამორჩათ, რომ ჟურნალის სარჩევში გალაკტიონი მას „ლიტერატურულ მანიფესტად“ იხსენიებს. ეს სათაური გაცილებით მეტყველი და მრავლის დამტევია. რაც მთავარია, ავტორის ნი:რ'. გამომხატველია.



თანამედროვეობისათვის ფეხის აწყობაზე. ^{საქართველო} საქართველოში კითხი ღრმად, ურთიერთგანპირობებულობაში არის გააზრებული.

გალაქტიონი მიუთითებს, რომ განახლება უნივერსალური კანონია. მაშასადამე, ყველასი და ყველაფრის დამმქვემდებარებელი. განახლებაში უწინარეს ყოვლისა, ბრძოლის, უარყოფის უარყოფას გულისხმობს. ამდენად, იგი საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის საფუძველია. მაგრამ ყოველგვარი ბრძოლა როდი აპირობებს განვითარებას. განვითარება გაიაზრება როგორც მარტივიდან რთულისაკენ სწრაფვა და არსებულის დადებითი მხარის შეთვისება. გალაქტიონიც ამ ტენდენციით მიმდინარე შეჯახებას უჭერს მხარს.

ეს ფილოსოფიური ჭვრეტა ნათელს ჰფენს პოეტის შემოქმედების ზოგიერთ მხარეს, თუნდაც რევოლუციის მიღება-არმიღების საკითხს. რევოლუციის მიზანს გალაქტიონი ხედავს დრომოქმულის დასამარებასა და სიახლის დამკვიდრებაში. მაგრამ როგორი სიახლისა? თავი და თავი სწორედ ამის გარკვევაა. პოეტი იმგვარ სიახლეს ელტვის, რომელსაც სიკეთე მოაქვს: „შფოთითა და გრგვინით მიანგრევენ კლდე-ღრეებს რევოლუციის ნიაღვრები: ისინი მარხავენ ძველ ფორმებს, ისინი მღერიან ჰიმნს მარადი სიახლისას“⁴.

ეს არის რევოლუციის არსის მართებული გაგება. იყო თუ არა ასეთი ოქტომბრის რევოლუცია? ეს საგანგებო კვლევის საგანია და გალაქტიონის დამოკიდებულებაც მისდამი, უწინარეს ყოვლისა, ზოგადისა და კონკრეტულის მიმართების ფონზე უნდა გაირკვეს. ესე იგი, რამდენად შეესატყვისება ოქტომბრის რევოლუციის შედეგები რევოლუციის გალაქტიონისეული გაგებიდან მომდინარე სურვილებს.

შეიძლება 20-იანი წლების დასაწყისში პოეტს სრულად გაცნობიერებულ-გაანალიზებული არც კი ჰქონოდა ბოლშევიკების გამარჯვება. იგი მხარს უჭერს რევოლუციას როგორც ასეთს, მის იდეალურ გამოვლინებას.

არ უნდა ვცდებოდეთ, თუ ვიტყვით, რომ გალაქტიონი სამყაროს ჰარმონიის შემცნობია და კონკრეტულ შემთხვევაში ნორმალური მსვლელობის დარღვევა, თუნდაც ეს რევოლუცია იყოს, სამყაროს საერთო ჰარმონიულობის უარყოფად არ აღიქმება. ეს არის მარადიული მოძრაობის გამძაფრებული სახე, რომელმაც საბოლოოდ ჰარმონიის უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აგვიყვანოს.

ამგვარი ჭვრეტიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივი იყო პოეტის განცხადება:

⁴ გ. ტაბიძე, თხზ., ტ. 12, გვ. 18.

„განა არ არის საშინელი საცოდაობა,
ისეთ ქვეყანას—როგორც ჩვენი საქართველოა—
რეჟილუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?“

ყოველივე ამის გათვალისწინება აუცილებელია, რათა გასაგები გახდეს გალაკტიონის მოწოდება ხელოვნების მუშაკებისადმი— მხარი აუზან ეპოქას: „თქვენ პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვეობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნდა ანათებდეს მისი შესაფერისი ხელოვნება, რომ პოეზია სამუდამო გამოცანაა, რომ ჩვენ დროში პოეზია, რომელიც არ მიდის უფსკრულის პირად, ისევე ნაკლები ყურადღების ღირსია, როგორც ყოველივე, რაც კი ამ უფსკრულში იჩეხება. უდიდებულეს რითმებში ეხლა უნდა ისმოდეს პლანეტათა შეჯახება. ომი ვარსკვლავთა რაზმისა, გააფთრებული მზეების მიერ უეცრად ანთებული ცეცხლის ღრუბელი, ქართული ხმა უნდა ისმოდეს ამ ფანტასტიკურ დროს“⁵.

მოტანილი ციტატი საყურადღებოა იმიტაც, რომ გალაკტიონს გაუმართლებლად მიაჩნია სამამულო სიტყვაკაზმული მწერლობის ვიწრო სანაწილეში მოქცევა. იგი ქართველი პოეტისაგან მსოფლიო სატკივარზე დაფიქრებას, ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გარკვევას, მილიონების ოცნებისა და მისწრაფებების გამოხატვას მოითხოვს. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა გალაკტიონის თვალთახედვის სიფართოვისა და მასთან მისადაგებით შემოქმედების ფართო სპექტრისა.

გალაკტიონს ახლისა და ძველის ბრძოლა ყოფნა-არყოფნის დილემამდე აპყავს. აქედან მოდის პრინციპული კატეგორიულობაც. იგი ემიჯნება ბრძოლის უინით შეპყრობილ იმ პირებს, რომლებიც ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადადიან და რომელთათვისაც ბრძოლა ყოველივე ძველის ძირფესვიან მოსპობას გულისხმობს. გალაკტიონი მეწინავე პოზიციას იკავებს. მან იცის, რომ ძველის კვდომა არ ნიშნავს მის აბსოლუტურ, მთლიან მოხსნას. მართალია, ერთი ნაწილი პირწმინდად ნადგურდება, მაგრამ რჩება მეორე ნაწილი, რომელიც განვითარებადი ტენდენციის შემცველია და, ამდენად, ახალში ლოგიკურად უნდა შემოდიოდეს.

ეს არის მემკვიდრეობის პრობლემის მართებული გააზრება, აქედან

⁵ გ. ტაბიძე, თხზ., ტ. 12, გვ. 19.

მომდინარეობს წარსულისადმი გალაკტიონის ბრძნული დასკვნებზე.⁶

გალაკტიონი მტკივნეულ საკითხებს ხელოვნებასთან მიმართებაში განიხილავს და დასკვნებიც შესაბამისად გადმოიციემა.

მსჯელობებს შეჯახებების თაობაზე ლოგიკურად ეხმაურება შედეგი: „ამ საბედისწერო მკვლელობას გადარჩება მხოლოდ ის, რაც ძლიერია არა მარტო დღეს, არამედ საუკუნეებში“⁶.

მართლაც, ნაღდი ხელოვნება არ შეიძლება ეფემერული იყოს. ჭეშმარიტმა ტილომ საუკუნეებს უნდა გაუძლოს. აქ თავს იჩენს გალაკტიონისათვის ნიშანდობლივი ფილოსოფიური პოზიცია — აწმყოსა და მარადისობის შერწყმის ტენდენცია. გალაკტიონისათვის აწმყო, უწინარეს ყოვლისა, არსებობს როგორც მარადისობის ნატეხი.

პოეტმა კარგად იცის, რომ ხელოვნების ნიმუში დალდასმულია დროისა და გარემოს სპეციფიკით. „ეპოქას ვერ გაექცევა ვერც გენიოსი და ვერც მჭლახნელი“ (შელი). მთავარი ისაა, ვინ შესძლებს აწმყოს გაუქვდავებას, წუთის გადაყვანას მარადისობაში. ეს კი მოითხოვს ფოთოლში მზის სხივის აღმოჩენას.

ამიტომაც ქადაგებს გალაკტიონი თავდაუზოგველობას, უფსკრულის პირას მისვლას. უფსკრულის პირას მისვლა გულისხმობს როგორც სამყაროს სიღრმეების მოხილვას, ასევე განცდის სიმძაფრეს. „შეხედეთ თანამედროვე ადამიანს: მისმა უკანასკნელ საზღვართა ძებნამ გადააჭარბა ყოველგვარ ფანტასმაგორიას, მისმა სურვილმა, რომ გამოზომილ იქნას სივრცეთა უფსკრულები უშორეს მხეების და ცისატყელების სპექტრის საფუძველზე, მიიყვანა იგი გამოგონებათა უგონო ორგაიმდე“⁷.

კონსტატირებული დებულება სხვა მხრივაც გვაფიქრებს. ხომ არ ირეკლება აქ გალაკტიონის თვალსაზრისი სამყაროს უსაზღვროებისა და მისი შეცნობის თაობაზე? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გალაკტიონის აზრით, სამყარო შეცნობადია, მაგრამ ეს შეცნობა წერტილდასმული როდია. რამდენადაც მატერიისათვის დამახასიათებელია უწყვეტი თვითგანვითარება, რამდენადაც იგი ამოუწურავია, ამდენად კონკრეტულ ეტაპზე მისი აბსოლუტური, ყოველმხრივ შეცნობა შეუძლებელია. ჩვენი ცოდნა რელატიურია, თუმცა პოტენციალურად შეუზღუდველი. ადამიანი კი სწორედ მისი აბსოლუტური შეცნობისაკენ მიისწრაფვის. მიზნის მიუღწევლობა ბადებს არა მხოლოდ ვენებათა გამძაფრებას, არამედ დრამატულ განწყობასაც.

⁶ გ. ტაბიძე, თბ., ტ. 12. გვ. 18.

⁷ იქვე.

ამგვარმა წაკითხვამ შეიძლება „ლურჯა ცხენებამდისაც!“ მიგვიყვანოს.
ეროვნული
განმათავისუფლებელი
მუშაობისათვის

ისე კი, გალაკტიონის პოეზიაში მკაფიოდ ირეკლება აზრი სამყაროს უსასრულობის შესახებ.

ხსენებული წესიდან გამომდინარე, გალაკტიონი აკანონებს სამყაროს მრავალმხრივი შეცნობისაგან ლტოლვას, რადგანაც მიაჩნია, რომ ამგვარი სწრაფვა საფუძველია პროგრესისა, მარადიული მქნადობისა. მაგრამ ყოველივე ეს არ უნდა გადაიზარდოს ფანტასმაგორიაში.

„ლიტერატურულ მანიფესტში“ ლაპიდარულად და ძალზე ორიგინალურად არის დახასიათებული მთელი ქართული ხელოვნება. „...საქართველოს ყოველ კუთხეში იპოვით თქვენ ნანგრევებს წარსულისას, მაგრამ სიმშვიდესა და მოსვენებას ვერსად ვერ იპოვით! აირჩიეთ ორში ერთი: განახლება ან სიკვდილი და ამიერიდან ქართული ხელოვნების დევიზია: განახლება ან სიკვდილი!“⁸.

ე. ი. ქართული ხელოვნებისათვის ნიშანდობლივია მარადიული სწრაფვა სიცოცხლისაკენ, ამაღლებისაკენ და ეს ტრადიცია უნდა გაგრძელდეს: „მე გეძახით თქვენ, გამირებო, შემოქმედებითი ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა: განახლება ან სიკვდილი! ძირს ყოველგვარი რუტინა, ძირს დრომოჭმული და შემოქმედების უნარს მოკლებული ელემენტები, გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას. მომავალი საქართველოს წინაშე ჩვენ წარვდგებით ამაყნი იმით, რომ ამ პლანეტების კვილში, და ქვეყანათა მსხვერვის გრილში ჩვენი ძახილია: სიკვდილი ან განახლება!“⁹.

როგორც ვხედავთ, გალაკტიონმა გადმოისროლა მარადი განახლებისა და ჭეშმარიტი ხელოვნების უკვდავების ლოზუნგი. მოწოდებისათვის ნიშანდობლივია შინაგანი სინაღდე და სიმძაფრე.

გალაკტიონის წერილის არა მხოლოდ ლაიტმოტივი, არამედ დედააზრის გამოხატვის ფორმაც ზედმიწევნით თანამედროვე, ახალი დროის შესატყვისია. სიტყვათა შერჩევა, ფრაზათა განლაგება, ინტონაცია და საერთოდ, მთელი წყობა, არქიტექტონიკა, ფორმა — შინაარსის ადექვატურობის დადასტურებაა.

როგორც ითქვა, საპროგრამო წერილს გალაკტიონმა „ლიტერატურული მანიფესტი“ უწოდა. ამდენად, ეს თხზულება მთელი მისი შემოქმედების გასაღებად უნდა მივიჩნიოთ.

ლოგიკურია, რომ ყურნალის მანიფესტის დებულებები სხვადასხვა

⁸ „გალაკტიონ ტაბიძის ყურნალი“, 1922, № 1. გვ. 1.

⁹ იქვე.



კუთხითა და ასპექტით იყოს განფენილი. სინამდვილეში ასეც არ მოხდა. დომაში არ უნდა შეგვიყვანოს იმ ფაქტმა, რომ უმეტეს შემთხვევებში მკათაური წერილის ადგილი მხატვრულ ნაწარმოებს უკავია. საქმე ის არის, რომ ამ ლექსებს „ეფემერას“, „ისევ ეფემერას“ და სხვებს პოეტმა თავისი ლიტერატურული კრედოს გამჟღავნებაც დააკისრა. ამდენად, ისინი მოწინავე სტატიის ფუნქციას ასრულებენ.

ვიდრე მათზე შევჩერდებოდეთ, გავარკვიოთ მეორე და მერვე ნომრის მეთაური სტატიების ხასიათი.

მეორე ნომრის მოწინავე იაკობ ნიკოლაძის იუბილესთან დაკავშირებით დაიწერა, ამდენად, მასში ქართველი მოქანდაკის ნაწარმოებთა ახალიზი უნდა იყოს მოცემული, დიდი ხელოვანის ღვაწლის კვალიფიკაცია. გალაკტიონი სხვაგვარად იქცევა. იგი გვერდს უვლის ვატკეპნილ გზას. იაკობ ნიკოლაძე დახასიათებულა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზოგადად, იმდენად, რამდენადაც იგი სკულპტორთა დიდი კორპორაციის წარმომადგენელია. არსებითად წერილში საუბარია ახალი ხელოვნებისა, და არა მხოლოდ სახვითი ხელოვნების, ამოცანაზე.

„ჩვენს ქვეყანაში დღეს იბადება იდეა მიქელანჯელოსი, უდიდესი იდეა მითიური, გიგანტური ლანდშაფტის შექმნისა, ზღვისპირად, ბუნებრივი კლდეებისაგან, რომ მეზღვაურებმა შორიდან დაინახონ იგი. ტიტანური მთების ლანდშაფტი, ზღვის პირად! აი დევიზი დღევანდელი დღის. თანამედროვეობაც იმ ზღვას ჰგავს, იმ მბრუნავ მალსტრომს, რომელზედაც დაუვიწყარ ლეგენდებს ქმნიდენ: ედგარ პო, არტურ რემპო, ბოდლერი. რამდენი მთვრალი ზომალდი დაიღუპება ამ უსივრცო ოკეანეში და რანაირი ნუგეში იქნებოდა მათთვის შორიდან მაინც მოეკრათ თვალი უდიდესი ქანდაკებებისათვის“¹⁰.

ამ თავიდათავია ქვეტექსტი. მის გაუთვალისწინებლად გაძნელება დიდი პოეტის ჩანაფიქრის ამოცნობა. გალაკტიონის აზრით, ადამიანი, კაცობრიობა ჭეშმარიტ ორიენტირს საჭიროებს. თუ შეუქურა არ არსებობს, ყველა განწირულია. ხელოვნებამ უნდა შექმნას ასეთი ნიშანსვეტები. ეს იქნება იმედისა და წინსვლის, სიკეთისა და სიმალლის ნიშანსვეტები. მათკენ პირდაპირი ლტოლვა ნიშნავს არა მხოლოდ ბედნიერებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზის არჩევას, არამედ კათარზისსა და სულიერ გაფაქიზებას.

გალაკტიონი შეშფოთებულია იმის გამო, რომ საზოგადოებაში მერკანტილური ურთიერთობა ბატონობს. „...ადამიანებს შორის აღარ არის

¹⁰ „გალაკტიონ ტაბიძის კურნალი“, 1922, № 2, გვ. 1.



არავითარი კავშირი უსულო და უგულო ანგარების გარდა“. არადა, კაცი სიკეთისათვის არის დაბადებული. დასკვნაც ცხადია: საზოგადოებას დაცემა სოციალურმა პირობებმა განსაზღვრეს.

მოწინავე წერილიდან საგანგებოდ გამოვყოფთ შემდეგ ფრაზას: „ეგოისტურმა ანგარებამ სრულიად წააღწია ლტოლვა არაქვეყნიური ოცნებისადმი. გაჰქრა ზმანებები ნოვალისისა“. რას ნიშნავს „ლტოლვა არაქვეყნიური ოცნებისადმი?“ ხსენებულ დებულებაში ამა ქვეყნიდან გაქცევა როდი იგულისხმება. პირიქით, ავტორი მოგვიწოდებს ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ და ეს უნდა მოხდეს ამალღებული ოცნებით, მიწიერი ცდუნებებისა და ცოდვების დაძლევით.

წერილში ისიც მკაფიოდ არის გამოთქმული, რომ არ კმარა იდეალის დასახვა, აუცილებელია ბრძოლა. „ყველას და ყველაფერს წაართვა ფერი ჩვენმა დამანგრეველმა დრომ. ყველას გამხნელება სჭირდება; მათთვის ჩვენ უნდა განვახორციელოთ მიქელანჯელოს იდეა, უდიდესი იდეა გიგანტური მთის ლანდშაფტისა, რომ იღუმალებისა და სასწაულის მოლოდინში მყოფმა მენავეებმა და მეზღვაურებმა შორიდან დაინახონ იგი!“.

ამ სტატიის ღრმა ჩანაფიქრსა და პათოსს თუ შესაბამისად გავაცნობიერებთ, ცხადი გახდება, რომ იგი ლოგიკური გაგრძელებაა პირველი ნომრის მოწინავესი. იქ განახლების მოთხოვნაა, აქ — განახლებისათვის გამხნეებისა.

რაც მთავარია, გალაკტიონი დიდი და ჭეშმარიტი ხელოვნების მეზობრახტრედ გამოდის.

ეს სტატიები ძნელად თუ მოთავსდება ტრადიციული მეათური წერილების ჩარჩოში. ისინი გამოირჩევიან ესთეტიური ხიზლით, ლირიკული ტონალობითა და დებულებათა სახოვანი გამოხატვით. ავტორი არა მხოლოდ განმარტავს, არამედ განგვაცდევინებს კიდევ. მისთვის უცხო არ არის იმპრესიონისტული მანერა.

ბოლო, მერვე ნომერში დაიბეჭდა წერილი „შალვა დადიანი“. რომელსაც ხელს აწერს საიუბილეო კომიტეტი. ამ წერილის პირველ გვერდზე მოთავსება განპირობებულია როგორც შ. დადიანის ღვაწლით, ასევე გალაკტიონის კონცეფციით.

რედაქტორ-გამომცემელი თვლის, რომ ნომერი უნდა იხსნებოდეს ისეთი თხზულებით, რომელშიაც აღძრულია უმნიშვნელოვანესი საკითხები.

¹¹ „გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი“, 1922, № 2, გვ. 1.



შალვა დადიანი მეოცე საუკუნის ქართული ხელოვნების წარმომადგენელია, მრავალმხრივი და დაუცხრომელი მოღვაწე: არტიტი, რეჟისორი, დრამატურგი, ბელეტრისტი, მსახიობთა ეროვნული კავშირის პირველი თავმჯდომარე და ა. შ. ამდენად მისი წარმოჩენით ქართული ხელოვნების ძირითადი საკითხებიც აქცენტირდება.

წერილში, მართლაც, ლაკონიურადაა მოცემული შ. დადიანის დამსახურება და გამჟღავნებულია მისდამი უგულწრფელესი პატივისცემა. „შალვა დადიანის სახელი საყვარელია ყოველი ქართველისათვის, ვინაიდან მან, მიუხედავად მძიმე პირობებისა, ღირსეულად მოიტანა ბოლომდე დროშა საზოგადო მოღვაწეობის. არ დარჩენილა დარგი ქართული ყოფისა, სადაც არ აემალღებინოს მას თავისი ხმა. არ ყოფილა საკითხი გადმოსული საქართველოს წილიდან, რომლის განათებაში არ ჩარეოდა მისი კეთილშობილი და გამჭრიახი გონება. მრავალმხრივია მოღვაწეობა მისი—გაწოლილი მეოთხედი საუკუნის სიგრძეზე“.

გალაკტიონი იზიარებს საიუბილეო კომიტეტის თვალსაზრისს და მოწადინებულია შალვა დადიანისადმი სიყვარულითა და პატივისცემით აანთოს ათასობით მკითხველი.

დასასრულს ისიც უნდა ითქვას, რომ გაანალიზებულ სტატიებში არა მოღვაწეთა ვიწრო ჯგუფის, არამედ სრულიად საქართველოს ხელოვნათა ინტერესები მჟღავნდება. ეს მიგვანიშნებს, რომ ჟურნალი ჩაფიქრებულია როგორც მასშტაბური, ეროვნული ხაზის გამტარებელი გამოცემა.

„ეფემერა“, რომლითაც იხსნება მესამე ნომერი, მრავალმხრივ საყურადღებო ლექსია. მაგრამ ამჯერად ჩვენ იგი გვინტერესებს როგორც „ლიტერატურული მანიფესტის“ თავისებური გაგრძელება. „ეფემერა“ არ არის გალაკტიონის „Art poetiyco“, მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ მასში გამჟღავნებულია (თანაც ძალზე ორიგინალურად) მგოსნის შეხედულებები შემოქმედებისა და ხელოვნების საკითხებზე.

ჟაეიბსენოთ სტრიქონები:

„წვეთი სისხლიც არ არის ჩემში არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის“.

ეს მხოლოდ ინდივიდის დახასიათება როდია. ლირიკოსის ხედვის სფერო გაშლილია და ფაქტობრივად პოეტის დანიშნულების ხატოვნად გაცნობიერება ხდება. გალაკტიონს მიაჩნია, რომ მწერალს ღრმად უნდა ჰქონდეს გადგმული ფესვები მშობლიურ ნიადაგში. ეს გულისხმობს



არა მხოლოდ ხალხთან კავშირს, მისი სულსკვეთებისა და ინტერესების გათავისებას, არამედ შემოქმედებითი გენის გამახვილებას ფსიქო-სულიერ ტურული ტრადიციების შესაბამისად, რაც მოიცავს ხედვისა და განსჯის ნაციონალურ საფუძვლებსაც.

თომას მანი მიუთითებდა: არც ერთი ჩემი წიგნი არ შეიძლება დაეწერა სხვა ეროვნების მწერალს, არაგერმანელსო...

მაშასადამე, ორი დიდი მხატვარი და მოაზროვნე ერთნაირ დასკვნებამდე მიდის, რაც ჭეშმარიტების სიღრმისეული წვდომის დადასტურებაა.

როგორ გავიგოთ ფრაზა — „ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის“. თუ ვიტყვით, რომ აქ ხელოვნებისათვის თვითშეწირვა იგულისხმება, ეს საკმარისი არ აღმოჩნდება. თვითშეწირვა მართალია, უმაღლესი აქტია, მაგრამ ყოველთვის როდი მოდის ბუნებრივი მონაცემებ-საწყისებიდან.

გალაკტიონის აზრით, მხატვარი დაბადებიდან უნდა იყოს ასეთი. არსთა გამრიგისაგან უნდა ჰქონდეს მომადლებული სინამდვილის პოეტური განცდის ნიჭი. უფრო მეტიც, ლექსის წერა შინაგან მოთხოვნილებად უნდა ჰქონდეს გადაქცეული.

მახსენდება ლ. ტოლსტოის გამონათქვამი: თუ თქვენ ჩაიფიქრეთ წიგნე, მაგრამ შეგიძლიათ არ დაწეროთ იგი, ნუ დაწერთ.

გალაკტიონიც იმავე თვალსაზრისს იცავს. მისი გაგებით, ჭეშმარიტი შემოქმედისათვის თხზვა გარდაუვალობაა. დიახ, ლიტერატორი მოწოდებით უნდა იყოს ასეთი. შემოქმედება უნდა იქცეს მისი ცხოვრების ალფად და ომეგად. ამავე მოსაზრებას მეორეჯერაც გახაზავს საანალიზო ლექსში, როცა წერს: „ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები“.

„ისევ ეფემერაში“ გალაკტიონმა გააღრმავა ეს ხაზი. მან ჭეშმარიტი პოეტი გენიოსად სცნო, რომელიც ხედავს იმას, რაც სხვებისთვის დაფარულია. „ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს“. ეს მავანისა და მავანისათვის, ხოლო პოეტისათვის აშკარაა, რომ „მაინც მწვერვალებს ედება ქარი“. მგოსანი რჩეულია.

„ის მაღალია, დიდი მაინც!
მისთვის მოისმის ზარების ზარი“.

გალაკტიონის აზრით, შემოქმედება მარადიული ქროლვაა, ხელთუქმნელი ძეგლის შექმნისაკენ დაუცხრომელი ლტოლვაა და ამ სწრაფვაში მხოლოდ იშვიათი და გამორჩეული როდი ჩანს, არამედ მთელი ცხოვრება თავისი ჯურღმულებით და ვარსკვლავებით. როგორც პოეტი აცხა-



დებს, ხელოვნების საზღვარი უკიდევანოა — ფანტასტიკური მკვლევარ-
ლობებით დაწყებული და მკათათვის ოცნებით დამთავრებული.

ეს არის ხელოვნების მასშტაბურობის მართებული გაგება. გალაკ-
ტიონი წერს:

„სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული,
სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“.

აქ შემოქმედების მარადიული წინსვლის მოთხოვნაა. ხელოვნებაში
არ არსებობს მიღწეულით დაკმაყოფილება.

ჟურნალის მეხუთე ნომერში გალაკტიონი კვლავ შეეხო ამ საკითხს.
და ყველაფრის ხედვის დაუოკებელი სურვილი გამოხატა:

„ვერ ვისწავლე ერთი წამით მაინც დაცხრომა!
მინდა, გადმიშვას ნისლმოხვეულმა
მთებმა, რომ დაეინახო ქვეყნის
ყველა პოლუსები;
მე მოვიტხოვ სიტყვას,
მე გადავხედავ ქვეყნებს
და ხმამაღლა ვამბობ:
უარგყოფ!
მიყვარხარ!
ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალს
ათას ცხრაას ოცდასამ წელს
და ვამბობ:
ვაუმარჯოს მომავალს!“

აქ თითქოს კვინტენსირებულია ზემოთ გამოთქმული აზრები. პოეზია
ეს არის გახელება და უდიდესი ვნებების გამჟღავნება, სიყვარულისა
და სიძულვილის აპოთეოზი. ეს არის სამყაროს უნივერსალური ხილვა
და გააზრება, მომავლისათვის თვალის იმედიანად გასწორება, მაგრამ,
უპირველეს ყოვლისა, ეროვნული პოზიციებიდან.

„ეფემერა“ მნიშვნელოვანია პოეტური თვითდახასიათების თვალსაზ-
რისითაც. ლექსის ამგვარი ქლერადობა მით უფრო გასაგები გახდება,
თუ გავითვალისწინებთ, რომ ჟურნალის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშ-
ნულება რედაქტორ-გამომცემლის შემოქმედების პოპულარიზაცია იყო.

გალაკტიონმა პირველსავე სტრიქონებში გაუსვა ხაზი თავის სიდია-
დეს:

„ოყენენ საუკუნენი, მაგრამ მე ვეხსენები
გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით“.

და შემდეგ:

„წუხვარ — ერთად-ერთი ვარ და ზეცაზე სწვრია
ჩემი გზა და ახალი ლალის კართავენები“.

მოტანილი სტრიქონები საკამათოს არაფერს ტოვებს. აზრი ნათე-
ლია. რამდენადმე სხვაგვარად გვეჩვენება (განცხადების თვალსაზრი-
სით) ქვემოთ მოყვანილი ტაეპები:

„სადაც ახლა ჭვარია და გვიანი მტევნები,
იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება“.

აქ შენიღბული ხომ არ არის იგივე მოსაზრება? ხომ არ გვამცნობს
გალაკტიონი, რომ მისი ძეგლი უძველესი ტაძრების გვერდით აღიმარ-
თება?

მთავარი მაინც ისაა, რომ პოეტმა იცის თავისთავის ფასი, რომ იგი
საუკუნეების ბინადარია.

მსგავს განცხადებებს კარგად იცნობს მსოფლიო ლიტერატურის ის-
ტორია. გავიხსენოთ თუნდაც ა. პუშკინის სიტყვები:

„Я памятник себе воздвиг нерукотворный,
К нему не зарастет народная тропа,
Вознесся выше он главою непокорной
Александрійского столпа“

ახლა მოვესმინოთ მარინა ცვეტაევა:

„Разбросанным в пыли по магазинам
(Где их никто не брал и не берет!)
Мои стихи, как драгоценным винам,
Настанет свой черед“.

ასეთი სიამაყე არსებითად საკუთარი შესაძლებლობის ობიექტური
გააზრებიდან მოდის და არცთუ იშვიათად უკვე ჩატარებული სამუშაოს
ხვედრითი წონით არის პირობადებული. ამდენად, ისინი ამბიციად არ
აღიქმება.

რაც მთავარია, გალაკტიონი მიგვანიშნებს კიდევ თავმოწონების სა-
ფუძველზე.

ისიც უნდა ითქვას, რომ მგოსანმა თავისი შემოქმედების ერთ-ერთ
დამახასიათებელ ნიშნად „იდუმალი შვენება“ აღიარა. ეს მეტად საგუ-
ლისხმო მინიშნებაა. აქ ჩანს ახალი პოეტის კვალი.

როგორია საბოლოო დასკვნები?

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს მიერ განხილულ ლექსებში გალაკ-
ტიონს მიზნად არ დაუხსნავს პოეტის საკითხების დეტალური გარ-



კვევა და არც მუხლობრივად ჩამოუყალიბებია თავისი თვალსაზრისი. მაგრამ ისინი მაინც მნიშვნელოვან მასალას გვაწვდიან ავტორის მხედველ ტური კრედოს გასაცნობად.

გალაკტიონი არ უარყოფს, რომ მწერალი „გარემოების საყვირი“ უნდა იყოს. პოეტი ქვეყნის ძარღვის ცემას უნდა უგდებდეს ყურს და მოწინავე ძალების თვალსაზრისს ავითარებდეს. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს ვიწრო ნაჭუჭში ჩაკეტვას. გალაკტიონი ბევრ რამეში ეთანხმება ილიასა და აკაკის, მაგრამ მათი თვალსაზრისის ორთოდოქსალური დამცველი როდია. იგი საგრძნობლად აფართოებს სამოციანელთა მიერ გაჭრილ კალაპოტს. გალაკტიონის შეხედულებით პოეზია დიახაც რომ ბასრი იარაღია ეროვნული და სოციალური ბრძოლის გზაზე, მაგრამ ამასთანავე მას აქვს სხვა ფუნქცია—ესთეტიკური ტკბობის, სამყაროს ამალღებულად შემეცნების, მედიტაციური საკითხების გარკვევის და ა. შ. მისი აზრით, ხელოვნება ის ფენომენია, რომელიც მრავალი განშტოებითა და სიღრმით მოქმედებს.

ამრიგად, „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ ყოველი ნომერი იხსნება ღრმად გააზრებული საკითხების შემცველი ნაწარმოებებით. მათთვის ნიშანდობლივია პრობლემის წინ წამოწევა, ჭარბოდ განზოგადება და „ლიტერატურული მანიფესტის“ ლაიტმოტივის სხვადასხვა კუთხით განფენის ტენდენცია.

როგორც ითქვა, ჟურნალის ძირითადი ამოცანა გალაკტიონის შემოქმედების პოპულარიზაცია იყო. ეს სხვადასხვა გზით და საშუალებით ხორციელდებოდა. მკაფიოდ გამოიკვეთა ოთხი მიმართულება: 1) რედაქტორ-გამომცემლის თხზულებების გამოქვეყნება, 2) ინფორმაცია-ქრონიკები გალაკტიონის საქმიანობის შესახებ, 3) პოეტისადმი ნიძღვნილი ლექსებისა და წერილების პუბლიკაცია, 4) მგოსნის მიმდევრების თხზულებათა ფართოდ წარმოჩენა.

ჟურნალში დაიბეჭდა გალაკტიონის ბრწყინვალე ლექსები: „ეს მშობლიური ქარია“, „ეფემერა“, („ცხენთა შეჯიბრებაზე“), „ისევ ეფემერა“, „ეს იყო ოქტომბრის დამღვეს“, „საახალწლო ეფემერა“, „ზღვის ეფემერა“, „ეფემერა“ („შეხედე! მშვიდი შენი დობილი“), „მშობლიური ეფემერა“, „ქალაქში“, „ცისფერი“, „გრიგალი“.

თერთმეტი ლექსიდან ექვსი ლექსის სათაურში სიტყვა „ეფემერა“ ფიგურირებს. შემთხვევითია? არამც და არამც. თუ ჩვენ ვიფიქრებთ, რომ ამ სიტყვას გალაკტიონი ხანმოკლეა და მოჩვენებითის სინონიმად იყენებს, მართალნი არ ვიქნებით. პოეტმა მასში უფრო ღრმა და ფართო შინაარსი ჩადო. იგი უწყვილდება წარმოსახულსა და სასურველსაც. ამ-



დენად, იგრძნობა უდიდესი ლტოლვა რეალობიდან სასურველისაკენ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში არა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური, არამედ ესთეტიკური ტენდენციებიც ილანდება.

ამ ლექსებში ბევრზე ბევრი რამ არის აქცენტირებული თუ მინიმუმებული. მაგალითად, მარადიული სწრაფვის მოთხოვნა, წინსვლისაკენ მოწოდება. გავხისენოთ თუნდაც „ეს იყო ოქტომბრის დამღვეს“.¹²

ლირიკული გმირი შეუპოვრობით, მებრძოლი სულსკვეთებით გამოირჩევა და სწორედ ეს განსაზღვრავს ეფემერათა ციკლის დიდ მხატვრულ-საზოგადოებრივ ფუნქციას.

ეს ლექსები ფაქტობრივად სიცოცხლის აპოთეოზია, „სიბერის დაცინვა“, ფანტასტიკური მკვლევლობებისა და ოცნებების გულთან ახლოს მიტანა, რათა სინამდვილე უკეთ იქნეს შეცნობილი.

„ზღვის ეფემერა“ ამ მხრივ გამორჩეულზე გამორჩეულია. ეს ხომ სიკვდილისთვის თვალის გასწორებაა. ეს ხომ ვაჟკაცობისა და ქედუხრელობის ქებათა ქებაა.

„მეზღვაურებო!
 უშიშრად უნდა შევებათ სიკვდილს,
 ერთად მეზღვაურებო!
 გრივალმა დაწეწა ყველა აფრები
 და ჩაძირული ხომალდები
 ამოატივტივა.
 მივდივართ...“

და განსაცვიფრებელი ფინალი:

„გვამი აივსო წყლით...
 სალუტი...
 სალუტი...
 სალუტი“.

როცა ამ ლექსზე ვმსჯელობთ, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ აუცილებლად: მასში ცხოვრების, მეზღვაურთა წარმტაცი და ლამაზი ყოფის სურათებიც არის გაცოცხლებული:

„გვიყვარდა უცხო ქალაქები
 ზღვის ნაპირებზე:
 მონტევიდეო,
 ბლენოს-აირუს.
 გვიყვარდა უდაბური კუნძულები,

¹² „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, № 5, გვ. 2.

ალბატროსები.
ლვინით რამდენი სიხარული
გემის ბაქანზე
ჩვენ შეგვხვედრია!¹³

ამის აღნიშვნა საგანგებოდ ხდება, რათა არა სიცოცხლემობეზრებული, არამედ სიცოცხლის ჭეშმარიტი ტრფიალის სახე წარმოჩნდეს. ამით ხაზი ესმება ქმედების ხარისხს, ძვირფასის დათმობით გამოწვეული ტრაგედიის სიმძაფრეს, მეზღვაურთა შეუპოვრობასა და ვაჟკაცობას.

გალაკტიონთან მწერლობა, თეატრი, მუსიკა და, საერთოდ, ხელოვნება გააზრებულია სულიერი ამბღლების ფენომენებად. რაც მთავარია, მგოსანი მათ განიცდის როგორც ადამიანის არსებობის უმაღლეს გამოვლენას, პიროვნების მთვლემარე თუ მივიწყებული ვნებების გამძაფრების საშუალებებს.

„მრავალ წამწამებს და მრავალ ისარს
გრძნობს დაღალული თვალი თეატრში
და ეღარები მზეს ნამაისარს,
მაღალ ლოყიდან შენ, ბეატრიჩე!
სული გაქანდა ზღვაში მოტივედ,
თითქოს ქაოსის ნისლში შევედ
და ატივტივედა იქ ნაფოტივით
კლავიში ერთი, შეულეველი“.¹⁴

„მშობლიურ ეფემერაში“ მამულზე დაფიქრებული და მისი ბედით შეჭირვებული პოეტის კენესა მოისმის.

„ვეღარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს —
ზამთარს ბილიკი დაუტანია...
„დიდი ხანია?“ — მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: დიდი ხანია...“¹⁵

ზამთარი საქართველოს აწმყოსთან ასოცირდება და მკითხველის აზროვნებას სწორი კალაპოტით წარმართავს.

რამდენადმე განსხვავებულია „ეს მშობლიური ქარია“, რომელიც „ალზიორას“ სათაურით დაიბეჭდა. აქ მამულისადმი სიყვარული სულს სხვა გზებითა და ფორმითაა გამოხსახული. გვხიბლავს კლასიკური სისადავე და გრძნობათა მრავალმხრივი განფენა. სამამულო ფოლკლორისათ-

¹³ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, № 5, გვ. 2.

¹⁴ იქვე.

¹⁵ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, № 6, გვ. 2.



ვის დამახასიათებელ რიტმზე დაყრდნობით კიდევ უფრო ძლიერდება ქართული სუნთქვა:

„ეს მშობლიური ქარია,
 ეს სოფელია მძინარე,
 არ ვიცი რად მიხარია:
 ვაზი, ყანები, მდინარე.
 დღემ ნისლი შემოიხვია.
 გზა სიარულმა დალია.
 ის — ძველისძველი ციხეა,
 იქ კიდევ წინანდალია“¹⁶.

გალაკტიონის ლექსები გააზრებულ უნდა იქნეს ჟურნალის პროგრამასთან მიმართებით. მაშინ აშკარა გახდება, რომ პოეტი „ლიტერატურულ მანიფესტში“ ჩამოყალიბებული თვალსაზრისის პრინციპული დამცველია, მისი განხორციელებისათვის შეუპოვარი მებრძოლია.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, უწინარეს ყოვლისა, იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ბრძოლას, გარდაქმნას, სიცოცხლის სიყვარულს ქადაგებს და თანაც მაღალმხატვრული ლექსებით.

არ უნდა ვცდებოდეთ, თუ იმასაც დავძენთ, რომ ამ ჟურნალში ევროპეიზმისა და ქართულის უჩვეულო შერწყმა და ამალღება გვეძლევა. ახლა მოკლედ მეორე მიმართულებაზე, ასპექტზე.

გალაკტიონი ამ პერიოდში სისხლსავე ცხოვრებით ცხოვრობს, თვალსაჩინო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა, მის წარმოჩენასაც ჟურნალი გულდაგულ ცდილობს. მესამე ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია, რომ 4 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა ვარლამ რუხაძის საღამო, ხოლო 5 დეკემბერს — ტერენტი გრანელისა. „როგორც პირველის, ისე მეორე საღამოს სალიტერატურო განყოფილება ლექსებით გახსნა გალაკტიონ ტაბიძემ“.

მეხუთე ნომერში აღნიშნულია, რომ ხელოვნების სასახლეში წაიკითხეს მოხსენება — „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“...

მსგავსი მასალები უთუოდ უწყობენ ხელს დიდი მგონის და მოქალაქის ავტორიტეტის ამალღებას. მაგრამ ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანია მიძღვნილი ნაწარმოებები. გასაგებია, რომ ისინი პოზიტიური ხასიათისაა. ამგვარ შემთხვევაში გამორიცხული არ არის პანეგირიკის მოძალება. მთავარია, რამდენად ღრმად სწვდებიან ავტორები გალაკტიონის ლირიკის ხიზლს.

გალაკტიონის დამსახურება უკვე საფუძვლიანად არის გარკვეული.

¹⁶ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, № 1, გვ. 4.



იგი პოეტთა მეფის გვირგვინს ატარებს. საერთო ტენდენცია ნაირგვარი ფორმით — პირდაპირ თუ ქვეტექსტით ძალუმად ირეკლება მისი ნით თხზულებებში.

გამოქვეყნებულ წერილებში ერთ შემთხვევაში სილოგისტური შეფასება მძლავრობს. ამასთანავე დიდი ადგილი ეთმობა ეპითეტ-მეტაფორებს. მაგალითად, ი. ტოფაძე გალაკტიონს „ლეგენდას“ უწოდებს, ლ. ძიძიგური — „პოეზიის დიდ გრივალს“, ვ. სიდოშვილი — „არწივს“, ქარელიშვილი — „მთას“, გ. ბააზოვი — „მესიას“ და ა. შ.

„ო, გალაკტიონ! გიციანი ერთი: ეს მწუხარება მხოლოდ შენია.
შენ მოიტანე გენიის ცეცხლი და ღვთაებრივი ნევრასტენია.
შენ, გალაკტიონ, მთას მომაგონებ გახვეულებს ნისლში, ქარში და ბურში
ნათელ ახალწელს, ცხრაას ოცდა სამს — შორი მთებიდან გილოცავს თუში“¹⁷.

(მარალიშვილი)

ახლა მოვესმინოთ გ. ქუჩიშვილს:

„ჩემს პროცესიას ამშვენებს გალაკტიონი,
გვარად — ტაბიძე და ტიტულით მეფე-მგოსანი.
მის ლექსთა თქმაზე ქვითინებდეს ძველი სიონი
და მწუხარებით დაიბუროს მზე სხივოსანი“¹⁸

სხვა შემთხვევაში სარკისებური პრინციპია გამოყენებული და გალაკტიონის ლირიკიდან მომდინარე შთაბეჭდილებებია გამჟღავნებული. შემოქმედებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაა აქცენტირებული.

ზოგჯერ ყურადღება მახვილდება მგოსნის არა მხოლოდ შინაგან სამყაროზე, არამედ ჰაბიტუსზე, ეს ხელს უწყობს პიროვნების უკეთ გაცნობას.

მოსიანს შორიდან შენი პროფილი,
საქართველოზე დამდნარი სახე,
თმა წაბლისფერი, გადაყოფილი,
და ფოთოლივით მზე მოცახცახე.
მიპყვები ლანდებს აჩქარებული,
გაგივლის მგზავრი, მოგაჩერდება,
პოეტის ნახვით გახარებული,
გრძნობით დათვრება და გაშტერდება.
სწყურიათ ვნებით გიციობდეს ყველა,

¹⁷ „გალაკტიონ ტაბიძის ქურნალი“, 1923, № 5, გვ. 4.

¹⁸ „გალაკტიონ ტაბიძის ქურნალი“, 1922, № 1, გვ. 3.

მორცხვად გიმზერენ ნაზი ქალები —

„გალაკტიონი“, ამბობენ ნელა

„სასაფლაოა მისი თვლები“¹⁹.

პოეტ იასამანს (კინწურაშვილი) სხვა რამ აღელვებს. ეს არის პოეტის ბედი საქართველოში — გასაკვირი და სავალალო. ავტორის გაგებით, შემოქმედის ყოფა ფრიად ორიგინალურია. ამიტომაც არ შეიძლება მისი ღიმილი და ჭმუნვა ჩვეულებრივი მოკვდავის განცდებს გავუტოლოთ:

„არის სიცხოველ მარტოობაში —

დაშვება ჩვენი ტანჯვის ემბაზში...

სილამაზეა სულის ლტოლვაში

და გამარჯვება თვით წამებაში“²⁰.

ზოგადი სურათი გალაკტიონთან მიმართებაში კონკრეტდება და დასკვნაც ოპტიმისტურად უღერს.

ჟურნალში დაიბეჭდა ისეთი ლექსები, რომლებიც გალაკტიონისადმი არის მიძღვნილი, მაგრამ მის დახასიათებას არ ისახევენ მიზნად. მაგალითად, შ. მღვიმელის „ნატვრა“, გ. აგარელის „სიჩუმის დღეებიდან“ და სხვა. ქვესათაურები მგოსნისადმი პატივისცემას ამჟღავნებენ და ხელს უწყობენ მის პოპულარიზაციას.

ამ თვალსაზრისით ინტერესმოკლებული როდია გალაკტიონის გამონათქვამთა ეპიგრაფად გამოყენება. მაგალითად, მ. რონელის წერილს „განახლების გზით“ წამძღვარებული აქვს სიტყვები ჟურნალის საპროგრამო წერილიდან: „...და კიდევ ერთი იდეა: „სიკვდილი ან განახლება!“

გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები, რა თქმა უნდა, ხელახელსაგოგმანებელ მარგალიტებად არ ჩაითვლება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ მდარე ნაწარმოებებია. მათში ნამდვილად ჩანს გულწრფელობა, ფართო საზოგადოების თვალსაზრისი და, რაც მთავარია, ობიექტის ორიგინალობა — სიღიადე. ამგვარი ლექსების მიჯრითი პუბლიკაციით შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება, თითქოს რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლასთან გვაქვს საქმე.

გალაკტიონის ღვაწლის წარმოჩენის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია კრიტიკული წერილები და ესეები, რამდენადაც ისინი თავიანთი ბუნებით, ჟანრობრივი სპეციფიკის გამო პრობლემათა გაცნობიერების მეტ შესაძლებლობას შეიცავენ.

ია ეკალაძის „ძღვნად გალაკტიონ ტაბიძეს“ — სახოტბო ნაწარმოე-

¹⁹ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923 № 8, გვ. 2.

²⁰ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, № 1, გვ. 2.



ბია, — რაც სათაურშივე მქლავნდება. ავტორი ცალკეულ ლექსთა ანალიზს კი არ გვთავაზობს, არამედ ამ ანალიზიდან მომდინარე დამსკვნებს განათქვამს. მან აირჩია იდეალისადმი კონკრეტული რეალობის მისადაგების ხერხი პირველის განსაკუთრებული ხაზგასმით. ეს ხერხი მაშინაა მომგებიანი, როცა მეორე მხარის თავისებურება ფართო საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი და, ამდენად, მტკიცებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ეკისრება.

ია ეკალაძემ მოკლედ და მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი ფილოსოფიური, ესთეტიკური შეხედულებანი. იგი წერს: „ხელოვნება არის ერთ-ერთი საშუალებათაგანი ხალხთა ურთიერთობისა. ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს თითოეული ჩვენთაგანის დაახლოებას, ერთმანეთის ჭირისა და ღვინის გაზიარებას, გულისტქმის გაფაქიზებას და ნებისყოფის განმტკიცებას. ხელოვნებამ უნდა მოჰკლას მხეცი კაცში და აამაღლოს, გააღმერთოს განკაცებული იგი ადამიანი“²¹.

ხელოვნების ეს თვისებები საუკეთესოდ მქლავნდება ლექსში. „პოეზია არის ფსალმუნება ამაღლებული სულისა და ღაღადისი ქვენა გრძნობათაგან განწმენდილი გულისა. პოეზია არის მსხვერპლი შეწირული კაცთმოყვარეობის საკურთხეველზე და ზვარაყი უკვდავების ტაძრად მიყვანილი. პოეზია არის სიყვარულისა და სათნოების ცეცხლზე დამწვარი ცრემლი და მწუხარება. პოეზია არის მალამო წყლულებისა და ამოხშობა ყოველგვარი ბოროტებისა. პოეზია ღმერთკაცობაა, სისხლის მსმელთა და მტაცებელთა ხელფეხის შეეკრაა. პოეზია სიმია უკვდავებისა და ჩანგია მოძმეთათვის თავგანწირვისა“²².

ეს ციტატები იმიტომ მოვიყვანე, რომ უფრო ნათლად წარმოჩენილიყო პარალელის მეორე მხარე, — გალაკტიონის შემოქმედების ღირსება. საქმე ისაა, რომ ავტორი ამ მაღალი კრიტერიუმიდან გამომდინარე აფასებს მგოსნებს და, უპირველეს ყოვლისა, გალაკტიონს. მისი დასკვნა მეტად პრინციპულია: „მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძე და ერთი ან ორი“ თუ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებსო.

ია ეკალაძე გალაკტიონს ადარებს განმარტოებით მდგარ ძეწნას, რომელიც საოცნებოდ იწვევს ადამიანს და „ამორებს... ყოველგვარ სიგლახეს და მიწიერ ჭუჭყიანობას“.

ეს დებულება ფრიად საგულისხმოა. მასში კარგად ჩანს გალაკტიონის პოეზიის სპეციფიკა — არა იმდენად სოციალური ბოროტების წი-

²¹ „გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი“, 1922, № 1, გვ. 5.

²² იქვე.

ნააღმდეგ ხმლის გაშიშვლებიდან მოწოდება, არამედ სულიერი აღმშენებლისა და გაფაქიზებისაკენ მოდრეკა.

ხომლეოს (რ. ფანცხავას) „გალაკტიონ ტაბიძე“ ვრცელი სტატიის ნაწყვეტია. მასში აქცენტირებულია გალაკტიონის პოეზიის არსებითი მხარეები.

ჩვენ უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია სამი გარემოება. ჯერ ერთი, ხომლეოსმა გალაკტიონის შემოქმედება ურბანიზმს დაუკავშირა. ეს ახალი შტრიხია. მაგრამ საქმე ისაა, რომ კრიტიკოსს ურბანიზმი თავისებურად ესმის, უფრო ზუსტად, ის ყურადღებას ამახვილებს არა ქალაქურ თემატიკაზე, არამედ ქალაქური ყოფიდან მომდინარე შემოქმედებით სტილზე.

„რუსეთის დიდმა რევოლუციამ ფეოდალიზმი ძირფესვიანად ამოაგდო და ამ გარემოებასთან ერთად სოფელსაც უნდა დაეკარგა საქართველოში ჰეგემონია და პირველ ადგილზე დამდგარიყო ქალაქი... ლიტერატურასაც ქალაქი დაეუფლა. ეს მთელი ეპოქაა დღეს ჩვენში და ამ ეპოქის ფილოსოფოსი, აუცილებლად, უნდა დაბადოს სალიტერატურო კრიტიკამ... ჯერ ქართულ ლირიკაში პირველი მერცხალი ასეთი ახალი ლიტერატურისა შეიქნა გალაკტიონ ტაბიძე და ამაშია მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა“...²³

სტატიის ავტორს მხედველობაში აქვს წერის იმპრესიონისტული მანერა და გალაკტიონს ამ მიმართულების ღირსეულ წარმომადგენლად მიიჩნევს. მისთვის ამოსავალია „არტიტული ყვავილების“ სტილი, რიტმა, რითმა, „გრძნობა და აზრიც“.

კრიტიკოსის მტკიცებით, ბოზოქარი დრო ნაკლებ იძლევა პოემების წერის შესაძლებლობას. ცხოვრების რიტმი იმდენად აჩქარებულია, რომ მგოსანი იძულებული ხდება წამიერი შთაბეჭდილებები წარმოაჩინოს, ნაწყვეტ-ნაწყვეტი განცდებით დიდ სურათზე მიგვანიშნოს. ამ შემთხვევაში მთავარია აღმქმელის ფსიქოლოგიური სიწრფელე და განწყობის შთამბეჭდავად გადმოცემა. გალაკტიონს კი ეს ხელეწიფება.

აქ ლირიკის ხასიათიც უნდა იყოს გათვალისწინებული. მაგრამ ვერც იმას დავეციწყებთ, რომ ლირიკოსის პოზიცია ნაირგვარია.

ხომლეოსმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ გალაკტიონის პოეტური კულტურა უმაღლესია. „კარგ გუნებაზე მოყავხარ პოეზიის მღელვარე, დაუცხრომელ გრძნობათა აღმაფრენას და გულწრფელობას, საკუთარი ტემპერამენტით განცდათა სიტურფეს, რითმათა მრავ-

²³ „გალაკტიონ ტაბიძის ეურნალი“, 1922, № 1, გვ. 6.



ვალგვარობასა და მშვენიებას, სალიტერატურო ფორმათა ნაფრთხილ-
ბას და სილამაზეს, ლექსთა მუსიკალობასა და სინაზე-სინარჩუნებას²⁴.

კრიტიკოსი არ კმაყოფილდება ზოგადი განცხადებით და „ატმის ყვა-
ვილებიდან“ მოტანილი ციტატით ცხადყოფს შიდა რითმების გამოყენებით მიღწეული ეფექტის მნიშვნელობას.

და ბოლოს: ზომიერება გალაკტიონი სიცოცხლის მომღერლად მი-
იჩნია. ეს მეტად საგულისხმო თვალსაზრისია, მით უფრო, თუ გავიხ-
სენებთ, რომ ზოგნი მის შემოქმედებას სხვაგვარად აღიქვამდნენ. „...მან
იციის ფასი სიცოცხლისა, მოდერნისტივით სიკვდილს ჰიმნს არ უგა-
ლობს და გულმხიარული მღერის:

„ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე,
მშვენიერების ლექსით მქებელი...
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე...
სიკვდილთან ჩვენი შემრიგებელი.“²⁵

დემნა შენგელაიას „გალაკტიონ ტაბიძე“ გამორჩეულია ფორმით,
გრძნობათა გამხელის თვალსაზრისით. მას „სილუეტი“ ჰქვია და ეს ქვე-
სათაური რამდენადმე მაინც აკვალიანებს მკითხველს.

დ. შენგელაია იმპრესიონისტული მანერით წერს. მისთვის თავიდა-
თავი ის განწყობილებაა, რომელიც ეუფლება გალაკტიონის ლექსების
კითხვისას. ისიც ხაზგასმულია, რომ შთაბეჭდილებანი ცალკეულ შემთხ-
ვევაში ზოგადდება და თეზისების შინაარსსაც იძენს.

ხსენებული წერილი, ესეი ნაკლებად იგუებებს ანატომიურ დაშლასა
და მისაღები თუ უკუსაგდები დებულებების სკრუპულოზური სიზუსტით
აღნუსხვა-დაჯგუფებას. შეიძლება ავტორის ზოგიერთი მოსაზრება არ
გაეიზიაროთ თერგდალეულთა მოღვაწეობის მიმართ, მაგრამ ამ წერილ-
ში თავიდათავი გალაკტიონის ლირიკის სწორი შეცნობა და მისი უჩ-
ვეულო სურნელის აღიარებაა.

დ. შენგელაიამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად ისტორიულ ექს-
კურსს მიმართა და XIX საუკუნის ქართული მწერლობის ფონზე კიდევ
უფრო რელიეფურად წარმოაჩინა დიდი პოეტის სილუეტი.

„მოვიდა იგი „დაღლილი ქალივით“ და მას შორეულად ეალერსე-
ბოდნენ წარსულიდან თეთრ პარიკებით, მაღალ წინდებიანი და თეთრ
ხელთათმანიანი პაყების გვერდით პირიმზის სამაია თავისი ოქროს ბალ-
თიან ქოშით და ამდგარი ცამეტი სვეტი.

²⁴ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, № 1, გვ. 6.

²⁵ იქვე.



მოვიდა იგი ნაზი, მოქანცული და დაემხო შემოდგომის ფოთლებით დაფურცლულ, ანიაგებულ ქამთა ვითარების გამო გამოყვითლულ მწიფე მარმარილოს თლილ კიბეებზე და აქვითინდა უცხო ხმაზე.

საგნებმა და მოვლენებმა უღალატეს ადამიანს. ისინი არ იძლეოდნენ ჩვეულებრივ სახეებს. ისინი არ ეგებებოდნენ ჩვეულებრივად მოსიყვარულე ქალივით შემოქმედს. და პოეტი დაიბნა, პოეტმა იგრძნო ღალატი სამყაროისა.

იგი ვერ იჭერს ჩვეულებრივ გამოსახვას საგანთა შინაგან არსისა და სასოწარკვეთილი იმწყვდევა თავის სულში.

და ნაღვლიანად აქვითინდა პოეტი²⁶.

მწერალი გალაკტიონის სევდის მიზეზად სამყაროს გახლეჩილობას მიიჩნევს. ეს ფრიად საგულისხმო მოსაზრებაა. სამყაროს გახლეჩილობაში იგულისხმება არა მხოლოდ დაპირისპირებულობა, არამედ საგნებისა და მოვლენების სახეცვლილებაც, რასაც მოსდევს აღსაქმელსა და აღმქმელს შორის მძიმე ფარდის დაშვება. ყოველივე ეს უბიძგებს პოეტს საკუთარ თავში ჩაკეტვისაკენ.

დ. შენგელაია გალაკტიონის შემოქმედებაში სასურველისა და რეალობის კონფლიქტს ხედავს. „არავის ეგრძნო ასეთი ღალატი სამყაროისა და სმენა მიაპყრეს პოეტს“.

მასასადამე, გალაკტიონის წუხილი საკაცობრიო სატკივართ არის შეპირობებულნი, ცხოვრებისა და პიროვნების მტრული ურთიერთობა ადამიანის სულის გაბზარვიდან მოდის.

უფრო ღრმად თუ ჩავუყვირდებით დ. შენგელაიას აზრებს, ვფიქრობთ, ძნელი არ იქნება იმ დასკვნის გამოტანა, რომ გალაკტიონი პარამონიულობისა და სილამაზის აპოლოგეტია. იგი, უწინარეს ყოვლისა, ამალღებულს ესწრაფვის. „საოცარი მოუსვენრობაა გამეფებული მის წიგნში. ყველაფერი მოულოდნელია და თეთრი საშინელება იპყრობს შენს სულს, საშინელება თენებისა, როდესაც ჰგრძნობ სიცრუეს, ჰგრძნობ შეჭვუფებულ კოშმარებს დღისას.“

მისი წიგნი ცახცახებს ნერვიულად.

მისი ნაღველი გიპყრობს თქვენ და უმწეობას გაგრძნობინებს.

უმწეობა და ირონია.

არ არის ხსნა.

არ შეიძლება გამოხლართა წარსულის სახეებისა თანამედროვე ცხოვ-

²⁶ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, № 2, გვ. 13.

რების კანვაზე. ფორმა დაშორდა შინაარსს. საგანი არ ენდობა კრიტიკა-როვე თვალებს²⁷.

დ. შენგელაიამ ისიც აღნიშნა, რომ გალაკტიონი გამორჩეულია გრძნობათა გამხელის სიმძაფრითაც. იგი მთელი არსებით ეძლევა საყვარელ საქმეს, რაც გონისა და გრძნობის იშვიათი თანხვდომიდან მოდის.

„პოეტმა სულიდან ამოიგლიჯა მოფართქალე გული. ჭერ კიდევ მოცახცახე არტერიებით და სწურავს იგი თავისსავე გულს, სწურავს და შიში ვიპყრობს, რომ იგი დაიცლება სისხლისაგან და დაეცემა პაყი დედოფლის ფერხთით უსულთ“²⁸.

როგორ ლამაზად ბრძანა: შემოქმედება სისხლისაგან დაცლაო, პოეტობა თვითმკვლევლობას მიაგავსო.

დ. შენგელაიას წერილი „ილიონიდან“ არის გადმობეჭდილი, რაც იმის დასტურია, რომ გალაკტიონს მოსწონს იგი და ამიტომაც სთავაზობს თავისი ჟურნალის მკითხველებს.

გალაკტიონის შემოქმედების საინტერესო დახასიათებას იძლევა ნ. გერგესელი (კვერნაძე) კრიტიკულ ესეიზში „სამრეკლო უდაბნოში“, ფაქტობრივად აქაც „არტისტული ყვავილების“ შეფასება.

კრიტიკოსი თავიდანვე იმ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ გალაკტიონი ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე დაფიქრებული მგოსანია და ყოფნა-არყოფნის პრობლემას მთელი სიმძაფრით ეჭიდება. თანაც ხაზგასმულია ის, რომ მირაჟმა არ უნდა შეგვაცდინოს, სინამდვილე უდაბნოა და დაუდგომელი სულიც მისგან გაღწევას ცდილობს. ამ მიზნით პოეტი მოკიაფე სიმბოლოებს, წარმტაც სახეებს ქმნის. საბოლოოდ სურვილი კი მაინც დაუკმაყოფილებელი რჩება.

თუკი ეს ასეა, მაშინ რა ფუნქცია ეკისრება სიტყვაკაზმულ მწერლობას? ეს კითხვა ბუნებრივად იბადება და ავტორიც ცდილობს იპოვოს პასუხი. ამ შემთხვევაში იგი ოსკარ უაილდს იშველიებს: სადაც ტანჯვაა, იქ წმინდა ადგილიცაა, მწუხარებაში სული ფაქიზდება.

მაშასადამე, გ. ტაბიძის პოეზიაც კათარზისს, ამაღლებას უწყობს ხელს.

აი ამოსავალი წერტილი.

მაგრამ აქვე მეორე კითხვაც წამოიჭრება: ამ კაეშანს ხომ უნდა მოენახოს გამჟღავნების უმაღლესი ფორმა. შესძლო კი ეს გალაკტიონმა? დიახ! ამიტომაცაა მისი პოეზია ესოდენ ძვირფასი.

²⁷ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, № 2, გვ. 14.

²⁸ იქვე.



არსებითა ისიც, რომ ნ. გერგესელი გალაკტიონს მსოფლიო ვარსკვლავების გვერდით აყენებს „...მგოსანი ამაყი პროფილით მისჩერებია მსოფლიო კაეშნის ტიტანებს და მით, ასეთი დამეგობრებით, რეალურ საზღვრებს შლის, და საერთო ეოლოსის ერთ სიმათ ევლინება, რომელიც აკორდში არასდროს დისპარმონიას არ შეიტანს.

შეიძლება ეს გაგება ფართოა, ასეთია ჩემი აზრი. და ვიტყვი თუ-გინდ აზრს კადნიერს: ამ მხრივ გალაკტიონი არ არის სავესებით გაგებული. მწამს მას გაიგებენ, მაგრამ საჭირო იქნება ტრავედია — მისი სიკვდილი“²⁹.

საგულისხმოა კრიტიკოსის მსჯელობა იმის თაობაზეც, რომ გალაკტიონი მოწონებულია, მაგრამ არ არის გაგებული. არსებითი კი სწორედ მეორეა. ჭეშმარიტი შემოქმედი დროის თავისებურებითაა დადღასმული. და ეს ირეკლება კიდევ მის თხზულებებში. მაგრამ მთავარია არა გარეგნული მხარეების, არამედ ეპოქის სულის გამოხატვა. რაც უფრო დიდია ეპოქა, რაც უფრო შორს, სხვა საუკუნეებში აღწევს მისი სულის ვიბრაცია, მით უფრო უკვდავია პოეტიც.

კრიტიკოსმა ბაირონისა და ბარათაშვილის გვერდით დააყენა გალაკტიონი და ახსნაც მოუძებნა ამას. სამივეს აერთიანებს აწმყოთი უკმაყოფილება და მერმისისაკენ სწრაფვა, ლტოლვა უსაზღვროებაში.

გალაკტიონის „სულის პარტიტურაზე ყველა ის ტაქტებია ჯადატანილი, რომელიც დღეს სევდის მუსიკად ევლინება განაწამებ კაცობრიობას. დღევანდელი კაცობრიობის ყოფნა საშინელ ჯადოსნურ რკალშია მომწყვდეული, თანამედროვე ეპოქა ეს ლითონის, რკინის, ფოლადის ეპოქაა. მისი მალალი ყორე, რომელსაც თავისი გულის სიღრმეში „უდაბნო“ შეუქმნია და მოუკლავს სიყვარული სიცოცხლისადმი — კაპიტალიზმია. გალაკტიონი ამ უდაბნოს ყოველ მხრიობის და მისი კომპარების შვილია. ის ამ რკალის შიგნითაა მომწყვდეული და მისი სულის ტრავედია უფრო მძიმე და რთულია, რადგან მან იცის რკალის იქით არის ქვეყანა, ქვეყანა განახლებისა და ახალი სიცოცხლისა“³⁰.

და თავისი ლურჯა ცხენებით მიჭრის ტანჯვის ქვეყნიდან.

ყურადღებას იპყრობს შემდეგი მსჯელობა. გალაკტიონი მოწმე იყო ისეთი შემთხვევებისა, რომლებიც მას იმედს აძლევდა. მაგრამ არ გაუმართლა. „ვეშაპმა მოისუნთქა, „დალანდი“ ნამსხვრევებად იქცა“.

ხომ არ არის აქ მინიშნება იმისა, რომ რევოლუციამ განხიბლა, რომ 1921 წლის თებერვალი უმძიმესი აღმოჩნდა. კარგად მესმის, პოეტური

²⁹ „გალაკტიონ ტაბიძის ძურნალი“, 1922, № 3, გვ. 6—7.

³⁰ იქვე. გვ. 7.



ფრაზის მათემატიკური სიზუსტით „თარგმნა“ შეუძლებელია მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, მკითხველს ვერ აფუკრძალავთ აპერცეპციას.

მართალია, კრიტიკოსი გალაკტიონის კაეშანზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ იმასაც შენიშნავს, რომ „ასეთს უსაზღვრო სევდის ტეხილებში ატარებს იმედის სიდიადესაც“. ის სამრეკლოა უდაბნოში.

გასაზიარებელი თვალსაზრისია.

ნ. გერგესელი განათლებულ და დაკვირვებულ ლიტერატორად გვევლინება. მან ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა, რომ „გალაკტიონი არ შიიძლება რომელიმე ერთის ჭირისუფალი განდეს“³¹. ე. ი. მისი სიყვარულის საგანია არა კონკრეტული მანდილოსანი, არამედ ირეალური, ოცნებით შექმნილი ქალი.

ნ. გერგესელმა ისიც პირდაპირ განაცხადა, რომ „გალაკტიონის მეორე წიგნი აღსანიშნავია, როგორც სიმბოლიზმის ახალი და სამაგალითო ნიმუშები“³². და შემდეგ: „გალაკტიონის სიმბოლიზმი მეორე წიგნით ჯაგებული, ეს ერთგვარი მანიფესტია ქართულ ლიტერატურაში“³³.

გასაგებია სად უმიზნებს ავტორი. მაგრამ ამჯერად ეს კი არ არის მთავარი, არამედ ის, თუ რამდენად მართალია.

ჩვენ ვიზიარებთ მის მოსაზრებას.

თავს ნებას მივცემ კიდევ ერთი ციტატა მოვიტანო ყველგვარი კომენტარის გარეშე. იგი საგულისხმოა არა მხოლოდ გალაკტიონის დამსახურების წარმოჩენის თსალსაზრისით, არამედ იმ ატმოსფეროს შესაცნობად, რომელიც მაშინ მეფობდა. „არიან ჩვენს მწერლობაში ბევრი ისეთი ჯგუფების „იდეოლოგები“, რომლებიც ვითომ გალაკტიონ ტაბიძის მომსპობი პოლუსია. მე ვეტყვი ასეთებს, რომ ოდესმე, როცა დადგება ჩვენში წმინდა კრიტიკის ჭიდილის ხანა, იქნება ამ მადლიანებმა აღმოაჩინონ ის, რომ მემკვიდრეობითი ბიძაშვილობა პოეზიაში ნახონ. დღეს ნიღბების ხანაა, ფარდის ახლამდე ყველაფერი ითქმება“³⁴.

საანალიზო წერილში სხვა საკითხებიც აქცენტირდება. მაგალითად, პოეტური სმენისა თუ ხედვის სიზუსტე და ა. შ. მათზე ყურადღებას არ შევაჩერებთ, ვიტყვი მხოლოდ, რომ „სამრეკლო უდაბნოში“ გალაკტიონზე გამოქვეყნებულ წერილებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა.

რაც შეეხება ვახტანგ გარრიკის (ვაჩნაძის) „გალაკტიონ ტაბიძეს“, მასში უფრორე ობიექტისადმი მიდგომის ტრადიციული მანერა შეინიშ-

³¹ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, № 3, გვ. 9.

³² იქვე.

³³ იქვე.

³⁴ იქვე.



ნება. არის საერთო ზოგადი შეფასება, რომ „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდგომ, ეს უდიდესი პოეტი-ფილოსოფოსია, რომლის ტანჯვა დამტყუანებისტური მსოფლმხედველობა თანაბარი იყო ჰამლეტის ტრაურის“³⁵.

მაგრამ, ამასთანავე, გარკვეული სიახლეების შემცველიცაა. კერძოდ, ყურადღება მახვილდება გალაკტიონის ლექსის მუსიკალობაზე. „გალაკტიონ ტაბიძის რიტმი—მუსიკალურ ჯადოსნობით არის გამართული. პოეტმა იცის მუსიკალური პათოსი და ის ხმარობს იმისთანა სიტყვათა კომბინაციებს, რომელნიც ლექსს ჰქმნიან მუსიკალურ კასკადათ. გალაკტიონ ტაბიძის რიტმში არის მინორი და სიტყვების ფიგურაცია. ლექსის მთავარი ფუძე — მუსიკალური რიტმია. სიმეტრია და პროპორციაც ამით უნდა გაიშინჯოს“³⁶.

საგულისხმოა ის მოსაზრებაც, რომ გალაკტიონი სულით და მისწრაფებით დასავლეთისკენაა მიდრეკილი, ტემპერამენტით კი აღმოსავლეთისაკენ.

სხვა მასალებშიაც თვალსაჩინოდ მქლავნდება გალაკტიონის აღზვევების ტენდენცია. „ორ პორტრეტში“ ლ. პავლიაშვილი ეძებს იმ საერთოს, რითაც ნიკო სულხანიშვილისა და გ. ტაბიძის სულიერი ნათესაობა მტკიცდება. ნ. ელინი წერილში „მწერლობისათვის“ ქართული პოეზიის აღმავლობას გ. ტაბიძის სახელს უკავშირებს. მირზახი (მ. ბოჭორიშვილი) 1922 წლის ლიტერატურული კრიტიკის დახასიათებისას საგანგებოდ ჩერდება ჟურნალ „ლომისსა“ და გაზეთ „პოეზიის დღეში“ გამოქვეყნებულ გალაკტიონის წერილებზე, ხოლო 1922 წლის სიტყვაკაზმული მწერლობის მიმომხილველი ასეთ დასკვნას გვაწვდის: „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ მთავარ ყურადღებას იქცევდა პოეზიით მუდამ ათრთოლებული გალაკტიონი“³⁷.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას იძლევა დავასკვნათ, რომ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ თანამშრომლებმა შეძლეს მგოსნის მრავალმხრივობისა და სიდიადის წარმოჩენა. ისინი შეეცადნენ ევროპელ და ქართველ პოეტებთან მიმართებაში დაენახათ მისი ორიგინალობა და ყურადღება გამახვილებინათ იმაზე, რითაც გალაკტიონი გალაკტიონობს.

გალაკტიონის შემოქმედება უღრმესია, და, ცხადია, ჟურნალის თანამშრომლებს არც მოეთხოვებოდათ ყველა ასპექტის გამოწვლილვით შესწავლა. კაცმა რომ თქვას, ეს დღესაც არ არის გაკეთებული.

ნურც ის გაგვაკვირვებს, რომ კრიტიკოსთა ნააზრევში აღტაცებითი

³⁵ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, 1923, № 8, გვ. 8.
³⁶ იქვე.
³⁷ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, № 5, გვ. 14.



ნოტები მძლავრობს. ეს ჭეშმარიტი შემოქმედის გაცნობით გამოწვეული ბუნებრივი რეაქციაა.

ყველა რედაქტორ-გამომცემელი საკუთარი მრწამსის შესაბამისად წარმართავს ჟურნალს. გამონაკლისი არც გალაკტიონია. მაგრამ ამჯერად ჩვენ უფრო სხვა მხრივ ვუდგებით საკითხს. გვინტერესებს გალაკტიონის, როგორც შემოქმედის „წნეხი“; რა დონეზე აირეკლა მისი მსოფლმხედველობა და პოეტური კულტურა? სწორედ ეს არის ის მეოთხე მიმართულება, რომელიც ზემოთ ვახსენეთ.

ჟურნალში დაბეჭდილ ბევრ ლექსში თვალნათლივ ჩანს მისი გავლენა. გალაკტიონი უკვე ქართული ლექსის რეფორმატორად და კანონმდებლად არის მიჩნეული. ამიტომ თანამგზავრთა არსებობაც ბუნებრივია.

მსგავსება იგრძნობა თემათა შერჩევასა თუ რიტმიკაში, პოეტური სახეების მომარჯვებასა თუ სიტყვათა ქმნადობაში და ა. შ. ამ მხრივ საგანგებო შესწავლას მოითხოვს ს. ურუშაძის, ს. წეველის, ი. ყანჩელის და სხვათა შემოქმედება.

დავესესხებით გობრონ აგარელის ორ ლექსს.

თეთრი რონდელი

მიმქრალი გედების თოვა
 სარკეში გაჩნდება ვარდით.
 ჩაივლის მწუხარე ბარდი,
 არია ფოთლების გროვა,
 პრინცესა ლანდივით მოვა
 და ლიმოსს მოიტანს ფარდით...
 მიმქრალი გედების თოვა
 სარკეში გაჩნდება ვარდით.

ეცემა ზამბახთა გროვად
 ტირილი. სიფითრე. დარდი.
 ბევრია უცნობი ლანდი
 გრიგალში კ-ა-რ-მ-ი-ნ-ა ნ-ო-ვ-ა.
 შორეულ გედების თოვა.

გპრთალი მელანქოლია

მოვა მსუბუქი დარდი
 და გაოცება ჩემი.
 ნისლი ჩამოწვა ადრე
 შენი დადლილი ცრემლით.

კვდება საღამო წელა
ვით შორეული დამა.
ასე ჩაივლის ყველა:
ფიქრი—ლანდები—თამარ.³⁸

მიბაძვა? კონკრეტული ფრაზებით ეს ნაკლებ დამტკიცდება, მაგრამ ლექსების მთლიანობაში გააზრების საფუძველზე, ვფიქრობთ, პასუხი დადებითი უნდა იყოს.

ამ მხრივ მეტად მეტყველია, აგრეთვე, მეშვიდე ნომერში დაბეჭდილი იმავე ავტორის „ლანდების ავონია“.

პროზასა და პუბლიცისტიკაშიაც აშკარაა გალაკტიონის შუქი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მიხ. ბოჭორიშვილის მინიატურები და ი. მანჭკავას „ახალი საუკუნის დასაწყისი“.

მაშასადამე, გალაკტიონის დამსახურება ამგვარი ნაწარმოებების პუბლიკაციითაც ცნაურდება, მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო იზრდება.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალს“ სხვა ამოცანაც ეკისრებოდა, კერძოდ, ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, მაღალხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოებებისა და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების გამოქვეყნება.

ჟურნალში დაიბეჭდა შ. მღვიმელის, ი. ვართაგავას, ი. ელიაშვილის, ნ. ჩხიკვაძის, ვ. გუნიას, ვ. რუხაძის, დ. შენგელაიას, ბაბილინას, ს. მგელაძის, ს. ერთაშმინდელის და სხვათა ნაწარმოები.

ტერენტი გრანელის „შორეული ყვავილები“ მელანქოლიური განწყობილებით ხასიათდება. მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ იგი სინაზეს ბადებს. ლექსი აღიქმება წყნარ მუსიკად, რომელიც საოცნებოდ გიწვევს.

გამორჩეულია ი. მოსაშვილის „ალილო დამეს“. მასში ოსტატურადაა გამხედილი მშობლისადმი სიყვარული. სოფელი, თოვლი, ბუხართან გაშლილი ტაბლა და მამის აჩრდილი. მწუხარება უშუალო და ძლიერია.

განსხვავებულია შ. მღვიმელის „ნატვრა“. ავტორი სურვილის პირდაპირ გაცხადებას ამჯობინებს. ქვეტექსტი უგულვებელყოფილია.

„ნეტავი ვიყო ნიავი
ლამაზი გაზაფხულისა,
რომ შემოვევლო ყვავილებს
როგორც სურვილი გულისა.
ან ვიყო წმინდა ცვარ-ნამი
ვარდზე დაყრილი დილისა,

³⁸ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, № 3, გვ. 2.

შ. მღვიმელის ლექსზე იმიტომაც შევჩერდით, რომ იგი განსხვავდება ჟურნალში დაბეჭდილი ბევრი ნაწარმოებისაგან. ამ ბევრში სიმბოლისტური თხზულებებიც იგულისხმება.

დავასახელებ კიდევ ერთ ლექსს. ეს არის ფერეიდნელი სეიფულა იოსელიანის „სამშობლოს ხილვით აღტაცებული“. მხატვრული თვალსაზრისით იგი სუსტია, მაგრამ დიდებულია გრძნობის სინაღდითა და პატრიოტული სულისკვეთებით.

სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ ჟურნალში არცთუ იშვიათად იბეჭდება მდარე ლექსები. გავიხსენოთ თუნდაც ა. ცისკარელის „შემთხვევა მწყალობს“. მაგრამ მათ გვერდით გალაკტიონის შედეგვრებიცაა.

ერთიც. ლექსთა დიდი ნაწილი ახალი მანერითაა შესრულებული. მაგალითისათვის მოვიტან ი. ყანჩელის ლექსს „როლი ნიაღვარში“:

„წალკავს ქალაქის ქუჩებს,
ეს ნიაღვარი ავი
და დაეკედები ტუჩებს
როგორც უვნებო კრავი.
არ არის ვნება ისე,
როგორც წუხანდელ ღამეს,
ბევრი გაუგებს გამშებს...
მე ვიცი მხოლოდ ერთი,
ეს ნიაღვარი დიდი,
მდინარეს ხილში ერთვის.
ქალაქიც მძიმედ მიდის...
და დაეკედები ტუჩებს,
როგორც უვნებო კრავი.
და ყველას დაეაყუჩებ,
ყრუ მოგონების ხევით“⁴⁰.

ჟურნალში დაიბეჭდა გოეთეს, თავორის და სხვა გამოჩენილ მწერალთა თარგმანები. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობენ მკითხველთა თვალსაწიერის გაფართოებას და ლირიკული ძარღვის ცემის გაძლიერებას.

საგანგებოდ შევჩერდებით ვილიე დე ლილ ადონის „ბრბოს მოუთმენლობაზე“. იგი პატრიოტული სულისკვეთებით გამოირჩევა. ავტორი ეხმიანება ისტორიულ ამბავს, ქსერქსეს ლაშქრობას საბერძნეთში, უფ-

³⁹ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922. № 2, გვ. 2.

⁴⁰ იქვე, გვ. 4.



რო ზუსტად, თესალიისა და შუასაბერძნეთის საზღვარზე, თერმოპილსთან სამასი სპარტელის გმირულ ბრძოლას. მაგრამ მწერალს საომარი ბატალიები კი არ აინტერესებს, არამედ მასის ფსიქოლოგია, ქმედების ხასიათი შეპირვების ეპოს.

„ბრბოს მოუთმენლობა“ ორი თვალსაზრისით იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ერთი მხრივ, აქცენტირებულია საზოგადოების ერთიანობა და მზადყოფნა მამულისათვის თავდადებისა. „თავზარდამცემი ცნობა მოვიდა — ფოკადის გზა-წვრილი მტრის ხელშია. მესსენელმა მწყემსმა გაჰყიდა ელადა. თავისი საკუთარი დედა დაუთმო კსერკს აფიალტმა. ოქროს აბჯრებში ჩაცმულმა სპარსელმა მხედრებმა უკვე შემოსდგეს ფეხი ღმერთების მიწაზე და შეუბრალებლად ქელავენ გმირების აღმზდელ მკერდს. ილუპება ტაძრები, სავანე წინაპართა, ილუპება საღმრთო მინდვრები. შენს ქალწულთ ტყვეობა ელის. ლავკეიდემონის ბუნსთან მოგროვილ მოქალაქეთა შორის თვით მთის დანახვა საშინელებას ბადებდა. ქარი საზარლად გმინავს მთის ნაპრალებში. ნაძვები წელში იზნიქება და თითქოს აწეწილ თმას ივარცხნისო, თრთოლით ეტმასნება ტოტები ტოტებს“⁴¹.

მოსახლეობა ერთ მუჭად შეიკრა. ყველა ქალაქის დასაცავად ემზადება. ეს შემართება ბუნებრივია. სხვაგვარად ვერც მოიქცევიან სპარტელები.

ავტორს დამაჯერებლად მიეყავართ შემდეგ დასკვნამდე: მამულისათვის თავდადება არა თუ უპირველესი მოვალეობაა, არამედ ადამიანური ბუნების, საუკეთესო თვისებების ლოგიკური გამოვლენაა.

არანაკლებ საგულისხმოა მეორე პლასტი. ეს არის ბრბოზე ამალეების ტენდენცია. შიკრიკს, რომელიც მეფე ლეონიდმა გამოგზავნა, მოქალაქენი ბრძოლის ველიდან გამოქცეულად მიიჩნევენ და ჩაქოლავენ. „ასე მოკვდა მეომარი მაუწყებელი სამას მეომრის ბრწყინვალე გამარჯვებისა. ასე მოკვდა ის, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრილი იყო და მეგობრების რჩევით თერმოპილის მდინარეში გადააგდო ფარ-ხმალი და მოიკრიბა რა უკანასკნელი ძაღლონე, გაემგზავრა, რომ სპარტელებისათვის მოეტანა უტყუარი ცნობა.

ასეთი პატივისცემით მოკვდა ლეონიდის შიკრიკი იმათგან, ვისთვისაც იგი დაილუპა სამულამოდ“⁴². ბრბო დაუნდობელია, განუკითხავია. ამიტომაც ჩვენს მოქმედებას ნუ შეგუწყვილებთ ეპიზოდურ ექსცე-

⁴¹ „ვალაკტიონ ტაბიძის ქურნალი“, 1922 № 4, გვ. 5.
⁴² იქვეც, გვ. 7.



სებს. კუშმარიტი გმირობა ბრბოზე ამაღლებას გულისხმობს — საზრისი ზოგადდება და მეტად მეღერი ხდება. ქვეტექსტით ურდება შემდეგი: უნდა მოქმედებდე არა შექებისა და ღვაწლის დაფასებისათვის, არამედ უშურველად, უმაღლესი მოვალეობის მიზნით.

ჩვენ შემთხვევით არ მოგვიტანია ორი ციტატა: საქმე ისაა, რომ მათში მეტნაკლებად მეღავნდება ავტორის ხელწერა — სიტყვის შერჩევის პრინციპი, წინადადებათა ემოციური მხარის აქცენტირება და მინიშნებათა ტევადობა.

მძღაერობს რეპორტაჟული სტილის გავლენა, რაც გარკვეულად უწყობს ხელს დინამიკის შექმნასა და აღქმის სიძლიერეს.

ხაზგასასმელია, რომ „ბრბოს მოუთმენლობა“ 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთ ხელმძღვანელს, გალაკტიონის ახლო მეგობარს მიხეილ ბოჭორიშვილს გადმოუკეთებია. პუბლიკაციის უპირველესი მიზანი ისიც იყო, რომ გაემძაფრებინა მკითხველთა პატრიოტული სულისკვეთება და საზოგადოება შეუპოვარი ბრძოლისათვის მოემზადებინა. ამდენად, გალაკტიონის ჟურნალი 1924 წლის გამოსვლების ხელშემწყობადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ეს მეტად მნიშვნელოვანი ასპექტია და საგანგებო დაკვირვებას მოითხოვს.

დასასრულს ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზეც შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. ჟურნალში ბევრი მასალა დაიბეჭდა ხელმოუწერლად. ჩვენი დაკვირვებით, გალაკტიონს ეკუთვნის პირველ ნომერში დასტამბული „იაკობ ნიკოლაძის იუბილე“ „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის კონფერენცია“, „სახალხო განათლების კომისარიატი“, „ქართველ მხატვართა კავშირის ახალი გამგეობა“. ბოლო გვერდზე მოთავსებული სტატიის — „ტფილისი. NN-“ — ავტორადაც გალაკტიონი გვევლინება. ეს ფრიად საგულისხმო მასალა ლექსის ფორმას — გაზელას შეეხება და ავტორის ლიტერატურულ განსწავლულობაზე მეტყველებს. ტექსტში მოტანილია სპარსულიდან გადმოკეთებული ერთი ნიმუში. თარგმანიც გალაკტიონისაა.

გალაკტიონსავე უნდა მივაკუთვნოთ მესამე ნომრის „მატიანეში“ მოთავსებული ინფორმაციებიც.

რა შეიძლება ითქვას ჟურნალის გარეგნობაზე? იგი თანამედროვე „დროშის“ ფორმატისაა. ნომერი საშუალოდ 32 გვერდისაგან შედგება. (გვხდება უფრო დიდი და მცირე მოცულობისაც). ნახევარი მხატვრულ-პუბლიცისტურ ტექსტებს უკავიათ, ნახევარი კი განცხადებებს. ამ უკანასკნელთა რიცხვი ზოგჯერ ოცს აღწევს.

რეკლამა უკეთდება სპექტაკლებს, ღვინის ნაწარმს, თამბაქოს, სა-



სოფლო-სამეურნეო იარაღებს, ლატარიას და ა. შ. განცხადებების ხე-
უხვე იმით იყო გაპირობებული, რომ რედაქცია მათი ბეჭდვის საფასუ-
რად სოლიდურ თანხას იღებდა. ბოლო ნომერში განცხადებათა რიცხვი
შემცირდა და გამომცემელიც უმძიმეს დღეში აღმოჩნდა.

ჟურნალის გვერდი უნეტესად 2 სვეტად იყოფა. სვეტის სიგანე 5
კვადრატი. გამოყენებულია „ვენის“ თეთრი კორპუსი. ტექნიკური გა-
ფორმების მხრივ სისადავე იგრძნობა. მეექვსე ნომერში გვხვდება სუ-
რათები: ლადო გუდიაშვილის „ქართული მოტივი“, კირილე ზდანევი-
ჩის „ესკიზი“ და „ავაზა“. ჩანს, კლიშეები არცთუ მაღალხარისხოვნად
მზადდებოდა. თვალში საცემია ერთი გარემოებაც: დარღვეულია აბზა-
ცების გამოყოფის ტრადიციული წესი.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალმა“ მცირე ხნით იარსება. ამის მიზეზი
სხვადასხვაა. უპირველესი ფინანსური შეჭირვება იყო. ქალაქი ძვირი
ღირდა, სტამბის ხარჯებიც თანდათან იზრდებოდა. გაძნელდა რედაქ-
ციის შტაბბინის შენარჩუნება და ა. შ. მხედველობაში მისაღებია მავან-
თა და მავანთა გამოხდომები და თვით რედაქტორის ბუნებაც. ამასთა-
ნავე, ბოლო ხანებში გალაკტიონს ავადმყოფობამ შემოუტია და ისიც
იძულებული შეიქნა, ჟურნალის გამოცემა შეეჩერებინა.

ცხრა ნომერი თითქოს ბევრი არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწი-
ნებთ მაშინდელ სიტუაციას და ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების
ხასიათს, დასკვნა უთუოდ პოზიტიური აღმოჩნდება.

ვიდრე ჟურნალის საბოლოო კვალიფიკაციას მოვახდენთ, ზედმეტი
არ იქნება გავიხსენოთ, როგორ შეხვდა საზოგადოება გალაკტიონის წა-
მოწყებას.

უფრო რე თავეკავება იგრძნობა. მხოლოდ ფაქტს აფიქსირებენ.
ტენდენციის პირდაპირ გამოხატვას ეკრძაღვიან. მაგალითად, გავით
„ტრიბუნა“ იუწყება: „გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, № 1.
ჟურნალში მოთავსებულია მასალები როგორც თვით პოეტის, აგრეთვე
სხვა ცნობილი მწერლებისა და პოეტების. ჟურნალი გამოდის ყოველ-
კვირეულად. № ღირს 30 ათასი მანეთი“⁴³.

როგორც ჩანს საზოგადოების ერთი ნაწილი კრიტიკულად განეწყო-
ეს ყველაზე რელიეფურად ვინმე „ონის“ ბიბლიოგრაფიაში გამომყ-
დავნდა. რეცენზენტის აზრით, გალაკტიონის ჩანაფიქრი ჩანაფიქრადვე
დარჩა. არავითარი გარდაქმნა, არავითარი სიახლე. „საერთოდ, ეს ჟურ-
ნალის დამცირებაა გალაკტიონ ტაბიძის სახელისა და ავტორიტეტის“⁴⁴.

⁴³ გაზ. „ტრიბუნა“, 1922, № 360.

⁴⁴ იქვე, № 378.



კრიტიკოსი რედაქტორს უდიდეს ცოდვად უთვლის ისეთი ავტორების მიზიდვას, რომელთა „უმრავლესობა გაჩენის პირველსავე წლებში ჩაძირულან უნიჭობისა და წვრილმანების ბსკერზე...“⁴⁵

რაც მთავარია, „ონს“ არც გალაკტიონის ლექსები მოსწონს. „ჩვენ ვფიქრობთ, გალაკტიონ ტაბიძე მეტის-მეტად „სეზონის პოეტი“ გამოდგა: იგი მაშხალასებურად ავარდა ჩვენი პოეზიის ჰორიზონტზე და ნაადრევად დაცხრა... დღეს იგი თავის ძველი ლექსების გადამღერებას უნდება...“⁴⁶

წერილში ღვარძლი მძლავრობს. ავტორი ცდილობს შეინიღბოს, მაგრამ გალაკტიონისადმი სიძულვილს მაინც ვერ მალავს.

მსგავსი შემოტევები აფორიაქებდა რედაქტორ-გამომცემელს და ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი ჟურნალის ადრე დახურვისა.

საბედნიეროდ, ასეთი ცალმხრივი და ტენდენციური მასალები მცირეა. თვით გალაკტიონს თუ ვერწმუნებით. ჟურნალს მკითხველთა მოწონება დაუმსახურებია. რედაქტორ-გამომცემელი „მადლობას უცხადებს ყველას, ვინც პირადად თუ წერილობით მიესალმა მისი ჟურნალის განოსვლას. გალაკტიონ ტაბიძე გამხნევებულია ჟურნალის არაჩვეულებრივი გამარჯვებით და იმედოვნებს, რომ შემდეგშიაც მას არ მოაკლდება საზოგადოების თანაგრძნობა“⁴⁷.

ისტორიის გადასახედიდან ძნელი არ არის „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ შეფასება. მან თვალსაჩინო კვალი გაავლო სამამულო პრესის ისტორიაში. ჟურნალი განახლების მებაირახტრე იყო. აწმყოს გარდაქმნისა და წინსვლის სულისკვეთებით ზრდიდა მკითხველებს.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალმა“ არა ერთი ბრწყინვალე ნაწარმოები გამოაქვეყნა და ხელი შეუწყო საზოგადოების გემოვნების დახვეწას, იდეურ ამაღლებას. იგი ევროპეიზმის ქართულ ინტერესებთან და ტრადიციასთან შერწყმის ორგანოდ გვესახება.

⁴⁵ გაზ. „ტრიბუნა“, 1922, № 378.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, № 3, გვ. 13.

ბალახების თანმიმ

შეხვედით, ან თუ
ქვეა ჩემი
მეზობელი
შეხვედით, თუ
მეზობელი
მეზობელი



* * *

ერთ საღამოს გალაკტიონი მესტუმრა. ვერ გამეგო თუ რა შეენიხვა, ვინ რა აწყენია, მაგრამ ძალზე აღელვებული მეჩვენა. ან სდუმდა, ან მოკლედ პასუხობდა ჩემს შეკითხვებზე. მთხოვა რამე დანიერა. მეც მივუჭექე როიალს და დავიწყე იმპროვიზირება. დავუკარი ჩემი რომან-სები, ხალხური სიმღერები. ამას მოჰყვა ნაწყვეტები ჩემი ოპერებიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „დინარა“. გალაკტიონი ხმაამოუღებლივ მისმენდა. ცოტას რომ შევისვენებდი, მთხოვდა — კიდეც, კიდეც რამე დაუკარი! მეც გატაცებით ვუკრავდი. ამასობაში შუალამემ მოაღწია. დავიღალე და დაკვრა შევწყვიტე. შევხედე გალაკტიონს და გავვოცდი, მხიარულად გამოიყურებოდა, თვალები უბრწყინავდა. გადამეხვია, მაკოცა, საწერ მაგიდას მიუჯდა და წერა დაიწყო. ორიოდ წუთში ექსპრომტად დაწერილი ლექსი გამომიწოდა და მითხრა:

— ჩემო დიმიტრი! ეს საღამო ჩემთვის დაუვიწყარია!..
საჩქაროდ გამომემშვიდობა და წავიდა.

დიმიტრი არაქოვნილი, კომპოზიტორი.

მოგვყავს გალაკტიონის ლექსი:

მსგავსი რამ მე არ მსმენია,
ეს ხმაა მზისა და ჩრდილის.
მააში ხმოვანებს გენია,
გენია არაყიშვილის.
იგი სულია — ივერთა,
სიმშვენიერის შიშველის,
ბრძოლისა და სიყვარულის
ხმათა მათ გაუთიშველის...
მადლობა, დიდი მადლობა...
ქართულმა ხმებმა მიშველეს.



დიმიტრი არაყიშვილი



* * *

...ბაკურიანში ვისვენებდით. ერთ მშვენიერ დღეს შემხვდა სტიქორი.

— რას შერები, როგორა ხარ? — მეკითხება.

— რაღა როგორა ვარ, მივდივარ.

— სად, თბილისში?

— ჰო...

— რა დროს თბილისია, შე კაი კაცო, ამ შუა ზაფხულს!

— რა ვქნა, ფული გამომელია და... უნდა გავბრუნდე. მოგეხსენებათ, მე ხშირად განვიციდი ხოლმე ფულის უქონლობას.

— რას ამბობ! — შესძახა ვიქტორმა, — რას ჰქვია ფული, შენ თვითონ ფული არა ხარ! მოდი ერთი შენი საღამო მოვაწყოთ, ეგეც შენი ფული. ხალხი არ მოვა, არ ვიცნობენ თუ რა!

მე უარზე ვიყავი:

— აბა აქ რა საღამო უნდა მოვაწყო, ან ვის სცხელა ახლა ლექსებისათვის!


გაგ აგონია? არ დამიჯერა:

— დაჯექე შინ. დღეს და ხვალ არ მოკვდები შიმშილით და მერე მე ვიციო, — მითხრა.

დატრიალდა, რა ცოცხალი კაცი იყო! ორ დღეში ჩინებული საღამო გამართ... აფიშებიც კი გამოუშვა, მართალია, ხელით ნაწერი, მაგრამ ძალიან ეფექტური. სულ წითელ-მწვანე უზარმაზარი ასოებით ეწერა: „გალაკტიონის საღამო“. გაივსო თეატრი... იმდენი ხალხი მოაწყდა. პროგრამაც საინტერესოდ იყო შედგენილი. სად იშოვა ეს ხალხი! ჰოდა, მშვენიერი პროგრამა გამოვიდა. ვიღაც ქალი მღეროდა, არ მახსოვს კი ვინ იყო. თვითონ ვიქტორიც გამოვიდა. წარმოიდგინეთ, კოტეს არია იმდერა „ქეთო და კოტედან“: — „ოჰ, რა კარგია სამშობლო ჩემი“.. ისე მოეწონათ, ბის-ზე უძახოდნენ, ძლივს გაუშვეს სცენიდან. მერე კიდევ ჩემს სიტყვებზე დაწერილი რომანსები იმღერეს... მერე მე წამაკითხეს ლექსები... გათავდა საღამო... გარეთ ხალხში გავერიე. მეკითხებიან, მთხოვენ, — კიდევ მოაწყვეთ ასეთი საღამოო. უცებ ვიქტორი მეძახის. პატარა გადანაყოფი ჰქონდა დარბაზს — სალარო, შევედი. ზის ვიქტორი, მაგიდაზე ხროვად ყრია ქაღალდის ფული...

— აჰა, — გამომიწოდა ვიქტორმა, — სულ შენია.

მე თავი მოვიკალი, — შუაზე გავყოთ-მეთქი და იქვე დავიწყე გაცოფდა. პირდაპირ შუაზე გავყავი რაც იყო, აბა, დათვლას ხომ არ შევუდგებოდი. თავი მოიკლა, რას ჰქვია გაცოთ, მე რა შუაში ვარ, შენი საღამო იყოო.



კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე



— კი მაგრამ, ხარჯები? — ვეკითხები.

— ხარჯები რა, ცოტაოდენი თეატრის ქირა გადავიხადეთ, სხვა რა ხარჯი იქნებოდა. რა შეწუხებაა, გავერთეთ და ის არის. არა, ძმობილო, ეს შენი სალამო იყო, შენი სახელით მოვიდა აქ ხალხი, ფულიც შენია, ჩემი სალამო რომ იქნება, ის სხვაა.

არას გზით არ დამთანხმდა. მთელი ფული თვითონ ჩამიტენა ჯიბეებში სიტყვებით:

— ახლა უსათუფდ გეყოფა ერთ ხანს და აღარ წახვალ.


იმ დამეს ვახშამი გადავიხადე, იქვე სადგურის დუქანში. ვინც მოვიხელთეთ მონაწილეთაგან, პატივი ვეცით. ისეთი კმაყოფილი იყო ვიქტორი, ბავშვივით უხაროდა.

ვახშამზეც ისეთი მხიარულება იყო, ისეთი კონცერტი გაიმართა, მგონი სალამოს ჯობდა. ვიქტორმა იმღერა, როგორ გაგვამხიარულა! მეც წამაკითხეს კიდევ ახალი ლექსები, რა დრო გავატარეთ... მართლაც თბილისში ჩამოსვლა აღარ დამჭირვებია და კარგა ხანს მეყო ის ფული... რა ცოცხალი, რა ხალისიანი კაცი იყო ვიქტორი. ისეთი მოძრავი, მოუსვენარი, პირდაპირ სიცოცხლის, სიხარულის განსახიერება.

— ას წელიწადს ვიცოცხლებო, — ამბობდა, — მე რა მომკლავსო...

დახეთ რა ადრე მოესპო წუთისოფელი, ვინ იფიქრებდა. მისი ამ ქვეყნიდან წასვლა დიდი, დიდი დანაკლისია ჩვენი მუსიკისათვის.

გალაბტიონ ტაბიძე



ყალბით
და
ფუხვით

უნაჯესი ხელნაწერი

როცა დიდი ხნით დახურული გავხსენი ყუთი,
ძველ ბარათებში აღარ იყო სიახლე ძველი,
მხოლოდ ზაფხულის სურნელება ვიგრძენ სათუთი
და შემოდგომის სიახლოვე ბურუსდამსხმელი.

აქ მეთორმეტე საუკუნის მძიმე წიგნები,
ყვითელ ქალღვრზე დაღალული ხელით ნაწერი!
ვიცი: მე მათთან მორევთან ნისლში ვიქნები,
როგორც ავდარში შუქი მკრთალი და აღმაცერი.

გაჰქრნენ ძვირფასი ანბანები: „ჩვენი ქვეყანა
მშვენი თვინიერ, ჰოი, ზღუათა და ხმელთა ზედა“,
მათში მარტოდენ ჩაქსოვილა მძინარე ნანა
აღმოუთქმელთა მწუხარებათ და სინაზეთა.

სერაფიმის ფრთა, სევდიანი ჩემი სანთელი
ამ ბარათებზე საუკუნო ალად ენთება!
გადივლის თვალწინ დროთა ბნელი კორიანტელი,
ჩუმად ვშლი ფურცლებს. სარკეებში ჩუმად თენდება.

ელენე ახვლედიანის წიგნის ილუსტრაციები

თანამედროვე ქართული წიგნის ილუსტრაციის განვითარებაში საკუთრივ გრაფიკოს მხატვრებს გარდა, ღვაწლი მიუძღვის სხვა დარგების წარმომადგენლებსაც — ფერმწერებსა და მოქანდაკეებსაც. ძველი თაობის მხატვართა შორის მათ რიცხვს მიეკუთვნება სახელმწიფო ფერმწერი—პეიზაჟისტი ელენე ახვლედიანი, მრავალმხრივი, ნაყოფიერი ოსტატი, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართული ხელოვნების ერთ-ერთ აქტიურ შემოქმედად გვევლინებოდა.

ელენე ახვლედიანი დაიბადა 1901 წელს, ქალაქ თელავში, სადაც იმ ხანებში მამამისი, სამხედრო ექიმი, დიმიტრი ახვლედიანი მსახურობდა. მომავალმა მხატვარმა ბავშვობის წლები თელავსა და მის მიდამოებში გაატარა. აქ აკეთებდა იგი თავის პირველ ჩანახატებს. განსაკუთრებული სიყვარული ამ ქალაქისა და, საერთოდ, კახეთის ბუნებისადმი მას სამუდამოდ დარჩა.

1919 წელს ელენე ახვლედიანმა პირველად გამოფინა თავისი ნამუშევრები ქართველ მხატვართა გამოფენაზე. 1922 წელს ის თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე შევიდა, სადაც მისი უშუალო ხელმძღვანელი გიგო გაბაშვილი იყო. პირველი კურსიდანვე იგი სტიპენდიანტად საზღვარგარეთ გაიგზავნა. ცხოვრობდა რომში, ფლორენციაში, ვენეციაში და მილანში, სადაც ბევრს ხატავდა ნატურიდან და ეცნობოდა მუზეუმების კოლექციებს, 1924 წელს კი პარიზში ჩავიდა. ელენე ახვლედიანის გარდა, ამ დროს პარიზში იმყოფებოდნენ ახალგაზრდა ქართველი მხატვრები დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი. პარიზის ინტენსიური, დაძაბული მხატვრული ცხოვრება საუკეთესო სკოლა იყო დამწყები მხატვრისათვის. ელენე ახვლედიანი ქეთევან მაღალაშვილთან ერთად კოლოროსის აკადემიის ე. წ. უპროფესორო კლასში დადიოდა. იგი განსაკუთრებით ბევრს ფერწერაში მუშაობდა და პარიზის სილამაზით მოხიბლული, ქალაქის უამრავ პეიზაჟებს ასრულებდა. ამავე დროს, სამშობლოს მონატრებული, ქმნიდა საქართველოსა და ძველი თბილისის პეიზაჟებს. სწორედ



ქართული პეიზაჟები გაგზავნა მან დამოუკიდებელთა გამოფენაზე და შემოდგომის სალონში. კრიტიკის მაღალი შეფასება დაინახა მის პერსონალურ გამოფენაზე წარმოდგენილმა ნამუშევრებმა, რომელთა უმრავლესობა აგრეთვე ქართული პეიზაჟები იყო.

1927 წელს ფერწერის ტექნიკას სრულად დაუფლებული და პროფესიული ცოდნით აღჭურვილი მხატვარი სამშობლოში დაბრუნდა. ამავე წელს მან საზღვარგარეთ ყოფნის დროს შესრულებული ნამუშევრები წარმოადგინა გამოფენებზე ჯერ თბილისში, შემდეგ კი ქუთაისსა და თელავში. მოღვაწეობის პირველსავე წლებში გამოვლინდა მისი ფერწერის მთავარი თემატური მიმართულება — პეიზაჟური ჟანრი.

ელენე ახვლედიანის სამყაროსადმი დამოკიდებულება პეიზაჟურ სურათებში ჰპოვებდა გამოსახვას. ბუნების სიყვარულით იყო შეპირობებული მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მთელი წყობა. ქართული პეიზაჟის ხატვით დაიწყო მისი შემოქმედებითი გზა, მთელს მის ცხოვრებას გასდევდა ბუნების ურიცხვი სურათები, რომელთა მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ მის ბიოგრაფიას, მის მოგზაურობებს, განცდებსა და გრძნობებს. ელ. ახვლედიანის მხატვრული სახეების ძირითადი წყარო საქართველოს ბუნების უსაზღვრო მრავალფეროვნება იყო: მთის ხეობების მკაცრი სილამაზე, ცად აზიდული მთები, რომელთა კალთებზე სოფლებია გაბნეული, შორეული ლურჯი მთების ქედები, აყვავებული ველები, ძველი ცხოველხატული ქალაქები, ეკლესიები და ციხე-სიმაგრეები. ბუნების სურათებს ერწყმოდა მისი საკუთარი, შინაგანი სულიერი მდგომარეობა, რომელიც ხშირად განაპირობებდა, როგორც მოტივის შერჩევას, ასევე მის ხორცშესხმას. ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მხატვარმა გარკვეული ევოლუცია განიცადა, რაც მის სურათების ფერადოვან გამასა და სივრცის აგებისადმი დამოკიდებულების ცვლილებაში გამოვლინდა. ეს ევოლუცია ძირითადად ქართული სახვითი ხელოვნების საერთო განვითარების ეტაპებს შეესაბამება.

ელენე ახვლედიანის მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. 1928 წელს კოტე მარჯანიშვილმა იგი მხატვრად მიიწვია თავის თეატრში. თეატრში მუშაობა მან მთელი სიცოცხლის მანძილზე გააგრძელა და დიდი ღვაწლი დასდო ქართული სცენოგრაფიის განვითარებას. მნიშვნელოვანია აგრეთვე წვლილი, რომელიც მხატვარმა ქართული წიგნის ილუსტრაციის დარგში შეიტანა. მისი შემოქმედების მრავალმხრივობა განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა რეტროსპექტულ დიდ გამოფენაზე, რომელიც 1960 წელს მოეწყო თბილისში.



ელენე ახვლედიანი საქართველოს მხატვრული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრთაგანი და კულტურის დარგში მრავალწლოვანი წამოწყების სულისჩამდგმელი იყო. მის შემოქმედებასა და ცხოვრების ყაიდაში, წყობაში თავს იჩენდა მისი გამორჩეული ნიჭიერება და პიროვნული თვისებები, მკაფიოდ გამოვლენილი შემოქმედი ადამიანისა და მოქალაქის ღირსების გრძნობა, დამოუკიდებელი ხასიათისა და პოეტურობის შერწყმა, რაც განსაკუთრებულ მიზიდველობას, ხიბლს ანიჭებდა მის პიროვნებას და ქართული ეროვნული კულტურისათვის მის მნიშვნელობას ზრდიდა. ელენე ახვლედიანის სახელოსნო წარმოადგენდა კულტურის კერას, სადაც ის ხშირად აწყობდა როგორც საკუთარი, ასევე სხვა მხატვრების გამოფენებს. აქ იკრიბებოდნენ არა მარტო სხვადასხვა თაობის მხატვრები, არამედ მუსიკოსები, მწერლები და მეცნიერები. ამ სახელოსნოში გამართული გამოფენები და კონცერტები სულიერების ატმოსფეროს ქმნიდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. 1975 წელს, როცა გარდაიცვალა მხატვარი, აქ დაარსდა სახლ-მუზეუმი, რომელიც ამჟამად მრავალ მნახველს იზიდავს.

წიგნის გრაფიკის დარგში ელენე ახვლედიანი განსაკუთრებით ინტენსიურად 1934—1937 წლებში მუშაობდა, როცა „სახელგამთან“ არსებული საბავშვო ლიტერატურის სექტორის მთავარი მხატვარი იყო. თუმცა აღსანიშნავია, რომ წიგნის ილუსტრაციას ის შემდეგაც მიმართავდა. საბავშვო წიგნებისა და ჟურნალების გაფორმება XX საუკუნის დასაწყისიდან იზიდავდა ქართველი მხატვრების ყურადღებას — საზოგადოებას კარგად ჰქონდა შეგნებული სათანადოდ გაფორმებული წიგნის არა მხოლოდ მხატვრული, არამედ შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. 1920—1930-იან წლებში წიგნის გაფორმებაზე უკვე რამდენიმე მხატვარი მუშაობდა, მაგრამ წიგნის ბეჭდვის დაბალი პოლიგრაფიული დონე აფერხებდა ილუსტრირებული წიგნების გამოცემას, განსაკუთრებით იშვიათი იყო ფერადსურათებიანი წიგნები. ელენე ახვლედიანის ილუსტრაციების უმეტესობაც წმინდა გრაფიკული საშუალებებით შავ-თეთრითაა შესრულებული, უმთავრესად კალმითა და ტუშით. იგულისხმებოდა, რომ ამგვარი ნახატების დაბეჭდვა უფრო მარტივია. მაგრამ სამწუხაროდ, გამოცემული ნახატები ბეჭდვის დაბალი ხარისხის გამო დიდად ჩამოუვარდება ორიგინალებს. ელენე ახვლედიანისათვის კალმით და ტუშით, ფანქრით ნახატების შესრულება უცხო არ იყო. ადრეული ნახატები და სწრაფი ჩანახატები, რომლებიც ამჟამად სახლ-მუზეუმშია დაცული, უმთავრესად ფანქრითაა შესრულებული. რა თქმა უნდა, შემონახულია ნამუშევრების მცირე ნაწილი, რად-

გან მხატვარს ახალგაზრდობაში, ისევე როგორც შემდეგ (როცა უკვე სახელმწიფოებრივი მხატვარი გახდა) თავისი ნამუშევრების გახატვას უყვარდა. ის გატაცებით ხატავდა პატარა ჟანრულ სცენებს, მათი სიუჟეტების შერჩევა და შესრულებაც მხატვრის ხედვის სიმახვილეს, ზოგჯერ კი იუმორის გრძნობას ამჟღავნებს. ის ხატავდა პეიზაჟებს, გლახებს, რომლებიც სხვადასხვა სამუშაოთი არიან გართული, ზოგჯერ ასრულებდა პორტრეტებს. ზოგი ჩანახატის პერსონაჟები მისი მეგობრები და ოჯახის წევრები იყვნენ. მას ჩანახატების გაკეთება უყვარდა შემდეგშიც, როცა უკვე მოწიფული მხატვარი იყო. ზოგჯერ წინასწარი ფანქრით ჩანახატები დამხმარე ნახატები იყო, რომელთა საფუძველზე სრულდებოდა ფერწერული ნამუშევრები, ზოგ შემთხვევაში კი ეს იყო დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობის მქონე ნამუშევრები.

ელენე ახვლედიანის ილუსტრაციებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელია ნახატების სერია მარკ ტვენის ნაწარმოებისათვის „ტომ სოიერის თავგადასავალი“. ამ ნაწარმოების 1935 წლის გამოცემა თავის დროზე ბავშვებს, და ალბათ, მოზრდილებსაც იზიდავდა მხატვრის მეტყველი, ცოცხალი ნახატებით. დამახასიათებელია, რომ ელენე ახვლედიანმა გაიაზრა წიგნის, როგორც მთლიანი ორგანიზმის, მხატვრული სახე. საკუთრივ ილუსტრაციების გარდა შეასრულა ყდა, სატიტულო ფურცელი, ფრონტისპისი. ნახატები ტუშითა და კალმით, ლაღად და თავისუფლად გაკეთებული. როგორც ჩანს, მხატვარი ხალისით, გატაცებით მუშაობდა და შეასრულა გაცილებით მეტი ნახატი, ვიდრე წიგნშია შესული. ამ ნახატებს, ისევე როგორც მხატვრის მიერ შესრულებულ სხვა ილუსტრაციებს, თბრობითი ხასიათი აქვთ. დასასურათებლად ამოკრებილია გმირის თავგადასავლის წარმოსადგენად მნიშვნელოვანი ეპიზოდები, წინაა წამოწყებული ნაწარმოების სათავგადასავლო ხასიათი და ხაზგასმულია სასაცილო, თავშესაქცევი მომენტები.

ტომ სოიერის თავგადასავლის საკვანძო ეპიზოდებისათვის ცალკე გვერდზე მოთავსებული, შედარებით, დიდი ზომის ნახატებია გაკეთებული. მათი კომპოზიციები დასრულებულია, ნახატი კი დამტრისვით გულმოდგინედაა დამუშავებული. უფრო მცირე ზომის ნახატები ტექსტიან გვერდზეა ჩართული სხვადასხვა ადგილას და მათ სწრაფი ჩანახატების სახე აქვთ. ასეა დახატული ცალკეული პერსონაჟები სხვადასხვა სიტუაციაში, ან მათი პორტრეტები. ზოგ შემთხვევაში დიდი კომპოზიციიდან ამოღებულია რაიმე დეტალი და დამატებით, პატარა ნახატშია გათამაშებული. მხატვარი ყურადღებას ამახვილებს მწერლის მიერ გაკვრით მოხსენიებულ ან მხოლოდ ნაგულისხმევ, მაგრამ გრაფიკულ ხორც-



შესხმისას ფრიად მომგებიან, მეტყველ დეტალებზე. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მხატვარი ამ ნახატებს უშუალოდ კითხვის პერიოდში ხატავდა და მკითხველიც მისი თანამოზიარე ხდება—ნახატებს აღივამს ტექსტის წაკითხვისას. ტექსტის სათანადო ადგილებში ნახატების თავისუფლად განლაგება წიგნის გვერდს ანიჭებს მრავალფეროვნებასა და სიცხოველეს, რომელიც მოზრდილთათვისაც, განსაკუთრებით კი ბავშვებისთვის მიმზიდველია.

გმირების ოდნავ სტილიზებული, მაღალი თხელი ფიგურები ექსპრესიულია, ხოლო პერსონაჟები გროტესკის ზღვარზე მისული სიმკვეთრითაა დახატული. ილუსტრაციებში კარგადაა ნაჩვენები გარემო, რომელშიც წიგნის გმირები ცხოვრობენ — ძველი, პროვინციული, მყუდრო ქალაქის ატმოსფეროა შექმნილი. გულდასმით ხატავს მხატვარი საცხოვრებელი სახლების ინტერიერებსა და ყოფის ამსახველ საგნებს, ეპოქისა და გმირების ხასიათების შესაბამის კოსტიუმებს. დაწვრილებითაა დახატული ტომისა და მისი მეგობრების ტანსაცმელი, (მაგალითად, ბეკის კაბაზე თითოეული ვოლანია დახატული); დეიდა პოლის კაბა და თავსამკაული და სხვ... ამგვარი დეტალიზაცია ისევე, როგორც ამავე პერიოდის ფერწერულ ნამუშევრებში, ელენე ახვლედიანს მთლიანობის შენარჩუნებაში არ უშლის ხელს. სხვადასხვა ხასიათის დაშტრიხვის გამოყენებით ნახატის შავ-თეთრი ლაქების რიტმული განლაგება იქმნება, რაც აძლიერებს ექსპრესიულობასა და თავისებურ, გრაფიკულ დეკორატიულობას ქმნის. სხვადასხვა საინტერესო დეტალის საგანგებო დამუშავება თითოეული ნახატის ხანგრძლივი დათვალიერების აუცილებლობას ბადებს, რაც შეესაბამება ბავშვის მოთხოვნილებას მრავალგზის დაუბრუნდეს წაკითხულ ამბავს. ტიპაჟის გროტესკული ხასიათი მხატვრის იუმორის გრძნობასა და სიუჟეტის განცდის სიმახვილეს მოწმობს, რაც კარგად შეესატყვისება მარკ ტვენის განთქმული ნაწარმოების საერთო განწყობილებას.

ამავე პერიოდშია შესრულებული ილუსტრაციები დავით კასრადის პოემისათვის „ქალბებელა“. ნაწარმოების ზღაპრული სიუჟეტი პერსონაჟთა ხასიათების სოციალურად გამიზნულ დახასიათებას შეიცავს, რაც მხატვრის ნახატებშიც მკაფიოდაა ასახული. ამასთანავე ნაწარმოების ზღაპრულობა მხატვარს საშუალებას აძლევს ნახატების პირობით გადაწყვეტას მიმართოს და გააძლიეროს მათი დეკორატიულობაც. ამჯერად უფრო მკაფიოდ მქლავნდება ფორმათა სტილიზაციის ტენდენცია, რომელიც მაყურებელს ახსენებს ამავე პერიოდში ლადო გულიაშვილის მიერ შესრულებულ გრაფიკულ ნამუშევრებს. ამჯერადაც

გმრ-
მკვლევართა
საქართველოს
საქართველოს

მხატვარი გატაცებით ხატავს გარემოს, რომელშიაც მოქმედებენ გმრ-
რები. ნახატების აქტიურ ელემენტად გვევლინება საქართველოს მკვლევართა
ყი: მაღალი მთები, მათ კალთებზე აყოლებული დაკლაკნილი გზებით და
ციხე-სიმაგრეები. ეს არაა რაიმე კონკრეტული პეიზაჟები, არამედ ხაზ-
გასმით „გამოგონილი“ პეიზაჟებია, რაც ლიტერატურული ნაწარმოების
ხასიათსაც შეესაბამება და ნახატების დეკორატიულ გადაწყვეტასაც.
კოსტიუმების თავისებურების ხაზგასმა ხელს უწყობს მხატვარს პერ-
სონაჟების ხასიათებისა და მათ შორის სოციალური სხვაობის ჩვენე-
ბაში. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, თუ როგორ მკაფი-
ოდ ავლენდა ელენე ახვლედიანი თეატრალურ კოსტიუმების ესკიზებ-
შიც პერსონაჟთა ხასიათის ნიშნებსა და ითვისისწინებდა იმ მსახიობე-
ბის თვისებებსაც, ვისთვისაც ეს ტანსაცმელი იყო განკუთვნილი. კომ-
პოზიციის აგებისას მხატვარი პლანების მკვეთრ დაპირისპირებას იყე-
ნებს. პირველ პლანზე მოთავსებულ ფიგურებს უპირისპირებს მეორე
პლანზე მოცემულ გარემოს ან მკვეთრად შემცირებულ ფიგურებს და
გამომხატველ, დინამიკურ ნახატებს ქმნის. ის ოსტატურად მიმართავს
შავისა და თეთრი ზედაპირის, ან სხვადასხვაგვარად დამუშავებული და
სრულიად შავით დაფარულ ფურცლის ზედაპირების კონტრასტებს. ამ
კომპოზიციებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრივ ხაზს, მის დი-
ნებას, როგორც ფორმათა პლასტიკურობის, ფიგურების მოძრაობის გა-
მოვლენისთვის, ასევე დეკორატიულობის შესაქმნელად. დახვეწილი ხა-
ზოვანი ნახატით შესრულებულ გამოსახულებების შავ ზედაპირზე გან-
ლაგებით განსაკუთრებული მეტყველებაა მიღწეული. ამ თვალსაზრისით
აღსანიშნავია ილუსტრაცია „ცეკვა ქართული“ და ფურცლები, რომელ-
ზეც წარმოდგენილია პოემის ეპიზოდები, როცა ჯადოსნური წკებლა
სამართალს ამყარებს და სასახლეში მეფესა და მის კარისკაცებს დაე-
რევა, აირევა აგრეთვე ცხოველთა, ფრინველთა და ქვეწარმავალთა სამ-
ყარო. ნახატის გასაოცარი სიზუსტე და დეტალების ვირტუოზული შეს-
რულება ერთდროულად დამაჯერებლობასა და ფანტასტიკურ, ზღაპრულ
ხასიათს ანიჭებს ამ კომპოზიციებს.

ასევე ტუშითა და კალმითაა შესრულებული ნახატები ვიქტორ ჰი-
უგოს რომანისათვის „კაცი, რომელიც იცინის“, მაგრამ კალმით ნახატს
მხატვარი ლურჯი ტონის გუაშით დაფერვას უფარდებს და გრაფიკულ
ნახატში თავისებური ცხოველხატულობა შეაქვს.

საილუსტრაციოდ ეპიზოდების შერჩევა და მათი გრაფიკული ინტერ-
პრეტაცია ვიქტორ ჰიუგოს რომანის საერთო რომანტიკულ განწყობი-
ლებასა და მკვეთრად დაპირისპირებულ ხასიათების განსაზღვრისკენაა



მიმართული. ეპიზოდები შერჩეულია იმგვარად, რომ ხაზგასმულია სიუჟეტის საკვანძო მომენტები, სიტუაციის დრამატიულობა, ან ნაწილების სახასიათო თვისებები. მხატვარი ნახატებში გმირების ურთიერთ დამოკიდებულებას აჩვენებს, ზოგჯერ კი ცალკე გამოაქვს რომელიმე მათგანის გამოსახულება. ცალკე ნახატი ეძღვნება გუიმპლენის თავგადასავლის ეპიზოდს, როცა პორტლენდიდან მიმავალი ბავშვი კლდეზე, უფსკრულის პირას ჩამოხრჩობილ კაცის გვამს წააწყდება, ან გუიმპლენი ქალაქის უკაცრიელ ქუჩაში, სადაც არავინ უღებს სახლის კარს. ამ კომპოზიციების განწყობილებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზამთრის პეიზაჟს. პირველ შემთხვევაში მიუსაფარი, მკაცრი კლდეებია, რომელთა ცისფერით დაფერვით მხატვარი აღწევს თოვლიანი გარემოს შექმნას, რომელშიც განსაკუთრებით უმწეოდ გამოიყურება ბავშვის ფიგურა. მეორე შემთხვევაში გამოსახულია ძველი ევროპული ქალაქი და სიღრმეში მიმავალი ქუჩა ცხოველხატული მაღალსახურავებიანი სახლებით. აქ ერთ-ერთი სახლის კართან ბავშვი დგას. ვარდნილი ცისფერი ჩრდილები თოვლის საფარის და სიცივის შთაბეჭდილებას ქმნის და ისევ ხაზგასმულია ბავშვის უმწეობა, მისი მდგომარეობის დრამატიულობა. თოვლიანი პეიზაჟის ფონზეა გამოსახული ურსუსი და მისი მგელი ჰომო, ხოლო გმირის ზურგს უკან მოჩანს ფურგონი, რაც მიუთითებს მის მოხეტიალე ცხოვრებასა და მარტივ ყოფაზე. ამგვარი, ერთი ნახატით მხატვარი მოგვითხრობს მთელ ამბავს პერსონაჟის შესახებ.

ცალკეა გამოსახული გუიმპლენი სცენაზე, რომელსაც უპირისპირდება მასყურებელთა მხიარული ბრბო. მკვეთრადაა დახასიათებული დედოფალი ანა, რომლის „პორტრეტი“ ზუსტად შეესაბამება მწერლის მიერ მოცემულ მისი გარეგნობის აღწერილობას. გროტესკული გამომხატველობით გამოირჩევა დიდკაცების ჯგუფი, რომელიც დასცინის გუიმპლენს. საინტერესოა, რომ მხატვარი ხატავს მხოლოდ მოხარხარე კაცების ჯგუფს. ამ ილუსტრაციების შექმნისას ასევე ზედმიწევნითაა გათვალისწინებული რომანში წარმოდგენილი ეპოქისათვის დამახასიათებელი გარემოსა და კოსტიუმების თავისებურება. აქაც გმირების ხასიათს, საზოგადოებაში მათ ადგილს მკაფიოდ აჩვენებს მათი ტანსაცმელი. შემორჩენილია კოსტიუმების ზოგიერთი დეტალების ცალკეული ჩანახატები. ასეთია მაგალითად, დედოფალ ანას კაბის მაღალი და ფართო საყელოს ჩანახატი.

ლურჯი ტონის გამოყენება თავისებურებას ანიჭებს ამ ნახატებს. ლურჯი ხან ფიგურების აქცენტირებისთვისაა გამოყენებული, ხან კი ცას ან მიწის თოვლიან ზედაპირს გამოსახავს. ზოგჯერ ლურჯით დაფე-





რილია სასახლეში ჩამოფენილი დრაპირება, ლურჯითვე მოცემულია ვარდნილი ჩრდილები. გარდა წმინდა სახვითი მნიშვნელობისა და ფერისა მ ილუსტრაციებში ცხოველხატულობის ელემენტი შემოაქვს. მხატვარი შავ-თეთრი ნახატის, ლურჯი ლაქებით და ფურცლის თეთრი ზედაპირის შეფარდებით წიგნის ფურცელს დაკორატიულობას ანიჭებს.

სრულიად განსხვავებულია შესრულების ტექნიკა, რომელსაც მხატვარი მიმართავს ილუსტრაციების სერიაში ჰენრი ლონგფელოს ნაწარმოებისთვის „ჰაიავატას სიმღერა“ (1927). მხატვარი ამჯერად ნაწარმოების ეპიკური ხასიათისა და ლეგენდის სილამაზის გადმოცემას ისახავს მიზნად. პოემაში მოთხრობილია ამერიკის მკვიდრთა შესახებ, კოლუმბის მიერ ამ კონტინენტის აღმოჩენამდე და იროკეზების ძლიერი ტომის წარმომადგენლის ჰაიავატას თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლის ამბავი.

ილუსტრაციები ცალკე გვერდებზეა მოთავსებული და მათთვის სიუჟეტების ამორჩევა გარკვეულ კანონზომიერებას ემყარება. თითოეული თავისთვის ერთი ნახატია გაკეთებული, რომელშიც ასახულია ამ თავში მოთხრობილი ჰაიავატას ამბის მთავარი ეპიზოდი. მაგალითად, ზავის ჩიბუხი, ჰაიავატას ბავშვობა, ჰაიავატას თევზაობა და სხვ. მხატვარი პოემის ავტორის თხრობას მიყვება და ტომთა ზნე-ჩვეულებების, ნადიმების, დღესასწაულების აღწერის მიხედვით, თავისი წარმოსახვით ქმნის ამ ილუმალებით მოცულ სამყაროს შესაბამის ნახატებს. ილუსტრაციებში დიდი ადგილი ეთმობა პირველყოფილი, ველური ბუნების სურათებს გაუვალი ტყეებით, მდინარეებითა და ტბებით. პეიზაჟის ეგზოტიკა ხაზგასმულია ფერადოვანი გადაწყვეტით. გუაშით შესრულებული ნახატები დაფარულია ლაქით, რაც ფერებს თავისებურ სიხასხასეს ანიჭებს.

წიგნის ყდაზე მხატვარმა გამოსახა ინდიელი, რომელსაც ისრის გასასროლად მშვილდი აქვს მოზიდული. ფიგურის მუქ სილუეტს ყდის თითქმის მთელი ზედაპირი უჭირავს. იგი დახატულია მოყავისფრო მთების ფონზე და იქმნება გამომხატველი კონტრასტი მუქ ფიგურასა და ღია ფერის ფონს შორის.

1930-1950-იან წლებში ელენე ახვლედიანი ასურათებს ქართველი მწერლების ნაწარმოებთა გამოცემებს, რომელთა რიცხვს ეკუთვნის ილო მოსაშვილის „როზგა ჩაფარი“, ეგნატე ნინოშვილის „მოსე მწერალი“, სოფრომ მგალობლიშვილის „ჯორჯაქარა“, ვაჟა-ფშაველას პოემების და მოთხრობების რუსულ ენაზე თარგმანის გამოცემა და ვაჟა-ფშაველას „საბავშვო მოთხრობები“ (ნახატები ტუშით და კალმითაა შეს-



რულებული, ზოგ შემთხვევაში გაზავებული ტუშია გამოყენებული ილუსტრაციები თვალსაჩინოდ ავლენენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ყოფის საფუძვლიან ცოდნას, ხოლო პეიზაჟის თავისებურების ხაზგასმა გამომხატველობასა და დამაჯერებლობას ანიჭებს მხატვრის ნახატებს. თავისი მხატვრული ღირსებებით განსაკუთრებით გამოირჩევა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებისათვის შესრულებული ნახატები, რომლებიც მოწმობენ თუ რა გულდასმით წაიკითხა მხატვარმა ტექსტი და გაითვალისწინა პოეტის შემოქმედების სპეციფიკა. ის, რომ მხატვარი პეიზაჟისტი და ვაჟა-ფშაველას გმირების გარემო მისი შემოქმედების წყაროა, ამ ილუსტრაციებს თავისებურ დამაჯერებლობასა და უტყუარობას ანიჭებს. მთის პეიზაჟები ძალიან ხშირად გმირთა ფიგურების ფონს წარმოადგენს, ზოგ შემთხვევაში კი მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ და თავის განწყობილებით ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა საგმიროლირიკულ ხასიათს შეესაბამებიან.

ვაჟა-ფშაველას პოემების დასურათებისას, ისევე როგორც სხვა ილუსტრაციებში, მხატვარი თავისი ნახატისთვის ირჩევს მოქმედების დრამატული განვითარებისთვის მნიშვნელოვან ეპიზოდებს. მაგალითად, გოგოთურისა და აფშინას შეხვედრა, ზვიადაურის შეპყრობა, გოდერძის სიკვდილი და სხვ., მხატვრის მიერ ხალხური ხელოვნების ნიმუშების, საქართველოს მთის ყოფის ღრმა ცოდნა მას საშუალებას აძლევს, ყოველგვარი ეთნოგრაფიზმის გარეშე, სათანადო კოლორიტი, ატმოსფერო შექმნას. ცალკე გვერდზე გამოტანილ კომპოზიციებს ეხმიანება სიუჟეტური თავსართები და ბოლოსართები. მათ შორის ჟანსაკუთრებით მეტყველია ის კომპოზიციები, სადაც გმირების მცირე ზომის ფიგურები პეიზაჟთან ორგანულადაა შერწყმული. ასეთია მაგალითად, ბოლოსართი „აღუდა ქეთელაურისათვის“ — აღუდას ოჯახი სტოვებს სოფელს. თავსართებისა და ბოლოსართების სიუჟეტები ამდიდრებს, ავსებს ცალკე გვერდზე მოთავსებულ ნახატების თხრობას. ამ ნახატების ფორმატის შეცვლით, წიგნის გვერდზე მათი ადგილისა და ტექსტიან გვერდთან მიმართების ოსტატური გააზრებით მხატვარი მათ წიგნის განუყოფელ დეკორატიული ელემენტის მნიშვნელობას ანიჭებს.

განსაკუთრებით გამომხატველია და მრავალფეროვანი ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველას მოთხრობებისათვის, რომლებზედაც მხატვარი დიდხანს მუშაობდა, ზოგჯერ ერთსა და იმავე კომპოზიციის ვარიანტებს სხვადასხვა მასალით აკეთებდა. რუსულ ენაზე პოეტის მოთხრობების გამოცემას (1959) წინ უსწრებდა „საბავშვო მოთხრობების“ გამოცემა (1951). როცა ამის საშუალება ეძლეოდა, ილუსტრაციების გარდა, მხატ-



ვარი სიამოვნებით ასრულებდა წიგნის ერთიან გაფორმებას, სწორედ ასეა გაფორმებული ვაჟა-ფშაველას „საბავშვო მოთხრობები“. უკვე გამოტანილია „შვლის ნუკრის ნაამბობის“ ფერადი ილუსტრაცია. ყვითელ ფონზე, დიდი ხის ძირში მწვანე მდელიოზე შვლის ნუკრია გამოსახული, ხოლო ტოტებს შორის წარწერებია განლაგებული. (ფერადი ბეჭდვის დაბალი ხარისხი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს თუ რატომ ამჯობინებდა ფერმწერი მხატვარი შავ-თეთრი ნახატების შესრულებას). სატიტულო ფურცელზე კალმითა და ტუშით პეიზაჟური მოტივია გამოსახული — პირველ პლანზე აღმართულ ხეებს უკან მოჩანს შორეული მთების ქედები. პეიზაჟში დეკორატიულად შეჭრილია წარწერებიანი არეები.

თითოეული მოთხრობა საკმაოდ დიდი ზომის, თითქოს ხეზე ამოკვეთილი, კაშმული ასოთი იწყება, რასაც მიანიშნებს მისი მოხაზულობა და მერქანის ნახატი. ეს ასოები ჩასმულია სიუჟეტურ კომპოზიციებში. ჩვეულებრივ გამოსახულია პეიზაჟები, ან მოთხრობის პერსონაჟები, რომელთაგან განსაკუთრებით გამოჩნატველია ცხოველები.

ცალკე გვერდებზე მოთავსებული ილუსტრაციები ასურათებენ მოთხრობების კონკრეტულ ადგილებს, რაც ხაზგასმულია იმითაც, რომ მათ შესაბამისი ტექსტი აქვთ დართული. ელენე ახვლედიანი მოთხრობების ილუსტრაციებში განსაკუთრებით ხშირად მიმართავს პეიზაჟს, რაც შეპირობებულია მოთხრობების შინაარსით და მხატვრის მოწოდებითაც. პეიზაჟები ზუსტად შეესაბამება მოთხრობაში მოცემულ ბუნების აღწერას. მაგალითად, მოთხრობისათვის „მთის წყარო“ ნახატი ასურათებს შემდეგ სტრიქონებს: „...რა კარგი მეგობრები მყვანან გვერდსა: აი ჯერ ეს ლოდები, სქლად მწვანე ხავსი რომ გადაჰკვრია; აი კიდევ ჩემს თავზედ პირყვითელი კლდე რომ დაყუდებულა და მიცქერის“... მხატვარს დახატული აქვს უღრანი ტყე, რომლის სიღრმიდან წყარო მოედინება, კლდეები და სხვ.

— მოთხრობის „ბუნების მგონები“ სტრიქონებს: „...მშვენიერი იყო შაშვის გალობა, ძალიან უხდებოდა მისი გალობა მთის ფხიდან შუბის წვრად გამოძახულ სხივებს, ტყეში, ხეობაში დაფანტულ-დაქსაქსულსა“... ნახატზე პირველ პლანზე ბუდესთან ჩამომჯდარი შაშვია, სიღრმეში კი გადაშლილია პეიზაჟი ტყიანი ხეებით, ამომავალი მზეცა და წყვეტილი ხაზებით მზის სხივებიცაა დახატული. მოთხრობისათვის „გაველდა ცხვარი“ გაკეთებულია ილუსტრაცია, რომელიც ასურათებს შემდეგ სტრიქონებს: „...ბალახით მოჯერებულნი შველი და ცხვარი გვერდის-გვერდ იდგნენ, ტყით შემორტყმულ კალოს ოდენა ტიტველ სერზე და ხარბად ჰსვამდნენ საღამოს მთიდან მონაბერ ნიავს“... პირველ



პლანზე ხეებს შორის დგანან ცხოველები, რომლებიც კორპუსებიც მარათულნი არიან სიღრმისკენ, სადაც ჯერ ტყით შემოსილი, უფრო შორს კი თოვლიანი მთები მოჩანს. მხატვარი ასევე დიდი ყურადღებით კითხულობს ტექსტს და ზუსტად მიყვება მის მონაცემებს, როცა პერსონაჟების ხასიათებს, მათ გარეგნობას ასახავს. მოთხრობისათვის „ცრუბენ-ტელა აღმზრდელი“ გამოსახულია ტყის პირას ჩამომჯდარი მოხუცი კაცი, რომელიც თავის ამბავს უამბობს მის გარშემო შეკრებილ ბიჭებს: „ტანზე თხის ტყავი ემოსა, თავზე წოწოლიკა თხისავე ტყავი ეხურა, სახე მოღუშული ჰქონდა, არასდროს არ გაიცინებდა“. ამ მოთხრობის კაზმული ასოს ნახატშიც ციხელის სახეა მოცემული.

დახასიათების სიმკვეთრით გამოირჩევა ელენე ახვლედიანის მიერ დახატული ცხოველთა გამოსახულებები, რომლებიც ზუსტად და ცოცხლადაა შესრულებული. ზოგჯერ მხატვარი ცხოველების მოძრაობასა და მიმოხვრას ადამიანისას ამსგავსებს, რაც კარგად შეესაბამება ვაჟა-ფშაველას მოთხრობების ხასიათს. ასე, მაგალითად, ილუსტრაციაში ზღაპრისათვის „დათვი“ თვითკმაყოფილებასა და მედიდურობას გამოხატავს ხის ძირში წამოწოლილი დათვის პოზა, რომლის წინ, უკანა ფეხებზე კაცებივით დგანან მგლები და გამარჯვებას ულოცავენ. მხატვარს განსაკუთრებით აინტერესებდა მგლების ხროვის დახატვა თოვლიან ზამთარში ტყეში. მოთხრობისათვის „ამოდის, ნათდება!“ მგლები და თოვლიანი ტყეა მოცემული კაზმულ არის კომპოზიციაშიც, ილუსტრაციაში კი მგლების ხროვა გამოსახულია მთვარიანი ღამის პეიზაჟში, სადაც თოვლის ზედაპირის გამოსახატავად მშვენივრადაა გამოყენებული დაუმუშავებლად დატოვებული თეთრი ქალღმერთის ზედაპირი. ვაჟა-ფშაველას მოთხრობისათვის „სურათები (სოფლის ცხოვრებიდან)“ გამოსახულია მგლების ორი ხროვა, რომელთა მოძრაობის ხასიათი სხვადასხვაგვარია. პირველ პლანზე მოთავსებული მგლები თითქოს ერთმანეთს უღრენენ, სიღრმეში კი მთვარის შუქით განათებულნი — ყმუიან, რაზეც მათი სპეციფიკური პოზები მეტყველებს. ეს კომპოზიცია გაზავებული ტუშითაა შესრულებული და პეიზაჟის სივრცობრიობა რელიეფის რბილი დამუშავებით, მთვარის შუქის, ვარდნილი გრძელი ჩრდილების თავისებურებითაა ხაზგასმული. მგლების ჯგუფის განლაგებაც (პირველ პლანზე და მოშორებით, სიღრმეში) ხელს უწყობს, დამაჯერებლობას ამიჭებს პეიზაჟის სივრცობრივ აგებას (ეს ნახატი მოთხრობების რუსულ გამოცემას აქვს დართული). ასევე მეტყვევია ამავე თემაზე ფანქრით გაკეთებული კიდევ ერთი კომპოზიცია, „როზგა-ჩაფარისათვის“.

მხატვარს ძალიან ეხერხებოდა წრუწუნების ხატვაც, რომლებიც ნა-



ხატი ფილმების პერსონაჟებივით „ცოცხლები“ არიან. მოთხრობის სტილის „სათაგური“ დასურათებულია მომენტი, როცა „...სათაგური გადმოიღო და აი საკვირველება! მთელი აკიდო თავგებისა თან გადმოყვა“... ილუსტრაციის თავგები თავისი თვისებებით განსხვავდებიან — ვაჟა-ფშაველას მოთხრობაშიც მათ ხომ შესაბამისი სახელებიც ჰქვიათ: ცელქა, ფხოვრია, ცქმუნა, კუდა, ეცა, ბეცა და სხვ. საერთოდ ეს კომპოზია ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია. გამომხატველია სათაგურიანი ქალის ფიგურაც და ერთიმეორეზე ახუნძლული წრუწუნებიც. მხიარული და ლაღია მთავარი პერსონაჟი ამბისა, რომელსაც პაპა უამბობს თავის შვილის შვილს მოთხრობაში „მელია კუდაგრძელია“. ელენე ახვლედიანმა მელია ცხენზე ამხედრებული და იარაღში ჩამჯდარი დახატა. მას თათი მისალმების ნიშნად აქვს აწეული და მაყურებლისკენ იყურება კბილების კრეჭით — თითქოს იღიმება. დაწვრილებითაა დახატული უამრავი დეტალი, რომელიც მწერალს ნახსენები აქვს. და ისეთიც, რომელიც ნაგულისხმევია: ცხენის აკაზმულობა, მელიას ქულაჯა, ბალთებიანი ქამარი და ხანჯალი, წვეტიანი ქუდი, მელიას აბზეცილი კუდი თვალმარგალიტით საოცრად მორთული, ცხენზე გადაკიდული ხურჯინი, საიდანაც კისერი აქვს გამოყოფილი ქათმებსა და ჩიტებს (ახალი წლის ღამეა და მელიას საჩუქრები მოაქვს). მიწა, რომელზედაც მელია ცხენს მიაჭენებს ბალახითა და ყვავილებით არის დაფარული.

ელენე ახვლედიანი ამ ნახატებში სტილიზაციას არ მიმართავს, არც ხასიათებია ისეთი გროტესკულად მკვეთრი, როგორც 1930-იანი წლების ილუსტრაციებში. ისევე როგორც მის ამ პერიოდის ფერწერულ ნამუშევრებში, ფორმის დამუშავება გამოირჩევა შუქ-ჩრდილის თანდათანობითი, რბილი გადასვლებით. ნახატებში დაშტრიხვა ფორმებს მიყვება და არაა შავ-თეთრი სიმბრტყეების ის დაპირისპირება, რომელიც 30-იანი წლების ნახატების გამომხატველობას აძლიერებდა. მაგრამ ამჯერადაც დეტალების სიმრავლე და მათი გულდასმით დამუშავება ილუსტრაციებს თავისებურ დეკორატიულობას ანიჭებს და მათ წიგნის შემამკობელ ელემენტად წარმოგვიდგენს. წიგნის როგორც ერთიანი მხატვრული ორგანიზმის გააზრების საინტერესო მაგალითია 1950 წელს ელენე ახვლედიანის მიერ გაკეთებული მაკეტი მცირე ზომის (11 სმ×9 სმ) წიგნისათვის. ეს მაკეტი დაუმთავრებელი და განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ მხატვრის ჩანაფიქრი სრულიად ცხადად ჩანს. მაკეტი სიმონ ჩიქოვანის ლექსისთვის „ვინა სთქვა“ ცალკე პატარა წიგნად გამოსაცემად იყო შესრულებული. ნახატები გუაშითაა გაკეთებული. ყდაზე ქართლის პეიზაჟი და წარწერებია, ხოლო პირველ გვერდზე გამოსახუ-



ლია პოეტი თავის სამუშაო ოთახში. შემდეგ ფურცლების განშლვაზე ეფინება ხედვის მაღალი წერტილიდან დახატული ქართლის თვალწინ დენელი ხედი მდინარეებით, სოფლებითა და შორეული მთებით, ხოლო პირველ პლანზე გორის ციხეა თავისი კოშკებით გამოსახული. მარცხენა გვერდზე უშუალოდ ნახატზე წითელი მეღვინით ლექსის პირველი სტროფია ჩაწერილი:

„ვინა თქვა თითქოს პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი.

ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე ვინ მოიგონა სიმცირე მისი...“

შემდეგ გვერდებზე ლექსი მთლიანადაა მხატვრის ხელით გადაწერილი. როგორც ჩანს, ძალიან მოსწონდა და აპირებდა თავის ნახატების მასთან შერწყმას. აღსანიშნავია, რომ 1950—60-იან წლებში მხატვარი გატაცებული იყო მცირე ზომის ფერწერული ნამუშევრების შესრულებითაც.

უფრო მოგვიანებით, 1965 წელს ელენე ახვლედიანმა დაასურათა და გააფორმა ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. მხატვარმა გუაშით შეასრულა ამ ფერადსურათებიანი წიგნის ყდა, ფრონტისპისი, კაზმული საზედაო ასო, რომელიც პეიზაჟურ კომპოზიციანია ჩართული და თავსართის დანიშნულებასაც ასრულებს და ბოლოსართი. ილუსტრაციები ზოგი ცალკე გვერდზეა მოთავსებული, ზოგი კი ტექსტშია ჩართული ისე, რომ ნახევარი გვერდი უკავია.

ილია ჭავჭავაძის ეს მოთხრობა იწყება კახეთის სოფელში, ახალწლისათვის ოჯახის სამზადისის მშვენიერი გახსენებით. სწორედ ამ დროს, მამა უამბობს ბავშვებს ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის ვაჟკაცობის ამბავს — ყიზილბაშებთან ქართველების ომის ერთ-ერთ ეპიზოდს და, რა თქმა უნდა, ესაა მოთხრობის მთავარი ნაწილი. ელენე ახვლედიანმა ერთი ილუსტრაცია მიუძღვნა გოსტაშაბიშვილისა და ყიზილბაშთა ფაღვანის შერკინებას, გარდა ამისა ორ გვერდზე ერთმანეთისკენ მიმართული ყიზილბაში და ქართველი მხედარი წარმოადგინა, ილუსტრაციების უმრავლესობა კი მიუძღვნა კახეთის ზამთარს და ახალი წლის გახსენებას, რომელიც მის საკუთარ ბავშვობის მოგონებებთანაც იყო უშუალოდ დაკავშირებული. წიგნის ყდაზე გამოსახულია ზამთრის ღამე — პირველ პლანზე თოვლით დაფარული ნაძვია აღმართული, ქვემოთ სახლებია თოვლით დაფარული სახურავებით, ლურჯ სიღრმეში კი თეთრი მთების მსუბუქი კონტურები. ფრონტისპისზე მოცემულია ტკბილეულობით სავსე მაგიდასთან მიმჯდარი ბავშვები. მათ ზურგსუკან ფანჯარაში ზამთრის პეიზაჟი მოჩანს. საინტერესოა, რომ მხატვარმა აქ გამოიყენა 1924 წელს შესრულებული თავისივე სურათი „ზამთარი კახეთში“. ერთ-



ერთ ილუსტრაციის კომპოზიციაში ზამთრის პეიზაჟი ძალიან მთავარ როლს თამაშობს, როგორც თეატრალურ დეკორაციაშია შემოტანილი: განსწორებულია სახლის წინა კედელი და მოჩანს ინტერიერი, ხოლო სახლს უკან კი ეზო და ზამთრის პეიზაჟია მოცემული. ამ ილუსტრაციებში უხვადაა წარმოდგენილი ქართული სოფლის ყოფისთვის დამახასიათებელი ნივთები — მოჭიქული ჯამ-ჭურჭელი, ფარდაგები და სხვ., რომელთა შორის მხატვრის კოლექციის ნიმუშების გამოცნობაცაა შესაძლებელი.

ელენე ახვლედიანის მიერ შესრულებული ილუსტრაციების თემატიკა და მხატვრული მიდგომა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, მაგრამ მისი ილუსტრაციებისთვის საერთოა მისწრაფება — გადმოსცეს ლიტერატურული ნაწარმოებისთვის სპეციფიკური განწყობილება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება გარემოსა და კოსტიუმების უტყუარი გადმოცემა. წიგნის ილუსტრაციაზე მუშაობა მხატვრის მოღვაწეობის ორგანული ნაწილი იყო და უშუალოდ უკავშირდება მის შემოქმედებას. არც ის იყო შემთხვევითი, რომ მისი ილუსტრაციების უმრავლესობა საბავშვო ან ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ წიგნებისათვის იყო ნაწარმდებული. მას ბავშვებთან ურთიერთობა იზიდავდა და ეადვილებოდა.

ელენე ახვლედიანი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც საქართველოში ბავშვთა ნახატებს მიაქცია ყურადღება და თავისი მრავალრიცხოვანი მეგობრების შეილებების ნახატების შეგროვება დაიწყო. ელენე ახვლედიანი ინიციატორი იყო თბილისში ბავშვთა ნახატების მუზეუმის დაარსებისა, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს. სასურველი იქნებოდა, რომ მისი ნახატების ზოგიერთი სერია კვლავ დაერთოს წიგნების ახალ გამოცემებს.

ლიტერატურა

ალადაშვილი ნ. ქართველ მხატვართა ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველას თხზულებებისათვის. *Ars Ceorgica*, 7 B თბილისი, 1974, გვ. 92—91.

ბერიძე ვ., ეზესკაია ნ. საბჭოთა საქართველოს ხელოვნება. გამომც. „სოვეტსკი ხულოენიკ“, მოსკოვი, 1975, გვ. 93—97 (რუსულ ენაზე).

ახვლედიანი. კატალოგი. 1960, კატალოგი შეადგინა თ. კარტოზიამ, წინასიტყვაობა შ. ამირანაშვილისა. თბილისი, 1960.

გორდეზიანი ბ. ქართული გრაფიკა. „საბჭ. საქართველო“. 1959, გვ. 83—84.

კარბელაშვილი მ. ელენე ახვლედიანი. „მეცნიერება“, 1980, გვ. 13—16.

ელენე ახვლედიანი. ტექსტის ავტორი ე. პრივალოვა. შემდგენელი ვ. ჭიაურელი. თბილისი, 1980.

ელენე ახვლედიანი. რჩეული ნაწარმოებები. შემდგ. და ტექსტის ავტორი ს. ხრომჩენკო. მოსკოვი, „სოვეტსკი ხულოენიკ“, 1987 (რუს. და ინგლ. ენებზე.)

ურუშაძე ნ. ელენე ახვლედიანი თეატრში. თბილისი, გამომც. „მერანი“, 1968.



სიგნალი

როგორც ცნობილია, ვიდრე ძალადს
გამოიგონებდნენ, მწიგნობრები სწორდ-
ნენ ხეზე და ჰვაზე, ჩვენამდის მოღწე-
ულია მებუთე საუკუნის ქართული წარ-
წერანი, რომელთაც დღესაც ვკითხუ-
ლობთ ჩვენი უძველესი ტაძრების კედ-
ლებზე.

კონსტანტინე გამსახურდია

დიდი გზის დასაწყისი

ქართული ანბანის, ჩვენი ეროვნული დამწერლობის შექმნისა და გლობალიური მწერლობის დასაწყისის პრობლემა კარგა ხანია იპყრობს სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღებას. ეს გასაგებიცაა: ქართული კულტურის ისტორიაში ამაზე მნიშვნელოვანი, ამაზე აქტუალური პრობლემა ალბათ ძნელი დასაძებნია.

ქართული ანბანის ისტორიის, ქართული დამწერლობის გენეზისისა და ქრონოლოგიის შესწავლა ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო (თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე), შესამჩნევი წარმატება იქნა მოპოვებული იმავე საუკუნის მეორე ნახევარში (დ. ბაქრაძე), მაგრამ ამ პრობლემატიკის დამუშავება ძირითადად ჩვენს საუკუნეში მოხდა. საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ ი. ჯავახიშვილის დამსახურება: არსებითად მან ჩამოაყალიბა სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინა „ქართული პალეოგრაფია“ და შესაბამისი მონუმენტური მონოგრაფიაც გამოაქვეყნა (ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, 1926 წ.). ამ პრობლემაზე ნაყოფიერად მუშაობდნენ მკვლევართა თაობები (კ. კეკელიძე, ა. შანიძე, პ. ინგოროყვა, გ. წერეთელი, თ. გამყრელიძე, ე. მაჭავარიანი, რ. პატარიძე, თ. ჩხენკელი).

მიუხედავად სწავლულთა შეუწელებელი ინტერესისა და გულმოდგინე ძიებისა, ძველი წყაროების კრიტიკული ანალიზისა და საკითხის ირგვლივ არსებული ცნობების გამოწვლილვა-შეფასებისა, ქართული და არაერთი სხვა დამწერლობის შეჯერება-შეპირისპირებისა, კითხვაზე: როდის შეიქმნა ქართული ანბანი, როდის აღმოცენდა ქართული მწერლობა? — საბოლოო პასუხი ჯერ კიდევ არ გაგვიჩნია. დაიწერა რამდენიმე მონოგრაფია, გამოქვეყნდა მრავალი ნარკვევი, ჩამოყალიბდა განსხვავებული თვალსაზრისები, შემუშავდა ერთმანეთის გამომრიცხველი თეორიები, მაგრამ ძირითადი პრობლემატიკა ახლაც ისევე საკამათოა, როგორც გასულ საუკუნეში იყო, ახლაც ისევე იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, როგორც ადრეულ წლებში; დღესაც სხვადასხვა დამწერლობას მიიჩნევენ ქართული ანბანის პროტოტიპად — არამეულს, ბერძნულს, სომხურს; დღესაც სხვადასხვა ეპოქით ათარიღებენ მის აღმო-



ცნებას — წარმართობის ხანიდან, ძვ. წ. VII საუკუნიდან ქართულში ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრებამდე, ახ. წ. IV-V საუკუნეებამდე.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს ამ პრობლემატიკის დამუშავება — ახალი მასალების ძიება, ძველი ცნობების ახლებური გააზრება და ინტერპრეტაცია, რაც გვინერგავს ჭეშმარიტების დადგენის იმედს.

აღიარებულია, რომ ქართული ანბანის გენეზისის, მისი გენეტიკური საფუძვლების, გრაფიკულ-პალეოგრაფიულ თავისებურებათა და ქრონოლოგიის საკითხები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და მათი დამორიშორება ერთობ ძნელია. ამასთანავე, ყოველივე ეს ბუნებრივად უკავშირდება საერთოდ ქართული მწერლობის, ქართული ლიტერატურის აღმოცენების საკითხს. ამიტომაც ამ პრობლემის შესწავლა არა მხოლოდ პალეოგრაფთა და ენათმეცნიერთა, არამედ ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა, უპირატესად ქართული ლიტერატურის ისტორიკოსთა საზრუნავიცაა.

არაა გამორიცხული, რომ კითხვამ: რა დროიდან იწყება ქართული მწერლობა? — ზოგიერთი მკითხველი გააოცოს. ეს არაა მოულოდნელი. იმდენად ცნობილია „შუშანიკის წამების“ დაწერის მიახლოებითი თარიღი, რომ მოსწავლემაც კარგად იცის იგი. მაგრამ ეს არაა მარტივი კითხვა. ჯერ ერთი, „შუშანიკის წამება“ საფიქრებელს ხდის, რომ ის არაა პირველი ქართული ძეგლი; მეორე, იგი თვით შეიცავს ცნობებს მასზე ადრინდელ ქართულენოვან ტექსტებზე. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის ინტერესს დასმული კითხვისადმი.

უკვე ადრეულ ხანაში ქართველთა ტომები კულტურული განვითარების ისეთ მაღალ დონეზე იყვნენ, რომ, საფიქრებელია, მათ დამწერლობა ჰქონდათ. ასეთი ვარაუდის საფუძველს მკვლევართ აძლევთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი სიმბოლური ნიშნები. სახელდობრ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბეშთაშენსა და ოზნში (წალკის რაიონი), ამირანის გორაზე (ახალციხის მახლობლად) გამოვლენილი პიქტოგრაფიული (ხატოვანი) დამწერლობის ნიმუშები. ვარაუდობენ ანბანური დამწერლობის არსებობასაც. კერძოდ, ანბანურ დამწერლობად მიიჩნევენ დაბლაგომის (სამტრედიის რაიონი) სამარხებში აღმოჩენილ ნიშნებს.

არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ ანტიკური ხანის საქართველოში დამწერლობა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. მოღწე-



ულია სააღმშენებლო წარწერები, აგრეთვე წარწერები გამარჯვების სტელაზე, საფლავის ქვებზე, ინსიგნიებზე, სამკაულებზე და ა.შ. გამოიყენებოდა რამდენიმე უცხო დამწერლობა — ბერძნული, არამეული, ებრაული, აგრეთვე არამეულის თავისებური სახე — არმაზული დამწერლობა.

ჯერ არ გამოვლენილა წარმართობისდროინდელი ქართული დამწერლობის ნიმუშები, მაგრამ ანტიკურ ხანაში ქართული ანბანის, ქართული მწიგნობრობის არსებობას დაბეჭითებით ადასტურებენ ქართული თუ ბერძნული წყაროები. მართალია, ძველი ავტორები არას გვაუწყებენ ქართული დამწერლობის გენეზისზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ჩვენებს ქართული ანბანის შექმნასა თუ არსებობაზე, დიდი მნიშვნელობა აქვს.

პირველი ქართული ცნობა ჩვენი ეროვნული დამწერლობის ანტიკურ ხანაში აღმოცენებაზე ეკუთვნის ისტორიკოსსა და ჰაგიოგრაფს ლეონტი მროველს (XI ს.). მისი სიტყვით, „მწიგნობრობა ქართული“ შექმნა მეფე ფარნავაზმა (ამ ცნობას ქვემოთ დავუბრუნდებით).

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე — ანტიკური ხანის ქართულ დამწერლობაზე, კერძოდ, კოლხების წიგნიერებაზე — საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ძველი ბერძენი ავტორები.

უძველესი ცნობა კოლხების დამწერლობაზე გვხვდება აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III ს.) „არგონავტიკაში“, სადაც ვკითხულობთ: კოლხებს „შენახული აქვთ თავიანთ მამათავან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“.

ამ ცნობამ კარგა ხანია მიიპყრო ქართველ მეცნიერთა ყურადღება, იგი არაერთმა მკვლევარმა განიხილა (ა. ჭყონიამ, მ. ჯანაშვილმა, ს. ჯანაშიამ, ვ. ჭანტურია, გ. მელიქიშვილმა, ა. აფაქიძემ, გ. ლორთქიფანიძემ, ე. ხინთიბიძემ, ბ. კილანავამ და სხვ., განსაკუთრებით — ვ. სიჭინავამ და ა. ურუშაძემ). კვირბებს ზოგჯერ გეოგრაფიულ რუკებად მიიჩნევენ, უპირატესად კი — ძველი კოლხების დამწერლობის ნიმუშებად. თუ ეს უკანასკნელი ვარაუდი სწორია და ჩვენ ხელთა გვაქვს ძველ კოლხეთში დამწერლობის არსებობის დამადასტურებელი ცნობა, ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. საგულისხმოა, რომ აპოლონიოს როდოსელის ცნობით მარტო მის თანამედროვე კოლხებს კი არ ჰქონიათ დამწერლობა, არამედ მათ წინაპრებსაც.

საყურადღებოა ბერძნული წყაროების ცნობები ოქროს საწმისზე, — მათი სიტყვით, — წიგნზე, რომელიც შეიცავდა მითითებებს ოქროს მი-



ლებს ქიმიურ საშუალებებზე. თავდაპირველად დავიმოწმოთ ელონტი-ტური ხანის ბერძენი ავტორები.

ანონიმი (I—II სს.): „კოლხეთში დაცული [ტყავი] ნამდვილად ოქროს საწმისი კი არ არის (ეს პოეტური გამონათქვამია), არამედ ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით“.

ხარაქს პერგამონელი (II—III სს.): „ოქროს საწმისი არის ეტრატებზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოც, როგორც ღირსსარწმუნოა, „არგოს“ ლაშქრობა მოეწყო“.

ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან ბიზანტიური ხანის ავტორებიც.

იოანე ანტიოქელი (VII ს.): „იასონმა და მისმა მხლებლებმა... მოიპოვეს მედეა და ოქროდ წოდებული ტყავი. ეს ის კი არ იყო, როგორც პოეტურად ვადმოგვცემენ, არამედ წიგნი [იყო] ტყავებზე ნაწერი, შემცველი იმისა, თუ ვით უნდა ვაკეთდეს ოქრო ქიმიის საშუალებით“.

სვიდას ლექსიკონი (X ს.): „საწმისი — ოქროს ბეწვიანი ტყავი, რომელიც იასონმა მოიპოვა... ეს ისე კი არ იყო, როგორც პოეტურად ვადმოგვცემენ, არამედ ეს იყო ტყავებზე დაწერილი წიგნი, შემცველი იმისა, თუ ვით უნდა ვაკეთდეს ოქრო ქიმიის საშუალებით“.

ცნობათა ასეთმა სიუხვემ არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ძველი ბერძენი, რომლებიც სხვა ხალხთა ქებისას შესამჩნევ სიძუნწეს იჩენდნენ და მათ ბარბაროსებადაც კი მიიჩნევდნენ, აღიარებდნენ, რომ ქართველებს (კერძოდ, კოლხებს) უკვე უძველეს ხანაში ჰქონდათ დამწერლობა; ბერძნულ წყაროებში კოლხეთი ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში მწიგნობრობის ქვეყნადაა მიჩნეული (ა. ურუშაძე).

ქართულ მასალებზე მსჯელობისას ზემოთ მხოლოდ ლეონტი მროველის ცნობა დავიმოწმეთ ქართული ანბანის შექმნის თაობაზე. ამჯერად დამატებით მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ, მკვლევართა დასკვნით, ზოგიერთი მოღწეული თხზულება იძლევა საფუძველს ანტიკურ ხანაში ქართული დამწერლობის არსებობის სავარაუდებლად. მხედველობაში გვაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „მეფეთა ცხოვრება“.

1. კარგა ხანია შენიშნულია, რომ ანტიკურ ხანაში არსებულა იბერიის მეფეთა სიები, რომლებშიც ჩამოთვლილი იყვნენ ქრისტიანობამდელი ქართველი გვირგვინოსანნი. მათი კვალი ჩანს ზემოდასახელებულ ძეგლებში (პ. ინგოროყვა).

2. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ გამორჩეულია ერთი ნაკვეთი—„ცხოვრება ფარნავაზისი“, რომელიც, რ. ბარამიძის დაკვირ-

ვებით, დასრულებული, კომპოზიციურად შეკრული, ერთი მთლიანი ნაწარმოებია, დამოუკიდებელი მოთხრობაა; გეოგრაფიული ნომენკლატურისა და ისტორიული ფაქტების სიზუსტით მოწმობს ავტორის სწავლოვებს ფარნავაზის ეპოქასთან — დაწერილი უნდა იყოს II საუკუნეში (ძვ. წ.). ლეონტი მროველმა ის, ერთგვარი რედაქციული ცვლილებების შემდეგ, შეიტანა თავის საისტორიო თხზულებაში (ეს მეთოდი მისთვის დამახასიათებელია, ასევე გამოიყენა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“).

ლეონტი მროველის ცნობა, „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტებში შემონახული პასაჟები, ბერძენ ავტორთა ჩვენებანი ქმნიან შესაძლებლობას ქართული დამწერლობის ქრისტიანობის წინანდროინდელად მიჩნევისათვის, ქართული ანბანის აღმოცენების ანტიკური ხანით დათარიღებისათვის; ანგარიშგასაწევეია ისიც, რომ ქართული დამწერლობის სიძველეს ადასტურებს ზოგიერთი ქართული სიტყვაც (წერა, წერტილი და სხვ.). ყოველივე ეს, მართალია, საფუძველს იძლევა ვარაუდისათვის, მაგრამ არ კმარა მტკიცებისათვის.

ამ თვალსაზრისის შეწყნარებას, ქართული დამწერლობის ქრისტიანობამდელი ხანით დათარიღებას აძნელებს ის დამაფიქრებელი გარემოება, რომ ქართული ანბანით შესრულებული ტექსტები მხოლოდ გვიანი ხანიდან გვაქვს. სახელდობრ, ლაბიდარული წარწერები V—VI საუკუნეებიდან (ბოლნისი, ურბნისი, უკანგორი, მცხეთის ჭვარი და სხვ.), ფრესკული წარწერები VIII—IX საუკუნეებიდან (ატენი და სხვ.), ხანმეტი პალიმფსესტები V—VI საუკუნეებიდან და ა. შ. ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში პალესტინაში, ბირ ელ-ყუთის მიდამოებში, ბეთლემის მახლობლად იტალიელმა არქეოლოგმა ვ. კორბომ გამოავლინა ძველი ქართული სავანე, რომელმაც შემოგვინახა ქართული დამწერლობის ყველაზე ადრინდელი ნიმუშები V საუკუნის 30-იანი წლებისა. ამ აღმოჩენის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის განუსაზღვრელია.

ამრიგად, V საუკუნეზე ადრინდელი ხანიდან არაფერი მოგვეპოვება (მოსაზრება — არმაზის არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლენილ ვერცხლის ლანგარსა და პიტიაზის არამეულწარწერიან სტელაზე შემონახულია ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები I—II საუკუნეებისაო, — მეცნიერებაში ვერ დამკვიდრდა).

როდესაც ქართული ანბანის წარმოსახვაზე ვმსჯელობთ, ბუნებრივია, მხედველობაში გვაქვს ქართული ანბანის უძველესი სახეობა — ასომთავრული ანუ მრგლოვანი, რომელიც V საუკუნიდან გვხვდება (ამ მონუმენტურ დამწერლობას ადრე იყენებდნენ როგორც ეპიგრაფიკაში,

ისე ხელნაწერებში, შემდგომ ეპიგრაფიკაში, ხოლო ხელნაწერებში მხოლოდ მთავრულ, საზედაო ასოებად შემოგვრჩა).

ქართული დამწერლობის შემდგომი გრაფიკული სახეობაა ნუსხური (ნუსხახუცური, კუთხოვანი), რომელიც IX საუკუნიდან გვხვდება (864 წლის სინური მრავალთავი), მაგრამ უკვე ისე დამთავრებული და დახვეწილი სახით, რომ, საფიქრებელია, გაცილებით ადრეა ჩამოყალიბებული. სხვათა შორის, ასომთავრულსა და ნუსხურს, ორივეს ერთად, ზოგჯერ ხუცურ დამწერლობას უწოდებდნენ (დ. კარიჭაშვილი, კ. კეკელიძე).

უკანასკნელი სახეობა, მხედრული, რომელიც დღეს დამკვიდრებულია როგორც ერთადერთი ქართული დამწერლობა, ძირითადად გვხვდება XI საუკუნიდან (სიგელი ბაგრატ მეფისა ოპიზარი და მიქნადორელი მამებისადმი, სიგელი ბაგრატ მეფისა მღვიმის ლავრისადმი და სხვ.). მისი გარეგნული სახე და პრაქტიკული დანიშნულება (საკანცელარიო დოკუმენტების შედგენა და სხვ.) მკვლევართ აფიქრებინებდათ, რომ მხედრული XI საუკუნეზე გაცილებით ადრეა ჩამოყალიბებული და იგი წინა საუკუნეებშიც გამოიყენებოდა. ეს ვარაუდი ექვმიუტანლად დაადასტურა ატენის სიონის მხედრული წარწერების ჯგუფმა (VIII—IX ს.).

მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხანს გავრცელებული იყო განსხვავებული აზრი ქართული ანბანის გრაფიკულ სახეობათა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობაზე და მხედრულს უძველეს დამწერლობად, ხოლო ასომთავრულსა და ნუსხურს შემდეგდროინდელად მიიჩნევდნენ (მ. ბროსე, ი. ოქრომჭედლიშვილი, ნ. მარი, უ. ალენი), მაგრამ ეს, რასაკვირველია, შეცდომა იყო. ჯერ კიდევ დ. ბაქრაძემ გაარკვია ქართული ანბანის სახეობათა ერთმანეთისაგან წარმომავლობის რიგი: ასომთავრული → ნუსხური → მხედრული. შემდგომმა კვლევა-ძიებამ სავსებით დაადასტურა მეცნიერის თვალსაზრისის სისწორე.

ასე რომ, ჩვენ გვიანტერესებს ქართველთა უძველესი დამწერლობა (იგულისხმება ის, რაც მოღწეულია, რაც ხელთ გვაქვს) — ასომთავრული და ქართული მეცნიერებაც სწორედ მის გენეზისსა და ქრონოლოგიას სწავლობს ინტენსიურად.

ასომთავრული თავისი გარეგნული სახით, საყოველთაო აზრით, მაღალ შეფასებას იმსახურებს. მისი დამთავრებულ-ჩამონაკვთული, დახვეწილი გრაფიკული სახე, კლასიკურ სრულყოფილებას მიღწეული იერი, გავრცელებული შეხედულებით, მის სიძველეს ადასტურებს. მართლაც, ასომთავრული ანბანი დიდებული დამწერლობაა, რომელიც ზუსტად



ასახავს ქართველთა ენობრივ-ფონეტიკურ სიმდიდრესა და თავისებულებას, ამასთანავე, თავისთავად, ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშად დენად, არაა მოულოდნელი და გასაკვირი, რომ ამ ანბანს ხანგრძლივი სრულყოფის შედეგად, „გარეგნულად სრულებით ჩამონაკვთილ და დამთავრებულად“, „მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების“ დამადასტურებლად, „არსებობისა და განვითარების დიდი ხნის ტრადიციის“ შემცველად მიიჩნევენ (თუმცა მას არცთუ იშვიათად, — განურჩევლად იმისა, არქაულად აღიარებენ თუ ქრისტიანობისდროინდელად, — ერთდროული შემოქმედებითი აქტის შედეგად აცხადებენ).

ქართული ასომთავრულის გენეზისისა და ქრონოლოგიის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. უკვე გასული საუკუნის პირველი ნახევრიდან მსჯელობდნენ მის ამა თუ იმ დამწერლობიდან მომდინარეობაზე ან, ყოველ შემთხვევაში, უცხო ანბანთან მის მიმართებაზე. ეს პროცესი ახლაც გრძელდება. რომელ დამწერლობას არ უკავშირებდნენ ქართულს ან რას აღარ მიიჩნევდნენ მის საფუძვლად — ინდურს, დევანაგარს (მ. ბროსე, ჰ. კლაპროთი), ზენდურს (მ. ბროსე, ი. ოქრომჭედლიშვილი), ავესტას (პ. იუნკერი, ი. დიაკონოვი), ქალდეურ-ებრაულს (თ. ბაგრატიონი, ი. გვარამაძე), არამეულ-სპარსულს (ფ. მიულერი), სემურს (მ. ჯანაშვილი), არამეულს (ს. გორგაძე, გ. წერეთელი), ფინიკიურ-არამეულს (ი. ჯავახიშვილი), არამეულ-ფაჰლავურს (ს. კაკაბაძე), სემურ-ფინიკიურს (რ. პატარიძე), ბერძნულს (ვ. გარდტჰაუზენი, დ. ბაქრაძე, დ. კარიჭაშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, პ. ინგოროყვა, თ. გამყრელიძე), სომხურს და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული ანბანის აღმოსავლურ დამწერლობებთან დაკავშირება არაერთმა მკვლევარმა სცადა, მაგრამ ვარაუდი მწყობრ მეცნიერულ ჰიპოთეზად ი. ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა. მან საგანგებოდ გაიცნო თუ შეისწავლა და გამოიყენა არაერთი აღმოსავლური დამწერლობა — ფინიკიური, არამეული, ებრაული, საბაური, ჰიმარიტული, პუნური, პალმირული, სამარიტული და სხვა ძველი ანბანი, გამოავლინა ქართულის გრაფიკული თავისებურებანი, შეუდარა ერთმანეთს ქართული და აღმოსავლური ასოები, შენიშნა მათი მსგავსება-განსხვავებანი, შეიმუშავა თვალსაზრისი ასომთავრულის სემიტურისაგან, კერძოდ, ფინიკიურ-არამეულისაგან წარმოშობის შესახებ. მეცნიერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ასომთავრული „ბანის“ თავშეკრულობას, რაც ამ ასო-ნიშანს, მისი დასკვნით, ფინიკიურ-არამეულთან აკავშირებდა: „ქართულ თავდაპირველ ანბანს თავშეკრული „ბ“-ის



შეთვისება შეეძლო ან ფინიკიელთაგან უშუალოდ, ან არამეელოთაგან უძველეს ხანაში, ქ. წ. VII საუკუნემდე. ფინიკიელთაგანაც უშუალოდ მხოლოდ იმ ხანაში შეეძლოთ შეთვისება, როდესაც მათთან შედარებით ახლო იყვნენ და საურთიერო დამოკიდებულება ჰქონდათ, ე. ი. VII საუკუნემდე, სანამ ტუბალები და მოსოხები მცირე აზიაში ცხოვრობდნენ“; „ასო „ბ“-ანის ქართული თავშეკრული მოხაზულობა შესაძლებელია მხოლოდ ფინიკიელთა, ებრაელთა და არამეელოთაგან ყოფილიყო შეთვისებული VII ს-ზე არა უგვიანეს ქ. წ., როდესაც თვით არამეელებიც ჯერ კიდევ თავშეკრულ „ბ“-ს ხმარობდნენ და როცა ქართველი ტომები ტუბალ-მოსოხებიც [მცირე] აზიაში ცხოვრობდნენ და ფინიკიელებთან აღებ-მიცემობა ჰქონდათ“.

მიუხედავად იმისა, რომ ი. ჯავახიშვილმა ასეთი დასკვნა ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა და გულმოდგინე მუშაობის შედეგად შეიმუშავა, საკითხის შესწავლა მას დასრულებულად არ მიუჩნევია. „სანამ ქართული დამწერლობის VI ს-ზე უწინარესი ძეგლები აღმოჩნდება, ჩემი ნათქვამი ქართული ანბანის წარმოშობის დროის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზად მიმაჩნია, რომლის სიმართლეს მომავალი გამოარკვევს“, — წერდა მკვლევარი 1926 წელს და, როგორც ჩანს, „VI ს-ზე უწინარესი ძეგლების“ აღმოჩენას იმედის თვალთ უცქერდა.

ი. ჯავახიშვილის კონცეფციამ, რომელიც მიახლოებით პასუხს იძლეოდა ქართული ასომთავრულის პროტოტიპზე, შექმნის დროსა და ადგილზე, ბუნებრივია, საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

მართალია, დროთა განმავლობაში საჭირო გახდა ამ კონცეფციის კორექტირება*, მაგრამ მთლიანობაში ახლაც ძალაშია და ქართული დამწერლობის არქაულობის დამადასტურებელ ერთ-ერთ ყველაზე მისაღებ თეორიადაა მიჩნეული.

ი. ჯავახიშვილის თვალსაზრისი — ქართული ანბანის აღმოსავლურ დამწერლობათა საფუძველზე აღმოცენებისა ქრისტიანობის წინარე ხანაში — განავითარა და ახალი მეცნიერული საბუთიანობით განამტკიცა გ. წერეთელმა. მან შეისწავლა მცხეთის ჩრდილო დასავლეთით,

* ზოგი რამ დაზუსტდა და ახლებურად გაშუქდა. მაგალითად, ქართველთა ტომების პირველსაცხოვრისის საკითხი; არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბევრი ეპიგრაფიკული ძეგლი გამოვლინდა — არამეული, ბერძნული, მაგრამ არც ერთი ქართული! ასომთავრული „ბანისა“ თუ მისი პროტოტიპის თავშეკრულობა ქართული ანბანის წარმოშობის ქრონოლოგიური საზღვრების დასადგენად საკმარისი არ აღმოჩნდა და სხვ.



არმაზის მიდამოებში, სამარხში აღმოჩენილი წარწერა — არმაზის ბე-
 ლინგვა (ახ. წ. II ს.), რომელიც არამეული დამწერლობის თავისებულობის
 შტოს საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული. მეცნიერის აზრით, ქარ-
 თული და არმაზული „ერთი საერთო წყაროსაგან, ფინიკიურისა და ძვე-
 ლი არამეულისაგან წარმოდგება. ქართულ ასოებში, რომლებიც გაცი-
 ლებით უფრო გვიანდელ ძეგლებშია ფიქსირებული, ვიდრე არმაზის წარ-
 წერაა, ზოგჯერ უფრო მეტი არქაულობა იჩენს თავს, ვიდრე არმაზის
 სათანადო ნიშნებში. ქართული დამწერლობა არაა არმაზული დამწერ-
 ლობის განვითარება, იგი მხოლოდ მონათესავეა მისი და მასთან ერ-
 თად წარმოდგება ერთი საერთო წყაროდან — არამეულიდან“.

არმაზის ბილინგვისა და პალესტინაში აღმოჩენილი ქართული წარ-
 წერების შესწავლამ გ. წერეთელს მისცა საფუძველი შემდეგი განცხა-
 დებისათვის: „ვარაუდი ქართული დამწერლობის არსებობისა V საუ-
 კუნეზე გაცილებით უფრო ადრინდელ ეპოქაში ამჟამად ბევრად უფრო
 დამაჯერებელი ჩანს“, ჰიპოთეზა ქართული დამწერლობის გვიანდლო-
 ბაზე „საბოლოოდ უკუგდებული უნდა იქნეს“. გ. წერეთლის კვლევა-
 ძიებამ საფუძველი განუშტკიცა ქართული დამწერლობის არქაულობის
 აღიარებას.

უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით ინტენსიურად მუშაობს რ.
 პატარიძე. მისი დაკვირვებით, „ქართული დამწერლობა დედა-ანბანური
 ფინიკიური დამწერლობის ერთ-ერთი განშტოებაა“; იგი უნდა შემუშა-
 კებულიყო სემურ-ფინიკიური დამწერლობის საფუძველზე, მასში გან-
 ხორციელებულია სემური დამწერლობის ანბანური პრინციპები. სა-
 ბოლოოდ მკვლევარმა დაასკვნა, რომ ქართული ანბანი შექმნილია ქარ-
 თველ ქურუმთა წიაღში, სემურ-ფინიკიური ანბანური დამწერლობისა
 და ქალდეველთა ხანის ბაბილონური ლურსმული დამწერლობის საფუძ-
 ველზე და ქართული მწიგნობრობის აღმოცენების ასეთი ქრონოლოგია
 შემოგვთავაზა: დაახლოებით ძვ. წ. 415 წელს შეიქმნა ქართული ანბა-
 ნი, ძვ. წ. 284 წელს ფარნავაზ მეფემ იგი ზოგადქართულ სახელმწიფო
 დამწერლობად აქცია. ამ უკანასკნელ თარიღს, მისი სიტყვით, ადასტუ-
 რებენ „ქართლის ცხოვრების“ მინაწერი 1608 წლისა, დავათის ქვა-ჯვარ-
 რის გამოქანდაკებული ხატი 367 წლისა და „ქებაჲ და დიდებაჲ ქარ-
 თულისა ენისაჲ“ 342 წლისა.

აქვე დავსძენთ, რომ დუშეთის რაიონში, ყინვალის ახლოს, სოფ.
 დავათის ღვთისმშობლის ეკლესიაში აღმოჩენილი სტელა მთავარანგე-
 ლოზთა გამოსახულებითა და ქართული ანბანით ბევრმა მკვლევარმა
 მიიჩნია ქართული კულტურის ისტორიისათვის დიდად მნიშვნელოვან



ძეგლად, რომელიც გვაცნობს ქართული ანბანის ამაღლებისა და ანბან-
 დიდების სცენას, იგი სტილისტურ-იკონოგრაფიული ნიშნებით და ანბან-
 ლოგიებით, აგრეთვე ასომთავრულ გრაფემათა მოხაზულობით VI საუ-
 კუნთით დაათარიდა, ხოლო სამი გრაფემის თავზე შემორჩენილი ქარაგ-
 მის ნიშნები ქართული დამწერლობის თარიღზე (284 წ.) მითითებად
 აღიარა.

ახლა დავუბრუნდეთ „მეფეთა ცხოვრებას“ და ვნახოთ, რას გვაუ-
 წყებს მისი ავტორი ლეონტი მროველი ქართული დამწერლობის შექმ-
 ნაზე: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა
 ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა
 სხუა ენა ქართლსა შინა თუნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობ-
 რობა ქართული“.

ამ მრავალმხრივ საყურადღებო ცნობამ, რომელშიც საუბარია ქარ-
 თულ სახელმწიფოებრიობაზე, ენაზე, დამწერლობაზე პოპულარობა
 მოიპოვა. მემატიაანის მითითება ქართული ენისა და მწიგნობრობის არ-
 ქაულობაზე ქართველი საზოგადოებრიობის ეროვნულ სულისკვეთე-
 ბას შეესაბამებოდა, ხოლო ამ ცნობის არსებობა ისეთ მნიშვნელოვან
 კრებულში, როგორც „ქართლის ცხოვრება“, მისდამი რწმენას განამ-
 ტკიცებდა.

რასაკვირველია, შემთხვევითი არაა, რომ ლეონტი მროველი ქარ-
 თული სახელმწიფოებრიობის შექმნასა და ეროვნული დამწერლობის
 აღმოცენებას მთლიანობაში განიხილავს, ამ ორ დიდად მნიშვნელოვან
 მოვლენას ერთდროულად, ფარნავაზის (IV ს. მიწურული — III ს. I
 ნახევარი) ეპოქისეულად მიიჩნევს და ერთმანეთთან კავშირ-ურთიერ-
 თობაში გვაცნობს. საფიქრებელია, მისი აზრით, პირველმა განაპირობა
 მეორე, ბიძგი მისცა მას, შექმნა ხელსაყრელი პირობები ქართული დამ-
 წერლობის აღმოცენებისათვის.

ლეონტი მროველის ცნობას (სრულად თუ ნაწილობრივ) იმეორებ-
 დნენ და ადასტურებდნენ სხვა ავტორებიც. ზოგიერთი ქართულ ენაზე
 ამახვილებდა ყურადღებას და შესაბამისად წარმოაჩინდა ფარნავაზის
 ღვაწლს, (მაგალითად, ს.-ს. ორბელიანი წერდა: „ენა ქართული, შესრუ-
 ლებული და განვრცელებული და განრკვეული ფარნავაზ ქართველთა
 პირველისა მეფისა მიერ“; ანტონ პირველი: „ქართულებრსა შეეწია ენა-
 სა“), ვახუშტი ბაგრატიონი კი ასე წერდა: ფარნაოზ „შექმნა წიგნი ქარ-
 თული და განავრცელა ენა ქართული“. (ან კიდევ: „წიგნი და ენა... ფარ-
 ნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული“).

სომეხი მემატიანე მხითარ აირივანეცი (XIII ს.) „ქრონოგრაფიულ ის-



ტორიაში“ იხსენიებს „პირველ ქართველ მეფეს ფარნავაზს, რომელმაც ექვსი ენიდან შექმნა ქართული. მანვე [შექმნა] მათი დამწერლობა“. საგულისხმოა, რომ იგი იცნობდა სომხური საისტორიო მწერლობის აზრს ქართული ანბანის მესრობის მიერ შექმნის თაობაზე, მაგრამ უპირატესობა ქართული წყაროს ჩვენებას მიანიჭა. მას „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანშიც შეეძლო ამოეკითხა, რომ ფარნავაზმა „უბრძანა მთელ ქვეყანას, რომ ელაპარაკათ ქართველთა ენაზე და შეუქმნა წიგნი (-წერილი, ასო) ქართულ ენას“. მართალია, ერთ საგალობელში წერს მამტაცმა შექმნა სომხური და ალბანური ანბანი, ხოლო „ქართული მოაწესრიგაო“, მაგრამ, ჩანს, იგი ფიქრობდა, რომ სომეხმა მოღვაწემ ქართულ ანბანში რაღაც ცვლილება შეიტანა.

სამწუხაროდ, არ ვიცით, ლეონტი მროველის ცნობა რომელი (ჩვენამდე მოუღწეველი) წყაროდან მომდინარეობს. არც ის ვიცით, იგი ისეა შემონახული, როგორც ლეონტი მროველის ხელიდან გამოვიდა, თუ გადამწერთა ნახელავია, მათ მიერ რედაქტირებულია; ამ ცნობიდან არ ჩანს, ფარნავაზმა დამოუკიდებლად შექმნა ეროვნული ანბანი, თუ ხელთ ჰქონდა ძველი (ქართული ან უცხოური) დამწერლობა და მის საფუძველზე მოქმედებდა. ამით აიხსნება, რომ დამოუკიდებელ ცნობას სხვადასხვაგვარად იაზრებენ და განმარტავენ. მკვლევარნი ფარნავაზს მიაწერენ მხედრული დამწერლობის შექმნას (მ. ბროსე, ი. ოქრომჭედლი-შვილი, ი. გვარამაძე), ხუცური დამწერლობის მხედრულით შეცვლას (თ. ბაგრატიონი), არსებული დამწერლობის „შეცვლას ნაკლები ასოებით“ (ს. გორგაძე), რეფორმის ჩატარებას — „ანბანის ბოლოში ცალკე საგანგებო ნიშნების დართვას სპეციფიკური ქართული ბგერებისათვის“ (პ. ინგოროყვა), ქართული ანბანის ერთიან სახელმწიფო დამწერლობად გამოცხადებას (რ. პატარიძე), მასვე მიაწერენ „სახელმწიფოს საჭიროებისათვის საკანცელარიო მიზნებით ბერძნულის, ან არამეულის გამოყენებას“ (ზ. სარჯველაძე), „ალოგლოტოგრაფიის“ ანუ „სხვა-ენაზე-წერის“ შემოღებას (თ. გამყრელიძე) და ა. შ. ამ ნაირფერ ნააზრევში არცთუ იშვიათად შეინიშნება ლალი ფანტაზია, ფაქტებზე ძალდატანება, დამაჯერებლობას მოკლებული მსჯელობა.

ლეონტი მროველის თვალსაზრისს ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ არ იწყნარებდა. ჯერ ერთი, აღრეულ წლებში სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო პიპერკრიტიკული დამოკიდებულება ლეონტი მროველისადმი, მის მონათხრობში მითურ-ზღაპრული და ისტორიულ-დოკუმენტური მასალების აღრევას აღნიშნავდნენ და რამდენადმე აზვიადებდნენ კიდევ, მის ცნობას ფარნავაზის მიერ ეროვნული დამ-



წერლობის შექმნის შესახებ „ბავშვური გულუბრყვილობის მიიჩნევდნენ და აუფასურებდნენ. მეორე, ვინც უფრო ადრინდელი ხანით ათარიღებდა ქართული ანბანის აღმოცენებას, მისთვის, ბუნებრივია, ლეონტი მროველისეული ქრონოლოგია მიუღებელი იყო; კიდევ უფრო მიუღებელი იყო ეს ვერსია მათთვის, ვისაც ქართული დამწერლობის აღმოცენების თარიღი ქრისტიანობის ხანაში გადმოჰქონდა. აღარას ვამბობთ ისეთ ნიპილისტურ დამოკიდებულებასა და უსუსურ არგუმენტაციასზე, როგორც ასეთი განცხადებაა: ფარნავაზის დროს სომხებსა და ალბანელებს არ ჰქონდათ დამწერლობა და არც ქართველებს ექნებოდათ (ი. დიაკონოვი).

ამჟამად სხვა მდგომარეობაა. ლეონტი მროველის შეფასება გადაისინჯა და უახლესი გამოკვლევების საფუძველზე მისდამი სკეპტიკური დამოკიდებულება შეიცვალა; მის უნიკალურ ცნობას, რომელმაც ძველ საქართველოში აღიარება პოვა, მეტი მნიშვნელობა მიენიჭა. მართალია, ეს ცნობა შეიცავს მხოლოდ განცხადებას და არ იმოწმებს დამადასტურებელ დოკუმენტურ მასალებს, სარწმუნო საბუთებს, მაგრამ, რადგან ის ერთადერთი ქართული ცნობაა, რომლის მსგავსი ჩვენს იმდროინდელ წყაროებში არ შემონახულა, ხალხმა იგი შეიწყინარა და გაითავისა, ჰეშმარიტებად მიიჩნია, ძველ საქართველოში მას არავინ შეკამათებია, საპირისპიროს არას მოუღწევია, ამიტომ მისდამი ინტერესი დღითი დღე იზრდება. ქართული ანბანის აღმოცენების ქრონოლოგიური ზღვრის წინ წაწევით — მოღწეულ ძეგლებთან შედარებით 800 წლით წინ გადატანით — ლეონტი მროველის ცნობა სიმძაფრეს მატებს საძიებელ პრობლემას და მომავალი მეცნიერული კვლევის პერსპექტივასაც სახავს. რაოდენ საცილობელი არ უნდა იყოს მისი ჩვენება, ერთი გარემოება მაინც საყურადღებოა — ქართული დამწერლობის აღმოცენებას იგი ქრისტიანობის წინააღმდეგ მოვლენად მიიჩნევდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლეონტი მროველი XI საუკუნის განათლებული ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენელია და მის აზრს გვამცნობს, მაშინ მითითება ფარნავაზ მეფის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე უფრო ღირსეულად წარმოჩნდება.

ქართული დამწერლობის წარმართობის ხანაში აღმოცენების შესახებ ჩვენ დავიმოწმეთ ერთი საისტორიო წყაროს ჩვენება და რამდენიმე მკვლევრის თვალსაზრისი. ამჯერად არა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა, თუ კონკრეტულად როდის, რომელ საუკუნეში შექმნილად მიიჩნევენ ქართულ ანბანს, მთავარია, რომ მას ქრისტიანობის წინარე ხანით ათარიღებენ. გასათვალისწინებელია, რომ ლეონტი მროველის



„მეფეთა ცხოვრება“ არას გვაუწყებს ქართული დამწერლობის პროტოტიპზე, ხოლო მკვლევართა მსჯელობა ქართული ანბანის გენეზისსა და ქრონოლოგიაზე, მის ფინიკურ-არამეულიდან წარმონაველობაზე დასტურებას ვერ პოულობს საისტორიო წყაროებში.

რამდენადმე მაინც რომ შევაჯამოთ ზემოთქმული, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართული ანბანის არქაულობის სავარაუდებლად, მისი ქრისტიანობის წინარე ხანაში აღმოცენებულად მიჩნევისათვის არსებობს არაერთი საბუთი და გარემოება, რომელთა გაუთვალისწინებლობა გამართლებული არ იქნება: ანტიკური ხანის ბერძენი ავტორების ჩვენებანი, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული ძველი ქართული ტერმინოლოგია, ლეონტი მროველის ცნობა, რომელიც ეროვნულ ტრადიციულ ცნობად იქცა, წერის კულტურის მაღალი დონე — ეპიგრაფიკული ნიმუშების ნატიფი სახე, ხანმეტი პალინფესტების სრულყოფილება, ფინიკურ-არამეულთან ნათესაობა, „შუშანიკის წამების“ მაღალმხატვრულობა, რაც ლიტერატურული ტრადიციის მაჩვენებელი უნდა იყოს, V—VI საუკუნეების სამწერლო ენის ჩამოყალიბებული სტრუქტურა და სხვ.

თუ ყოველივე ამასთან ერთად გავითვალისწინებთ ი. ჯავახიშვილის უსაზღვრო ავტორიტეტს, რამაც ხელი შეუწყო მისი კონცეფციის პოპულარობას, მაშინ გაუგებარი აღარ იქნება, რომ თვალსაზრისი ქართული ანბანის ქრისტიანობის წინარე ხანაში აღმოცენების შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ძალზე გავრცელდა და დამკვიდრდა, მას არაერთი დამცველი და მიმდევარი გამოუჩნდა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ კონცეფციის შეწყნარებას, ქართული ასომთავრულის სემურ-არამეულთან დაკავშირებას არაერთი გარემოება უშლის ხელს. სახელდობრ, ქართული ანბანის რიგი, წერის განსხვავებული მიმართულება, ქართულ ანბანში ხმოვნების არსებობა, ქართველთა პირველსაცხოვრისა და ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში მათ ფინიკურ-არამეულთან მეზობლობასა და კავშირ-ურთიერთობაზე აღრე გავრცელებული შეხედულების უარყოფა და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ანტიკური ხანის ქართული წერილობითი ძეგლების მოუღწევლობა. მით უფრო, რომ წინა წლებში იმედი გვქონდა წარმართობისდროინდელი ძეგლების აღმოჩენისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იმედი არ გამართლდა. მართალია, როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „V—VI სს-ზე უწინარესი დროის ქართული დამწერლობის ძეგლების ჯერხნობით აღმოუჩენლობა ქართული ანბანის სიძველის უცილობლად დამარღვეველ საბუთად ვერ გამოდგება“,

მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ სიტყვების დაწერისთანავე 70 წელზე მეტი გავიდა და ქრისტიანობის წინააღმდეგობის დაწერის შემდეგ ტექსტი (თუნდაც ერთი წარწერა) ვერსად მოვიძიეთ.

ანტიკური ხანის ქართული მწერლობის მოუღწევლობას რამდენიმე მიზეზით ხსნიან. სახელდობრ, მიზეზებად ასახელებენ ეამთა სიავისა და ძნელბედობისას, მტრის ლაშქრობისა და თარეშის შედეგად ძველი ხელნაწერების განადგურებას, არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო პაპირუსის ხელნაწერების დაღუპვას, წარმართობის დროინდელი ტექსტებისადმი უყურადღებობას, მათ მოუვლევლობასა და ახალი ნუსხების გამრავლებაზე, ხელნაწერთა დამზადებაზე ხელის აღებასა და სხვ., მაგრამ მთავარ მიზეზად მიიჩნევენ იმ იდეოლოგიურ ბრძოლას, რომელიც გაჩაღდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, — ახალმა რელიგიამ განადგურა წარმართული მსოფლმხედველობის შემცველი ლიტერატურაო. არსებობს განსხვავებული აზრები: „არსად დედამიწის ზურგზე ეს ქრისტიანობას არ ჩაუდენია. ძნელი დასაჯერებელია, რომ მართო იბერიაში ჩაიდენდა. თუ ქართული წარმართული ლიტერატურის ძეგლები არ დაგვრჩა, საფიქრებელია, ეს იმიტოვი არ აიხსნება, რომ ისინი ქრისტიანობამ მოსპო, არამედ იმიტო, რომ ისინი საზოგადოდ არ არსებულან. ძნელი წარმოსადგენია, რომ მებრძოლ ქრისტიანულ ეკლესიას ყველა წარმართული შინაარსის პაპირუსი და პერგამენტი გაენადგურებინოს; მით უმეტეს წარმოუდგენელია, რომ ქრისტიანები აკლამებში შეჭრილიყვნენ და იქ ყველა წარმართული დროის ქართული წარწერა მოესპოთ, ხოლო ბერძნული, არამეული, ებრაული წარწერები ხელუხლებლად დაეტოვებინოთ“ (გ. ქიქოძე).

ახლა სხვა თვალსაზრისი გავიხსენოთ.

მოსაზრება — ქართული ანბანი ბერძნულ დამწერლობას ემყარებაო, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში წამოაყენა ბერძნული პალეოგრაფიის აღიარებულმა სპეციალისტმა ვ. გარდტჰაუზენმა. შემდეგ იგი გაიზიარეს და ახალი საბუთებით განამტკიცეს დ. ბაქრაძემ, დ. კარიჭაშვილმა, კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, პ. ინგოროყვამ და სხვ.

ქართული ანბანის ბერძნულიდან მომდინარეობის თვალსაზრისის დამცველთა საბუთიანობა უკანასკნელ წლებამდე ასეთი იყო: ქართული ასოების რიგი, მცირე გამოჩაყლისის გარდა, მისდევს ბერძნული ანბანის რიგს (ბოლოს ერთვის სპეციფიკური ბგერა-ასოები); ქართული და ბერძნული ასოების რიცხობრივი მნიშვნელობა ძირითადად ერთია; ქართულსა და ბერძნულს, სემიტურ დამწერლობათაგან განსხვავებით, აქვთ



ხმოვანი ბგერების გამოხატველი ნიშნები; ზოგიერთი ქართული ასო მოხაზულობა ნასესხებია ბერძნულიდან, ან ძალიან ემსგავსება მას, რის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივაა, როგორც ბერძნულში და არა, ისე, როგორც სემიტურ დამწერლობებში; ქართული „ვინი“ მსგავსად ბერძნული „ვავისა“ მეექვსე ადგილზეა და ისეთივე რიცხობრივი მნიშვნელობა აქვს; ასო „სანს“ როგორც ქართულში, ისე ძველ ბერძნულში ერთი სახელწოდება აქვს; წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული არაერთი სიტყვა (მელანი, კალამი, წიგნი, ქარტა, ეტრატი, ტომარი, კაბადონი) ბერძნულიდანაა შემოსული და სხვ.

ქართულ და ბერძნულ დამწერლობათა რიგის მსგავსება, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართული ანბანის ბერძნულიდან წარმომავლობის თეორიის მომხრენი, ი. ჯავახიშვილს მხედველობიდან არ გამოჰპარვია. მეცნიერმა ეს გარემოება რამდენჯერმე აღნიშნა („ქართული ანბანის წესრიგი თავიდან ოცდამეექვსე ასომდე, ორი გამონაკლისის გარდა, ვასაოცრად უდგება ბერძნულს“, „ქართული ანბანის რიგი უძველეს ბერძნულსას, ან უფრო მისი წყაროს რიგს მისდევს“), მაგრამ იგი ამჩნევდა, რომ ზოგიერთი ასოს მდებარეობა ქართულ ანბანს აშორებს ბერძნულს და აახლოებს ფინიკიურ-არამეულ და მათგან წარმომდგარ დამწერლობებთან, მხოლოდ ასოთა რიგის მიხედვით ქართული ანბანის წარმომავლობის დამტკიცებას შეუძლებლად თვლიდა, მეტ მნიშვნელობას „ასოთა მოყვანილობა-მოხაზულობის მსგავსებასა და იგივეობას“ ანიჭებდა.

ი. ჯავახიშვილმა ისიც შენიშნა, რომ ასო „ვინი“ ქართულში მეექვსე ადგილზეა, როგორც ძველ ბერძნულში „ვავი“, აგრეთვე ასო „სანს“ ბერძნები ძველად ამ სახელით რომ იხსენიებდნენ. თუ ქართული ანბანი ბერძნულიდან მომდინარეობს, ყოველივე ეს სიძველის მაჩვენებელი უნდა იყოსო. ამ საბუთიანობით ქართული ანბანი ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში უნდა შექმნილიყო, რადგან შემდეგ ვითარება შეიცვალა— ბერძნულში, „ვავ“ აღარ იხმარებოდა, „სანს“ „სიგმა“ ეწოდა.

ი. ჯავახიშვილი ქართული ანბანის „ბერძნულისაგან წარმოშობილობის აზრს უსაფუძვლოდ და შეუძლებლად“ მიიჩნევდა და საკმაოდ კატეგორიული ტონით აცხადებდა: „სამუდამოდ უკუხედებული უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის მეხუთე საუკუნეში გამოგონების შესახებ ქ. შ. და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიში და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ“.

უკვე აღვნიშნეთ, რომ გ. წერეთელი ქართული ანბანის აღმოსავლურ



კერძოდ, არამეულ წარმომავლობას უჭერდა მხარს. ამჯერად ზემოთქმულს უნდა დავუმატოთ, რომ მეცნიერმა ქართულ ანბანში შექმნილის კვალიც შენიშნა, გავლენის დამადასტურებელი ნიშნები გამოავლინა (წერის მიმართულების შეცვლა, შეხვედრები ანბანის რიგში, წერის სტილი და მანერა, სპეციალური ნიშნები ხმოვნებისათვის და სხვ.) და ყოველივე ეს ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ქართველ-ბერძენთა კულტურული ურთიერთობის გაცხოველების შედეგად მიიჩნია.

ქართულ და ბერძნულ დამწერლობათა ურთიერთობაზე რ. პატარძემაც გაამახვილა ყურადღება, მაგრამ მის ქრონოლოგიაზე სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი განავითარა. მისი დასკვნით, ქართული მონუმენტური დამწერლობის შექმნისას ზოგადად გათვალისწინებული იყო ბერძნული დამწერლობის გრაფიკული პრინციპები (ძვ. წ. V ს.).

ახლახან მკითხველმა საზოგადოებრიობამ მიიღო თ. გამყრელიძის მონოგრაფია „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა (ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა)“, რომელშიც განხილულია ძველი ქართული ანბანური დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების საკითხები და მოცემულია მისი წერილობითი წყაროს დადგენის ცდა.

მკვლევარმა შეისწავლა არქაული ქართულის ფონემური (ბგერითი) შედგენილობა, ძველი ქართული ასომთავრული ანბანის შესაძლებელი წერითი პროტოტიპები, ამ ანბანის პარადიგმატიკა ბერძნულ და სემიტურ სისტემებთან შეფარდებით, მისი რიცხვ-ნიშანთა სისტემა და „დანართი“ ნაწილი ბერძნული სისტემის თვალსაზრისით, ქართული ანბანის ასო-ნიშანთა სახელები, სიმბოლოთა გრაფიკული მოხაზულობა და წარმომავლობა, ასომთავრული დამწერლობის შემქმნელის ვინაობა, ამ დამწერლობის შექმნის თარიღი და სხვ.

თ. გამყრელიძე არ უარყოფს წინამორბედ მკვლევართა მიერ მომარჯვებულ მეთოდს — ასოთა მოხაზულობის შედარებას, გრაფიკულ ანალიზს, ამას სათანადო ყურადღებით ეკიდება, მაგრამ უპირატესობას ენათმეცნიერულ მიდგომას ანიჭებს. მისი სიტყვით, ანბანური წერის უძველესი ნიმუშია კლასიკური ბერძნული დამწერლობა, რომელიც წარმოიშვა ძველი სემიტური კონსონანტურ-სილაბური წერისაგან. ძველი სემიტური, ძველი ბერძნული და ძველი ქართული წერილობითი სისტემების ერთმანეთთან სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შეპირისპირება ავლენს ქართული დამწერლობის დამოკიდებულებას ძველ ბერძნულ და არა ძველ სემიტურ სისტემაზე, რომელსაც ჩვეულებრივ უკავშირებდ-



ნენ ძველ ქართულ ასომთავრულ დამწერლობას. მისი დასკვნით, სწორედ ბერძნული წერითი სისტემა იყო გამოყენებული როგორც წერტილ პროტოტიპი ძველი ქართული დამწერლობის შესაქმნელად.

თ. გამყრელიძის დაკვირვებით, ქართული ასომთავრულის შედარება სხვა წერით სისტემებთან, რომლებიც ასევე ძველ ბერძნულ წერილობით პროტოტიპს ემყარება (ისეთ სისტემებთან, როგორიცაა კობტური, გოთური, ძველი სომხური და ძველი სლავური), ავლენს ძველი ქართული წერის სტრუქტურულ მახასიათებლებს და არკვევს მის ტიპოლოგიურ ადგილს ადრექრისტიანული ხანის იმ დამწერლობებს შორის, რომლებიც შეიქმნა აღმოსავლურ-ქრისტიანულ კულტურულ სამყაროში როგორც ორიგინალური ეროვნული დამწერლობანი.

თ. გამყრელიძის მონოგრაფიაზე საუბარს აღარ გვაგარძელებთ, ოღონდ დავიმოწმებთ იმ მაღალ შეფასებას, რომელიც მას მისცა ა. შანიძემ: „ძველი ქართული წერა რომ ბერძნულის გავლენით შეიქმნა, პირველად თ. გამყრელიძის... გამოკვლევაშია დასაბუთებული ვრცლად და სისტემებრ. ამასთანავე ერთად ავტორი ადგენს ძველი ქართული დამწერლობის ტიპოლოგიურ ადგილს სხვა ანბანურ დამწერლობათა შორის.“

თ. გამყრელიძის მიერ წარმოდგენილი ძირითადი დებულებანი მისაღებია და გასაზიარებელი. დღეს, როდესაც სხვადასხვა „თეორიებს“ თხზავენ ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, თ. გამყრელიძის გამოკვლევა, სათანადო მეცნიერულ მეთოდზე დამყარებული და ფართო შედარებით-ტიპოლოგიური მასალით განმტკიცებული, განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და მეცნიერულ ღირებულებას იძენს... თ. გამყრელიძის კვლევა-ძიების ნაყოფი მნიშვნელოვანი მონაპოვარია და იგი გარკვეულ ეტაპს წარმოადგენს ქართული ანბანის წარმოშობის კვლევის საქმეში“.

იმ მკვლევართა შორის, რომლებიც ქართულ ანბანს ბერძნული დამწერლობიდან მომდინარედ მიიჩნევდნენ, ასომთავრულს ბერძნული ანბანის გავლენით შექმნილად აღიარებდნენ, აზრთა სხვადასხვაობა იყო. ზოგი ქართულ დამწერლობას არქაული ხანით ათარიღებდა, ზოგი კი მის აღმოცენებას ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირებდა. მაგალითად, დ. ბაქრაძე ქართული ანბანის წარმოშობას შავი ზღვის სანაპიროზე ბერძნული კოლონიების დამკვიდრების დროინდელ მოვლენად მიიჩნევდა; პ. ინგოროყვა ქართულ ანბანს არქაული ბერძნულიდან მომდინარედ აცხადებდა და მას ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით ათარიღებდა; ა. შანიძე ქართული ანბანის რიგს ძველი ბერძნულის რიგს უკავშირებდა და ა. შ. ქართული „ვინის“ ადგილმდებარე-



ობა, აგრეთვე „სანის“ სახელდება, როგორც აღვნიშნეთ, სადიქტოროს ხდის ქართული დამწერლობის არქაულ ხანაში შექმნას.

მკვლევართა ის ჯგუფი, რომელიც ქართულ ანბანს ბერძნულიდან მომდინარედ მიიჩნევდა და მის აღმოცენებას ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირებდა, ჩვენი ეროვნული ანბანის შექმნასა და მწერლობის განვითარებას ახალი რელიგიის საჭიროებითა და მოთხოვნილებით ხსნიდა.

კ. კეკელიძე ადრეულ წლებში არამცთუ ქართული ანბანის ქრისტიანობის წინარე ხანით დათარიღებას უარყოფდა, არამედ მის ახ. წ. IV საუკუნეში არსებობასაც შეუძლებლად თვლიდა, სომხური წყაროების საფუძველზე დასაშვებად მიიჩნევდა ქართული ანბანის ბერძნულის მიხედვით შექმნაში მესრობის — ვითარცა მრჩეველისა და ინსტრუქტორის და არა ინიციატორის — მონაწილეობას და ამ ფაქტს V საუკუნის პირველი ნახევრით (ჯერ 412—429, ხოლო გვიან 420—422 წლებით) ათარიღებდა. შემდგომ პერიოდში მკვლევარმა თავისი თვალსაზრისი რამდენადმე შეასწორა და დააზუსტა, სომხური წყაროების ჩვენების გამოყენებაზე ხელი აიღო, კვლავ გაამახვილა ყურადღება ქრისტიანობის წინარე ხანის ქართული წერილობითი ძეგლების მოუღწევლობაზე, ერთი მხრივ, და ახალი „მწიგნობრული რელიგიის“ გავრცელებასა და საჭიროებაზე, მეორე მხრივ, და თავისი შეხედულება ასეთი სახით შემოგვთავაზა: „მეხუთე საუკუნემდე (ახ. წ.) ქართულ ენაზე არ მოიპოვება არც ერთი ლიტერატურული გინათუ ეპიგრაფიკული ძეგლი, ჯერ არ აღმოჩენილა არც ერთი ქართული წარწერა დედამიწის ზედაპირზე, არც მის წიაღში. მცხეთა-არმაზის გათხრების შედეგთა მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ქართველები თავიანთ საჭიროებას იკმაყოფილებდნენ უმთავრესად არამეული და ბერძნული დამწერლობის საშუალებით. მეოთხე საუკუნის გასულს თუ მეხუთის დამდეგს, მას შემდეგ, რაც ჩვენში დამყარდა ქრისტიანობა, ეს უღრესად მწიგნობრული რელიგია, დაიბადა საჭიროება ნაციონალური ანბანისა და მწგნობრობის შემოღებისა“.

ქართული ანბანის შექმნას, ქართული დამწერლობის აღმოცენებას ქართლში ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირებენ და ამდენად მას ქრისტიანობისდროინდელ კულტურულ-ისტორიულ მოვლენად მიიჩნევენ სხვა მკვლევარნიც (ა. შანიძე, გ. ქიქოძე, ნ. ბერძენიშვილი, თ. ჩხენკელი და ა. შ.). უკანასკნელად ამ საკითხს შეეხო თ. გამყრელიძე, რომელმაც ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება და ქართული ეროვნული დამწერლობის შექმნა ახ. წ. IV საუკუნის მოვ-



ლებად მიიჩნია. მისი სიტყვით, ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელებამ და დამკვიდრებამ შეუქმნა საფუძველი და წინაპირობა ქართულ დამწერლობას, რომელიც თავდაპირველად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ქრისტიანული საეკლესიო წიგნების ქართულად გადმოღებისათვის და აგრეთვე ეროვნულ ენაზე ორიგინალური ქრისტიანული წერილობითი ძეგლების შესაქმნელად (ამასთანავე, მკვლევარი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანობის ხანის ახალი ქართული ეროვნული დამწერლობა იყოს, რომელმაც შეცვალა (ან გამოაძევა) მანამდე არსებული, წარმართული ეპოქის წერილობითი სისტემა. მისი თქმით, სხვადასხვა ზოგადი მოსაზრების საფუძველზე შესაძლებელია, გარკვეული ალბათობით ვივარაუდოთ ქართულ სახელმწიფოში ქართული წერილობითი ტრადიციების არსებობა ჯერ კიდევ ქრისტიანობის ხანამდე).

როდესაც ვითვალისწინებთ ქართლში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიასა და ვითარებას, ღვთისმსახურების საჭიროებისათვის ეროვნული დამწერლობის აუცილებლობას, ქართული ანბანის ქრისტიანობის დროინდელად მიჩნევის შესაძლებლობა მართლაც ჩნდება, მაგრამ ზოგი საკითხი კვლავ დაფიქრებას და დამატებით საბუთებს მოითხოვს.

ძველ ძეგლთა მოუღწევლობაზე ყურადღების გამახვილება და საკმაოდ საკითხის ამით გადაჭრა დამაჯერებლობას მოკლებულია. როგორც ცნობილია, საბუთის არარსებობა ფაქტის არარსებობის საბუთად ყოველთვის ვერ გამოდგება. არმაზის ბილინგვა (თუ არამეული და ბერძნული ასოებით შესრულებული სხვა წარწერები) ქრისტიანობამდელი ქართული დამწერლობის არარსებობის სამტკიცებლად საკმარისად ვერ მიიჩნევა. ეს ფაქტი — ეპიგრაფიკულ ძეგლებში არაქართული ასოების გამოყენება — იმდენად ქართული დამწერლობის არარსებობაზე არ მიგვივითითებს, რამდენადც ქართველ მეფე-დიდებულთა მიერ გავრცელებულ საერთაშორისო დამწერლობათა გამოყენებაზე.

დაბოლოს გასარკვევია, თუ ქართული დამწერლობა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ დროინდელია, თუ იგი ახალი რელიგიის დამკვიდრებას მოჰყვა, რატომ არაფერს გვაუწყებს ამაზე ლეონტი მროველი, რატომ გადააქვს მას ეროვნული დამწერლობის აღმოცენების თარიღი ქრისტიანობის წინარე ხანაში. რით და როგორ ავხსნათ, რომ ქრისტიანმა მოღვაწემ, განსწავლულმა მღვდელმთავარმა, თუკი იცოდა ქრისტიანობის დამსახურება ამ სფეროში (არადა ასეთ განათლებულ მწერალს უთუოდ უნდა სცოდნოდა!), რატომ უღალატა ქვეშაირიტებას და რა მიზნით განადიდა წარმართობის ხანა, რად მიაწერა მას ქართული ანბანის

შექმნა, ეროვნული მწიგნობრობის დაფუძნება? ხომ ცნობილია ქრისტიან მწიგნობართა დამოკიდებულება წარმართობისადმი? ქრისტიანობა

როგორც ჩანს, ტრადიცია ისე დაბეჯითებით ათარილებდა ქართულ ანბანის აღმოცენებას წარმართობის ხანით, რომ ქრისტიანმა მღვდელმთავარმა უყოყმანოდ გაიმეორა იგი. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს.

რადგან ბევრი მკვლევარი უარყოფს ქრისტიანობის წინარე ხანაში ქართული დამწერლობის არსებობას და ქართულ ანბანს ქრისტიანობის დროინდელად მიიჩნევს, ერთგვარად თითქოს ჩნდება სომხურ წყაროებში შემორჩენილი ერთი ყალბი ცნობის შეწყყნარების შესაძლებლობა.

ეს ცნობა ეკუთვნის სომეხ ისტორიკოსს კორიუნს (V ს.). ვნახოთ, რას გვაუწყებს იგი ქართული ანბანის შექმნაზე და რამდენად დამაჯერებელია მისი მონათხრობი.

კორიუნის სიტყვით, სომხური ანბანის შემოქმედმა მესროპმა (მაშტოცმა) ეროვნული დამწერლობის შექმნის შემდეგ დაიწყო ზრუნვა მეზობელ ხალხებზე, კერძოდ ქართველებზე. მან ჯერ კიდევ სამშობლოში დაიწყო ქართული დამწერლობის შექმნა — დახაზა და დაალაგა ქართული ასოები, შემდეგ ჩამოიტანა ქართლში. აი, კორიუნის ცნობით, ასე დაედო საფუძველი ქართულ დამწერლობას.

ქართული ანბანის შექმნის ამ ვერსიას ეხმაურება მეორე სომეხი ისტორიკოსის, ტრადიციულად V საუკუნის ავტორად მიჩნეული მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“ შემონახული ანალოგიური (მაგრამ ნაწილობრივ განსხვავებული) ცნობა: მესროპი „წავიდა ქართველთა ქვეყანაში და მადლის ზეგარდმო მინიჭებით მათაც შეუქმნა ანბანი ვინმე ჯალასთან ერთად, რომელიც ბერძნული და სომხური ენებიდან თარგმნიდა“.

ეს ფაქტი აღნიშნულია აგრეთვე „ეპისტოლეთა წიგნში“, აბრაამ კათალიკოსის წერილში კირიონ ქართლის კათალიკოსისადმი — „წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად“ ქართველებსა და სომხებს მაშტოცმა „დაგვითესაო“.

კორიუნის ცნობამ ადრევე შესამჩნევი პოპულარობა მოიპოვა სამეცნიერო წრეებში. ეს არაერთმა მიზეზმა განაპირობა: მსჯელობა ქართული დამწერლობის ბერძნულიდან თუ ფინიკიურ-არამეულიდან წარმომავლობის შესახებ მხოლოდ ზოგად მინიშნებებსა თუ ასოთა გრაფიკულ-პალეოგრაფიულ ანალიზს ემყარებოდა, მყარი საბუთების უქონლობის გამო ვარაუდების სფეროს ვერ სცილდებოდა და ისტორი-



ულ-ლიტერატურული წყაროების ჩვენებით ვერ დასტურდებოდა კორიუნის ცნობა კი კონკრეტული იყო, ასახელებდა ქართული ანბანის შემოქმედს, დაახლოებით ათარიღებდა ქართული დამწერლობის აღმოცენებას და, რაც მთავარია, ამ უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის აქტს ქრისტიანობის დროინდელად მიიჩნევდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კორიუნის თხრობა დასავლეთის მეცნიერთათვის უფრო ადრე გახდა ცნობილი, აღარ გაჭირდება იმის გაგება, თუ რატომ აიტაცეს იგი ევროპელებმა, რატომ გაიზიარეს კორიუნის თვალსაზრისი ყოველგვარი ყოყმანის, კრიტიკული განხილვისა და შეფასების გარეშე.

კორიუნის გადმოცემას ქართველები, როგორც ჩანს, XIX საუკუნეში გაეცნენ. ტრადიციულ გადმოცემაზე, ლეონტი მროველის თხრობაზე უფრო ახლოს ქართველი საზოგადოებრიობა ააღიარა ამ ცნობამ, რომელსაც მეცნიერული პასუხი და განმარტება სჭირდებოდა, მაგრამ ქართველოლოგია გასული საუკუნის პირველ ნახევარში საამისოდ მზად არ იყო და ამიტომ თეიმურაზ ბაგრატიონის ზოგადი მსჯელობითა და ოდენ ლიტონი განცხადებით შემოიფარგლა. „სომეხნი ვიეთნიმე იტყვიან, რომ სომხური წიგნის ასოები და ქართული წიგნის ასოები ხუცურით მესროფმა გააკეთათო. მაგრამ ქართული ხუცური ასოები მესროფს არ გაუკეთებია, დიდი ტყუილი არს. მანამ მესროფ დაიბადებოდა და ამ სოფელში შემოვიდოდა, ადრევე ქართული ხუცური წიგნი იყო“— ასე სწერდა თ. ბაგრატიონი მ. ბროსეს, რომელიც იმხანად (1834 წ.) ქართული ანბანის წარმომავლობის საკითხით იყო დაინტერესებული. კორიუნის დაუსაბუთებელ განცხადებას მან, ნაცვლად თანამიმდევრული მსჯელობისა და არგუმენტაციისა, ასევე ზოგადი განცხადება დაუპირისპირა და, ამასთანავე, აღშფოთება გამოთქვა სომეხი მხითარისტების მიერ კორიუნის ყალბი ცნობის ევროპაში გავრცელების გამო: „დატანტალობდნენ სხვათა და სხვათა ევროპიის ქალაქებში და ზღაპარ-მსიტყველობდნენ და ცუდ-მედიდებობითა თვისითა მკვეხარობდნენ აღურაცხელად“.

მიუხედავად თ. ბაგრატიონის კატეგორიული ტონისა, მის მიერ კორიუნის ცნობის უარყოფისა და მკაცრი კრიტიკისა, იგი მაინც გავრცელდა სომეხ და ევროპელ არმენოლოგთა ნაშრომებში, ერთგვარი გამოძახილი პოვა ქართველოლოგთა შორისაც. სხვადასხვა მკვლევარი მესროფს სხვადასხვა მისიას მიაწერდა: ადრეარსებული მხედრული დამწერლობის ხუცურით შეცვლას (მ. ბროსე), ზოგიერთი ნაკლული ასოთი შევსებას (დ. ბაქრაძე, ს. კაკაბაძე), რეფორმატორობას (ი. ოქროშვილ-



ლიშვილი), კონსულტანტობას (კ. კეკელიძე), წარმართობის დროინდელი ასომთავრულის შესაცვლელად, იდეოლოგიური მოსაზრებების ანბანის შექმნას (მ. ჩხარტიშვილი) და ა. შ.

ქართული და სომხური საისტორიო წყაროების მიერ შემონახული ცნობების კრიტიკული შესწავლითა და გაანალიზებით, აგრეთვე ქართულ და სომხურ დამწერლობათა სკრუპულოზური შედარება-შეპირისპირებით გაირკვა, რომ სომეხ ისტორიკოსთა ცნობების შეწყნარება და მათ საფუძველზე ქართული ანბანის შემქმნელად მესროპის აღიარება შეუძლებელია.

1. სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპეცი (V ს.), რომელიც კორიუნის წიგნზე დაყრდნობით საუბრობს მესროპზე, მის მიერ ქართული დამწერლობის შექმნაზე არას გვაუწყებს. ჩანს, მის დროს, V საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც იგი თავის თხზულებას წერდა და კორიუნის წიგნით სარგებლობდა, ამ უკანასკნელში ცნობა მესროპის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ არ ყოფილა (რომ ყოფილიყო, მოიხსენიებდა!), იგი შემდეგროინდელი ჩანართია (ი. ჯავახიშვილი). ნ. აკინიანისა და ზ. ალექსიძის დაკვირვებით, ეს ცნობა კორიუნის წიგნში VIII საუკუნის დამდეგსაც არ ყოფილა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლაზარ ფარპეცი იცნობდა კორიუნის თხრობას, მაგრამ, ჩანს, არ იწყნარებდა მის თვალსაზრისს.

2. ქართული ანბანის შექმნის ამ ვერსიას არ იცნობენ და არ იხსენიებენ სხვა სომხური წყაროები, რომლებიც მესროპზე წერენ (ანონიმური ქრონოგრაფია — VII ს.; „ეპისტოლეთა წიგნის“ უხტანესისეული რედაქცია — X ს.). არ იცნობს მას ძველი ქართული მწერლობა, კერძოდ, არსენ საფარელი (IX ს.), რომელიც პატივით იხსენიებს მესროპის მწიგნობრულ-მთარგმნელობით საქმიანობას. არას გვაუწყებს მესროპზე ლეონტი მროველი; გადაჭრით თქმა ძნელია, არ იცნობდა ამ ვერსიას (ის ხომ კარგად იცნობდა და იყენებდა სომხურ წყაროებს!), თუ იცნობდა, მაგრამ უპირატესობას ანიჭებდა გადმოცემას ფარნავაზის შესახებ და ამიტომ იგი დაიმოწმა.

3. აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ეპისტოლეს ცნობა: „წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად“ ქართველებსა და სომეხებს მამტოცმა „დაგვიტესაო“, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ, წერილის ძველ (თავდაპირველ) რედაქციაში არ ყოფილა, იგი X საუკუნის შემდეგ შეუტანიათ ტექსტში (ზ. ალექსიძე).

4. დაუჯერებელი და წარმოუდგენელია ქართული დამწერლობის შექმნა ისეთი პიროვნების მიერ, რომელიც ჩვენს ენას არ ფლობდა. მეს-



როპმა ქართული ენა არ იცოდა (ამ საკითხზე სომხური წყაროები გვაუწყებენ); როგორ შეძლებდა ის ამ ენის ლინგვისტურ ანალიზს, მისი ფონეტიკური სისტემის დანაწევრებას ცალკეულ ბგერით ერთეულებად და მათ სათანადო გრაფიკული ნიშნებით გამოხატვას?! ქართული ენის უცოდინარობა „სრულიად გამორიცხავს შესაძლებლობას მის მიერ ქართული ანბანის შექმნისას“ (თ. გამყრელიძე).

ამერიკელი მეცნიერის ჯ. გრეპინის მიერ 1981 წელს შემოთავაზებული „ქართული ანბანის წარმოშობისა და სომხურთან მისი ურთიერთობის პრობლემის ახალი კომენტარი“ საფუძველს მოკლებულია. მისი ვარაუდი, მესრობს (რომელმაც არ იცოდა ქართული ენა) ქართული ანბანის ფორმირებაში დაეხმარებოდნენ პირნი, რომლებიც ფლობდნენ ქართულ ენას და იცნობდნენ მის თვალსაზრისს ფონოლოგიაზეო, დამაჯერებელი არაა.

5. ქართულ და სომხურ დამწერლობათა გრაფიკული სისტემის შედარებითი ანალიზისა და ასოთა მოხაზულობის შეჯერება-შეპირისპირების გარეშე მსჯელობა ამ დამწერლობათა მსგავსებაზე (სტილისა და ფორმის მხრივ) და მათი ერთი პიროვნების მიერ შექმნილად აღიარება შეცდომაა. საგანგებო შეპირისპირებამ ცხადყო, რომ ქართულ და სომხურ ასოთა მოხაზულობაში მსგავსება მოჩვენებითია, გარეგნულია და მხოლოდ რამდენიმე ასოში იჩენს თავს, ძირითადად კი პრინციპი მათი მოხაზულობისა მკვეთრად განსხვავებულია. ასევე განსხვავებულია ასოთა რიგი და მათი რიცხვითი მნიშვნელობა. ქართული და სომხური ანბანი ერთი კაცის ნახელავი რომ იყოს, მეტი მსგავსება იქნებოდა, ნათესაობა აშკარად გამოჩნდებოდა.

ი. ჯავახიშვილის თვალსაზრისი, რომელიც ახლახან დავიმოწმეთ, ახალი საბუთებით განამტკიცეს ე. მაჭავარიანმა და თ. გამყრელიძემ. გამოვლინდა ქართულსა და სომხურ დამწერლობებში ასოთა შექმნის განსხვავებული გრაფიკული წესი, დადგინდა, რომ ქართული და სომხური ასოების საფუძველი სხვადასხვაგვარია; ქართული ასომთავრული ერთიან გრაფიკულ სისტემაზე აგებული ანბანია, რომელშიც პირობითობის პრინციპზე აგებული სტილისტური ერთიანობაა, რაც შექმნილია წრისა და სწორი ხაზისაგან წარმოებული ელემენტების კომბინირებით, სომხურში კი ყველა ასო ერთიან გრაფიკულ ანალიზს არ ემორჩილება. პრინციპი, რომლის მიხედვითაც ანბანურ რიგში მოწესრიგებულია ქართული ბგერა-სიმბოლოები, არსებითად განსხვავდება მესრობული ანბანის პრინციპისაგან (თ. გამყრელიძე).

6. დაბოლოს ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთ ქართულ თხზულებ-



ბას ახლა IV საუკუნით ათარიღებენ. თუ ეს ვარაუდი დადასტურდეს მაშინ კიდევ უფრო ცხადი გახდება, რომ კორიუნის ცნობის შესწავლა და ქართული ანბანის მესროპის მიერ V საუკუნეში შექმნილად მიჩნევა ყოვლად გაუმართლებელია.

უკანასკნელ წლებში მეტი ყურადღება მიექცა ქართული ანბანის გეომეტრიულ სტრუქტურას (ე. მაჭავარიანი, ვ. ბოედერი, თ. ჩხენკელი). თუ ადრე მკვლევარნი აუცილებლობად მიიჩნევდნენ ქართული ანბანის ამა თუ იმ დამწერლობიდან წარმომავლობას და ინტენსიურად ეძებდნენ ქართული ანბანის პროტოტიპს, ქართულ ასომთავრულს უდარებდნენ ქრისტიანობის წინარე ხანის დამწერლობებს, ამასთანავე, რაც დამაფიქრებელია, V საუკუნის ქართულ ასოებს უდარებდნენ მრავალი საუკუნის წინანდელ დამწერლობებს და მათი მსგავსების გამოვლენის საფუძველზე შორს მიმავალი დასკვნები გამოჰქონდათ, ახლა უძველესი ქართული ასოების გრაფიკული, მხატვრული და პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლამ ქართული ასომთავრულის თვითმყოფადი სახე გამოავლინა. მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა ქართული ანბანი როგორც ეროვნულ საფუძველზე აღმოცენებული სტილისტურად ერთიანი გრაფიკული სისტემა, რომელიც ერთბაშად, ერთდროულად უნდა იყოს შექმნილი. მასში პირველადია ასოთა მოხაზულობა, ხოლო მათი სახელდება და ანბანის რიგზე გაწყობა მეორადი. კომპოზიციური აგების საერთო პრინციპებითა და საწყისებით ქართული ასომთავრული ძველ ქართულ არქიტექტურას დაუკავშირდა. მკვლევართა აზრით, ქართული ასომთავრულის შექმნისას გათვალისწინებული ყოფილა ბერძნული დამწერლობა. ქართული ასომთავრულის გრაფიკული სტრუქტურის შექმნას ზოგი მეცნიერი ქრისტიანობამდელ ხანას უკავშირებს (ე. მაჭავარიანი), ზოგი კი გვიანდელ, ქრისტიანობისდროინდელ მოვლენად მიიჩნევს (თ. ჩხენკელი).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ქართული დამწერლობის საწყისების კვლევას, მისი გენეზისისა და ქრონოლოგიის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს, საძიებელ საკითხზე ჩვენს მეცნიერებს საბოლოო პასუხი ჯერ კიდევ არ გააჩნია. ჩვენ იმასაც კი ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, ქართული ანბანი ქრისტიანობის წინარე ხანაში შეიქმნა, თუ ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრების ეამს. ისლა დაგვრჩენია, გავიმეოროთ ა. შანიძის სიტყვები: „ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ ბევრი დაწერილა და კვლავაც დაიწერება. ზოგი რამის გამოკვლევა მომავლის საქმეა“.



როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ქართული მწერლობა ანტიკურ ხანაში, ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელებამდეც არსებობდა, მაგრამ იმდროინდელ ქართველთა ლიტერატურულ საქმიანობაზე ნათელი წარმოდგენა არა გვაქვს და ბევრს ვერაფერს ვიტყვით. მართალია, წარმართობისდროინდელი ქართული ლიტერატურის კვალს მკვლევარნი გვიანდელი ხანის ისტორიულ-ლიტერატურულ ძეგლებში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „მეფეთა ცხოვრება“) მიუთითებენ, მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია და საბუთად არ გამოდგება. ამიტომაც ჩვენ მხოლოდ ქრისტიანობისდროინდელ მწერლობაზე ვისაუბრებთ.

უკანასკნელ წლებში დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი თხზულება, რომელსაც ჩვეულებრივ გვიანი ხანით ათარიღებდნენ, ადრინდელი, კერძოდ, IV საუკუნისაა. ასეთი ძეგლებია „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ (ა. ბაქრაძე, რ. პატარიძე, გ. ნარსიძე, ე. ჭელიძე და სხვ.) და „მოქცევაჲ ქართლისაჲ („ნინოს ცხოვრება“ — მ. ჩხარტიშვილი, რ. სირაძე და სხვ.). ასევე IV საუკუნისად მიიჩნევენ ჩვენამდე მოუღწევველ „ნებროთიანს“, რომელსაც, ლეონტი მროველის ცნობით, მირიან მეფე კითხულობდა (პ. ინგოროყვა, ი. ლოლაშვილი). ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა და დასახელებულ ძეგლთა ზუსტი, ეჭვმიუტანელი დათარიღება მომავლის საქმეა.

თუ IV საუკუნის ქართულ ორიგინალურ ძეგლებზე საუბარი ჯერჯერობით პირობითია და დამატებით საბუთებს მოითხოვს, IV—V საუკუნეებში ქართველთა მთარგმნელობითი საქმიანობა ეჭვს არ იწვევს — ბიბლიის (ზოგიერთი წიგნის მაინც) ქართულ ენაზე თარგმნა IV საუკუნის 40-იანი წლებიდან V საუკუნის 60-იან წლებამდე რომ უნდა შესრულებულიყო (ა. შანიძე, კ. დანელია), ეს საკამათო აღარაა. ამ წიგნთა ადრეულ თარგმანებზე არაერთი ცნობა მოგვეპოვება:

ა. „პეტრე ქართველის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ პეტრემ კონსტანტინოპოლში წასვლამდე (424 წლამდე) „დაისწავლა ყოველივე სწავლაჲ და გულისკმის-ყოფით აღმოიკითხავნ წმიდათა წერილთა და იწურთინ მათ დღე და ღამე“.

ბ. ვახტანგ გორგასლის მემატიანის ჯუანშერის სიტყვით, არჩილ მეფის (IV ს.) ძის მირდატის სპარსელ მეუღლეს საგდუხტს „სჯულისა მეცნიერთ“ „უთარგმანეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“ (ე. ი. უთარგმნეს ქართულიდან სპარსულად, ან განუმარტეს ქართული ტექსტი).

ბ. „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ კიდევ ერთი საინტერესო ცნო.



ბაა V საუკუნეში ქართული მწერლობის არსებობის შესახებ აღნიშნულია, რომ არჩილ მეფის მიერ ეპისკოპოსის პატივში აღიზნებული მობიდანი „ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა“, რომლებიც „შემდგომად მისსა დაწუა“ მიქაელ ეპისკოპოსმა.

ღ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „შუშანიკის წამება“. მისი ავტორის ცნობით, V საუკუნის 60—70-იან წლებში ქართულად უკვე თარგმნილი იყო დავითნი, სახარება, პავლეს ეპისტოლენი, აგრეთვე „წიგნი მოწამეთანი“. საგულისხმოა, რომ იაკობ ცურტაველი მხოლოდ ამ ცნობის მოწოდებით კი არ კმაყოფილდება, არამედ იმოწმებს კიდევ ბიბლიურ ციტატებს, რომელთა შეჯერება ძველ ქართულ თარგმანებთან დამაჯერებლობას მატებს „შუშანიკის წამების“ ავტორის ნათქვამს და ადასტურებს ზოგიერთი ბიბლიური წიგნის ქართული თარგმანის არსებობას ადრეულ ხანაში.

„შუშანიკის წამების“ მნიშვნელობა ჩვენი საკითხისათვის მხოლოდ აღნიშნულით არ ამოიწურება. ის საყურადღებოა არა მხოლოდ მასზე ადრე ქართულ ენაზე არსებული ძეგლების მოხსენიებით, არამედ თავისთავად როგორც ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიციების მაჩვენებელი და დამადასტურებელი თხზულება. მისი თემატურ-შინაარსობრივი სიმდიდრე, იდეურ-აზრობრივი სიღრმე, მხატვრული სრულყოფილება გვაფიქრებინებს, რომ იგი არ უნდა იყოს ქართული ლიტერატურის პირველი ძეგლი. ქართული მხატვრული სიტყვის, ქართული ეროვნული წერილობითი კულტურის ისტორია „შუშანიკის წამებით“ არ იწყება — იგი აგრძელებს ძველ მწიგნობრულ ტრადიციებს და წარმოაჩენს ადრინდელი ქართული მწერლობის დონეს.

ამრიგად, V საუკუნეში ქართულ ენაზე მწიგნობრობის განვითარება და ეროვნული ლიტერატურის მაღალი დონე არავითარ ეჭვს არ იწვევს. ბიბლიური წიგნების თარგმანები და „შუშანიკის წამება“ ეჭვმიუტანლად ადასტურებენ ამას, ამასთანავე, ქმნიან იმის შესაძლებლობას, რომ ქართული მწერლობის საწყისები რამდენადმე ადრეულ ხანაში ვივარაუდოთ.

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტი: ქართული დამწერლობა (და მწერლობა) არ ჩაკეტილა საქართველოში, იგი იმთავითვე გასცდა ეროვნულ ფარგლებს და ერთმორწმუნე ხალხების ყურადღების ობიექტი გახდა, რაც, როგორც ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ შენიშნა კ. კეკელიძემ, აისახა სირიულ, ბერძნულ, სომხურ და სლავურ ლიტერატურაში. დავიმოწმებთ საილუსტრაციო მასალას.



ბ. ერთ სირიულ თხზულებაში (V ს.), რომელშიც სხვადასხვა ხალხსა და ქვეყანაზეა საუბარი, აღნიშნულია, რომ სემის, ქამისა და იაფეტისგან იშვა სამოცდაცამეტი ხალხი, ტომი და ენა. მათ შორის 15 ხალხმა იცოდა წერა-კითხვა, სხვანი კი ველურებსავით დაძრწოდნენ. წიგნიერთა შორის, — ებრაელთა, სირიელთა, სპარსელთა, ფინიკიელებსა და სხვებთან ერთად, — იხსენიებიან ქართველებიც.

ბ. საბა განწმედილმა (439—532) თავის მომდევნო წინამძღვარს სიკვდილის წინ დაუტოვა ანდერძი, რომელშიც ერთი მუხლი ასე იკითხება: „არც იბერიელებსა და არც ასურებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ თავიანთ ეკლესიებში ჟამის წირვა შეასრულონ; მათ, ამ ეკლესიებში შეკრებილთ, ნება ეძლევათ წართქვეან ჟამნი და სამხრისაჲ, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე, ხოლო ამის შემდეგ ისინი უნდა შეიკრიბნენ კათოლიკე ეკლესიაში და ყველა ძმასთან ერთად ეზიარნენ საღმრთოთა, უხრწნელთა და ცხოველმყოფელთა საიდუმლოთა“.

დამოწმებულ მუხლში სავსებით გარკვევითაა საუბარი ქართველთა ეკლესიაზე და იქ ქართული წიგნების კითხვაზე, კერძოდ, ნათლად ჩანს, რომ ქართველებს 523 წლისათვის უკვე თარგმნილი ჰქონდათ სახარება, სამოციქულო და სხვა წიგნები.

ბ. სომეხურ „ეპისტოლეთა წიგნში“ (VII ს.), რომელიც ზემოთ რამდენჯერმე დავიმოწმეთ, კერძოდ, სომეხ მღვდელმთავართა წერილებში გარკვევითაა დადასტურებული „ქართული მწიგნობრობის“ არსებობა. აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მიერ კირიონ ქართლის კათალიკოსისადმი გამოგზავნილი მესამე ეპისტოლედან ისიც ჩანს, რომ 506 წლის საეკლესიო კრების „პირობის წიგნი“ ქართულადაც ყოფილა დაწერილი.

დ. სლავთა განმანათლებლის კონსტანტინეს (კირილეს) ცხოვრების აღმწერის ცნობით (IX ს.), როდესაც კონსტანტინეს უსაყვედურეს სლავებისათვის დამწერლობა რა საჭიროა, ღვთისმსახურება ხომ მხოლოდ სამ ენაზე (ბერძნულზე, ლათინურზე, ებრაულზე) შეიძლებაო, მან ასე იპართლა თავი: არაერთ ხალხს აქვს საკუთარი დამწერლობა და თავის ენაზე ეწევა ღვთისმსახურებასო. სხვა ხალხებთან ერთად მან ქართველებიც დაასახელა.

დავით აღმაშენებლის ანდერძი

უამრავ ქართულ სიგელ-გუჯარებსა და წერილობით საბუთებს შორის, რომლებიც ჩვენს სიძველეთსაცავებში არის ან ოდესმე ყოფილა დაცული, თუ საჭიროდ მივიჩნევთ ერთი რომელიმე მათგანის — თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებით გამორჩეულის — გამოყოფას, ჩემი არჩევანი შეჩერდებოდა დავით აღმაშენებლის ანდერძის სახელით ცნობილ სიგელზე, რომელიც დიდ მეფეს შიომღვიმის მონასტრისთვის უბოძებია თითქმის ცხრა საუკუნის წინათ, შირვანში ლაშქრობის წინ, როცა ის მონასტერში მისულა წმინდა შიოს საფლავის მოსალოცავად და მისთვის მომავალ ომში შემწეობის სათხოვნელად.

ყოველივე ეს სიგელის დასაწყისშივე არის მეფის პირით ნათქვამი: „ქ. თავსდებობითა ღმრთისაითა მე, დავითს, მიწყეის.

ჟამსა ჩემსა შარვანს ზედა განმართვისასა შევევედრე შეწევნად ჩემდა შესავედრებელსა ჩემსა წმიდასა მამასა შიოს. ვიხილე ეკლესიაჲ ჩემ მიერ აღშენებული დასრულებულად, და მივიღე ლოცვაჲ ყოველთა მამათაჲ და სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა. დაკლებული სისწრაფისაჲ არს. თუ ინებოს ღმერთმან ჩემი შემოქცევაჲ, უმჯობესად შეიცვალოს; თუ არა, ესე იყოს აწინდელი“.

დავით აღმაშენებელმა, მისი ისტორიკოსის ცნობით, ხუთჯერ ილაშქრა შირვანში 1120—1124 წლებში და ხუთჯერვე გამარჯვებული „შემოიქცა“. სიგელი, რომელზედაც ჩვენ გვაქვს საუბარი, დაწერილია დავითის მიერ არაბთაგან თბილისის განთავისუფლების (1122 წ.) შემდეგ, ე. ი. 1123 ან 1124 წელს. მალე ამის შემდეგ, 1125 წელს, ჭარმაგი მეფე მოულოდნელად გარდაიცვალა და ველარ მოასწრო ანდერძის „უმჯობესად შეცვლა“, თუმცა მას, შეიძლება ითქვას, გაუმჯობესება არც სჭირდებოდა.

დავით აღმაშენებლის მიერ ბოძებული სიგელი შიომღვიმის მონასტერში დიდხანს იყო დაცული სხვა სამეფო სიგელებთან ერთად. აქვე

ინახებოდა, მაგალითად, გიორგი მეორის სიგელი შიომღვიმისადმი 1072 წლისა, თამარ მეფის სიგელი შიომღვიმისადმი 1201 წლისა და სხვანი. მყუდრო და ძნელად მისადგომ ადგილას საიმედოდ დაცულმა ამ ძვირფასმა დოკუმენტებმა თითქმის დაუზიანებლად, პირვანდელი სახით მოაღწიეს XIX საუკუნემდე.

რუსული მმართველობის წესების შემოღების შემდეგ საქართველოს ეკლესიის სიგელ-გუჯრებს ჯერ ე. წ. „საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში“ მოუყარეს თავი, შემდეგ კი თბილისის საგუბერნიო მიწათმოქმედების არქივში დაუდეს ბინა. XIX საუკუნეც ისე მიიწურა, რომ ამ სიგელ-გუჯრებს რაიმე ზიანი არ მოსვლია. პირიქით, გაცხოველდა მათდამი ინტერესი და დაიწყო მათი მეცნიერული კვლევა.

მაგრამ მალე, XX საუკუნის ათიან წლებში, ქვეყანას რისხვით გადაუარა პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის ქარიშხალმა, რომელსაც ბევრი უბედურება მოჰყვა და, სხვათა შორის, ჩვენი უძველესი ისტორიული დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილიც მაშინ დაიღუპა. დავით აღმაშენებლის სიგელიდან შემთხვევით გადაარჩა მხოლოდ მცირე ფრაგმენტი.

როგორ მოხდა ეს? ვიდრე ამას გიამბობდეთ, ცოტა უფრო დაწვრილებით გავეცნოთ ამ სიგელს:

თვითმხილველთა აღწერილობის, ფოტოებისა და მეცნიერული გამოცემების მიხედვით ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი დაწერილი ყოფილა დიდი ზომის ეტრატის გრაგნილზე ცალ მხარეს (მეორე მხარე თავისუფალი ჰქონდა). გრაგნილი ერთმანეთზე გადაკერებული 5 კეფისაგან (ფურცლისაგან) შედგებოდა და მისი სიგრძე მთლიანად 2 მეტრს აღემატებოდა, სიგანე კი 30 სანტიმეტრს აღწევდა. სიგელი მთლიანად ნაწერი იყო ნუსხა-ხუცურად, მაგრამ თავსა და ბოლოში თითო წინადადება დაწერილი იყო მხედრულად, თვით დავით აღმაშენებლის ხელით.

თავში დავითის ხელით მხედრულად დაწერილი ყოფილა: „ქ. თავსდებობითა ღმრთისაითა მე, დავითს, მიწყეი“; ბოლოში: „სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო, დაამტკიცე მტკიცე და უქცევი“.

მეფე რომ სიგელს თავისი ხელმოწერით ამტკიცებდეს, ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ სიგელის მეფის მიერ დაწყება-დამთავრება კი იშვიათი მოვლენაა და იმის მანიშნებელია, რომ ამ დოკუმენტს განსაკუთრებული ძალა და მნიშვნელობა ენიჭებოდა.

როგორც სიგელი გვაუწყებს, წმინდა შიოს მადლი და მემღვიმე მათა ლოცვა-კურთხევა დავით მეფეს ადრეც დახმარებია მტერთა ძლე-

ვაში და ამის გამო მადლიერების ნიშნად მეფეს მონასტრის ტერიტორიაზე ღვთისმშობლის ეკლესია აუგია: „მადლობა აღუვარე დამბადებელსა ღმერთსა და თაყუანის-ვეც ღმერთ-შემოსილისა წმიდისა მამისა შიოს საფლავსა... მყის მოუწოდე არსენის ბერსა და განუცხადე სათნო ჩემი და ვარწმუნე აღშენებად ეკლესიამ საშუალ მონასტრისა სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისასა, და მომადლებითა მისითა სრულად ვიხილე“.

მონასტერში ხელახალი სტუმრობისას მეფემ, რასაკვირველია, მოიხილა მისი ბრძანებით ახლად აგებული ღვთისმშობლის ტაძარი და ამავე დროს დაუმტკიცა მონასტერს ახალი წესი და განგება ანუ ტიპიკონი, შედგენილი სვიმონწმინდის განთქმული მონასტრის წესდების კვალობაზე: „მიბრძანა სასომან ჩემმან ბერმან არსენი და თვთ სულიერმან ბერმან, მოძღუარმან ჩემმან იოვანე, რაათამცა წესსა ზედა სუმეონ წმიდისასა დავსხენ მონასტრისა მღვმისა წესნი, რომელი თვთ მათ მიერ აღწერილი ვიხილე ყოვლად შუენიერად: უცთომელი გზა და წესიერი ცხოვრება და ანგელოზებრი მოქალაქობა, რაათა ღმრთისათუს ოდენ განკუთვნილნი, მას მხოლოსა, თვნიერ საწუთროთამსა ზრუნვისა ჰზრახვიდენ და წინაშე ღმრთისა მეოხებად კადნიერ იყვნენ“.

სიგელში რამდენჯერმე დიდი პატივით მოხსენიებული ბერი არსენი, „სასო და განმანათლებელი“ მეფისა, გახლავთ დიდი ქართველი ფილოსოფოსი და მოღვაწე არსენ იყალთოელი, რომელსაც მეფე სავსებით ანდობდა შიომღვიმის მონასტრის მართვა-გამგებლობას.

დავითმა თავისი სიგელით განუახლა და დაუმტკიცა შიომღვიმის მონასტერს ძველი შეწირულობანი:

„ვითარად მამათა და პაპათა ჩემთაგან სიგელნი ჰქონან სოფელთათუს მათთა წმიდასა ამას უდაბნოსა, რააცა სიბოროტითა ჟამათთა შეცვალებულ იყო, მე კულა გამიახლებიან იგი სიგელნი ანუ მეფეთა შეწირულთა, ანუ მთავართა ვიეთმე, და თვთ ძელი და ძუელის-ძუელი ნასყიდი მონასტრისაგან ყოველი უბეგროდ, უბაჟოდ და უწყენლად კულა მომიკსენებია წმიდისა მამისა შიოსთუს.“

ქალაქს ტფილისს რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონებია, და რომელი აწ უყიდია, და რომელი მე მომიკსენებია, იგი და. ანუ წალმართ მოიგონ, იგიცა ყუელამ უბაჟოდ და უსუხრაოდ ყოვლისა სამეფოამსა გამოსავლისაგან ჰქონდეს.

ვითა წინამძღუარსა მჯულისა ჩუენისასა მეუფესა იოვანეს, ქართლისა კათალიკოზსა, უბრძანებია და მოუნიჭებია ეკლესიისა ჩემისადა, რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან მღვმესა, საშჯუ-

ლოდ სამრებლოდ არს ყოველთაგან, თვთ მემღმისა დიაკონმან მოისამარჯო
თლოს და ეკლესიისა ზეთად მოიკმაროს“.

ამასთანავე დავითმა თავის მხრივაც უბოძა მონასტერს ჭეშმარიტად
მეფური შესაწირავი:

„ბროლისა, ბაზიჯისა და მინისა კანდლები, რომელი მე მომიკსენებია
და რომელი არსენის დაუდგამს, ნუმცა-ვის უკადრებია გამოღებაჲ,
სასანთლები, სიწმიდის სამსახური და რააცა უნდა მისთვის, ოცდაათი
ვეცხლი წმიდაჲ, არსენის კელსა არს.

ცული, ვითა გამიჩენიან ვაჭართა ზედა ჟამად-ჟამადი, იგი ამსახუ-
რონ.

საზრდელი ძმათა—პური, ხილი ფურნისაჲ, ხუთასისა ღრამისა წონი,
ნუმცაოდეს მოაკლდების.

სამღღევროდ ღუნოჲ ჟამსა სთულისასა, შემსგავსებულად მოსულისა,
შინაჲთ მობართუან მსახურთა მონასტრისათა ყოველთა — ერთი საწყა-
ვი, ეგრეთვე სხუაჲ ყოველი საჭიროჲ საჭმარი, შემოსავალთაგან მონასტრისათა.

სხუაჲ: ნაბჭობი, და ქუელბაგთაჲ, და საზეთეთაჲ, და წისქულთაჲ—
ყოველი შესამოსლად განეყოფვიდის.

ოცდაათი ჯორი, რომელი აწ მე მომიკსენებია, ამას ნუ დააკლდების.
ძუელითგან ვითა სიგელი შეუვალობისაჲ აქუს ცხუართათუს უსაბან-
ჯრობისაჲ, სამი ათასისა ცხურისაჲ მათს და ბარს, აწ მე მომიკსენებია
ორი ათასი ცხუარი, და ხუთი ათასი ცხუარი თვთ სასეფოჲ მონასტრი-
საჲ და მათთა მეცხოვრეთაჲ, უსაბანჯროდ, უბაჟოდ და უწყენლად
დგეს და იარებოდის ჩუენსა ჭამბარსა გუერდით. და ამისი გამოსავალი
ცხუარი ჯორსა იყიდდეს, მატყლი — მსახურთა მონასტრისათა და წუ-
ელაჲ ძმათა მიეცემოდის.

ასი ფური მომიკსენებია, რომელ თრიალეთს, მათსა სოფელსა ბჭითს
და ბჭითის ზეით სოფლებს და მათსა საფურესა მუხნარს დგეს.

მომეტებული ზროხაჲ ჯორსა და ცხენსა მონასტრისა სამსახურე-
ბელსა იქმოდის. ჯარი სამცხოვრებლითა სამუშაოთა ადგილთა მოაჭმა-
რონ.

თუალი და მარგალიტი, ჩემისა ხატისათუს რომელი დამიც, და ორნი
ბროლისა სასანთლენი მას ემსახუროს უკლებად.

ბროლისა ბარძიმი და ბაზიჯისა ფეშნუემი სიწმიდისა განახლებისა
სამსახურად მოიკმარებოდის.

სხუაჲ ჭურჭელი, ივარი სპარსთაჲ, რომელი არსენისდა და იოვა-
ნესდა მიმითუალავს, იგი მისსა ჟამსა ჩემსა მონასტერსა გაგზავნოს ძე-
მან ჩემმან ღემეტრე.



ძელი ცხორებისა და ნაწილნი წმიდათანი, ორი მოთხე მათგანსა
თუთ ამას ჩემსა ეკლესიასა შინა იყოს“.

ამ უხვი და მრავალფერი შეწირულების სამაგიეროდ მეფე ითხოვს:
„წმიდათა დიდთა მარხვათა ყოველთა პარასკევთა ეკლესიასა ტფი-
ლსა სეფისკუერსა განუყოფდენ საკსენებელად ჩემდა. და პირველისა
შუდეულისა პარასკევსა თითო კარასეული მიეცეს, სეფისკუერსა და
თესლსა თანა შესუან ყოველთა და მილოცონ ესრეთ: „უფალო ღმერ-
თო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყმისა და ცთომილებისანი!“.

აქ მკითხველს ალბათ გაახსენდება დავითის „გალობანი სინანულისა-
ნი“:

მილხინე, ოა მეუფეო, მილხინე,
და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა,
და ნუ იკსენებ ძკრთა ჩემთა,
და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა,
რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთა,
ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან.

ანდერძის ბოლო ნაწილში დავითი ევედრება მომავალ მეფეებს: „მო-
იკსენეთ ვედრი ჩემი და ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს, ჰნახევდით
გულსმოდგინებით ქმნილსა ჩემსა ეკლესიასა, და ნუ ოდეს ვის გაარყუ-
ნევთ კულა მას დიდებულსა ლავრასა“.

ამას მოსდევს წყევლა იმათი, — მეფე იქნება თუ მთავარი, ეპისკო-
პოსი თუ მონაზონი, ხელისუფალი, გლეხი თუ აზნაური, — ვინც მოინ-
დომებს ამ ანდერძის შეცვლას და რაიმე სამსახურს დააკლებს მონას-
ტერსო.

დასასრულ, მეფე ცოტა ვრცლად კვლავ იმეორებს თავშივე ნათქვამს:

„უკუეთუ ჟამი მომცეს ღმერთმა და სხუაჲ უახლესი ანდერძი დავ-
წერო, იგი თქუენ-მიერთთა კანონითა, უჯუარობითა, წყევითა და შეჩუე-
ნებითა დაამტკიცეთ, წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოზო და ყო-
ველნო მღვდელთმოდლუარნო. და თუ სხვსა დაწერად ჟამი აღარ მომ-
ხუდეს, თუთ ესე დაამტკიცეთ. და რაჲთაცა რას ვინ მღვმესა დააკლებ-
დეს, კანონითამცა თქუენ-მიერთთა კრულ არს გაუქსნელად.“

სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო, დაამტკიცე მტკიცე და უქცე-
ვი“.

ეს უკანასკნელი სტრიქონი, მსგავსად პირველისა, როგორც უკვე
ვთქვით, დავით აღმაშენებელს თავისი ხელით დაუწერია მხედრული ასო-
ებით, მაშინ როცა მთელი ტექსტი მდივან-მწიგნობრის მიერ ნუსხურად
იყო დაწერილი. ჩანს, დავითი მხედრულად წერას იყო ჩვეული.

ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, როგორც იყო დავით აღმაშენებლის სიგელი, ადრევე უნდა მიეპყრო სპეციალისტთა ყურადღება. მაგრამ შიომღვიმის მონასტერში ის მკვლევართათვის ალბათ ხელმიუწვდომელი იყო, თბილისში გადმოტანის შემდეგ კი მალე მისი მეცნიერთა კვლევაც დაიწყო.

1881 წელს თბილისში ჩატარდა რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა, რომლის მუშაობაშიც ქართველმა მეცნიერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და კარგადაც წარმოაჩინეს უძველესი ქართული კულტურის საკაცობრიო ღირებულება. ცნობილმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ ამ ყრილობაზე სამი მოხსენება წაიკითხა, მათ შორის ერთი — ქართული დამწერლობის შესახებ. შემდეგ ეს ნაშრომი, რომელსაც ახლავს ქართული დამწერლობის ისტორიული განვითარების ამსახველი ტაბულა, დაიბეჭდა ყრილობის შრომებში. ი. ჯავახიშვილის ცნობით, ზემოხსენებული ტაბულის შედგენაში ალ. ცაგარელსაც მიუღია მონაწილეობა. მისივე შეფასებით, „იმ დროისათვის ეს ტაბულა დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს“¹.

ყრილობისათვის მოხსენების მომზადებისას, ჩანს, დ. ბაქრაძის ყურადღება ძირითადად ხუცურზე იყო მიპყრობილი, მხედრული დამწერლობის უძველესი ნიმუშები კი საგანგებოდ დაუძებნია და შეუსწავლია თბილისის რეალური სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელს მღვდელ იოსებ ახალშენაშვილს, რომელსაც ძველი ქართული საბუთებიდან დედნის ზომების დაცვით ზუსტად გადმოუღია მხედრულით ნაწერი ტექსტის ცალკეული ადგილები. მის მიერ შესრულებული ასლები (სულ 23 ნიმუში 6 უძველესი საბუთიდან) ამჟამად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (კრებული H 2398). მათ შორის არის დავით აღმაშენებლის ანდერძის მხედრულით ნაწერი ორივე სტრიქონის ასლები, გადაღებული გასანთლულ ქაღალდზე, იქიდან კი — თეთრ ქაღალდზე და აბრეშუმის თხელ ქსოვილზე. ახლა, როცა დავით აღმაშენებლის ავტოგრაფი აღარ არსებობს, ამ ზუსტ პალეოგრაფიულ ასლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ეს ასლებიც მეცნიერებისთვის მხოლოდ ახლახანს გახდა ცნობილი.²

ბოლო დროს აღმოჩნდა აგრეთვე დავით აღმაშენებლის ანდერძის მაღალხარისხოვანი ფოტონეგატივები, რომლებიც დაცულია (შიომღვი-

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, მე-2 გამ., 1949 წ., გვ. 20.

² ვ. სილოგავა, დავით აღმაშენებლის ავტოგრაფი. ვაზ. „სახალხო განათლება“, 8, II, 1990 წ.

შის ორი სხვა სიგელის ფოტონეგატივებთან ერთად) საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონოთეკაში (№ 15869/5992 და № 15853/5976). ისინი დამზადებული უნდა იყოს ცნობილი ფოტოხელოვანის ა. როინაშვილის მიერ. ამ ნეგატივებიდან შესაძლებელი გახდა დედანთან ძალზე მიახლოებული ფოტოანაბეჭდების დამზადება, რომელთაც დღეისათვის დედნის მნიშვნელობა ენიჭება³.

დავით აღმაშენებლის სიგელი პირველად აღწერა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადა ქართული სიგელ-გუჯრების დიდმა მოამბემ, ცნობილმა მკვლევარმა თედო ჟორდანიამ, რომელმაც 1895 წელს გამოსცა დავითის ანდერძი რუსული თარგმანითურთ,⁴ მომდევნო წელს კი ხელახლა დაბეჭდა ქართული ტექსტი რამდენიმე სხვა ისტორიულ საბუთთან ერთად.⁵

მკვლევარს განზრახული ჰქონია მეორე გამოცემისთვის ფოტოებიც დაერთო, მაგრამ ვერ მოუხერხებია სიძვირის გამო, რასაც გულისტკივილით აღნიშნავს წინასიტყვაობაში: „ამ წიგნის ბეჭდვას რომ შეეუდგეთ, მაშინ ჩვენ იმედი გვქონდა ჩაგვერთო ფოტოტიპიით ანუ ფოტოლითოგრაფიით გადაღებული ნიმუშები ამ წიგნში მოქცეულის უძველესის გუჯარ-სიგელებისა და საკუთარი ხელის-მოწერანი მეფეთა: გიორგი II-ისა (1072—1089), დავით აღმაშენებლისა, თამარ მეფისა, დავით IV-ისა და აგრეთვე XI—XIV საუკუნის ერისთავთა, კათალიკოზთა და დიდებულთა. რამდენიმე ამ ნიმუშთაგანი პატივცემულმა ა. ს. როინაშვილმა უსასყიდლოდ ფოტოგრაფიულად გადმოიღო. სამწუხაროდ, მათი ფოტოტიპიით გამოცემა, სიძვირისა გამო, ჩვენ ვერ შევიძელით“.

სხენებულ (მეორე) გამოცემაში დავით აღმაშენებლის ანდერძი დაბეჭდილია მე-6 ნომრად და თან ახლავს მოკლე აღწერილობა: „საქართველო-ინერეთის სინოდ. კანტორის გუჯრებში იპოება ძველი ხუცურად ტყავზედ ნაწერი სიგელი, სიგრძით სამი არშინი და სიგანით 6 ვერშოკი. თავი და ბოლო სიგლისა წარწერილია თვით დავით აღმაშენებლის ხელით მხედრულად...“.

ანდერძის დასაწყისში მხედრულად ნაწერ სიტყვებს (დავითის ავტოგრაფს) თ. ჟორდანიას ასე კითხულობდა: „[ნე]ბითა ღვთისაითა შედა-

³ ვ. სილოგავა, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (1123/1124 წ.წ.): „მრავალთავი“ IX, 1981, გვ. 88—106.

⁴ Ф. Жордания. Завешание царя Давида Возобновителя, данное Шно Мгвимской лавре в 1123 г. Тифлис, 1895.

⁵ თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძველი“ ვაჰხანის ქვაბთა, თბილისი, 1896.

ის შეწყის“, — და იქვე შენიშნავდა: რას ნიშნავს „შედაის შეწყის“ ჩვენ არ ვიცით.

მეორე მკვლევარი, ვინც დავით აღმაშენებლის სიგელს დედანში იცნობდა და აგრეთვე გამოსცა იგი, იყო იმ დროს სრულიად ახალგაზრდა ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე⁶. მან ტექსტი დაბეჭდა დედნიესული (ნუსხური) შრიფტით და ამასთანავე დაურთო დედნის ფოტოსურათიც, მაგრამ ისე მცირე მასშტაბისა, რომ ფოტოზე მხოლოდ ცალკეული ასოების ამოცნობა შეიძლება.

წინა გამოცემის თაობაზე ს. კაკაბაძე წერდა: „თ. ჟორდანიას გამოცემაში ორიოდ სიტყვა გამოშვებულია და გარდა ამისა ერთი მძიმე შეცდომაა დაშვებული. მოდისტოს დასახელებულია ძაგანის ძედ, მაშინ როდესაც დედანში ძმა იკითხვის. გარდა ამისა თავში მხედრულად დაწერილი რამოდენიმე სიტყვა თ. ჟორდანიას ვერ წაუკითხავს“.

თვითონ ს. კაკაბაძე ანდერძის დასაწყისს ასე კითხულობდა: „[ქ. დიდ] ბითა ღთსაითა მე ღთს მაწვიეს“. როგორც შემდეგ გამოიჩვენა, არც ეს წაკითხვა ყოფილა ზუსტი და საბოლოოდ აკაკი შანიძემ ტექსტი ასე გამართა: „...მე დავითს მიწყვიეს“⁷.

ს. კაკაბაძის ზემოხსენებული გამოცემიდან ორიოდ წელიც არ იყო გასული, რომ ატყდა პირველი მსოფლიო ომი. თბილისს თურქეთიდან თავდასხმის საფრთხე დაემუქრა და ამის გამო ცენტრალურ დაწესებულებათა არქივები თბილისიდან ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა პუნქტში გახიზნეს, სადაც ისინი 1917 წლის რევოლუციის შედეგად ჩარჩა, შემდეგ სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში მოჰყვა და დიდი ნაწილი დაიღუპა.

ამის შესახებ მოკლედ მოგვითხრობს ს. კაკაბაძე 1923 წელს განათლების კომისრისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში⁸. ის იმ დროს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელი და საქართველოს ისტორიული არქივის განგე იყო და ოფიციალურად ევალებოდა არქივების ბედზე ზრუნვა. ამ მიზნით ის ჯერ მოსკოვში ჩასულა, იქიდან კი სათანადო ნებართვისა და თანხის მიღების შემდეგ პირდაპირ გამგზავრებულა ქალაქ კრასნოდარში (ყოფილ ეკატერინოდარში).

⁶ ანდერძი დავით აღმაშენებლისა, შიომშვიმისათვის დაწერილი. ტექსტი გამოსცა სარგის კაკაბაძემან. 1912 წ.

⁷ ა. შანიძე, დავით აღმაშენებლის მიერ შიომშვიმისათვის დაწერილი ანდერძის დასაწყისი სიტყვები: ქურნ. „ჩვენი მეცნიერება“, № 8, 1924 წ.

⁸ ს. კაკაბაძე, მოხსენება განათლების სახალხო კომისრის სახელზე წარდგენილი, ჩრდ. კავკასიიდან არქივებისა და სამუზეუმო კოლექციების რეევალუაციის შესახებ 1923 წ.: „საისტორიო მოამბე“, I, 1924 წ.

კრასნოდარში 11 იანვარს ჩავედი და იმავე დღეს ვინახულე ადგილობრივი საოლქო საარქივო სამმართველოს გამგეო, — წერს ს. კაკაბაძე. მალე მას დაუდგენია, რომ 1915 წელს თბილისიდან ევაკუირებული საარქივო ფონდები რკინიგზის ვაგონებით ჩაუტანიათ ეკატერინოდარში და სხვადასხვა ადგილას მოუთავსებიათ. მათ შორის მოცულობით ყველაზე დიდი ყოფილა კავკასიის ნამესტნიკის (მეფისნაცვლის) არქივი, რომელიც შეიცავდა 1795—1910 წლების 350 ათასზე მეტ საქმეს და 5 ათასზე მეტ წიგნსა და კანონთა კრებულს. ეს ყველაფერი, ჩაწყობილი 2008 ტომარასა და 27 ყუთში, ჯერ მოუთავსებიათ საარტილერიო უწყების შენობათა ახლოს მდებარე სარდაფში, შემდეგ კი გადაუტანიათ სამხედრო საკრებულოს სარდაფებში, სადაც არ იყო ვენტილაცია, ჭერიდან კი ჟონავდა ფეკალური სითხე. ამ არქივიდან დაპარული საქმეები, რომლებიც ადგილობრივ მოვაჭრეებს შეუძენიათ, 1922 წლის ზაფხულში მილიციის დახმარებით ჩამოურთმევია მათთვის უკრაინული სკოლების ინსპექტორს, გვარად დობროსკოკს.

მეფისნაცვლის არქივიდან გადარჩა საარქივო სამმართველოს საწყობში შენახული 437 ფუთა („ტიუჟი“). მთელი ეს გადარჩენილი მასალა 6 დღეში გადაურჩევიათ და შეუკრავთ კრასნოდარელ ინტელიგენტ ახალგაზრდებსა და მუშებს ს. კაკაბაძის ხელმძღვანელობით და 22 იანვარს 4 ვაგონით გამოუგზავნიათ თბილისში. ეს იყო არქივის დაახლოებით 40 პროცენტი, დანარჩენი კი დაიღუპა.

უარესი დღე დასდგომია სხვა საარქივო და სამუზეუმო კოლექციებს. სახელდობრ, შინამრეწველობის მუზეუმის კოლექციებში შედიოდა ათას ეგზემპლარზე მეტი აბრეშუმის ნაქსოვები, ხალები, შალის, ბამბის, ნაბდის ნაწარმი, ინსტრუმენტები და სხვადასხვა ნივთები, რომლებიც, თუ ს. კაკაბაძის მიერ მიღებულ ინფორმაციას დაეუჯერებთ, მთლიანად დაუტაციათ და საზღვარგარეთ გაუტანიათ თეთრგვარდიელებს.

რაც შეეხება თბილისის საგუბერნიო მიწათმოქმედების სამმართველოს არქივს და ამ არქივში დაცულ უძვირფასეს სიგელ-გუჯარებს, რომლებიც 4 ყუთში ეწყო, ისინი სხვა 47 შეკვრასთან ერთად მოთავსებული ყოფილა ქალაქ რომანოვსკში (ახლანდელ კროპოტკინში) მოქალაქე პოპოვის სახლში. მათი შენახვისათვის გასამრჩელოს პოპოვი თბილისიდან ღებულობდა საგანგებო მოხელის ხელით. რევოლუციის შემდეგ, ცხადია, პოპოვს ბინის ქირას აღარავინ უგზავნიდა, მოხელეც უკვალოდ დაკარგულა. პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, არქივის ამბავი პოპოვმა 1919 წლის იანვარში შეატყობინა სტანიცა კავკაზსკაიას

ატამანს გენერალ რეზნიკოვს, რომლის ბრძანებითაც ყუთები მაშინვე
კავკასკაიაში გადაუტანიათ და ე. წ. ძველ ციხეში მდებარე ერთ შენობაში
მოუთავსებიათ.

საქართველო
საბჭოთაო
საზღვრო
სამსახური

იმავე წლის 12 თებერვალს სტანიცა წითელმა ჯარმა აიღო. არქივი
გამოყარეს თურმე და ციხის გარშემო ფართო თხრილში ჩაყარეს. სი-
გელ-გუჯრების ნაგლეჯები ქარს მიჰქონდა და ჯარისკაცები არავის ანე-
ბებდნენ მათ აკრფასო, — უთქვამთ ს. კაკაბაძისთვის, როცა ის კავკაზ-
სკაიაში და მის შემოგარენში ეძებდა დაკარგული არქივის ნაკვალევს.
„ასე განიავდა და დაიღუპა უდიდესი განძეულობა, — წერს გულმოკ-
ლული მეცნიერი, — ორიოდ ნაგლეჯი ამ ორმოებიდან მოტყუებით წა-
მოიღო მოქ. აბრამ ევანგულოვმა, რომელმაც ეს ნაგლეჯები შეინახა და
ეხლა გადმომცა. „ცხენი მიმყავდა ვითომ მოსაძოებლად და ისე ჯარის-
კაცების დაუნახავად ავკრიფე რამდენიმე ნაფლეთიო“. ერთი ამგვარი
ნაფლეთი არის ხელის დადება ნაგლეჯი დავით აღმაშენებლის ანდერძი-
სა, რომლის სიგრძე 2 მეტრი იყო. ასეთივე ნაფლეთია ევანგულოვის მი-
ერ გადარჩენილი მე-11 ს. გიორგი მეფის 1¹/₄ მ. სიგელისაგან. გული
მიკვდებოდა, როდესაც ამ ნაფლეთებს ვუყურებდი, ნაშთს 3000 ძვირ-
ფას სიგელ-გუჯრისას“.

დავით აღმაშენებლის ანდერძიდან გადარჩენილი ნაფლეთი წარმო-
ადგენს გრაგნილის მეოთხე კედის ზედა ნაწილს, რომელიც სულ 21
სტრიქონს შეიცავს, თანაც ზოგ სტრიქონს ბოლო აკლია, ზოგს—და-
საწყისი. ეს მცირე ნაგლეჯი, რომელიც ს. კაკაბაძემ ჩამოიტანა ჩრდი-
ლოეთ კავკასიიდან, ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრალურ სა-
ისტორიო არქივში (სცსა, ფონდი 1448, № 2120).

თ. ჟორდანიასა და ს. კაკაბაძის გამოცემების შემდეგ, სწორედ მათ-
ზე დაყრდნობით, დავით აღმაშენებლის ანდერძი პროფესორმა ისიდო-
რე დოლიძემ შეიტენა „ქართული სამართლის ძეგლების“ კორპუსში⁹.
ეს რიგით მეოთხე გამოცემაა ამ ძეგლისა. ბოლო დროს განხორციელდა
ანდერძის კიდევ ორი გამოცემა, სადაც ახლად მიკვლეული ნეგატივ-
ებიდან დამზადებული ფოტოანაბეჭდებიც არის გამოყენებული¹⁰.

ასეთია, მოკლედ, თავგადასავალი ამ უძვირფასესი ისტორიული დო-
კუმენტისა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ჩვენს თვალწინ დაიღუპა.

⁹ ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებ-
ლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, 1965 წ., გვ. 12—18.

¹⁰ ე. სილოგაეა, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომშვიმისადმი (1123/1124
წ.წ.) „მრავალთავი“, IX, 1981 წ., გვ. 88—106; ქართული ისტორიული საბუთების
კორპუსი, I, 1984 წ., № 8, გვ. 52—59.



ეს სამწუხარო ისტორია ერთი სასიამოვნო ამბით გვინდა დავამთავროთ. როგორც სულ ახლახანს გაირკვა, დავით აღმაშენებლის ვეტოგრაფი შიომღვიმის სიგელზე, საბედნიეროდ, უკანასკნელი არ ყოფილა და დროთა ქართველებს დღევანდლამდე ერთი მაინც გადარჩენია. იგი მოთავსებულია სინური კოლექციის ერთ-ერთი ხელნაწერის ბოლო ფურცელზე და ასე იკითხება:

„ქ. მე, დავით, უნარჩევსმან მონამან ყოველთა მონათა ქრისტესამან, განვგზავნე წიგნი ესე მთასა წმიდასა სინას. ვინცა ივმარებდეს, ლოცვა-ყავთ ჩემთუინ“.

ხელნაწერი, რომელსაც ეს მინაწერი ახლავს (სინა—10), წარმოადგენს გიორგი მთაწმინდელის რედაქციის საწელიწდო სამოციქულოს და გადაწერილია XI საუკუნეში. რა თქმა უნდა, მისი აღწერილობა შედის სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობებში, სადაც ზემოთმოყვანილი მინაწერიც არის წარმოდგენილი, მაგრამ მინაწერი შედარებით გვიანდელად მიუჩნევიათ და არავის უცდია მისი დაკავშირება დავით აღმაშენებლის სახელთან.


ახლახანს ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა ახალგაზრდა მეცნიერმა დარეჯან კლდიაშვილმა აღნიშნული მინაწერის ხელი შეუდარა შიომღვიმის სიგელის დავითისეულ მხედრულად ნაწერ სტრიქონებს და ცხადყო მათი იდენტურობა¹¹.

ამასთანავე მკვლევარმა დაიმოწმა დავითის ისტორიკოსის ცნობა, რომ დავითი მზრუნველობას არ აკლებდა და უხვ შეწირულობებს უგზავნიდა ქართულ ეკლესია-მონასტრებს საზღვარგარეთ, კერძოდ — სინას მთაზე. შეწირულობათა შორის იყო წიგნებიც. როგორც მემატიანე იუწყება, დავით აღმაშენებელმა „მთასა სინასა... აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიაო სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა“.

ჩანს, საწელიწდო სამოციქულო იყო ერთ-ერთი იმ „საეკლესიაო“ წიგნთაგანი, რომელიც დავით აღმაშენებელს სინას მთაზე ქართველთა მონასტრისთვის გაუგზავნია და ზედ თავისი მინაწერიც გაუკეთებია. ასეთი მინაწერები ალბათ სხვა წიგნებზეც იყო და აღარ შემორჩა, ან ჯერჯერობით არ არის ნაპოვნი.

საერთოდ, სინური ხელნაწერების დეტალური შესწავლა მხოლოდ ახლა იწყება და მომავალში მათგან კიდევ ბევრი საიდუმლოების ახსნას უნდა მოველოდეთ.

¹¹ დ. კლდიაშვილი, სინის მთის წმ. გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებით: „მრავალთავი“, XV, 1989 წ., გვ. 117—135.



მსოფლიოს
გეოგრაფია
ანეგზე

რა საცოდავი იქნებოდა კაცობ-
რიობა, ჟიბნი რომ არ გვქონოდა.



კონსტანტინე გამსახურდია

ვეფხისტყაოსნის თარგმანები

(მოკლე საცნობარო მიმოხილვა)

„ვეფხისტყაოსანი“ საერთაშორისო სარბიელზე გავიდა და მსოფლიოს ხალხებისათვის ხელმისაწვდომი გახდა, უწინარეს ყოვლისა, თარგმანების წყალობით. ამჟამად „ვეფხისტყაოსანი“ უცხოეთის მრავალ ენაზეა გადათარგმნილი თუ გარდათქმული. პირველად პოემის ერთი სტროფის რუსული თარგმანი და მისი ავტორის თაობაზე პირველი ცნობები დაიბეჭდა მიტროპოლიტ ევგენი ბილხოვიტინოვის წიგნში „საქართველოს ისტორიული სურათი პოლიტიკური, საეკლესიო და სწავლავანათლების მდგომარეობის თვალსაზრისით“ (პეტერბურგი, 1802). ბოლხოვიტინოვის ეს ნაშრომი მალე ითარგმნა და დაიბეჭდა გერმანულ და ფრანგულ ენებზე (რიგა და ლაიფციგი, 1804). ასე იწყება რუსთველისა და მისი პოემის გაცნობა სამშობლო ქვეყნის გარეთ.

რუსულ ენაზე ხუთი სრული და რამდენიმე ნაწილობრივი თარგმანი არსებობს: სრული რუსული თარგმანებია კონსტანტინე ბალმონტისა (პირველი არასრული თარგმანი დაიბეჭდა მოსკოვში 1917 წელს, სრული კი — პარიზში 1933 წელს); გიორგი ცაგარელისა (მოსკოვი, 1937); პანტელეიმონ პეტრენკოსი—კონსტანტინე ჭიჭინაძის მონაწილეობითა და რედაქციით (მოსკოვ-ლენინგრადი, 1937); შალვა ნუცუბიძის (მოსკოსი, 1941); ნიკოლოზ ზაბოლოცკისა (მოსკოვი, 1957). ადრე, 1937 წელს, ზაბოლოცკიმ „ვეფხისტყაოსანი“ დაამუშავა ნორჩი მკითხველისათვის.

გადაჭრით ვამბობთ, რომ განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის კონსტანტინე ბალმონტს ჩვენი უკვდავი პოემის მიმართ. ბალმონტი იყო ევროპული სახელის მქონე დიდი რუსი პოეტი, რომელიც შთააგონა რუსთველმა და რამდენადმე ქართული ენაც კი შეისწავლა, რომ ღირსეულად აეჩუღებინა „ვეფხისტყაოსანი“ თავის მშობლიურ ენაზე. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ თუმცა ბალმონტისეული თარგმანი ბრწყინვალეა პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით, არსებითად ის არ არის



თარგმანი ამ ცნების თანამედროვე გაგებით, თვითონ ბალმონტის ცნებით იგია გადამღერება რუსთველის პოემისა.

რუსული თარგმანებიდან დიდი მოწონება დაიმსახურა ნიკოლოზ ზაბოლოცის თარგმანმა. ნიკოლოზ ჩუკოვსკი, აცხადებს, რომ ზაბოლოცემ დაძლია დაუძლეველი, გადალახა მთარგმნელობითი ხელოვნების მიჯნა და მომავალში „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას რუსულად კვლავ მხოლოდ მაშინ შეუდგებიან, „როცა რუსული ენა შეიცვლებაო“. უდაოა, „ვეფხისტყაოსნის“ ზაბოლოცისეული თარგმანი ერთ-ერთი საუკეთესო თარგმანთაგანია, მაგრამ იგი სრულყოფილი, რა თქმა უნდა არ არის. დედანთან სიახლოვისა და ზოგიერთი სხვა კომპონენტის მხრივ გამოირჩევა შალვა ნუცუბიძის თარგმანი. გამოჩენილი პოეტები პავლე ანტოკოლსკი, მუხტარ აუეზოვი და მაქსიმე რილსკი სპეციალურ მოხსენებითს ბარათში უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ „ვეფხისტყაოსნის“ მიკოლა ბაჟანისეულ უკრაინულ თარგმანს (ბრწყინვალე თარგმანს უწოდებდნენ). აღსანიშნავია აგრეთვე სოლომონ იორდანიშვილის რუსული პწყარედი, რომლითაც ბევრი მთარგმნელი სარგებლობდა. ერთხანს ეს პწყარედი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. იორდანიშვილის სიკვდილის შემდეგ სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ შ. აფხაძე, ლ. კალანდაძე, მ. ზავერინი, ა. ბესტავაშვილი, იგი შეუდარა დედანს შეასწორა, გაუყეთა რედაქცია და გამოსცა 1966 წელს.

დასავლეთევროპული ენებიდან „ვეფხისტყაოსანი“ პირველად ფრანგულ ენაზე თარგმნა ცნობილმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ. 1828—1831 წლებში იბეჭდებოდა ბროსეს თარგმანის ნაწყვეტები. მანვე გამოაქვეყნა პოემის საკმაოდ ვრცელი შინაარსიც. მაგრამ მთლიანი სახით თარგმანი არ გამოუცია. „ვეფხისტყაოსნის“ თხრობა-თარგმანი 1885 წელს ფრანგულ ენაზე თბილისში გამოსცა ბორენმა. 1938 წელს პარიზში გამოვიდა პოემის პროზაული თარგმანი. პირველ გამოცემას მთარგმნელად გიორგი გვაზავა და ანი მარსელ-პათონი აწერია. მეორე გამოცემას კი — (პარიზი, 1984) მხოლოდ გიორგი გვაზავა. 1964 წელს პარიზშივე დაიბეჭდა სერგი წულაძის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანი, რომელსაც მიენიჭა საფრანგეთის აკადემიის პრემია; 1977 წელს თბილისში ქვეყნდება ელისაბედ ორბელიანისა და სოლომონ იორდანიშვილის 30-იან წლებში შესრულებული პოეტური თარგმანი. და ბოლოს, 1989 წელს საფრანგეთის ორიენტალისტურმა გამომცემლობამ და მოსკოვის „რადუგამ“ ერთობლივად გამოსცეს გასტონ ბუაჩიძის პოეტური თარგმანი.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი გერმანული თარგმანი შეასრულა არ-

ტურ ლაისტმა (ეს თარგმანი დაიბეჭდა დრეზდენსა და ლაიფციგში 1889 წელს). რუსთველის პოემის აღიარებულ თარგმანთა რიცხვს ეკუთვნის ჰუგო ჰუპერტისა (ბერლინი, 1955) და ჰერმან ბუდენზიგის თარგმანები (ბუდენზიგის თარგმანის ბეჭდვა დასრულდა 1971 წელს ჟურნალში „მიცკევიჩ ბლეტტიერ“ (ჰაიდელბერგი), ცალკე წიგნად გამოვიდა თბილისში 1976 წელს). ჰუპერტისა და ბუდენზიგის თარგმანები ძირითადად მომზადებულია თბილისში ქართველ კონსულტანტთა დახმარებით. პოემის მხატვრული პროზაული თარგმანი შეასრულა რუთ ნოიკომმა (ციურხი, 1971), ხოლო პწკარედი თარგმნა მიხეილ წერეთელმა (პარიზი, 1975), პოემა პროზაულად გარდათქვა დასავლეთ გერმანიაში მცხოვრებმა ნიკოლოზ ჯანელიძემ (1984). ვიქტორია რუიკა-ფრანცმა „ვეფხისტყაოსანი“ მხატვრული პროზით საგანგებოდ ბავშვებისათვის დაამუშავა და ჩინებული ილუსტრაციებით დასტამბა ბერლინში 1976 წელს. მან რუსთაველს მთელი ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი უწოდა.

ინგლისურ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ მხატვრული პროზით დედნიდან გადათარგმნა მარჯორი უორდროპმა (ლონდონი, 1912). ამ თარგმანის ტექსტი შეასწორეს და შეავსეს ელისაბედ ორბელიანმა და სოლომონ იორდანიშვილმა (მოსკოვი, 1938), პოემა მხატვრული პროზითვე თარგმნა რობერტ სტივენსონმა (ნიუ-იორკი, 1977) და ქეთრინ ვივიანმა (ლონდონი, 1977), პოეტურად კი თარგმნა ვენერა ურუშაძემ (თბილისი, 1968), რომლისთვისაც ინგლისური მშობლიური ენა იყო.

იტალიური პროზაული თარგმანი ეკუთვნის შალვა ბერიძეს (მილანო, 1945). პოემა ნაწილობრივ უთარგმნია რაფიელ ივანიცკი-ინგილოს, სრული პოეტური თარგმანი კი შექმნეს მარია პიკიმ და პაოლო ანჯონტმა (რომი, 1981).

1964 წელს სანტიაგო დე ჩილეში გამოქვეყნდა დოქტორ გუსტავო დე ლა ტორე ბოტაროს ესპანური თარგმანი (ითარგმნა დედნიდან ვიქტორ ნოზაძის დახმარებით).

იაპონურ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ ჯერ პროზაულად, შემდეგ კი პოეტურად თარგმნა იპეი ფუკურომ (პროზაული თარგმანი დაიბეჭდა ტოკიოში 1955 წელს). პოეტური თარგმანი ფუკუროს გარდაცვალების შემდეგ 1972 წელს ტოკიოში მაღალ დონეზე გამოსცა მწერალმა და გამომცემელმა რიოხეი კომიამამ. 1990 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ახალი მხატვრული თარგმანი შეასრულა და გამოსცა პროფესორმა ოტანი ფუკასიმ. ამ თარგმანმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

„ვეფხისტყაოსანი“ გადათარგმნილია ჩინურ და არაბულ ენებზე. პირველი ჩინური თარგმანი დაიბეჭდა შანხაიში 1943 წელს (მთარგმნელი



ო-ცი-ე). არის ცნობა მეორე და მესამე ჩინური თარგმანების შესახებაც (მთარგმნელი — ბეი ვანი და ში ხინი).¹

ვეფხისტყაოსნის ჩინურ ენაზე თარგმნის შესახებ უახლესა და ფრიად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჯან თინხუა (წევრი პეკინის პედაგოგიური უნივერსიტეტის დელეგაციისა, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1989 წლის მაისში). აი მისი ნაამბობი:

ჩინეთში ვეფხისტყაოსნის თარგმანი არაერთგზის გამოიცა. ყველაზე ადრეული თარგმანი 1944 წელს ჩუნცინში გე ბაოციუანას წინასიტყვაობით გამოვიდა. ორმოცდაათიან წლებში ამ თარგმანის გადამუშავებული ვარიანტი კიდევ ორჯერ გამოიცა. 1951 წელს გამოჩნდა მოსკოვის გამომცემლობის „ინოსტრანნი რაბოჩის“ ინგლისური გამოცემის მიხედვით შექმნილი ახალი ჩინური თარგმანი, რომელსაც თან ახლდა დიდი სტატია „შოთა რუსთაველი და ქართული ლიტერატურა“. ამ წიგნს დიდი წარმატება ხვდა წილად, 1951—1953 წლებში იგი ხუთგზის გამოიცა, საერთო ტირაჟმა 70.000 ეგზემპლარს მიაღწია. ვეფხისტყაოსნის უკანასკნელი, რუსული ტექსტის მიხედვით შესრულებული თარგმანი ოთხმოციან წლებში გამოვიდა. წიგნი შესანიშნავადაა გამოცემული და არაჩვეულებრივი ილუსტრაციებით გამოირჩევა.²

„ვეფხისტყაოსნის“ არაბულ ენაზე მთარგმნელია სირიელი პოეტი ნაზირ ხალილი (დაიბეჭდა დამასკოში 1984 წელს). მთარგმნელს კონსულტაციას უწევდა არაბისტი გურამ ჩიქოვანი. გამოცემის ხარჯები იკისრა სირიაში მცხოვრებმა ქართველმა კომერსანტმა და ჩველმოქმედმა ლევან სალარაძემ.

რუსთაველის პოემის მოზრდილი ნაწყვეტები საკუთრივ სპარსულ ენაზე თარგმნა საქართველოში მცხოვრებმა სპარსელმა მწერალმა მორთეზა ფატემიმ (თბილისი, 1966). საკუთრივ სპარსულზეო ვამბობ იმიტომ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სრულადაა გადამთარგმნილი თაჯიკურ ენაზე. ლიტერატურული თაჯიკური კი იგივეა, რაც ლიტერატურული სპარ-

¹ ა ლ ი ო მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა. მოგზაურობა ჩინეთში, პოეტის დღიურები. თბილისი, 1956, გვ. 27—28, 69—70; მ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი. ქართველი მწერლები უცხოურ ენებზე, „მნათობი“, 1956, № 9, გვ. 146.

ახალი ცნობით „ვეფხისტყაოსანი“ ჩინურად მართლაც სამჯერ უთარგმნიათ რუსული და ინგლისური ტექსტების მიხედვით. პირველი თარგმანი გამოქვეყნებულა ჩუნცინში 1944 წელს, შემდეგ 1951—1953 წლებში (ქართული ლიტერატურა ჩინეთში, „ლიტერატურული საქართველო“, 5. 1. 90); ეს წერილი დაბეჭდილი ყოფილა „პეკინის ერთ-ერთ ჟურნალში“ და თბილისში ჩამოუტანია ჩინეთში მივლინებით მყოფ მწერალს არჩილ სულაკაურს).

² დაუეიწყარი დღეები, „მნათობი“, 1990, № 2, გვ. 155—158.

სული (თაჯიკური თარგმანი დაიბეჭდა ღუშანბეში 1979 წელს, მთარგმნელი ასლამ აღხამი).

1969 წელს თელ-ავივში გამოიცა ბორის გაბონოვის მიერ ებრაულ ენაზე შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანი. ბორის გაბონოვი მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოვიდა საქართველოში და დასახლდა ქუთაისში. იგი საფუძვლიანად დაეუფლა ქართულ ენას, რამაც შესაძლებლობა მისცა, მაღალმხატვრულ დონეზე შეესრულებინა თარგმანი ორიგინალიდან.

ქართველი და ებრაელი სპეციალისტების ერთსულოვანი შეფასებით, „ვეფხისტყაოსნის“ გაბონოვისეული ებრაული თარგმანი სრულყოფილობის მადლითაა აღბეჭდილი. ამ თარგმანმა საერთაშორისო სენსაცია გამოიწვია. საერთო აზრით, ბორის გაბონოვმა შექმნა შინაარსობრივად, აზრობრივად და მხატვრულად ჭეშმარიტად ქართულის ადექვატური, მაღალხარისხოვანი პოეტური თარგმანი. ეს თარგმანი განსაკუთრებული ლიტერატურული მნიშვნელობის მოვლენაა თვითონ ებრაული ენისათვის. სპეციალისტების აზრით გაბონოვმა ფენომენალურად გაამდიდრა, დახვეწა და დაამშვენა ებრაული. ებრაისტი ქართველი მეცნიერი ზურაბ კიკნაძე წერს: „ებრაულის ტექსტი ორიგინალის დამოუკიდებელი თვისთავადი მოვლენაა თანამედროვე ებრაულ პოეზიაში... იგი ცხადყოფს მთარგმნელის არაჩვეულებრივ პოეტურ ტალანტსა და ენობრივ აღღოს. ვირტუოზობამდე ასული მხატვრული ოსტატობა, სიტყვისადმი ჭეშმარიტად რუსთველური დამოკიდებულება, რუსთველური დაუფლება ენის სტიქიისა, მშობლიური პოეზიის ამომწურავი ცოდნა — ამ თარგმანს დედის კონგენიალურს ხდის („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 1, გვ. 48, კურსივი ჩემია,— ბ.). ხოლო ცნობილი ებრაელი პოეტი, გაბონოვის თარგმანის რედაქტორი, აბრამ შლიონსკი აღიარებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ებრაულზე ისე ჟღერს, „მკითხველს ხანდახან გგონია, რომ წინ გიდევს ებრაული ხელნაწერი, რომელიც თითქოსდა აღმოეჩინოთ რომელიმე განძთსაცავში“ (ებრაული თარგმანის შესავალი წერილიდან). შემთხვევითი როდია, რომ გაბონოვის თარგმანს მიენიჭა ისრაელის სახელმწიფოს ეროვნული პრემია და ისრაელის პრეზიდენტის საკუთარი საგანგებო პრემიაც. ბორის გაბონოვს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა აგრეთვე რუსთაველის სახელობის ქართული სახელმწიფო პრემია.

1990 წელს გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის თარგმანი ფინურ ენაზე (დაიბეჭდა ჰელსინკიში). მთარგმნელია ცნობილი მწერალი და მეცნიერი ოლავე ლინუსი.



1991 წელს გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსანი“ თურქულ ენაზე.

„ვეფხისტყაოსანი“ გადათარგმნილია აღმოსავლეთევროპის ხალხთა ყველა ენაზე — პოლონურზე (სამი თარგმანი), უნგრულზე (სამი თარგმანი), ჩეხურზე (ორი თარგმანი), სლოვაკურზე, რუმინულზე, ბულგარულზე, სლოვენურზე, სერბიულზე.

რალა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსანი“ გადათარგმნილია „საბჭოთა ხალხის“ მრავალ ენაზე (ზოგზე ორ-ორი და მეტი თარგმანია): აფხაზურზე, ოსურზე, სომხურზე, აზერბაიჯანულზე, უკრაინულზე, ბელორუსულზე, მოლდავურზე, ლიტვურზე, შუა აზიის ხალხთა ენებზე (თაჯიკურზე, უზბეკურზე, ყაზახურზე, ყირგიზულზე, თურქმენულზე, დაღესტანის ხალხთა ენებზე (ბალყარულზე, ლეკურზე, ჩეჩნურზე, ყაბარდოულზე), ბაშკირულზე, იაკუტურზე, ჩუვაშურზე, ესტონურზე.

შესაძლებელია ჩემი სია სრული არ იყოს³, მაგრამ დამოწმებულიც უთუოდ შთამბეჭდავია. რასაკვირველია, თარგმანებმა ნამდვილად შეასრულეს კეთილშობილური მისია XII საუკუნის ქართული ეროვნული პოემის საპოპულარიზაციოდ მსოფლიოს ყველა კუთხეში, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სხვადასხვა თარგმანთა მხატვრული ხარისხი და შესაფერისად სხვადასხვა იქნება მათი აღქმაც უცხოეთის მოაზროვნე თუ ჩვეულებრივი ცნობისმოყვარე მკითხველი საზოგადოების მხრივ.

გამოჩენილი რუსი პოეტის ნიკოლოზ ტიხონოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რუსთაველი თანდათანობით იკაეებს მისთვის შესაფერ ადგილს მსოფლიო პოეზიის პანთეონში“.

³ პოემა ითარგმნება ბასკურ ენაზე (თარგმნის ბასკოლოგი და ქართველოლოგი შაბიერ კინტანა) და სხვ.

ლ ვ ა წ ლ მ ო ს ი ლ ნ ი

პრესაში არაერთხელ დაიწერა და ჩვენი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი საზღვარგარეთ მოღვაწე მამულიშვილების ნინო და კალისტრატე სალიების სახელი. ეს წერილიც მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება და კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ამ ღვაწლმოსილი ადამიანების სრულიად განსაკუთრებულ დამსახურებას ქართველი გრის წინაშე.

ისინი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაიბადნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. — ერთი კახეთში, მეორე სამეგრელოში. მათ დაატყდათ ჩინელების ყველაზე სასტიკი წყევლა „საინტერესო დროში გეცხოვროსო“. მართლაც, „საინტერესო დრო“ იყო, კატაკლიზმებით აღსავსე, XX საუკუნის პირველი მეოთხედი: მსოფლიო ომი, ორი რევოლუცია და ბოლოს 1921 წლის 25 თებერვალი. ამ მოვლენების შემდეგ ორივე საზღვარგარეთ აღმოჩნდა. მხოლოდ 1926 წელს გადაიკვეთა მათი გზები. ეს შეხვედრა ქორწინებით დასრულდა. ერთმანეთს შეხვდა საერთო ინტერესების მქონე ორი პიროვნება, რომელთაც ერთი საერთო მიზანი, საქართველოს სამსახური ამოძრავებდა. ამ თვალსაზრისით ეს იყო ბედნიერი კავშირი და მან თავისი კეთილი ნაყოფი გამოიღო. თითქმის 60 წელი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ერთმანეთის მხარდამხარ ნინო და კალისტრატე სალიები და მხოლოდ სიკვდილმა შესძლო მათი დაშორება. ყველაფერი, რაც მათ გააკეთეს თავიანთი შორეული სამშობლოსათვის, გააკეთეს საერთო ძალისხმევით.

რაც შეეხება მათი ცხოვრების პირველ პერიოდს, ჩვენ მასზე ვიამბობთ „პარალელური ბიოგრაფიების“ სახით.

ნინო ქურციკაშვილი-სალია დაიბადა თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში 1898 წლის 15 ოქტომბერს. მან დაასრულა მესამე ქალთა გიმნაზიის შვიდი კლასი და რუსეთში გაემგზავრა. პირველი მსოფლიო ომის დროს იგი სანიტარულ მატარებელში მუშაობდა მოწყალეების დად, ხოლო შემდეგ სხვადასხვა გარემოებათა გამო ჯერ პოლონეთში, ხოლო შემდეგ კი პარიზში დაეფუძნა.



შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონმა ნინომ სრულიად ახალგაზრდამ, თითქმის ბავშვმა დატოვა საქართველო. ცხოვრების უკუღმართობის გამო მას არ ეღირსა სამშობლოში დაბრუნება. რამდენადაც დიდი იყო საქართველოს სიყვარული, იმდენად მძაფრი იყო ნოსტალგია მისდამი. რად ღირს თუნდაც 1912 წელს, მოსკოვში თოთხმეტი წლის ნინოსა და ვანო სარაჯიშვილის შეხვედრის გახსენება: აი, როგორ აგვიწერს ამ შეხვედრას თვითონ ქალბატონი ნინო: „უცებ შემომესმა მშობლიური მრავალყამიერი, გავშეშდი, მივვარდი ფანჯარას, რათა გამეგო საიდან მეძახოდა და მიმღერდა სამშობლო. შემდეგ ისევ გრძნობით აღსავსე ღიღინი — „გასწიე, ხარო, გასწიე, საცაა გათენდებაო“ და მსწრაფლ აღმოტაცეს უცნობის სიმღერის ფრთებმა, გადაამფრინეს კახეთში, დამიშვეს შუამთის კალთების ძირში. მთვარიანი ღამე, გომბორის მთის სიო, თეთრი გზა, მოქარავენე ურმების ჭრიჭინი, შოლტის ტყლაშუნი და ცის კამარაში მომღერლის შეჭრილი ხმა: „აღზევანს წავალ, ნიკორავ, მარილს მოვიტან ბროლსაო“. წამოვხტი და ახლაც არ ვიცი როგორ გავჩნდი მეზობლის ვილაში. იქ დღესასწაულობდნენ ერთი სტუდენტის დაბადების დღეს. ქართველ მეგობრებს მიეპატიჟათ ვანო სარაჯიშვილი. მოჩადობებული მივუახლოვდი მომღერალს. შემომანათა თავისი დიდი შუქმფენი თვალები და დაინახა რა მისასალმებლად გაწეული გამხდარი, სიცოცხლეს მოკლებული ხელები, უცებ სახე მწუხარებით აევსო და შემეკითხა: „აქ რა გინდა გოგონავ, რუსეთის სუსხს შენთვის ხელები გაუყინავს, მალე მივდივარ სამშობლოში და თან წაგიყვანო“. სანამ მოსკოვში იყო, ცდილობდა ვენუფეშებინე, თანაც მეუბნებოდა „საქართველოზე მეტად ვერავინ მოგივლის და მოგარჩენს, რა გინდა ამ ტიალ რუსეთში. აი, მე როგორ მალმერთებენ, მაგრამ ეს ყოველივე სამშობლოსთვის მინაცვალებია, და დღეებს ვითვლი როდის გათავდება კონტრაქტი“. ვანო სარაჯიშვილი საქართველოში დაბრუნდა, ქალბატონ ნინოს კი არ ეღირსა ეს ბედნიერება. მას სხვა ხვედრს უმზადებდა ბედისწერა. ორმოცი წლის შემდეგ გულნატკენი ნინო დაწერს: „რუსეთის რევოლუციის ქარიშხალმა ვით მოწყვეტილი ფოთოლი პარიზში გადამისროლა“.

კალისტრატე სალია დაიბადა 1901 წლის 28 აგვისტოს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭვალში. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ ზუგდიდის საქალაქო ექვსწლიანი სასწავლებელი დაასრულა 1916 წელს და ხაშურის გიმნაზიაში შევიდა. 1919 წელს დაასრულა ხაშურის გიმნაზია და ერთი წელი მასწავლებლობდა წალენჯიხის სკოლაში. ამის შემდეგ იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყ-



ველების ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე, 1921 წლის ოქტომბრის ბოლოს მას სამუდამოდ მოუხდა საზღვარგარეთ გამგზავრება. ამავე წელს იგი სწავლას იწყებს ბერლინის უნივერსიტეტთან არსებული გერმანული ენის ინსტიტუტში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ შედის ქ. პალეს „ან დერ ზაალეს“ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე და წარმატებით ამთავრებს მას. გერმანიაში კალისტრატე სალია ცხოვრობდა „ევროპელ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტის“ ხარჯზე. სამწუხაროდ ეს კომიტეტი მალე გაუქმდა და უსახსროდ დარჩენილი, იგი 1924 წელს საფრანგეთში გადასახლდა სამუშაოს საძებნელად. საფრანგეთმა გაუშართლა, როგორც თვითონ აღნიშნავს, იოლი სამუშაო იშოვა, პარიზის გაზეთ „კოტიდიენის“ რედაქციაში მოეწყო, ხოლო ცოტა მოგვიანებით ამავე რედაქციის ხელმძღვანელთა საგანგებო რეკომენდაციითა და შუამდგომლობით შევიდა სორბონის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1927 წელს დაასრულა.

როგორც უკვე ითქვა, პარიზში 1926 წელს კალისტრატე სალია შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს, პოლონეთიდან ჩამოსულ ნინო ქურციკაშვილს.

1947 წლიდან იწყება მათი ინტენსიური საზოგადო მოღვაწეობა, კერძოდ ამ წელს ქალბატონ ნინოს ინიციატივით დაარსდა მეცნიერულ-ლიტერატურული ჟურნალი „ბედი ქართლისა“, განკუთვნილი საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მეცნიერთათვის. წელიწადში ოთხი ნომერი გამოდიოდა. 1956 წელს ჟურნალი ორენოვანი (ქართულ-ფრანგული) გახდა, ხოლო 1957 წლიდან კი მთლიანად ფრანგულენოვანი. თუმცა მის პარალელურად 1964 წლის ჩათვლით კვლავ გამოდიოდა ქართული ნომრებიც. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით თვითონ ბატონი კალისტრატე: „გამამხნევებელი შედეგები მივიღეთ და 1947 წელს დავაარსეთ ქართველოლოგიის რევიუ „ბედი ქართლისა“ უცხოელი ქართველოლოგების მონაწილეობით. ცდამ მოლოდინს გადააჭარბა და იმ თავითვე რევიუს ირგვლივ შემოიკრიბნენ ცნობილი ქართველოლოგები, რომლებიც მიესალმნენ ქართველოლოგიის ორგანოს გამოსვლას“.

მკითხველისათვის ზედმეტია იმის შესხენება, რომ ჟურნალის გამოცემის საპასუხისმგებლო საქმე, რომელიც პირველ რიგში დიდ მატერიალურ სახსრებს მოითხოვდა, თავის თავზე აიღო ქალბატონმა ნინომ. მართალია, 1960 წლიდან ჟურნალს მატერიალურ დახმარებას უწევდა საფრანგეთის სამეცნიერო კვლევა-ძიების სახელმწიფო ცენტრი, მაგრამ კალისტრატე სალიას ცნობით ეს დახმარება ჟურნალის ხარჯის მე-



ათედსაც ვერ ფარავდა. „ბედი ქართლისამ“ (რევიუ დე კარტველოლო-
 ჟი) დაარსების დღიდან მიზნად დაისახა საზღვარგარეთ ქართულ კულ-
 ტურის პროპაგანდა. კალისტრატე სალიამ „შესძლო ეურნალის ირგვ-
 ლივ ყველა ქართველოლოგისა და კავკასიოლოგის შემოკრება, საქარ-
 თველოსა და მის საზღვრებს გარეთ წარმოებულ კვლევა-ძიებას შორის
 აუცილებელი კონტაქტი დაამყარა და მეცნიერთა ინტერესი გააღვივა
 ამ ლეგენდური და მომხიბლავი ქვეყნის ყოველმხრივი შესწავლისადმი.
 კალისტრატე სალია განუწყვეტილვ ზრდიდა „ბედი ქართლისას“ მო-
 ცულობას, უკეთ წარმოაჩენდა მას და განამტკიცებდა მის მაღალ მეც-
 ნიერულ დონეს. თავდაპირველი 64 გვერდიანი ჟურნალი მან გადააქცია
 საერთაშორისო სახელის მქონე დიდ სამეცნიერო ჟურნალად, რომელიც
 მეცნიერულ სამყაროში აღიარებულია უცხოეთში ქართველოლოგიისა
 და კავკასიოლოგიის აუცილებელ ბეჭდვით ორგანოდ“.

მათი დამსახურება მხოლოდ ჟურნალის დაარსებით როდი ამოიწუ-
 რება. დაისახა ჩვენი კულტურის პროპაგანდისა და პოპულარიზაციის
 მეტად საინტერესო ღონისძიებანი, რომელთა სულისჩამდგმელი და ინი-
 ციატორი ქალბატონი ნინო გახლდათ.

1972 წელს ნინო და კალისტრატე სალიებმა გამოსცეს „ნარკვევები
 საქართველოს ისტორიიდან“. შრომას პირობითად შეიძლება საქართვე-
 ლოს მოკლე ისტორია ვუწოდოთ. წიგნი შეიცავს ნარკვევებს საქართვე-
 ლოს გეოგრაფიის, ისტორიის, ხელოვნების, ლიტერატურისა და მუსი-
 კის შესახებ. აქედან პირველი ნაშრომი საქართველოს გეოგრაფიაზე
 ქალბატონ ნინოს ეკუთვნის.

1975 წელს ნინო სალიამ საკუთარი ხარჯით გამოსცა მიხეილ წერეთ-
 ლის მიერ აღდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, წინასიტყვაობაში
 გამომცემელი საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ „ვეფხის-
 ტყაოსნის“ ამ ტექსტის სრულყოფილი გამოცემა წარმოადგენდა მისი
 დიდი ხნის ოცნებას. გამომცემლის ამგვარი განაცხადი წინასიტყვაობა-
 ში, წიგნის დიდ ღირსებებზე მიანიშნებს. ყურადღებას იქცევს კიდევ
 ერთი აღგილი წინასიტყვაობიდან: აქ ქალბატონი ნინო ხაზგასმით და
 პირუთვნელად გვიამბობს, რომ „მეორე მსოფლიო ომის დროს გერმა-
 ნიაში არ არსებულა არავითარი ქართული პოლიტიკური ხელმძღვანე-
 ლობა. არცერთ პასუხისმგებელ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს არ
 უთანამშრომლია და არც შეეძლო ეთანამშრომლა გერმანიის მაშინდელ
 მთავრობასთან, რომელსაც ლაპარაკიც არ სურდა ერების უფლებებზე.
 აი, ეს არის ისტორიული სინამდვილე“.

1975 წელს ნინო სალიამ გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული



თარგმანი შესრულებული მიხეილ წერეთლის მიერ. წინასიტყვაობაში გამოცემელი პატივს მიაგებს ქართული კულტურის ბრწყინვალე მკვლევარს, დიდ პატრიოტსა და ჭეშმარიტ ქართველს.

1980 წელს ნინო სალიამ გამოსცა თავისი მეუღლის შესანიშნავი ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“. აი, როგორ შეაფასა ეს წიგნი საფრანგეთის სამეცნიერო საზოგადოებამ: „ქართველი ერის ისტორია“, რომელიც საფრანგეთის აკადემიამ თავისი ერთ-ერთი პრემიით დააჯილდოვა, იმ ხანგრძლივი მოღვაწეობის ერთგვარი დაგვირგვინებაა, შედეგი იმ გულუხვი და უანგარო ნათელხილვისა, რომელზედაც დაყრდნობით კალისტრატე და ნინო სალიები აგერ უკვე ოცდაათი წელიწადი იღწვიან იმისთვის, რომ მსოფლიოს განუცხადონ თავიანთი სამშობლოს სიმდიდრე... წინამდებარე ისტორია ერთგვარად აჯამებს მისი ავტორის საქმიანობას. გარკვეული აზრით, ეს ნაშრომი ბევრად მეტია, იგი ერის ზნეობრივი პორტრეტი“.

წიგნი, რომელსაც სამართლიანად უწოდეს ერის ზნეობრივი პორტრეტი, კალისტრატე სალიამ დაწერა უკვე ხანდაზმულმა. მისი პირადი წერილიდან ირკვევა, რომ ეს ქალბატონი ნინოს დიდი ხნის ოცნება და სურვილი ყოფილა. „ეს ნინოს სურვილი იყო კარგა ხანია, დამეწერა უსათუოდ ეს ისტორია. უცხო ენაზე არ არსებობს არცერთი შრომა სერიოზულად დამუშავებული ჩვენი ქვეყნის შესახებ და აქ არავინაა ამის გამკეთებელი“. ორივეს აწვალებდა მწარე შეგრძნება იმისა, რომ „საქართველოს არ ხვდა წილად მსოფლიოს წინაშე იმგვარად ყოფილიყო წარმოდგენილი, როგორც მის წარსულს შეეფერება“. ამის შესახებ წერდა კალისტრატე სალია ჯერ კიდევ 1957 წელს „ბედი ქართლისას“ პირველ ფრანგულ ნომერში. საქართველოს პრესტიჟის ზრდას, მისი კულტურის პროპაგანდას შესწირეს თავისი შეგნებული სიცოცხლე ქალბატონმა ნინომ და ბატონმა კალისტრატემ. ამ პერიოდში საქართველოში გამოგზავნილ ერთ-ერთ დოკუმენტში იგი გულისტკივილით წერს: „მაპატიეთ, ძლივს დავკლაბნე, ხელი მტკივა რევმატიზმისაგან, არცა ვარ კარგად, მოვხუციდი“. აი, სწორედ იმ დროს, როდესაც ხელში კალმისტარის დაჭერა უჭირდა, იგი ქართველი ერის ისტორიას წერდა. ახლა გონებით გადავინაცვლოთ 1000 წლის წინ და სინას მთის მოღვაწეს იოანე-ზოზიმეს მივაბუროთ სმენა: „და ვჩხბრიე წმიდაჲ ესე წიგნი... ხელითა ჩემითა ფრიად ცოდვილითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულობისა ჩემისათა დიად ხაშმან და ბრამამან...“ ამ სტრიქონებს 1000 წელი აშორებთ ერთმანეთს, ორივე მამულიშვილი ცხოვრებისა და სიბერის უკუღმართობას უჩივის. მხოლოდ სამშობლოს სიყვარული და

მოვლეობის გრძნობა აძლევდათ ძალას შებმოდნენ სიბერესა და ავადმყოფობას.

„ქართველი ერის ისტორია“ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოქვეყნდა ქალბატონმა ნინომ ორჯერ ფრანგულ, ხოლო ერთხელ ინგლისურ ენებზე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის მრავალრიცხოვანი შრომები, რომელთაც აქვეყნებდნენ ნინო და კალისტრატე სალიები თავიანთი ჟურნალის ფურცლებზე 1947—1948 წლებში. ეს შრომები მოწმობენ მათი ავტორების მრავალმხრივ განათლებას, დიდ ერუდიციას, პოლიტიკური მოვლენების სწორი გაანალიზების უნარს და რაც მთავარია, უზომო სიყვარულსა და თავდადებას თავიანთი შორეული სამშობლოსადმი.

ვანო სარაჯიშვილისა და ქალბატონ ნინოს შეხვედრის აღწერამ დაგვარწმუნა, რომ თოთხმეტი წლის გოგონა მხოლოდ საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებით ცხოვრობდა. იძულებითი იყო მისი ემიგრაციაც. ამის შემდეგ ათობით წელმა განვლო. შესაძლოა გვეფიქრა, რომ მატერიალურმა კეთილდღეობამ, საყვარელმა საქმემ და სამშობლოდან ფიზიკურად შორს ყოფნამ გაანელა მათი ნოსტალგია. მაგრამ არა! სამშობლოს სევდა მძაფრი იყო მათში ხანდაზმულობის დროსაც. ამას მოწმობს ზუსტად 70 წლის შემდეგ, 1982 წელს გამოცემული „ბედი ქართლისას“ ნომერი, რომელიც ქალბატონ ნინო სალიას ე. წ. „გამოსათხოვარი“ იხსნება: „ჩემი ცხოვრების მიწურულს, მივეუახლოვდი რა აღსასრულს, მე მინდა გამოსათხოვარი ვუთხრა ჩემ მშობლიურ მხარეს კახეთს, რომლის კვლავ ხილვის ბედნიერება ბავშვობის შემდეგ არ მქონია და რომლის სიყვარულსა და ტრფობას მარადიულად ვატარებ ჩემ გულში. მე დავესესხები პოეტ იოსებ ნონეშვილს, რომლის ლექსშიც სრულად არის გამოხატული ჩემი ფიქრები იმ კუთხის მიმართ, რომელსაც იგი ეძღვნება“. „ი. ნონეშვილის ლექსს „კახეთს“ მოსდევს კიდევ ორი პატარა ტაეპი მისივე შემოქმედებიდან: „სად არ ვიყავ, სად არა, ცხრა მთა გადამატარა ეტლმა წუთისოფლისამ... მაგრამ, კარგო იცი რა? გულმა ვერ მოიცილა, ნატვრა შენთან ყოფნისა“. ეს სტრიქონები ქალბატონ ნინოს გრძნობებს და ფიქრებს გამოხატავენ.

ბატონი კალისტრატე და მისი მეუღლე არ შემოიფარგლნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის პოპულარიზაციის კეთილშობილური საქმით. მათ საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს საჩუქრად გადასცეს ოთხიათას ხუთასი ტომისაგან შემდგარი ძვირფასი ბიბლიოთეკა. ინსტიტუტში დაარსდა ნინო და კალისტრატე სალიების წიგნადი ფონდი, სპეციალური კაბინეტი, რომელიც ამჟამად მათ სახელს ატარებს.



ხელნაწერთა ინსტიტუტში ამ ფონდის დაარსების იდეა დაიბადა მას შემდეგ, რაც ნინო და კალისტრატე სალიებს პარიზში სტუმრად ეწვივნენ და პირადად გაეცნო ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ელენე მეტრეველი.

1976 წლის გაზაფხულზე, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე გამოგზავნილ წერილში ნინო სალია წერდა: „აკადემიკოსობისა და მოხუცებულობის გამო ველარ ვახერხებ მუშაობას. ამიტომ გადაწყვიტე, ჩემი სამეცნიერო ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი (ქართველოლოგიური და ორიენტალისტური ლიტერატურა) გადავცე თქვენდამი რწმუნებულ ინსტიტუტს. ამასთანავე გაახლებთ ამ წიგნების პირველ სიას. გთხოვთ ჩაიბაროთ და მიიღოთ ზომები წიგნების წასაღებად“. წერილზე დართული წიგნების სია მოწმობდა, თუ რა ძვირფასი და იშვიათი იყო ნინო და კალისტრატე სალიების საჩუქარი. 1977 წლის იანვარში, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, აწ განსვენებული ლაშა ჯანაშია მივიღინებით ჩავიდა პარიზში შემოწირული ლიტერატურის მისაღებად. პირველი ათას ოთხასი ტომის ღირებულებამ, გამოგზავნაზე გაწეული ხარჯების ჩათვლით 100000 მანეთს მიადწია. გარდა ამისა, სალიებმა ლაშა ჯანაშიას გადასცეს მიხეილ წერეთლისა და მიხეილ თარხნიშვილის ხელნაწერი შრომები.

ერთი წლის შემდეგ ხელნაწერთა ინსტიტუტმა ასეთივე გზით მიიღო კიდევ ათასი ტომი და ქალბატონ ნინოს პირადი ნივთები, რომლებიც მან თავის სახელობის კაბინეტს უსახსოვრა. ეს ფონდი მუდამ იყო ნინო და კალისტრატე სალიების დაუცხრომელი ზრუნვისა და ყურადღების საგანი.

შემდგომ წლებში ფონდი ივსებოდა ნაწილ-ნაწილ. ბატონი კალისტრატე ინტენსიურ მიმოწერას აწარმოებდა უდიდეს გამოცემლობებთან, უკვეთავდა საჭირო ლიტერატურას, იძენდა ძვირფას სერიულ გამოცემებსა და ცალკეულ ტომებს ხელნაწერთა სამეცნიერო თემატიკის გათვალისწინებით. წლების მანძილზე ხელნაწერთა ინსტიტუტი იღებდა როგორც უახლეს ლიტერატურას, ასევე ძველ გამოცემათა ეგზემპლარებს. ამისთვის ნინო და კალისტრატე სალიები არ იშურებდნენ თანხებს, ენერგიას, დროს... გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე კალისტრატე სალია მეუღლესთან ერთად შვეიცარიაში იმყოფებოდა სამკურნალოდ. მან, აქაც, ხელიდან არ გაუშვა შემთხვევა და ქენევაში გამოცემლობა „დროზისაგან“ ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის შეიძინა ფრანგული ლიტერატურის მრავალტომეული.

მართალია, ამ ფონდის დიდი ნაწილი შეესაბამება ინსტიტუტის პრო-



ფილს, მაგრამ მთლიანად იგი მეტად მრავალფეროვანია, მდიდარია ლიტ-
სიკონებით, ენციკლოპედიებით და ისეთი გამოცემებით, რომლებიც უც-
ხოეთშიც კი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

ბიბლიოთეკა წარმოადგენს სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერა-
ტურას ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ბერძნულ, აღმოსავლურ ენ-
ებზე. იგი მოიცავს წიგნებს საზოგადოებათმცოდნეობის სხვადასხვა დარ-
გიდან. ამრიგად, მას სარგებლობა მოაქვს არა მარტო ხელნაწერთა ინს-
ტიტუტის თანამშრომელთათვის, არამედ ეხმარება ჰუმანიტარულ და
ხელოვნებათმცოდნეობის დარგში მომუშავე სხვა სპეციალისტებსაც
რესპუბლიკის მასშტაბით.

ბიბლიოთეკას ამშვენებს რამდენიმე მრავალტომიანი კოლექცია: „აქ-
ტა სანქტორუმ“—69 ტომი. ეს იშვიათი გამოცემა, რომელიც განხორ-
ციელდა გასული საუკუნის სამოციან წლებში საფრანგეთის, იტალიის
და ბელგიის გამომცემელთა მიერ, შეიცავს ლათინურ ენაზე არსებულ
მთელ აგიოგრაფიულ ლიტერატურას. „პატროლოგია გრეკა“ 162 ტომია
და წარმოადგენს ძველ ბერძენ ქრისტიან ავტორთა თხზულებების მრავალ-
ტომეულს. 220-ტომიანი „პატროლოგია ლათინა“ მოიცავს ლათინურ
ენაზე არსებულ ბერძენ და რომაელ ავტორთა მთელ პატრისტიკულ
ლიტერატურას. ინსტიტუტისათვის ძვირფასი შენაძენია აგრეთვე, სე-
რიული გამოცემები „პატროლოგია ორიენტალის“, „კორპუს სკრიპტო-
რუმ“ და „სურს კრეტიენი“ ანუ „ქრისტიანული წყაროები“. ეს უკანასკ-
ნელი სერია სამასამდე ტომს მოიცავს და წარმოადგენს ბერძენ და რომა-
ელ მწერალთა კრიტიკულ ტექსტებს, პარალელური ფრანგული თარგმანითა
და სამეცნიერო აპარატით. ნინო და კალისტრატე სალიების ფონდის
დაარსებამდე ეს გამოცემები ქართველ მეცნიერთათვის ნაკლებად ხელ-
მისაწვდომი იყო და მათი გაცნობის მიზნით სპეციალისტებს ნუშაობა უხ-
დებოდათ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ბიბლიოთეკა მდიდარია ანტიკური ბერძნული და ლათინური ლიტერა-
ტურით. ეს არის ძეგლების პუბლიკაციები ორიგინალის ენებზე, რომელთაც
ყოველთვის ახლავთ პარალელური თარგმანი ფრანგულ ენაზე, რაც ძალიან
უადვილებს მკითხველს ამ ლიტერატურის გაცნობას. ფონდში სრულადაა
წარმოდგენილი უახლოესი და ძველი ფილოლოგიური გამოცემები,
ასევე ეგვიპტის, ბიზანტიის, რომის ისტორია, ხელოვნება და დამწერლობა;
შუა საუკუნეების ისტორია, რელიგიის ისტორია, აღმოსავლეთმცოდნეობა,
ენათმეცნიერება, ფრანგული მხატვრული ლიტერატურა, ფილოსოფიური
ლიტერატურა ფონდში ძირითადად წარმოდგენილია როგორც ანტიკური,
ისე ძველი ქრისტიანული და გერმანული კლასიკური ფილოსოფიით.



ბიბლიოთეკა განსაკუთრებით მდიდარია პერიოდული გამოცემებით. პირველ რიგში ყურადღებას იმსახურებს ნინო და კალისტრატე სალიების ქართველოლოგიური ფრანგულენოვანი ჟურნალი „ბედი ქართლისა“ (სრული კომპლექტი 1957—1984 წწ.). ეს ჟურნალი თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში წარმოადგენდა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების სარკეს საზღვარგარეთ და უამრავი მეგობარი და პატივისმცემელი შესძინა ჩვენს კულტურას. აღსანიშნავია ისეთი მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემები, როგორებიცაა: „მუზეონი“, „ანა-ლექტა ბოლანდიანა“, „სირიული აღმოსავლეთი“, „ქრისტიანული აღმოსავლეთის ჟურნალი“, „ხელოვნების ჟურნალი“, „შუა საუკუნეების ცივილიზაციის რვეულები“, „არქეოლოგიური რვეულები“ და სხვ. ბიბლიოთეკაში დაცულია დიდძალი საცნობარო ლიტერატურა, შესანიშნავი ენციკლოპედიები და ლექსიკონები ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. მათ შორისაა: „ბრიტანია“, „დიდი ლარუსი“, „უნივერსალური ენციკლოპედია“, „საეკლესიო ისტორიისა და გეოგრაფიის ლექსიკონი“. აღსანიშნავია აგრეთვე ე. წ. „ლანე ფილოლოჟი“ ანუ „წელიწდეული“. (1932—1976 წლებში გამოქვეყნებულ ფილოლოგიურ შრომათა საძიებელი).

გარდა ბიბლიოთეკისა და პირადი ნივთებისა, ნინო და კალისტრატე სალიებმა თავის სახელობის კაბინეტს საჩუქრად გადასცეს 45 ქართული ხელნაწერის მიკროფილმი — 30 პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან და 15 ვატიკანის ბიბლიოთეკიდან.

კალისტრატე სალიას გარდაცვალების შემდეგ ფონდმა დაკარგა მზრუნველი და გულშემატკივარი. თუმცა იგი ნაკლებად ინტენსიურად, მაგრამ მაინც განაგრძობს ზრდას ინსტიტუტის გაცვლითი ფონდისა და შემოწირულობათა საშუალებით. ჩვენი უცხოელი კოლეგები, მათ შორის ბერნარ უტიე, მიშელ ვან ესბროკი, ჟან პიერ მაე საკუთარი ნაშრომების გარდა ამ ფონდისათვის საგანგებოდ იძენენ და გვიგზავნიან მნიშვნელოვან გამოცემებს.

ნინო და კალისტრატე სალიების მიერ ასეთი ძვირფასი ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის საჩუქრად გადაცემა სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის კიდევ ერთი გამოვლენაა. ეს ფაქტი თავის დროზე ვრცლად აღნიშნა გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“. „ვერ წარმოიდგენთ რა სიხარული გამოიწვია ნინოში იმან, რომ ასე დააფასა საქართველომ მისი ნაბიჯი“, წერდა ამის თაობაზე კალისტრატე სალია თავის ერთ-ერთ პირად წერილში. რა ცოტა სჭირდებოდა მათ გახარებას!

შორს წაგვიყვანს კალისტრატე სალიას სამეცნიერო ტიტულების ჩამოთვლა. ის იყო ლუვენის, ბამბერის, ბორდოს უნივერსიტეტებისა და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო დოქტორი, ოსლოს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, ხმელთაშუა ზღვის აკადემიის წევრი და აგრეთვე, პარიზის სააზიო საზოგადოების, პარიზის ლინგვისტა საზოგადოების, ბიზანტინოლოგთა საზოგადოების და პარიზის საისტორიო საზოგადოების წევრი. მას თხუთმეტი წლის მანძილზე ირჩევდნენ მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტად. კალისტრატე და ნინო სალიები აირჩიეს საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრებად. ისინი ყველაზე მეტად სწორედ საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრობით ამაყობდნენ.

1983 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ კალისტრატე სალია ერთხმად აირჩია თავის საპატიო წევრად. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიღებული მისი სამადლობელო წერილი დიდი თავმდაბლობის, უანგარობის და მეცნიერული ეთიკის შესანიშნავი დადასტურებაა: „ბატონო პრეზიდენტო! უაღრესად ამაღელვება დიდმა პატივმა, რომელიც ჩემი სამშობლოს უმაღლესმა ავტორიტეტულმა სამეცნიერო და კულტურულმა ცენტრმა დამდო იმ აღიარებით, რომელზეც ვერც კი ვიოცნებებდი. ჩემი სიცოცხლის მიმწუხრის ყამს ეს აღმაფრთოვანებს იმისათვის, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე განვაგრძოთ ათეული წლების წინათ საფრანგეთში ჩვენ მიერ დაწყებული საქმე. გთხოვთ მიიღოთ უღრმესი მადლობა არჩევისათვის და ჩემი სახელით მადლობა მოახსენოთ აგრეთვე ყველა აკადემიკოსს, იმათ, ვინც ამ დიდი სიხარულით გამითბო ერთობ დაღლილი გული“.

აკადემიკოსად არჩევა კი არა, ერთი საგაზეთო წერილი კმაროდა მათი დაღლილი გულების გასათბობად და რაოდენ დასანანია, რომ დამსახურებული პატივი მათ მხოლოდ „სიცოცხლის მიმწუხრის ყამს“ მიაგეს, და არა ბევრად უფრო ადრე, როგორც ისინი ამას იმსახურებდნენ.

1986 წელს შეწყდა კალისტრატე სალიას სიცოცხლე. ქალბატონმა ნინომ დაკარგა ღირსეული მეუღლე, ვისთან ერთადაც ეწეოდა დიდ მანუალიშვილურ საქმეს. 1988 წლის 27 თებერვალს მის ნეშტს დიდუბის პანთეონში მიეჩინა სამუდამო განსასვენებელი. მართალია, არ ყოფილა „სიონის ზარების გუგუნი“, მაგრამ ქართველმა ერმა მას მიაგო სწორედ ისეთი პატივი, რითაც თავის საუკეთესო შვილებს აჯილდოვებს.

გულუბრყვილობაა იმის გაფიქრება, რომ ერთი ან თუნდაც რამდენიმე სტატიით შეიძლება მათი ღვაწლის შეფასება. ალბათ კიდევ დიდი

დრო დაგვჭირდება, რომ სრულყოფილად გავიაზროთ და გავაანალიზოთ მათი დათესილი სიკეთე, მათი უნაგარობა, მათი თავდადება...

1988 წელს ქალბატონ ნინოს 90 წელი შეუსრულდა. ვუსურვებთ მას კიდევ დიდი ხნის სიცოცხლეს. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ წერილით გამოვხატავთ ქართველი საზოგადოების მოწიწებასა და სიყვარულს იმ მანდილოსნისადმი, რომელსაც ვერც მატერიალურმა კეთილდღეობამ, რომელსაც ხშირად ეწირება ადამიანთა უწმინდესი იდეალები და ვერც სამშობლოდან ფიზიკურად შორს ყოფნამ ვერ დაავიწყა თავისი შორეული და სვეგამწარებელი სამშობლო. დაუნანებლად შესწირა მას თავისი სული, თავისი ქონება და რაც მთავარია, მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე. სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, რუსეთსა თუ პოლონეთში, საფრანგეთსა თუ შვეიცარიაში, მტკიცედ ახსოვდა და სწამდა, რომ სამშობლო ერთია ქვეყნად და „არ იცვლიან მას პერანგივით“.


ფრანგი ქართველოლოგი

გამოჩენილი ფრანგი ბასკოლოგი, კავკასიოლოგი, ქართველოლოგი, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი პროფესორი რენე ლაფონი ქართველი ხალხის დიდი მეგობარი იყო. იგი დაიბადა 1899 წლის 4 აგვისტოს მერინაჟში (ჟირონდის დეპარტამენტი, ბორდოს ახლოს) მასწავლებლის ოჯახში. მისი მშობლები წარმოშობით გასკონელები იყვნენ.

პირველი მსოფლიო ომის დროს რენე ლაფონი მობილიზაციით მიჰყავთ საფრანგეთის არმიაში და იბრძვის საფრანგეთ-გერმანიის ფრონტზე. დემობილიზაციის შემდეგ, 1918 წელს იგი შედის პარიზის უმაღლეს, ე. წ. ნორმალურ სკოლაში და ამთავრებს მას 1922 წელს. ამავე წელს აბარებს გამოცდებს უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლის ხარისხის მოსაპოვებლად და ხდება ფილოსოფიის მასწავლებელი. კითხულობს ლექციებს ორნის, პოს და ბორდოს ოლქებში. ამავე დროს ეწევა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. სწავლობს და იკვლევს ბასკურ ენას, კავკასიურ და ქართველურ ენათა ურთიერთობის საკითხებს, მაგრამ 1939 წლის 2 სექტემბერს, რენე ლაფონი ისევ გაიწვიეს საფრანგეთის არმიაში არტილერიის ლეიტენანტის ჩინით და ფრონტზე იბრძოდა როგორც ქვეითი ჯარის ოფიცერი. მისმა ნაწილმა ბევრი გერმანელი ოკუპანტი გაულიტა საფრანგეთის მიწაზე, რისთვისაც რენე ლაფონი დააჯილდოვეს სამხედრო ჯვრით და მიაკუთვნეს საპატიო ლეგიონის კავალერის წოდება. 1940 წლის 23 ივნისს ერთ-ერთი დამაბული ბრძოლის დროს მისი ნაწილი მტრის გარემოცვაში მოექცა. გერმანელმა ფაშისტებმა ფრანგი პატრიოტი ოფიცერი ტყვედ წაიყვანეს, საკონცენტრაციო ბანაკში რენე ლაფონი სასტიკ რეპრესიებს განიცდიდა, მაგრამ მას იმედი არ დაუკარგავს, ბრძოლას განაგრძობდა, მალე იგი ფრანგმა და საბჭოთა პარტიზანებმა გაათავისუფლეს.

იგი ისევ უბრუნდება სამეცნიერო მოღვაწეობას და 1944 წლის 2 მაისს სორბონის უნივერსიტეტში წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“.

• 1948 წელს სამუშაოდ გადადის ბორდოს უნივერსიტეტში. ხელმძღვანელობს ბასკური ენისა და ლიტერატურის ახლადდაარსებულ კათედრას, რომელიც ერთადერთია შთელ საფრანგეთში. კითხულობს ლექციებს ბასკურ ენასა და ლიტერატურაში. ამავ უნივერსიტეტში ირჩევენ საფრანგეთის ხელნაწერებისა და მხატვრული ლიტერატურის აკადემიის წევრ-კორესპოდენტად, ხოლო ქ. ბილბაოში (ესპანეთი) ბილბაოს აკადემიის წევრად.



1958—1963 წლების „რევიუ დე კარტველოლოჯის“ ოთხ ნომერში იბეჭდება რენე ლაფონის გამოკვლევა: „ქართული ენის უკეთ შესწავლისათვის“. ამ გამოკვლევაში საინტერესოა ქართული ენის მისეული შეფასება: „ამიერიდან ძალიან საჭიროა, რომ ქართული ენა გახდეს ცნობილი არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში, რადგან ქართული ენა ამას იმსახურებს. საფრანგეთში სწავლულ ადამიანებსაც ჰგონიათ, რომ ქართული ენა ეს რუსული ენაა, ან „დიალექტი რუსულისა“, ანდა რუსული ენის მონათესავე. ჩვენ საჭაროდ ვაცხადებთ, რომ ქართული ენა ლამაზი, ორიგინალური ენაა, რომელსაც არავითარი ნათესაობა არ აქვს რუსულთან. ქართულ ენას ძალიან მდიდარი ლიტერატურა გააჩნია. ქართული ენა ოსტატურად გამოიყენება თანადროულობის ყველა გრძნობისა და იდეის გამოსახატავად“. საფრანგეთში ქართული ენის შესწავლის უკეთ წარმართვისათვის მეცნიერს საჭიროდ მიაჩნია ლექსიკონებისა და სახელმძღვანელოების შედგენა. ამ ხარვეზის შესავსებად მან ფრანგულად თარგმნა აკაკი შანიძის მეცნიერული გამოკვლევა „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში“ და დაბეჭდა პარიზის საენათმეცნიერო ლინგვისტური საზოგადოების „მოამბეში“. რენე ლაფონმა თარგმნა აგრეთვე ვაჟა-ფშაველას „მთის წყარო“ და აკაკი წერეთლის „სულიკო“ (ბელგიაში მოღვაწე ელენე წერეთელთან ერთად).

რენე ლაფონა

მეცნიერმა გარკვეული წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიური კვლევის საქმეში. მან თარგმნა ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ და გამო-



აქვეყნა რამდენიმე სტატია. პირველ სტატიაში „თბრობის ხეობის ვეფხისტყაოსანში“ (ფატმანის ეპიზოდი), თავის თვალსაზრისს გამოთქვამს ვეფხისტყაოსნის გმირებზე. შ. რუსთაველის 800 წლის იუბილესათვის მზადების წინა პერიოდში, 1965 წელს „რევიუ დე კარტველოლოჟიში“ (ბედი ქართლისა) გამოაქვეყნა სტატია სადაც წერს:

„1966 წლის 25 სექტემბერს საქართველო იზეიმებს დიდი ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს. შოთა რუსთაველის დაბადების ხსოვნის აღნიშვნას ექნება არა მარტო ოფიციალური, არამედ ეროვნული ხასიათიც. ყველა ქართველი როგორც თავის ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, შეიკრიბება და გულწრფელი სიყვარულით პატივს სცემს ვეფხისტყაოსნის ავტორს, ქართული ლიტერატურის ყველაზე ბრწყინვალე თხზულებას, ეპოპესს, რომანს, რომელიც ასე მძლედ გაუღენთილია ერთგული, ზორციელი სიყვარულით. ვეფხისტყაოსანი აინტერესებთ არა მარტო ქართველებს და ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებს, არამედ ყველას, ვინც სწავლობს და ვისაც უყვარს ევროპის საშუალო საუკუნეების, ახლო და შუა აღმოსავლეთის ლიტერატურა...“ „მეც მინდა გამოვხატო ჩემი აღფრთოვანება დიდი ქართველი პოეტისადმი იმისდა მიუხედავად, რომ არა ვარ სპეციალისტი ქართული ლიტერატურისა. ძალიან კარგად ვიცი, რომ ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა ვეფხისტყაოსანი, წარმოადგენს მთელ სამყაროს. ამ სამყაროში ადამიანი რომ შეიჭრას ყოველგვარი სიძნელების გარეშე, საჭიროა ცოდნა, ბევრი კითხვა, განვითარება, ინიციატივა, მით უფრო, როცა ქართველი ხარ. ყოველივე ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ დაძაბული მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად. მე როგორც ენათმეცნიერმა დიდი აღფრთოვანებით წავიკითხე პოემა, რადგან მიყვარს ქართული ენა და ლიტერატურა, სიამოვნების გულისათვის კიდევ ვთარგმნე ფრანგულ ენაზე ქართულიდან რამდენიმე ადგილი პოემიდან, რაც ციტირებულია ჩემს წინამდებარე ნაშრომში.“

რენე ლაფონი ძალზე გაახარა რუსთაველის 800 წლის იუბილეზე მოწვევამ. 1966 წლის 11 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში იგი მწერდა: „...აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ შოთა რუსთაველის იუბილეს კომიტეტის სახელით მთხოვა მონაწილეობა მიმეღო ამ იუბილეში. გარდა ამისა, ბატონმა არჩილ გიგოშვილმა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებისა და სსრ კავშირ-საფრანგეთის საზოგადოების ქართული განყოფილების სახელით, მთხოვა დავრჩე ორი კვირა საქართველოში იუბილეს



შემდეგ. დიდი სიხარულით მივიღე ეს ორმაგი მიპატიყება, ვუპასუხე თანახმა ვარ. დიდი სიხარულით ვნახავ საქართველოსა და ქართველ მეგობრებს.

ჩემი ცოლი ალბერტინი მოდის ჩემთან ერთად, დიდი ხანია, რაც იგი მანქანაზე მიბეჭდავს ჩემს შრომებს ქართული ენისა და კავკასიური ენების შესახებ. ისიც დიდი სიხარულით ნახავს საქართველოსა და კავკასიას.

ძალიან მახარებს, რომ ისეთი მეცნიერები, როგორც არიან აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ილია ცერცვაძე, ალექსანდრე მაჰომეტოვი, ჩემს შრომებს აქებენ. დიდი სიხარულით ქართველი ენათმეცნიერების შესანიშნავი ნაშრომების რეცენზიებს ვაქვეყნებ და ამ შრომებს ცნობილს ვხდი იმ მეცნიერებისათვის, რომლებმაც ქართული არ იციან... ახლა ბევრი სამუშაო მაქვს და წავალ ესპანეთში. უნდა ვნახო ბარსელონაში წარწერები ძველ იბერიულ ენაზე, თბილისში მოგცემთ მასალებს წერილისათვის“.

1966 წლის 30 სექტემბერს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომაზე, რენე ლაფონმა წარმოთქვა სიტყვა:

„ძვირფასო მეგობრებო, დიდად ბედნიერი და გახარებული ვარ. ამ დღეებში პირველად ვნახე თბილისი, საქართველო, კავკასია, ახლა მე ვილაპარაკებ ქართულად ქართველთა წინაშე თბილისში, რომ პატივი გცე შოთა რუსთაველს.

ნება მომეცით მოგესალმოთ თქვენი ხალხის მეგობრების, ფრანგი მეცნიერების სახელით, აგრეთვე მოგესალმებით კარგად ცნობილი საერთაშორისო ჟურნალის, „რევიუ დე კარტველოლოჟის“ სახელით, რომელიც გამოდის პარიზში ნინო და კალისტრატე სალიების ხელმძღვანელობით და საფრანგეთის საკვლეო-სამეცნიერო ცენტრის დახმარებით. დღეს ამ დარბაზში არიან ამ ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს წევრები, განოჩენილი ქართველოლოგები: გერტრუდ პეჩი, ჰანს ფოჯტი, კარლ-ჰორსტ შმიდტი, დევიდ ლანგი, იულიუს ასფალგი და შემდეგ მეც გახლავართ პირადად.

როგორ მოვახერხო ქებათა ქება ისეთი დიდი პოეტისა, როგორც შოთა რუსთაველია? მე არა ვარ ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი, არც ქართველი და არც პოეტი. მე აღელვებული ვარ, მივმართავ მეორე პოეტს — ვიქტორ ჰიუგოს, მისი „საუკუნის ლეგენდაში“ ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: „პოეტი — ეს არის სამყარო, რომელიც ადამიანშია ჩაკეტილი“. ეს, რა თქმა უნდა, მართალია. ვეფხისტყაოსანი სამ-



ყაროა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამას ამბობს თვითონ შოთა შატერაძე პოემის ბოლოს... მაგრამ კიდევ მასში ასახულია ზეცა და მიწა, ამბები, აზრები, მამაკაცისა და ქალის გრძნობები, განსაკუთრებით სიყვარული და მეგობრობა, მორალური ცხოვრება, სიმხნევე, სიწმინდე, ერთი სიტყვით, მთელი ფილოსოფია. მასში ასახულია ქართული საზოგადოების მთელი ეპოქა. შოთა რუსთაველი არის სიყვარულის ყველაზე დიდი პოეტი, სიყვარულისა და ერთგულების უდიდესი მომღერალი სამყაროში. ვეფხისტყაოსნის ავტორმა სამუდამოდ შეინარჩუნა ქართველი ხალხის ყველა შვილისა და მეგობრის მხურვალე სიყვარული. ენისა, ქართველთა კულტურისა და ერთგულების“.

10 ოქტომბერს რ. ლაფონი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მიიწვიეს, სადაც შეხვდა ქართველ მეცნიერებს: არნ. ჩიქობავას, ვლ. ფანჩიძეს, ი. ცერცვაძეს, ქ. ლომთათიძეს, გ. როგავას, ი. იმნაიშვილს, გრ. იმნაიშვილს, ტ. გუდავას და შ. გაფრინდაშვილს. მეორე დღეს მეცნიერმა წაიკითხა ლექციები ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის ბასკური ზმნის, ფრაზისა და სინტაქსის შესახებ. ლექციებმა მსმენელებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

რენე ლაფონმა 1966 წლის დეკემბერში სორბონის უნივერსიტეტში და პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების „მოამბის“ რედაქციაში წაიკითხა ლექციები საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებზე. 1967 წელს „რევიუ დე კარტველოლოჟის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „კავკასიური ენების შესწავლის მდგომარეობა საქართველოში“. „ოცი წელია მას შემდეგ, რაც დავიწყე კავკასიური ენების შესწავლა, — წერს რენე ლაფონი, — განსაკუთრებით კი ქართლისა. დიდი ხანია, რაც მიწერ-მოწერა მაქვს ქართველ მეცნიერებთან. დაახლოებით ორმოცი წელი მაკავშირებს აკაკი შანიძესთან, იგი იყო ჩემი მასწავლებელი და არის დღესაც როგორც ქართულ ენაში, ისე სხვა ქართველურ ენებში. ამ ხნის განმავლობაში ქართველ მეცნიერთაგან არც ერთი არ მინახავს პირადად, არც საქართველოში ვყოფილვარ, არც კავკასიაში, და არც რუსეთის სხვა მხარეში... რუსთაველის იუბილეზე ყოფნისას შევხვედი ქართველ სწავლულებს. აკადემიკოსმა ა. შანიძემ მაძლობა გადაგვიხადა იმისათვის, რომ პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების „მოამბეში“ დაიბეჭდა მისი მეცნიერული ნაშრომი „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში“, რომელიც მე ვთარგმნე ფრანგულად“.

შემდეგ რ. ლაფონი ჩერდება ქართველი მეცნიერების წარმატებებზე,



დაწვრილებით ახასიათებს თითოეული მეცნიერის ნაშრომს, მათ შორის წინა პლანზე წამოწევს აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავასა და ილია ცერცვაძის ნაშრომებს. „კავკასიური ენების შესწავლის საქმე თბილისში, — წერს ლაფონი, — მაღალ დონეზე დგას, უპირველეს ყოვლისა, ქართულის. ქართველებს ძალიან უყვართ თავიანთი ენა... უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ დღეს საქართველოში დიდი სალიტერატურო ენა ქართულია, ამიტომ ყურადღებით სწავლობენ ამ ენის ძველსა და ახალ ფორმებს“.

რენე ლაფონს 1969 წლის 4 აგვისტოს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. 1969 წლის 16 ივნისს აკად. არნ. ჩიქობავას შუამდგომლობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ პროფ. რ. ლაფონს ერთხმად მიანიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც მიუძღვის ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში, ბასკური ენის, აგრეთვე იბერიულ-კავკასიური ენების, განსაკუთრებით ქართული ენის შესწავლის დარგში დიდი დამსახურებისათვის.

ამ თარიღთან დაკავშირებით აკადემიკოსი აკაკი შანიძე წერდა: „...ბასკურისა და ქართულის შესწავლისა და ერთმანეთთან შედარების მხრით ყველაზე მეტი და მნიშვნელოვანი შექმნა პროფესორმა რენე ლაფონმა. მან ჯერ კიდევ 1929 წელს პარიზის საენათმეცნიერო ჟურნალში გამოაქვეყნა წერილი ჩრდილო კავკასიურ და ქართველურ ენათა ურთიერთობის შესახებ, სადაც სწორი დებულებაა წამოყენებული. ჩრდილო კავკასიისა და ქართველურ ენათა ნათესაობა შეიძლება ნაჩვენები იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა შეიქმნება მათი შედარებითი გრამატიკები თუნდაც ზოგადი სახით. რ. ლაფონმა მრავალი გამოკვლევა უძღვნა ბასკურს, ამასთანავე ქართველურსა და სხვა კავკასიურ ენებს და ადარებდა მათ ბასკურს...“

უკანასკნელ ხანს რ. ლაფონი საგანგებოდ და ვრცლად ეხება ბასკურისა და კავკასიური ენების შედარების საკითხს, რის შესახებ მან ჩვენს უნივერსიტეტსა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში მოხსენება წაიკითხა (1966 წლის ოქტომბერში). ჯერ პირველი თავია დაბეჭდილი ამ გამოკვლევისა და მოუთმენლად ველოდებით შემდგომებს.

ჩინებული ცოდნა ბასკურისა და ქართული ენისა და ფართო ლინგვისტური განათლება რ. ლაფონს საშუალებას აძლევს დეტალურად და ზუსტად წარმოადგინოს, თუ როგორია ვითარება შესადარებელ ენებში. სხვათა შორის, ის ამბობს, რომ „პირის ნიშანთა ადგილი ფუძესთან მიმართებით და ურთიერთშორისი მინარტობით ფუნქციის მიხედვით არ არ-



ის ერთი და იგივე ბასკურსა, ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ ენებსა და ქართველურ ენებში. ეს ენები მხოლოდ ერთ შემთხვევაში ეთანხმებიან ერთმანეთს: როცა საქმე გვაქვს გარდაუვალ ზმნებთან, რომლებსაც მოუბოვებთ მხოლოდ ერთი მაჩვენებელი — სუბიექტისა“.

რ. ლაფონი ყოველთვის ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, თუ რა კეთდებოდა ქართველური ენებისა და სხვა კავკასიური ენების შესწავლის დარგში და სისტემებზე აქვეყნებდა რეცენზიებს და ცნობებს მათ შესახებ ფრანგულად. სხვათა შორის, მან თარგმნა ფრანგულად ჩემი „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში“, და დაბეჭდა იგი პარიზის საენათმეცნიერო ჟურნალში (1963).

არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ პროფ. რ. ლაფონი ისე კარგად ფლობს ქართულს, რომ მიწერ-მოწერა ჩვენ ქართულად გვაქვს“.¹

ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა მას აკად. არნ. ჩიქობავა: „...ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენების ურთიერთობის პრობლემა ისევე რთულია, როგორც აქტუალური მეცნიერული თვალსაზრისი.

ამ პრობლემის მეცნიერული დამუშავება მოითხოვს მკვლევარისაგან, როგორც ბასკურის, ისე ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიური ენების ცოდნას.

ჩვენს დროში პროფ. რ. ლაფონი ერთადერთი ბასკოლოგია, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა იბერიულ-კავკასიურ ენათა, განსაკუთრებით ქართული ენის რეალიებზე (ქართული ენა მან პრაქტიკულად იცის).

შ. რუსთაველის იუბილეზე 1966 წელს რენე ლაფონმა სიტყვა ქართულად წარმოთქვა. თუ პროფ. ლაფონმა, ბასკურის ცნობილმა სპეციალისტმა ქართული ისწავლა, ქართველი კავკასიოლოგები, იმედი უნდა ვიქონიოთ, მალე ბასკურის შესწავლას მოჰკიდებენ ხელს, რათა ამ ენის რეალიებს დაეუფლონ. ეს კი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ბასკურისა და იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის საკითხი ჯეროვნად იკვლიონ ჩვენში“².

1969 წელს გამოიც. „მეცნიერებამ“ გამოსცა ჩემი ნაშრომი: „რენე ლაფონი და საქართველო“. წიგნი საჩუქრად გავუგზავნე მეცნიერს. 1970 წლის 15 იანვრით დათარიღებულ წერილში იგი მწერდა: „... ძალიან ვამაყობ, რომ ერთმა ქართველმა მეგობარმა დაწერა და გამოაქვეყნა წიგნი, რომლის სათაურში ჩემი სახელი გაერთიანებულია საქართველოს სახელთან. იცით, საქართველო ღრმად მიყვარს. ამ გამოქვეყნებამ და-

¹ აკაკი შანიძე, „დიდი სამეცნიერო ღვაწლის აღიარება“, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1969, 20 ივნისი.

² იქვე.

ლიან გაახარა ჩემი მეუღლე ალბერტინი და ოჯახის ყველა წევრი. გავაგრძელებ ჩემს ნაშრომებს ბასკური ენის, ქართული ენისა და სხვა ენების კასიური ენების შესახებ. დიდი სიამოვნებით ვაცნობ საფრანგეთში და იმ ქვეყნებში, სადაც ფრანგული ენა იხმარება, საქართველოს ენას, ლიტერატურას, მეცნიერებასა და კულტურას, რომელიც ძნელია და თავისებური და მუდამ ცოცხალი. ვმუშაობ როგორც თქვენ, ორი ხალხის მეგობრობისათვის. ჩვენგან, ორივესაგან გულითადი მოკითხვა“ (წერილი დაწერილია ქართულად).

1969 წელს საქართველოში იყო ბორდოს უნივერსიტეტის ლექტორი, ბაიონის ბასკური მუზეუმის დირექტორი ჟან არიხელარი, რომელმაც გაზ. „კომუნისტის“ კორესპონდენტს განუცხადა: „დიდი ინტერესით მოველოდი საქართველოში ჩამოსვლას. როგორც ცნობილია, მეცნიერებაში უკვე დიდი ხანია არსებობს ჰიპოთეზა ბასკურის და ქართული ენის მსგავსების შესახებ. მე როგორც ბასკს და ამვე დროს მეცნიერს, რასაკვირველია, მაინტერესებს ქართველებთან უფრო ახლო ურთიერთობა, ქართული კულტურის გაცნობა.

ოქტომბრიდან ბორდოს უნივერსიტეტში, სადაც ესპანურ ენას ვასწავლი, მომიწევს დავიკავო გამოჩენილი ფრანგი ქართველოლოგის, ქართული და ბასკური ენების კარგი მცოდნის, რენე ლაფონის ადგილი. ხანდახმულობის გამო რენე ლაფონი პენსიაზე გავიდა. მომიწევს სტუდენტებს ვასწავლო ბასკური ენა. ჩემთვის თბილისში ჩამოსვლა კიდევ იმ მხრივ იყო სასარგებლო, რომ აქ ახლოს გავიცნობ და პირად კონტაქტებს დავამყარებ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ილია ტაბაღუასთან, რომელთანაც მე უკვე რამდენიმე ხანია მაქვს მიწერ-მოწერა. ჩვენ განზრახული გვაქვს საერთო მუშაობით გავაცნოთ როგორც ქართველ, ისე ბასკ მკითხველებს ამ ქვეყნების ისტორია, კულტურა, ყოფაცხოვრების ამბები, ის, რაც მათ ანათესავებთ“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროფ. რ. ლაფონი უყურადღებოდ არ ტოვებდა შვეიცარიელ ქართველოლოგებს, ხშირად ჩადიოდა ციურიხში, სადაც ეცნობოდა კიტა ჩხენკელის მიერ დაარსებულ შვეიცარიელ ქართველოლოგთა სკოლას (რუთ ნოიკომი, ლეა ფლური, იოლანდა მარშევი), ფრანგულსა და გერმანულ პრესაში აქვეყნებდა მათი შემოქმედების შესახებ რეცენზიებსა და სტატიებს. ასე მაგალითად, რენე ლაფონმა 1962 წელს „უტურნალ აზიატიკის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა სტატია კიტა ჩხენკელის ნაშრომებზე სათაურით: „ახალი წიგნები ქართული ენის შესწავლისათვის“, რომელშიც ავტორი განიხილავს კიტა ჩხენკელის ორ წიგნს: „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ (1958) და „ქარ-

თული ენის შესავალი“. რეცენზენტი შესავალ ნაწილში მსჯელობს ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარების გზებზე. ჩამოთვლილს ამ დარგში მომუშავე ქართველი მეცნიერების ნაშრომებს, ანალიზებს კიტა ჩხენკელის ნაშრომებს.

რენე ლაფონმა გამოაქვეყნა რეცენზია პროფ. ჰანს ფოგტის წიგნზე „ქართული ენის გრამატიკა“, სადაც წერს: „ქართული ენა, რომელიც ეკუთვნის სამხრეთ კავკასიის ენათა ჯგუფს, ქართველურ ენებს, არის ძალიან საინტერესო ენა. ქართული ენა კავკასიურ ენებს შორის ერთადერთი ენაა, რომელიც ამდღებულა ცივილიზებული ენის დონემდე. ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა ეს თვისება საუკუნეების განმავლობაში მოიპოვა, იგი დღეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. უძველესი ქართული ტექსტები დათარიღებულია ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნით. აქედან მოკიდებული, ქართულმა ენამ განიცადა ცვლილებები, მეხუთე საუკუნიდან შემორჩა ქართული ლიტერატურის ძეგლი. თბილისში გამოქვეყნებულია წიგნები და სტატიები კავკასიური ენების შესახებ ქართულ ენაზე. ენათმეცნიერმა, რომელიც მოისურვებს ამ დარგში მუშაობას, აუცილებელად უნდა იცოდეს ქართული, კიდევ მეტი, ამ ენას აქვს ორიგინალური სტრუქტურა. ჩვენი საუკუნის ათიან წლებში ქართული ზმნის სტრუქტურას ცუდათ იცნობდნენ, მის მეცნიერულ შესწავლას დასაბამი მისცა აკაკი შანიძის პირველმა შრომებმა. დიდმა ქართველმა მეცნიერმა 1926 წელს ფრანგული რეზიუმეით გამოაქვეყნა გამოკვლევა ქართული ზმნის „ვერსიის“ შესახებ. (თბ. უნივერსიტეტის „მოამბე“ ტ. VI). მეცნიერმა 1930 წელს კვლავ გამოაქვეყნა წიგნი „ქართული გრამატიკა“ (214 გვ.). ეს იყო მისი პირველი ზუსტი გამოკვლევა, რომელსაც დიდი ინტერესით კითხულობენ. აქ მოცემულია ქართული მორფოლოგია და განსაკუთრებით უღლება“ („რევიუ დე კარტველოლოჟი“, 1971).

რეცენზიაში, რომელიც ლაფონმა მიუძღვნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოლექტიურ ნაშრომს „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, ვრცლადაა განხილული ქართული ენის მნიშვნელოვანი საკითხები.

ფრანგი მეცნიერი განსაკუთრებით გამოყოფს აკაკი შანიძისა და არნოლდ ჩიქობავას ნაშრომებს. „კრებულში წარმოდგენილია, — წერს ლაფონი, — ორი დიდი ქართველი მეცნიერის, აკაკი შანიძისა და არნოლდ ჩიქობავას ნაშრომები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეროვნული ენის მომავალს“.

1974 წლის 4 თებერვალს რენე ლაფონი გარდაიცვალა. ფრანგი ქარ-

თველოლოგის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ქართულსა და უცხოეთის პრესაში დაიბეჭდა სტატიები და ნეკროლოგები. ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა დეპეშები გაუგზავნეს არკაშონში რენე ლაფონის ოჯახს, აგრეთვე ჟურნალ „ბედი ქართლისას“ რედაქტორს კალისტრატე სალიას.

რენე ლაფონთან აღრიდანვე მქონდა მიმოწერა. საქართველოში მისი ჩამოსვლის შემდეგ დავმეგობრდით. ფრანგი მეცნიერი სისტემატურად მიგზავნიდა თავის ნაშრომებს, მე ვუგზავნიდი მისთვის საჭირო ქართულ ლიტერატურას, რისთვისაც ბევრჯერ მიმიღია სამადლობელი ბარათი. 1974 წლის 7 თებერვალს პროფ. ი. გვარჯალაძესთან ერთად გულითადი სამძიმრის დეპეშა ვაუგზავნე განსვენებულის ოჯახს.

1974 წლის 10 თებერვალს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გრ. აბაშიძის სახელზე მოვიდა კალისტრატე სალიას წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „ჟურნალ „ბედი ქართლისას“ და ქალბატონ ალბერტინ ლაფონის სახელით ჩვენ უღრმეს მადლობას ვუძენით მწერალთა კავშირსა და მის თავმჯდომარეს გრ. აბაშიძეს. მე და ჩემმა მეუღლემ ნინო სალიამ ა/წლის 7 თებერვალს არკაშონში პატივი მივაგეთ ქართველი ხალხის დიდ მეგობარს — რენე ლაფონს, განსვენებულის ოჯახს გადავცით ქართველი მწერლებისა და მეცნიერების გულითადი სამძიმარი“.

„რევიუ დე კარტველოლოჟის“ 1974 წლის XXXII ტომი მიეძღვნა რენე ლაფონის ხსოვნას. თავიანთ წერილებში აკად. ჟორჟ დიემეზილი და ნინო სალია მოგვითხრობენ იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც მიუძღვის პროფ. რენე ლაფონს ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის წინაშე საზღვარგარეთ.

1977 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ პროფ. არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით ქართულ ენაზე გამოსცა კრებული „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა“, რომელშიც შევიდა რ. ლაფონის ორი ნაშრომი: ა) „ბასკური ენა“ და ბ) „ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება“. კრებულში არნოლდ ჩიქობავა მიმოიხილავს რ. ლაფონის გამოკვლევებს, რომლებიც ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის საკითხებს ეხება. ანალიზს უკეთებს ბასკურისა და ქართულის ნათესაობის საკითხებს.

როგორც ქართველი მეცნიერები — აკად. აკაკი შანიძე და არნოლდ ჩიქობავა არაერთგზის აღნიშნავდნენ, ფრანგ ქართველოლოგს რენე ლაფონს დიდი ღვაწლი მიუძღვის საზღვარგარეთული ქართველოლოგიის განვითარების საქმეში. მისი ღვაწლი მარადიულად იცოცხლებს ქართველი ხალხის გულში.

საქართველოს ფრანგი მეზობარი

საქართველო, მისი ულამაზესი ბუნება, შესანიშნავი ისტორიული ძეგლები, უმდიდრესი კულტურა, მისი სტუმართმოყვარე ხალხი ოდითგანვე იზიდავდა სტუმრებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული გაზეთები „ივერია“, „დროება“, „ცნობის ფურცელი“ და „კვალი“ ხშირად აქვეყნებდნენ წერილებს და ინფორმაციებს იმ უცხოელ მოგზაურებზე, რომლებიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საქართველოსადმი მიძღვნილი ლექციებით, სტატიებით და წიგნებით თანამემამულეებს აცნობდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს ჩვენს ქვეყანაზე. მათ შორის გახლდათ ფრანგი მწერალი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი ბარონი დე ბაი.

დე ბაიმ საქართველოში რამდენჯერმე იმოგზაურა და შემდეგ ბარიზში გამოსცა წიგნები — „საქართველოში“ (1898 წ.), „კავკასიონის სამხრეთ მხარეში“ (1899 წ.), „თბილისი“ (1900 წ.), „იმერეთი“ (1902 წ.). ეს წიგნები ფართოდ იყო ილუსტრირებული ავტორის მიერ გადაღებული ფოტოსურათებით.

დე ბაის საქართველოში მოგზაურობისა და მოწინავე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის ამბავი საქართველოსაფრანგეთის ურთიერთობის ისტორიის ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელია.

დე ბაი საქართველოში პირველად 1897 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. „საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტრომ გამოგზავნა კავკასიის საარქეოლოგიო მიზნით მეცნიერი დე ბაი, რომელმაც დაიარაქუთასი, ფოთი, ბათუმი და სხვა ადგილები სამხრეთ კავკასიისა და ჩანოვიდა ტფილისში; ბარონ დე ბაი დიდის ყურადღებით ათვალიერებს ნაშთებს და მწერლობას თამარ მეფის დროისა და საქართველოს განმანათლებლის მწინდა ნინოს შესახებ“, იუწყებოდა „ცნობის ფურცელი“ 1897 წლის 22 ოქტომბერს. ამ მოგზაურობის დროს ბარონ დე ბაიმ, გარდა აღნიშნულისა, დაათვალიერა საქართველოს სამხედრო გზა, მცხეთა, კახეთი, გურია.



ბარონი ლე ბაი

ღრმა შთაბეჭდილებებით დაბრუნდა მაშინ საქართველოდან პარიზში ლე ბაი.

1898 წლის 15 თებერვალს ლე ბაიმ ვრცელი მოხსენება გააკეთა საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების კრებაზე. როგორც ამ კრებაზე დამსწრე ერთი ქართველი (ინიციალით ლ.) წერდა გაზეთ „ივერიაში“ (1898, № 39), მან აღფრთოვანებით უამბო საზოგადოების ნამდვილ წევრებს საქართველოში ყოფნის ამბავი.

აი, რას წერდა „ივერიის“ ამ ნომერში ეს ქართველი პარიზიდან:

„მოხსენების დასაწყისშივე რეფერენტმა განუზიარა დამსწრე საზოგადოებას თავისი სიამოვნება, საქართველოში მოგზაურობით ~~განსწავლილი~~ და სხვათა შორის აღნიშნა, რომ რაც კი აქამდის თქმულა თუ წერებულა საქართველოს ბუნების შესახებ, სრულიადაც არ არის გადაჭარბებული, მისი ბუნების სიდიადე და კლდე-ველ-მინდვრების საუცხოვო სილამაზე პოეზიისათვის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენსო. ჩემის სიტყვების დასამოწმებლად საქართველოში გადაღებულს რამდენსამე ფოტოგრაფიულ სურათს წარმოგიდგენთო და მაშინ შეიტყობთ, თუ რამდენად ლამაზი უნდა იყოს ეს ქვეყანა.

...აგვიწერა ჯერ დარიალის ხეობა თავისი უზარმაზარის კლდეებითა და გაშმაგებულის თერგით, თამარის ციხე, სოფელი სიონი, მყინვარი — ეს თავი და თავი თოვლიან მწვერვალთა შორის, კავკასიონის ქედი და სხვა საუკეთესო ადგილები საქართველოს სამხედრო გზისა. მერე რეფერენტმა მოიხსენია მცხეთა, როგორც საქართველოს უძველესი სატახტო ქალაქი, სადაც ყველა ქართველთა მეფენი ტახტზე ასვლის წინათ იკურთხებდნენ ხოლმე გვირგვინს, აღნიშნა ამ ძველის ტაძრის შესანიშნავი ხუროთ-მოდღვრება და, საზოგადოდ, მცხეთის ისტორიული მნიშვნელობა ქართველებისათვის, შეეხო აგრეთვე მეფე მირიანის დროს და საქართველოს განმანათლებელ ნინოს. მცხეთის შემდეგ სულ მოკლედ აგვიწერა ქ. ტფილისი, მოიხსენია მისი ძველი ნაწილი თავის გალავნის ნანგრევებით, სიონის ტაძარი და წმ. ნინოს ჯვარი.

ბ-ნს ბაის დაუთვალეირებია აგრეთვე კახეთი — ეს დიდებული კუთხე საქართველოსი, რომელსაც მან „საქართველოს წალკოტი“ უწოდა. იქაურმა ბუნებამ და აუარებელმა ვენახებმა სულ ალტაცებაში მოიყვანეს რეფერენტი. მან დაწვრილებით აგვიწერა კახეთის რთველი, ყურძნის დაწურვა და თანაც კახური ლეკური, რომელიც იქ პირველად ენახა; ლეკურის შესახებ რეფერენტმა დაუმატა: ამ ციკვაში იმდენი სიკეკლუცე და სიმარჯვე გამოიხატება, რომ იმისს სავსებით გადმოცემას მხოლოდ სინემატოგრაფი მოახერხებდაო. კახეთის დათვალეირების შემდეგ ბატონი ბაი გამგზავრებულა იმერეთს; დაუთვალეირებია ბათუმი, სადგური ჩაქვა თავის უცხოელთა პლანტაციებით, მერე ქუთაისს წასულა, უნახავს გელათი თავისი განძეულობით და სხვა... შემდეგ ბ-ნმა ბაიმ მოკლედ დაახასიათა ქართველები, აღნიშნა მათი სიკეკლუცე, სიმარჯვე, სტუმართმოყვარეობა, ჭკუის გამჭირახობა, და თან დაათავა თავისი მოხსენება იმ სიტყვებით, რომ ქართველები ღირსნი არიანო ჩვენი თანაგრძნობისა. მოხსენების წაკითხვის დროს პატივცემული რეფერენტი გვიჩვენებდა სხვა და სხვა სურათებს საქართველოს ცხოვრებიდან, რო-

მელთა შორის საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო: დარიალის ხეობამ, თამარის ციხემ, მყინვარმა თავისის დიდებულ მწვერვალებით, მზის სხივებით გაბრწყინებულმა, თამარ-დედოფალის სურათ-მა, ლეკურმა და კახეთის ვენახმა. კრების თავმჯდომარემ მოკლედ გან-მარტა ამგვარ მოხსენებათა მნიშვნელობა და თანაც საზოგადოების მხრივ მადლობა გამოუცხადა რეფერენტს.

საქართველოში თავისი მოგზაურობა ბარონმა დე ბაიმ აღწერა ჯერ ფრანგულ ჟურნალში 1898 წელს, ხოლო შემდეგ, იმავე წელს გამოსცა წიგნი „საქართველოში“. გაზეთმა „ივერიამ“ 1898 წლის 20 ივნისს „ბიბ-ლიოგრაფიის“ რუბრიკით დაბეჭდა მიმოხილვა. რომელშიც ვკითხუ-ლობთ:

„ბარონი ბაი ძლიერ ცოტა ხანს იყო საქართველოში და ამიტომ სა-კვირველი არ არის, რომ საესეებით ვერ შეძლო ჩვენი ყოფა-ცხოვრების შეტყობა, მაგრამ წიგნიდან სჩანს, რომ საკმაოდ დაჰკვირვებია აქაურს ცხოვრებას“.

მოგზაურობისას დე ბაი, აღტაცებაში მოუყვანია როგორც ბუნებას, აგრეთვე ხალხსაც და წერს: „თითოეულ სადგურზედ ვაკვირდებოდი ხალხს. ყველას მოხდენილი სიარული აქვს და ყველას კეთილშობილური მიხვრა-მოხვრა, ქცევა და შეხედულობა“.

დე ბაის წიგნს დართული აქვს 53 ფოტოსურათი—ისტორიული ძეგ-ლების ხედები და ეპიზოდები ქართველი ხალხის ცხოვრებიდან.

1898 წელს დე ბაი საქართველოში მეორედ გამოსამგზავრებლად ემ-ზადებოდა. იგი საფრანგეთის პრეზიდენტმა ფელიქს ფორმა მიიწვია ელისეს სასახლეში.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1898 წლის 26 ივნისს წერდა: „საფრან-გეთის პრეზიდენტმა ამ დღეებში მიიღო ბარონი დე ბაი, რომელიც სა-ხალხო განათლების მინისტრის მინდობილობით კავკასიაში მოემგზავ-რება ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური აზრით“.

პრეზიდენტსა და დე ბაის შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

„— სახალხო განათლების მინისტრისაგან შევიტყვე, კავკასიაში აპი-რებთ ამ დღეებში გამგზავრებას, მართალია?

— დიახ, პრეზიდენტო, მინდა უფრო გულმოდგინედ დავათვალიერო ეს მხარე.

— ისიც ვიცი, გასულ წელს საქართველოში გიმოგზაურიათ, როგორ მოგეწონათ?

— გასაოცარი თვითმყოფადი ხალხია და აქაური ბუნება თავის



მშვენიერებით ძნელად აღსაწერი. თბილისის გარდა მოგინახულე ქუთაისის მაზრა, გურია და კახეთი.

დე ბაიმ გააგრძელა თავისი მოგზაურობის ამბავი, რაკი შეამჩნია, რომ პრეზიდენტი ლიმლით ზოგჯერ ოდნავ თავს უქნევდა სიამოვნებით და თითქოს აქეზებდა დაწვრილებით მოეთხრო ყველაფერი.

ფელიქს ფორი მაგიდიდან წამოდგა. კაბინეტში დაფიქრებით გაიარგამოიარა. მერე ფართო ფანჯარასთან მივიდა და ბაღში გაიხედა.

— ასეთია ჩემი შთაბეჭდილებები, პრეზიდენტო, — მოინდომა დე ბაიმ შეემოკლებინა საქართველოზე ლაპარაკი.

ფელიქს ფორი სწრაფად შემოტრიალდა.

— მე სწორედ ახლა საქართველოზე ვფიქრობდი. ზოგი რამ გამახსენდა, თბილისიდან დასავლეთით მიმავალმა, თქვენ უთუოდ ერთი პატარა ქალაქი გორი გაიარეთ. თბილისიდან პირველი შეგხვდებოდათ გზაზე.

— გორი?.. — დაფიქრდა დე ბაი.

მალე გაიხსენა.

— დიახ, თუ არ ვცდები, ამ ქალაქში მთაზე აგებული უძველესი ციხეა. მდინარე გადის ქალაქზე.

პრეზიდენტს გაეღიმა.

— სწორედ ეგ ქალაქია გორი. და აი, ძვირფასო, ამიტომ მინდა ერთი პატარა თხოვნა შემისრულოთ.

— დიდი სიამოვნებით.

— თბილისიდან იქნებ გორში ჩახვიდეთ და იქ მოიკითხოთ გენერალი ივანე გვიგის-ძე ამილახვარი. მინდა მასთან პირადი წერილიც გაგატანოთ. ეს პიროვნება რუსეთის ცნობილი სარდალია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ შესანიშნავი ადამიანია, თავისი ხალხის ღირსეული შვილი. მაშ ასე, ალბათ შევეთანხმდით, არა?

— მე თქვენი დავალების შესრულება განსაკუთრებულ სიამოვნებას მომანიჭებს, ბატონო პრეზიდენტო.

— როგორც მინისტრმა მიაშპო, საქართველოდან დაბრუნებულმა, თქვენ ძალზე საინტერესო მოხსენებით გამოხვედით გეოგრაფიულ საზოგადოებაში და ახლახანს კი გამოვეცით წიგნი „საქართველოში“. ეს ძალზე კეთილსასურველი და მისასალმებელი აქციაა და სავსებით შესაბამება ჩემს მოსაზრებასაც.

დიღხანს ესაუბრა იმ დღეს დე ბაის საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ფელიქს ფორი...

დე ბაი საქართველოში მეორედ ჩამოვიდა 1898 წლის ივლისში. „ივე-



რია“ იტყობინებოდა: „27 ივლისს კავკაზში ჩამოვიდა საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოგზავნილი ბარონი ი. ა. დე ბაი, რომელსაც აზრად აქვს შეისწავლოს კავკასია ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მხრივ“.

თბილისში დე ბაისთან ერთად ჩამოვიდა მისი თანამემამულე ჰუგო კრაფტი.

დე ბაიმ ბორჩალოს მაზრაში შეაგროვა ეთნოგრაფიული მასალები, თბილისში დაბრუნების შემდეგ კი გორში გაემგზავრა რათა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი მოკითხვა გადაეცა ივანე ამილახვრისთვის.

10 ოქტომბერს ფრანგი სტუმარი პატივით მიიღო ივანე ამილახვრმა, რომლის ბინაში მან ნახა საფრანგეთის პრეზიდენტის ორი ფოტოსურათი. მასპინძელმა ფრანგ მწერალს დაათვალიერებინა გორის ისტორიული ადგილები და მერე ურჩია სოფელ ურბნისში გამგზავრება. 12 ოქტომბერს სტუმარი ურბნისში ჩავიდა.

დე ბაის ურბნისში ყოფნაზე დაწერილებით წერდა „ივერია“ (№ 226). მოვიყვანოთ ამ წერილის შემოკლებული შინაარსი:

„სოფელი ურბნისი, როგორც უძველესი ნაქალაქევი, ყველა შეგნებული კაცისათვის საინტერესოა. ჩვენი და უცხო ქვეყნის სწავლულნი და მეცნიერნი ხშირად მოდიან აქ. თვის თორმეტს გვესტუმრნენ ბ-ნი ბარონი დე ბაი და ჰუგო კრაფტი, რომელნიც საფრანგეთიდან არიან გამოგზავნილი რუსეთსა და საქართველოში სამეცნიერო აზრით... მათ დაათვალიერეს დიდებული ძველი ტაძარი, წმ. სტეფანეს სახელობაზედ აგებული. პირველმანვე შეხედულებამ ამა ტაძრისამ სასიამოვნოდ იმოქმედა სტუმრებზედ. საუზმის შემდეგ სტუმრებმა გულდადებით დაათვალიერეს გარეთ კედლებზედ ასომთავრული და მხედრული წარწერანი, გადაიღეს ტაძრის სურათი, სამი ხატის ფოტოგრაფიული სურათები. განსაკუთრებით მოეწონათ ჰსწავლულთ კედლის კანკელი, რომელზედაც მრავალი წმინდანია დახატული ქართულ გემოვნებაზედ და ზედ წარწერანი აქვს. კანკელი ესე, როგორც ზედ წარწერა მოგვითხრობს, შემკულია ვახტანგ VI-ს მიერ, ხოლო, როგორც ბ-ნი ბარონი ჰფიქრობს, იგი ვახტანგის დროზედ უძველესია; ვახტანგს მხოლოდ „შემკობა“ უნდა ეკუთვნოდესო...“

...მან თავის წიგნაკში ჩაიწერა რამდენ რიგად არის კანკელზედ ხატები დახატული, თითო რიგზედ რამდენი ხატია და სახელდობრ რომელი წმინდანის ანუ დღესასწაულისა და სხვ. ტაძრის სიდიადემ განცვიფრებაში მოიყვანა უცხო სტუმარნი, მხოლოდ მწუხარება გამოაცხა-



დეს, რომ ეს ასეთი დიდებული ნაშთი ესრეთ უკიდურეს სიღატაკში აღმოაჩნდა...
 აო...

...ბარონ დე ბაის გაეგონა, რომ სოფელ ურბნისში ძველ ნივთებს კპოულობენო და მოიწადინა მათი შეძენა. მისი სურვილი რომ გაიგეს გლეხებმა, ცოტა ყოყმანის შემდეგ, მოიტანეს მიწაში ნაპოვნი ძველი თიხის ჩარქეა, ქვაბ-ქოთანნი, თითბრის სამაჯური და სხვა. ყველა ესენი ბარონმა შეიძინა; ვინც რა ფასს დაადებდა, იმ ფასს აძლევდა“.

14 ოქტომბერს სტუმრები თავ. ამილახვრის თანხლებით სოფელ ქვემოჭალაში გაემგზავრა.

ვინ იყო ივანე გივის ძე ამილახვარი? იგი სოფ. ქვემო-ჭალის თავადი გახლდათ. მან მშობლიურ სოფელში გახსნა აფთიაქი, გაიყვანა გზები, ააშენა ეკლესია, მდ. ლეხურაზე გააკეთა რკინის ხიდი, გლეხთა მევახშეებისაგან დასახსნელად დააარსა ბანკი, აარსებს წიგნსაცავს, სკოლას შესწირა 7 დესეტინა მიწა, სადაც მოსწავლეები მებაღეობას სწავლობენ და სხვა. მის საქველმოქმედო საქმეებზე ხშირად წერდა გაზ. „ცნობის ფურცელი“.

ი. ამილახვარი ქვემო-ჭალასთან ერთად დიდ მზრუნველობას იჩენდა გორის კეთილმოწყობის საქმეში.

„ჩვენს სახელოვან ღენერალს თავ. ივანე გივის ძე ამილახვარს თავისი ხარჯით გამოუწერია საზღვარგარეთიდან ბლავის ქარხნიდან წყლის ასახიდი მანქანები და ამ ერთი კვირის განმავლობაში გორის ძველ ციხეში წყალი იქნება გაყვანილი რკინის მილებით, როგორც ამბობენ ყოველ დღე შეიძლება 20.000 ვედრა წყალი აიყვანოს ციხეშიო, რა თქმა უნდა მაშინ ეს უნაყოფო ადგილი მალე სრულებით გამოიცვლება, გაშენდება ხეხილებით და სხვა მცენარეებით და საუცხოვო სასიერო ადგილი გახდება. ამბობენ აგრეთვე, რომ შესაძლებელია ამ ცოტა ხანში იმავე პატივცემულის თავადის ამილახვრის საფასურით გორის ციხე განათებულ იქმნას ელექტრონის სინათლითაო, რადგან რაკი წყლის მანქანა იმუშავებს, ელექტრონის სანთელიც ადვილი მოსახერხებელი იქნებაო. ღმერთმა ხელი მოუმართოთ“, — იტყობინებოდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1899 წლის 24 ივლისს.

როგორ დამეგობრდნენ ფელიქს ფორი და ივანე ამილახვარი?

1895 წელი. იანვრის თვეში ფელიქს ფორი რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს. ამ წლის „ივერიის“ ნომრებს ვათვალისწინებთ.

და აი, 22 იანვრის ნომრის პატარა ცნობაც: „საფრანგეთის რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტს ფელიქს ფორს ახალგაზრდობაში კავკასიაში უმოგზაურია და 1869 წ. სხვათა შორის სოხუმსა და გორშიაც ყოფი-

ლაო. გორში ფორი თავ. ამილახერისას თურმე ჩამომხდარა“. ეს ცნობა „ნოვოე ობოზრენიეს“ წინა დღის, 21 იანვრის ნომრიდან არის გადმოთარგმნილი.

ნაშ, ფელიქს ფორი 1869 წელს ყირიმიდან საქართველოში ჩამოსულა და გორში ამილახერის სახლში გაჩერებულა.

„კვალში“ 29 იანვარს გამოქვეყნდა სტატია „ფელიქს ფორი“, სადაც აღნიშნულია, რომ „ახლანდელი პრეზიდენტი საფრანგეთის ბევრი მხრით შესანიშნავი კაცია... მას ყმაწვილობაში ბევრი უმოგზაურია; სხვათა შორის ჩვენს საქართველოშიც ყოფილა, გაუვლია გორში და გაუცვნია თ. ი. ამილახერის ოჯახი, ყოფილა თ. ივანე მუხრანბატონის მამულში და დაუთვალეფრება მისი ვენახები და მარნები“.

1897 წლის 14 აგვისტოს „ივერია“ ფელიქს ფორზე წერდა: „1861* წ. რუსეთსა და კავკასიაში იყო და საშინლად მოეწონა ეს ქვეყნები. განსაკუთრებით კავკასიის ბუნების და ჰავისაგან აღტაცებაში იყო მოსული, მაგრამ ამასთანავე მეტად განცვიფრდა, რომ ასეთი ბუნების მდიდარის ქვეყნით შესაფერისად ვერ სარგებლობენ და ფულს ვერ იღებენ. აი, სხვათა შორის, რასა სწერდა ფორი კავკასიის შესახებ: „საკვირველია, რომ გერმანელები. შვეიცარიელები და ფრანგები ფულის საშოვნელად ამერიკაში გარბიან, სადაც სიღარიბის მეტი არაფერი მოელით და კავკასიას-კი ყურადღებას არ აქცევენ, იმისდა მიუხედავად, რომ ბუნების სიმდიდრით ამ ქვეყანას არც ერთი კუთხე არ შეედრება“. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფორმა რამდენიმე წიგნი გამოსცა სხვა და სხვა ქვეყნებში ვაჭრობისა და მრეწველობის მდგომარეობის შესახებ“.

უნდა ვიფიქროთ, სწორედ ფელიქს ფორს ამ წიგნში აქვს მოყვანილი თავისი მოსაზრებები საქართველოს სიღამაზისა და სიმდიდრის შესახებ.

1899 წლის თებერვალს პარიზში მოულოდნელად გარდაიცვალა ფელიქს ფორი.

„საფრანგეთის პრეზიდენტის გარდაცვალების გამო, საფრანგეთის საელჩოს შენობაზე ტფილისში, ნიშნად მგლოვიარობისა, საფრანგეთის საერო დროშა ნახევრად ჩამოუშვეს. 6 და 7 თებერვალს ელჩს ეწვივნენ და თანაგრძნობა გამოუცხადეს: კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახერი, მისი დიდებულების სასახლის ეგერმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე, ტფილისის გუბერნატორის თან. აღმ. კ. სტეფანოვიჩი, ავსტრიისა, გერმანიისა, ოსმალეთისა და სპარსეთის ელჩები, კავკასიის

* კორექტული შეცდომაა; უნდა იყოს 1869 წელი.



საქართველო კომიტეტის თავმჯდომარე მ. პ. გაკელი, ტფილისის მუნიციპალიტეტის მოურავი, ტფილისის კომენდანტი და მრავ. სხვ. წარმომადგენელი აღმინისტრაციისა, მწერლობისა და საზოგადოებისა“. — წერდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1899 წლის 9 თებერვალს.

საქართველოში მეორე მოგზაურობიდან დე ბაის საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ, ჟურნალმა „ლე პეტიტ ბლიომ“ გამოაქვეყნა მისი ინტერვიუ. „ცნობის ფურცელი“ 1899 წლის 16 იანვარს წერდა: „დე ბაის გადაუცია მისთვის (გაზეთის კორესპონდენტისთვის. ა. კ.) თავისი შთაბეჭდილებანი და უთქვამს, კავკასიაში შესანიშნავი თავაზიანობით და ყურადღებით მიმიღესო. ბარონი გაუხარებია იმ პატივისცემას, რომელიც მას თავ. ი. გ. ამილახვარმა მიაგო.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ამავე წლის 21 იანვარს წერდა: ფრანგულ გაზეთში გამოქვეყნებული დე ბაის ინტერვიუს დართული ჰქონდა „სურათი ჩვენის მსცოვანის ღენერალის თავ. ი. გივის ძე ამილახვრისა“. „გენერალი თავადი ამილახვარი, მეგობარი ბ-ნის ფელიქს ფორისა“ — იუწყებოდა წარწერა.

1899 წელს დე ბაიმ პარიზში გამოსცა წიგნი — „კავკასიონის სამხრეთ მხარეში“. ამ წიგნში დაბეჭდილია ივანე ამილახვარის დიდი ფოტოსურათი. დე ბაი წერს ფელიქს ფორის და ივანე ამილახვარის ნაცნობობაზე და დაწვრილებით უამბობს მკითხველს საქართველოს შესახებ.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1901 წლის 26 ოქტომბერს რეცენზიას ბეჭდავს დე ბაის ნაშრომზე და აღნიშნავს დე ბაის მიერ ქართლში გატარებულ დღეებზე.

* * *

1899 წლის ზაფხულში დე ბაი საქართველოში მესამედ ჩამოვიდა. და რამდენიმე თვე დაჰყო.

ქართველმა ინტელიგენციამ და გაზეთ „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებმა 24 ოქტომბერს დე ბაის ნადიმი გაუმართეს ვაკეში „ფანტაზიის“ ბაღის დახურულ შენობაში.

„სიტყვებს ვერ ვპოვებ იმ სიამოვნების გამოსატქმელად, რომელსაც მე ვგრძნობ ჩემის საყვარელ სამშობლოს მიმართ აქ გამოთქმულ გრძობათა გამო“, — თქვა დე ბაიმ ნადიმზე და კავკასიას უწოად დიდი პოეტური ქვეყანა. „გულით ვსვამ სადღეგრძელოს უკვდავ და მშვენიერ საქართველოსას!“ შემდეგ სიტყვით მიმართა სტუმარმა ილია ჭავჭავაძეს:

„მთელი საქართველო მშვენიერ წალკოტს წარმოადგენს, ხოლო ქა-
ხეთი საქართველოს წალკოტია. იქაური ბუნება უხვი და დიდებულია.
ვაზი დახვეულია ხეებზედ და მათს ტოტებს ამძიმებს მისი ქარვისა და
ვადრის ფერი მტევნები. ბროწეულის ხეები დამშვენებულია წითელის
ყვავილებით ანუ ნაყოფით. ეს განგებისაგან არჩეული ქვეყანა, რომე-
ლიც მდებარეობს ალაზნის სისწვრივ, თოვლით შემოსილ დაღესტნის
მთის წინ, მუდამ დამშვენებულია და შემკული... ყვავილები აჭრელებს
ამ მხარეს და აქ ერთხელ აღმოცენდა ყვავილი თავის თანამოძმეებზედ
უმშენიერესი, მზემ მოაფინა მას თავისის ოქროს მსგავსი შუქი. გულ-
კეთილი ფერია, გაბრწყინებული მთვარის შუქით გამოეცხადა და ამ-
ბოხებით ჩაჰბერა ყვავილს დაუსრულებელი სიცოცხლე — პოეზიის გე-
ნია. ამის შემდეგ საქართველოს თავი მოსწონს თავისის საუკეთესო პო-
ეტით“.

თბილისის გაზეთები ფართოდ გამოეხმაურნენ ამ შეხვედრას, მისმა
არბევმა პარიზშიც კი მიაღწია.

ერთ-ერთმა ფრანგულმა გაზეთმა ამ საღამოს უწოდა „გულითადო-
ბის ზეიმი, ყოველმხრივ მომზიბვლელი“. სტატიის ავტორმა განსაკუთ-
რებული დაინტერესება გამოთქვა უძველესი ქართული სიმღერებით,
რომლებიც ამ საღამოზე შესრულდა.

დე ბაის თბილისში ყოფნასთან დაკავშირებით გაზეთმა „ივერიამ“
29 ოქტომბერს გამოაქვეყნა წერილი, რომლის შინაარსი ასეთი იყო:
„ცნობილ ფრანგ მოგზაურს და სწავლულს ბარონ დე ბაის, რომელიც
ამჟამად ტფილისშია, შემდეგი საინტერესო ცნობები გადაუცია გაზეთ
„კავკასისათვის“ ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოს შესახებ, სა-
იდანაცა სჩანს, რომ ამ წმინდანს საფრანგეთშიაც თავყანსა სცემენ. ბა-
რონ დე ბაის სიტყვით, „საფრანგეთის შემდეგს ეპარქიებში: რეიმსისა,
შალონისა და სხვებში მრავალი ეკლესიაა აგებული წმ. ქრისტიანი ქა-
ლის სახელზედ. შამპანის დეპარტამენტში ყველაზე მეტად ამ წმინ-
დანსა სცემენ პატივს. როგორც ამ ბოლო დროს აღმოჩნდა, ეს წმინდა-
ნი და წმ. ნინო ერთი და იგივე ყოფილა.“

ბარონ დე ბაის წყალობით საფრანგეთში მრავალი წიგნაკები გავ-
რცელდა საქართველოს შესახებ. ამ წიგნაკებში, სხვათა შორის, წმ. ნი-
ნოს ცხოვრებაც იყო აღწერილი. ერთხელ ბარონს ლაპარაკი ჰქონია რე-
იმსის მთავარ-ეპისკოპოსთან, რომელსაც აზრი გამოუთქვამს, რომ წმ.
ქრისტიანე და წმ. ნინო ერთი და იგივე წმინდანი უნდა იყოსო. ამის
შემდეგ ბარონ დე ბაი ამ საგნის დაწვრილებით გამოკვლევას შესდგო-
მია.



„წმ. ქრისტიანე, ივერთ განმანათლებელი, რომის კათოლიკეთა ზოგირ კალენდარში ქალწულ ნინოდ წოდებული, რომის ეკლესიაში აღნიშნულია 15 დეკემბერს ახალი სტილით. წმ. ქალწულის ცხოვრება აღწერილია რუფინისაგან (1410 წ.), რომელმაც საქირო ცნობები ივერთა ერთის თავადისაგან მიიღო. ამ თავადს რუფინი იერუსალიმში შეხვედრია. რუფინს დაჰვიწყებია წმინდანის სახელი და ნინოს ნაცვლად მისთვის ტყვე-ქრისტიანე უწოდებია. შემდეგ სასულიერო ავტორებსაც ესევე სახელი უხმარიათ. ბოლოს, ზოგადი სახელი ქრისტიანე საკუთარ სახელად გადაქცეულა. მას შემდეგ წმ. ნინოს იხსენიებენ ასე: ქრისტიანე ქალწული. შარდენი თავის „მოგზაურობაში“ (XVII საუკ.) ქართველთ განმანათლებელს უკვე Nine ან Ninone უწოდებს. როდესაც აკადემიკოსმა ბროსემ 1849 წელს „ქართლის ცხოვრების“ თარგმანი გამოაქვეყნა, ყველაფერი გამოირკვა. ამის შემდეგ რომის კათოლიკეთა სასულიერო მწერლებმა წმინდანს ნამდვილი სახელი დაუბრუნეს და უწოდეს: ქართველთ განმანათლებელი ნინო.

„ამრიგადაო — დაუმთავრებია დე ბაის, — მე მიყვარს მშვენიერი საქართველო მარტო ბუნების სიდიადისა და იმის შვილთა გულ-წრფელობისთვის კი არა, არამედ იმისთვისაც, რომ ჩემი სამშობლო თავყანსა სცემს წმ. ნინოს!..“

თბილისში დე ბაიმ 1 ნოემბერს დაათვალიერა მხატვარ გ. ი. გაბაშვილის სახელოსნო.

„ქართველი მხატვარი გ. ი. გაბაშვილი — იუწყებოდა „ცნობის ფურცელი“ (№ 954, 3 ნოემბერი) — ეხლა ხატავს სურათებს ხევსურეთის ცხოვრებიდგან და ისტორიიდგან. ორშაბათს, 1-ს ამ თვეს საფრანგეთის მეცნიერმა, არხეოლოგმა ბ-ნმა ბარონმა დე ბაიმ დაათვალიერა მთელი სახელოსნო გაბაშვილისა და ძალიან მოეწონა მხატვრის მიერ შექმნილი სურათები“. ფრანგი მწერლის მიერ გ. ი. გაბაშვილის სახელოსნოს დათვალიერებაზე წერდა აგრეთვე გაზეთი „კავკაზიცი“ (№ 288, 2 ნოემბერი).

3 ნოემბერს დე ბაი ქუთაისის გუბერნიაში გაემგზავრა და უკან დაბრუნდა 10 ნოემბერს. მან სამეგრელო და იმერეთი დაათვალიერა. როგორც „ივერია“ (№ 251) იუწყებოდა, ბ-ნი დე ბაი 18 დეკემბერს პეტერბურგს გაემგზავრა.

საფრანგეთში 1900 წელს საქართველოში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა დე ბაიმ ერთ-ერთ ყოველთვიურ ჟურნალის მკითხველებს მოუთხრო საქართველოში თავისი მოგზაურობის შესახებ და გადაწყვიტა

მოგზაურობის დროს შეკრებილი მასალა გამოეფინა პარიზის ცნობილ გამებს მუზეუმში.

1901 წლის 22 მაისს ამ მუზეუმში დე ბაიმ მოიწვია პარიზის საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი. თავის მდიდრულ ექსპონატებს შორის ფრანგმა მეცნიერმა დამთვალეიერებლებს წარუდგინა ქართული ხელოვნების ნიმუშები. საერთო აღფრთოვანება გამოუწვევია გამოფენაზე ოქრო-მკედლით კერვის ნიმუშებს, რომელიც სამეგრელოში დე ბაისთვის გადაუცია, როგორც „ივერია“ წერდა, „მის ბრწყინვალეობას პრინცესა მიურატს (თავის მხრივ ეს ნიმუშები სამეგრელოს ქალებს მიუერთმევიათ „სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავითის ასული სალომესათვის, როცა ეს ფრანგის პრინცს მიურატს მისთხოვდა).“

აღნიშნული გამოფენის შესახებ ფრანგი ქალების ყურნალში დიდი წერილი გამოქვეყნდა: „ივერია“ ამ წერილის ნაწყვეტი დაბეჭდა: „კალმით დახატული საქართველოა, თვალწინ რომ გვიდგება თავისი მუქ ხვერდისფერ მთებითა, შესაზარი დარიალის ხეობითა, თვის მომხიბვლელ ქალაქ ტფილისითა; გითვალისწინდება მისი უებრო ჰაერი, მისი ლეგენდები... ქართველი განსაკუთრებით პატივის მცემელია საზოგადოდ ქალისა, და, როგორც ვიცით, ასეთს პატივისცემას აღმოსავლეთის სხვა ქალი მოკლებულია. ქართველ ქალს გავლენა აქვს. მის სურვილს ხშირად სიტყვა შეუბრუნებლად ჰმორჩილებენ. მაგალითად, ჩხუბის დროს საკმარისია ქართველმა ქალმა მოჩხუბართა შორის თავისი მანდილი ჩაადოს, რომ ჩხუბი უმალვე შესწყვიტონ, თითქო რაღაც ზეციერი შუამავალი ჩაერია და უბრძანა სიტყვა შერიგებისაო.“

გამოფენის დამთვალეიერებლებს დიდი ყურადღება მიუქცევიათ აგრეთვე თიხის ჭურჭლისათვის, რომელიც დე ბაიმ მიაკვლია მცხეთაში და ხორაგაულში (შორაპნის მახრა), აგრეთვე ვერცხლის აზარფეშები-სათვის, ძველებური ქინძისთავებისათვის და სხვა. მაგრამ ფრანგები განსაკუთრებული ინტერესით გასცნობიან ალბომს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მცხოვრებთა სურათებით. დე ბაის ცალკე ადგილი მიეჩინა ქართველი მხატვრის გიგო გაბაშვილის ნახატებისათვის.

ფრანგი მეცნიერი გამოფენის დამთვალეიერებლებს პირადად უხსნიდა აქ წარმოდგენილ ექსპონატებს და თან ასაჩუქრებდა წიგნით, რომელშიც აღწერილი იყო საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები.

ყოველი დამთვალეიერებელი დიდ მადლობას უცხადებდა დე ბაის, რომ მან ასე კარგად გააცნო საქართველოს მხარე. ყოველივე ამაზე დაწვრილებით წერდა გავითი „ივერია“ 1901 წლის 31 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში სათაურით: „ბარონ დე ბაი და ჩვენი ქვეყანა“.



1901 წლის 26 ოქტომბერს გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც მიმოხილული იყო „ბარონ დე ბაის ნაწერები საქართველოს შესახებ“.

გაზეთი წერდა: „ბ-ნი ბარონ დე ბაი მოხიბლულია ჩვენი ქვეყნის უხვი ბუნებითა, მისის კალმით აუწერელის სიმშვენიერითა; მოხიბლულია ქართველების გმირულის წარსულითა, მათის რაინდულის ხასიათითა, სტუმართ-მოყვარეობითა, ხალხის გონების ნაწარმოებითა... თავის წიგნს „კავკასიონის სამხრეთ მხარეში“ ჩვენი ხალხის ხასიათით მოხიბლული და აღტაცებული ფრანგი ამ ქების სიტყვებით ამთავრებს: „როგორც ჰხედავთ, ქართველ ხალხში არსებობენ ჩვეულებანი და ხასიათნი, რომელიც ღირსნი არიან გაცნობისა და ჩვენი გაოცებისა. ეს დიდის აზროვნების ხალხი ხანდისხან გენიოსობასაც იჩენს და თუ საბუთი გნებავთ, დასკვნის მაგიერ, ჩემს ესკიზს იმით გავათავებ, რომ მოკლედ მოგითხრობთ ერთს უძველეს ქართულს ზღაპარს, რომელიც ჩემის აზრით, მეტად ხელოვნური და ფილოსოფიურია“ და მოყავს ქართული ზღაპრის „როსტომელას“ შინაარსი.

„აჰა, ლეგენდაც გათავდა, — ამბობს დასასრულ ბარონ დე ბაი, — როსტომელას სძინავს საქართველოს მიწის ქვეშ, იქ, სადაც თქვენ (მკითხველი) გადაგიყვანეთ, სადაც არსებობს უკუნისამდე არა მარტო მშვენიერება, არამედ გულ-კეთილობა, სიმამაცე, პატიოსნება, სადაც ბრწყინავს ეს ქველური სტუმართ-მოყვარეობა, გამოძახილი გულისა“.

ეს ლეგენდა ვრცლად და გამშვენიერებულის სახით ბარონ დე ბაიმ 1900 წ. ცალკე წიგნად გამოსცა. დაბეჭდილია მდიდრულად ეგრედწოდებულ საშუალო საუკუნის ქალაქზე და შემკულია ცნობილი მხატვრის ა. ეისნერის მიერ დახატულ საქართველოს ტიპების სურათებითა. ამ წიგნით პატივცემულმა ბარონმა ჩვენის ზეპირსიტყვაობის ჩინებული ნიმუში უძღვნა ფრანგ მკითხველს და დარწმუნებული ვართ არა ერთსა და ორს აღუძრა ჩვენის ქვეყნის ინტერესი, რისთვისაც ღირსეულად დაიმსახურა ჩვენი გულწრფელი მადლობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენის ქვეყნის გულწრფელად პატივისმცემელი ბარონ დე ბაი ჩვენს სულიერ საუნჯეს უმეტესად გაცნობს თვისთა თანამემამულეთა“.

„ივერია“ (№ 129) 1902 წელს გამოაქვეყნა საინტერესო წერილი დე ბაის პატარა წიგნის შესახებ, რომლის სათაურია „იმერეთი. ბარონ დე ბაის მოგზაურობიდან“. წიგნი ნათარგმნი იყო თედო სახოკიას მიერ, გამოიცა მიტროფანე ლალიძის სტამბაში. წიგნს დართული ჰქონდა დე ბაის ფოტოსურათი.

„ივერია“ წერდა: „ეს პატარა წიგნი შესდგება 16 გვერდიდან. თი-



თოეული ქართველი, ვისთვისაც — კი სანუკვარია თავის სამშობლოს ბედ-იღბალი, დიდის სიამოვნებით გადაიკითხავს ამ წიგნაკს და მადლობას უძღვნის თავისუფლების და განათლების მოყვარე საფრანგეთის კეთილშობილ ძეს, ბარონ დე ბაის, რომელიც რამდენსამე წლის განმავლობაში სცდილობს თავის თანამემამულეებს გააცნოს ჩვენი სამშობლო და მისი აწმყო და წარსული. სასიამოვნოა, რომ ჩვენი მხარე იზიდავს გამოსაკვლევად და შესასწავლად ევროპის მოწინავე ერთა წარმომადგენლებს, რომელთაც შეუძლიათ თავისნი თანამემამულენი ჩვენს სამშობლოს გააცნონ. ...ბარონ დე ბაი გამსჭვალულია ქართველთა მიმართ თანაგრძნობით და ყოველსავე მოვლენას საქართველოს აწმყოს და წარსულის შესახებ პირუთვნელ მსჯავრს სდებს. იმ გზასვე ადგია, რომელსაც ადგა მეორე სახელოვანი ძე საფრანგეთისა, მარი ბროსე, აწ განსვენებული დაუღალავი მკვლევარი საქართველოს წარსულისა, ეს უანგარო მეგობარი საქართველოსი და ქართველობისა. ამაშია უმთავრესი ღირსება ბარონ დე ბაის წერილებისა“.

აღბათ ილიასეული გაზეთის დე ბაის ასეთ დახასიათებას კომენტარები აღარ სჭირდება!

1902 წელს „ცნობის ფურცელი“ (№ 1784) წერდა: „პარიზიდან გვატყობინებენ, რომ საფრანგეთის ქ. რეიმსში იქაურს ნაციონალურ აკადემიის დარბაზში 18 (5) აპრილს ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა ბატონმა ბარონ დე ბაიმ წაიკითხა თავისი მოხსენება საქართველოში (იმერეთი, სამეგრელო და გურია) უკანასკნელი მოგზაურობის შესახებ. დარბაზი სავსე იყო მყოფებლებით და დიდის ინტერესით მოისმინეს მოგზაურის მოხსენება. ამავე მოხსენებას ბარონ დე ბაი ჰკითხულობს პარიზის საგეოგრაფიო საზოგადოების დარბაზში 24 (11) აპრილს“.

აი, კიდევ „ცნობის ფურცელის“, (№ 1844) პატარა ცნობა: „პარიზიდან გვწერენ: ევროპაში ჩვენს ისტორიას, განსაკუთრებით საეკლესიოს, თანდათან მეტ ყურადღებას აქცევენ. ამ მხრივ დიდ სამსახურს გვიწევს არქეოლოგოსი ბ-ნი ბარონი დე ბაი. მისის რჩევით, აქაური სწავლული აბატი ბონიე, წვერი საფრანგეთის სიძველეთა საზოგადოებისა, გულ-მოდგინედ შეუდგა წმ. ნინოს იკონოგრაფიის შესწავლას და საჭირო მასალის შეგროვებას. ეს შრომა მოკლე ხანში დაიბეჭდება პარიზში“.



1903 წელს ფრანგი მოგზაური მეოთხედ ჩამოვიდა საქართველოში. „ცნობის ფურცელი“ (№ 2286) 1903 წლის 8 ოქტომბერს იტყობინებოდა:

„ცნობილი ფრანგი მოგზაური და არქეოლოგი ბარონ დე ბაი უკვე ჩამოვიდა ტფილისში და ჩამოხტა ორიანტის სასტუმროში. ამ დღეებში ბარონ დე ბაი გაემგზავრება ქ. სოხუმში, საიდანაც ინახულებს აფხაზეთის სხვა და სხვა ღირს შესანიშნავ ადგილებს და ძველ ტაძრებს. მთავარს ყურადღებას მიაქცევს მოგზაური აფხაზეთის ეტნოგრაფიულ აღწერას და აფხაზეთის საისტორიო ნაშთთა შესწავლას. ამ მოგზაურობას ბარონ დე ბაი ერთ თვემდე მოანდომებს. ბარონ დე ბაის საფრანგეთის საერო განათლების სამინისტროსაგან აქვს მინდობილი მოგზაურობა ჩვენს ქვეყანაში და რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ბ-ნს პლევეს უკვე განკარგულება მოუხდენია კავკასიის ადმინისტრაციამ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ფრანგ მოგზაურს ამ მოგზაურობის დროს.“

თუ რა დაათვალიერა დე ბაიმ აფხაზეთში, ამაზე 25 ოქტომბერს „ივერია“ წერდა: „ცნობილი არქეოლოგი ბარონ დე ბაი უკვე დაბრუნდა ტფილისში. ბ-ნ დე ბაიმ აფხაზეთი მოიარა, სოხუმის გარდა დაუთვალიერებია დიდებული ტაძარი დრანდისა, ფსირცხის მონასტერი, გუდაუთა, იქიდან გაუვლია შუაგულ აფხაზეთზე გაგრამდე. ბარონ დე ბაის შეუკრებია აფხაზეთის შესახებ საეტნოგრაფო მასალა და ამასთან მრავალი ფოტოგრაფიული სურათი გადაუღია აფხაზებისა. ბარონ დე ბაი ტფილისში ერთ კვირას დარჩება და მერე საფრანგეთში გაემგზავრება.“

საფრანგეთში გაემგზავრება!

ისევ მიჰქონდა გულში დე ბაის ქართველებისა და საქართველოს დიდი სიყვარული და ისევ კეთილშობილურ მისიას ასრულებდა დღეს ჩვენთვის უცნობი, მაგრამ მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოებისთვის ასე კარგად ნაცნობი ფრანგი მწერალი, დიახ, ადამიანი, რომელიც ილიასეული „ივერიის“ სიტყვით „იმავე გზასვე ადგია, რომელსაც ადგა მეორე სახელოვანი ძე საფრანგეთისა, მარი ბროსსე, აწ განსვენებული დაუღალავი მკვლევარი საქართველოს წარსულისა, ეს უანგარო მეგობარი საქართველოსი და ქართველობისა“ („ივერია“, 1901, 31 ივლისი).

უნდა ვიფიქროთ, რომ დე ბაი 1904 წელსაც იყო საქართველოში. 1904 წელს „ივერია“ (№ 234) წერდა: „მოვაგონებთ ჩვენს მკითხველს,



რომ დღეს, 12 ოქტომბერს, სახაზინო თეატრში დაიწყება სეზონი ქართული წარმოდგენისა. საზოგადოდ ფასები დაკლებულია. სხვათა შორის, დაესწრება ცნობილი მოგზაური, საქართველოს მკვლევარი და არქეოლოგი ბარონ დე ბაი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა მეორე ცნობა, რომელიც „ივერიამ (№ 217)“ ამავე წელს მიაწოდა მკითხველებს: „ამ უამად ტფილისში აგროვებენ მასალას ქართველ ქალთა შესახებ წარსულსა და აწმყოში; შეგროვების შემდეგ ამ მასალას გაუგზავნიან კარგად ცნობილ ფრანგ მოგზაურს ბარონ დე ბაის პარიზში, რომელსაც განუზრახავს ქართველ ქალთა შესახებ ლექციის წაკითხვა.“

1905 წელს „საქართველოს კალენდარში“ გამოქვეყნებული იყო ფრანგი მწერლის ფოტოსურათი და მის შესახებ წერილი.

წერილში აღნიშნული იყო შემდეგი: „...1898 წლიდან ბარონ დე-ბაი ჩვენი ხშირი სტუმარი გახდა და ამ რვა წლის განმავლობაში ჩვენის ქვეყნის თითქმის ყველა შესანიშნავი ადგილი დაიარა და აღწერა... თავის საეთნოგრაფო გამოკვლევასა და მოგზაურობაში ნახულსა და გაგონილს ბარონ დე ბაი ცალკე წიგნაკებად ბეჭდავს და ამას გარდა საჯაროდაც კითხულობს. მისი ლექციები პარიზში ყოველთვის დამშვენებულია სურათებით და მრავალს ხალხს იზიდავს. ამ ლექციებს შორის უკანასკნელ წლებში რანდენიმე საქართველოზედაც იყო წაკითხული.“

ბარონ დე ბაი დაუღალავი მშრომელია, მის კალამს ეკუთვნის 127 წიგნაკი, რომელიც შეეხება არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას, მოგზაურობას, ხელოვნების კრიტიკას, სამრეწველო ხელოვნებას და სხვა“.

ფრანგი მწერალის, არქეოლოგის და ეთნოგრაფის დე ბაის საქართველოში რამდენჯერმე მოგზაურობის ამბავი, სხვა მსგავს მრავალ მაგალითებთან ერთად, დამაჯერებლად მიგვანიშნებს, რომ საქართველოსადმი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ უცხოეთში, რამეთუ ჩვენი მხარე მათ მიაჩნდათ არანაკლებ მომხიბვლელად, ვიდრე მსოფლიოს სხვა ადგილები. უცხოელები საქართველოში ეძებდნენ სულიერ სიტკობებსა და შთაგონების წყაროს, სწორედ აქ ხედავდნენ ცხოვრების ისეთ ელემენტებს, რომლებიც სხვაგან არ შეხვედროდათ და არც ეგულებოდათ.

* * *

რომ დავესაჯეთ,
თან საკანში შეტანის, მკაცრად,
ნებისმიერის
თითო წიგნის მოეცათ ნება,
რათა გვეკითხა
და ყოველლამ ბეტონის ნაცვლად
ჩვარში გახვეულ
იმ წიგნებზე დაგველო კეფა,
მაინც რომელ წიგნს
ავირჩევდით, — ცა გაცნაურდეს?!
მაინც, რომელ წიგნს —
იწონიდეს ის წიგნი ტომებს?!
რომ გადაშალო
საკანში და — ზღვა ახმაურდეს?!
მაინც, რომელ წიგნს,
თუ კაცი ხარ, თუ ძმა ხარ, რომელს?!
აქ არ არსებობს,
მე მგონია, მეორე აზრი —
ცხრაას ოცდაშვიდს
გამოცემულს! უბრალო ყდაში!
თვალეები — ორბის,
შუბლი — პრინციის, ხაზები — ბასრის.
ჩემ ლონდონივით
შუქი გაგდის მარმარის ყბაში!..
„მერი,“ „პროლოგი 100 ლექსის“,
„შინდისის ჭადრებს“,
„ლურჯა ცხენები“,
„მე და ღამე“, „დროშები ჩქარა!“
„იკვალენ დრონი!“,
„უფემერა“, „ავანთებ კანდელს!“ —
„უცნაურ ბინდში
გუთნეული მიჰყვება ქალას“...
ოჰ, გალავტიონ!
ზღვებს, სივრცეებს ქარიშხლებს იტევს —
ციხეში არ ვარ —
შენი წიგნი სასთუმლად მიდევს!
დავხედავ პორტრეტს,
შუბლს პრინციისას, მოცარტის თითებს,
გადავშლი წიგნს და
ყურს მივუგდებ სამოთხის ჩიტებს.



**ნარსულის
ფურცლები**

წიგნი არა მარტო ბარტოშისა, იგი
ცოდნის წყაროა, წიგნი სიხარულის წყა-
როა. უწიგნოდ ეს ცხოვრება იქნებოდა
ფრიალ მოსაწყენი, წიგნი რომ არ ყო-
ფილიყო, ერთი თაობა ვერ გადასცემდა
უმეღვროსა და უმეღვრო თაობებს თა-
ვის გამოცდილებასა და ცხოვრების ამ-
ბებს.

კონსტანტინე გამსახურდია

„ქმნულების ცოდნის წიგნი“

საქართველოში ასტრონომიის ჩასახვისა და განვითარების შესახებ, სამწუხაროდ, ძალზე მცირე ცნობებია შემორჩენილი. მტრის მრავალსაუკუნოვანი შემოსევებით არაერთი ძვირფასი კულტურული ძეგლი განადგურდა და ცოდნის ბევრი დარგი დავიწყებას მიეცა. ამ მხრივ არც ასტრონომიული დარგია გამონაკლისი და ამიტომაც ქართულ ენაზე რაიმე მნიშვნელოვან ძველ ასტრონომიულ ნაშრომს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ ვითარების შესახებ ჯერ კიდევ 1721 წელს გულისტკივილით იუწყებოდა ვახტანგ VI, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ერის კულტურული აღორძინების საქმეს და სხვა ნაწარმოებებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართველოში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მთელ რიგ დარგებს. წინასიტყვაობაში, რომელიც ვახტანგმა დაურთო პირველ ქართულ ასტრონომიულ-კოსმოგრაფიული შინაარსის ბეჭდურ გამოცემას — „ქმნულების ცოდნის წიგნი“, იგი წერს: „რავდენთა მიეცა სიბრძნე და გულისხმის ყოფა და მათ წყალობა იგი პატეოსანი უბატითა ზედა საქმეთა არა იშრომეს და რაოდენთა ძალუძლეს, მისვე ქმნულთა მიწოდომად დაშურეს და განმარტეს ფილოსოფოსთა მრავალ მეცნიერებანი და მათნი სწავლანი და ესეცა ვარსკულავთრიცხვა ერთი მათგანივე არს.“

და საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოოკრებული იყო და არღარა დაშთომილიყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა და სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხოდენ.

და აწ მე, მეფემან ვახტანგ, ეს სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი, ზიჯი, თალა მასალა და სხვა ოქმების წიგნი ვთარგმნე მირზა აბდურიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევნითა და სტროლაბიც ქართულად გამოვიღე. ნუ უკუე ისწავონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილასოფობა და გამოილონ და ჩემთვისაც მოქენე ვარ, რამეთუ საქმეთაგან საცნაურ არს ვითარმედ მრავალნი ჭირნი მინახავნ ამა წიგნთა ზედა და არცა თუ მეფობისა მსახურება დამიკლიოს.“



როგორც ვხედავთ, საქართველოში (და არა მარტო ქართლში) მეცნიერების ერთ-ერთი ამ მივიწყებული დარგის აღორძინების მიზნით ქართლის სწავლული მეფე საზოგადოებას სთავაზობს მის მიერ სპარსეთში ქართულად თარგმნილი ასტრონომიული შრომების ერთ წყებას და იმედს გამოთქვამს, რომ მათი შესწავლის საფუძველზე საქართველოშიც გაიშლება მეცნიერული მუშაობა.

„ქმნულების ცოდნის წიგნის“ გარჩევამდე მოკლედ უნდა შევეხოთ წინასიტყვაობაში მოხსენიებულ წიგნებს, რომელთა თარგმანზე ვახტანგს, მისივე სიტყვებით, „მრავალნი ჭირნი“ უნახავს.

„ზიჯი“ — ასტრონომიული ცხრილების (დამხმარე მათემატიკურ ცხრილებთან ერთად) და მნათობთა მდებარეობის ცხრილების შესადგენი და გამოსაყენებელი წესების კრებული ის ცნობილი თხზულებაა, რომელიც სამარყანდის საყოველთაოდ აღიარებულ ასტრონომიულ სკოლაში შეიქმნა სამარყანდის მმართველისა და გამოჩენილი ასტრონომის ულულ-ბეგის (1394—1449) ხელმძღვანელობით. ულულ-ბეგის ინიციატივით სამარყანდში დაარსებულ მედრესესა (1417) და ობსერვატორიაში (1425) გაერთიანებულმა იმდროინდელმა საუკეთესო სამეცნიერო ძალებმა დროის ძალზე მცირე მონაკვეთში (30 წელი) ისეთი წვლილი შეიტანეს მეცნიერების საგანძურში, რასაც ადგილი არ ჰქონია არცერთ წინამდებარე საუკუნეში. ულულ-ბეგთან ერთად აქ მოღვაწეობდნენ: ყაზი-ზადე არ-რუმი (1360—1437)—ჯერ ულულბეგის მასწავლებელი და შემდეგ მისი უახლოესი თანამშრომელი, მთელი რიგი ასტრონომიული ტრაქტატების ავტორი. ჯემშიდ ალ-ქაშანი (გარდ. 1430) სამარყანდის ობსერვატორიის ხელმძღვანელი, ასევე მრავალი ასტრონომიულ-მათემატიკური შრომის ავტორია ალი ყუშიჩი (გარდ. 1474)—ენციკლოპედისტი, ასზე მეტი შრომის ავტორი, მოგვიანებით თურქეთში ზუსტ მეცნიერებათა მთელი რიგი დარგების ფუძემდებელი. სწორედ ამ მეცნიერებთან მჭიდრო თანამშრომლობით ულულ-ბეგმა 1437 წ. დაასრულა „ზიჯი“, რომელიც სამარყანდის სკოლის მეცნიერული მემკვიდრეობის უმაღლეს მიღწევად ითვლება.

ვახტანგის ირანში ყოფნისას „ზიჯით“ დაინტერესება და მისი თარგმნა სავსებით ბუნებრივი ჩანს, ვინაიდან ამ დროს შუა და ახლო აღმოსავლეთი ევროპელ მეცნიერთა მიღწევებს ჯერ კიდევ არ იყო ნაზიარები და ასტრონომიულ-მათემატიკურ მეცნიერებათა და განათლების განვითარების ძირითად ბაზად ისევ სამარყანდის სკოლა რჩებოდა.

წინასიტყვაობაში ნახსენები „თალა მასალა“ ასტროლოგიური თხზულებაა. ვახტანგის მიერ ასეთი შინაარსის თხზულების თარგმნაც არ არის



მოულოდნელი, ვინაიდან იმ დროს არა მარტო აღმოსავლეთი, არამედ აღმოსავლეთი ასტრონომებიც (თანაც გამოჩენილი ასტრონომები) გატაცებული იყვნენ ასტროლოგიით. ცნობილია ვახტანგ VI მიერ თარგმნილი ასტროლოგიური თხზულება „ჰიდაიათ ილ-ნუჯუმი“.

რაც შეეხება „სხვა ოქმების წიგნებს“, აქ, როგორც ჩანს, სხვა თარგმნილი ასტრონომიული ტრაქტატები იგულისხმება („ზიჯის“ ვახტანგის მიერ დართულ ლექსიკონში ასეთი განმარტებაა: „ოქმი—ბრძანება, რასაც ვარსკვლავთმრიცხველნი საქმეს შეიტყობენ“). წინასიტყვაობაში ნათქვამია „სტროლაბიც ქართულად გამოვიღე:“ (ცნობილი მკვლევარის ქ. შარაშიძის მიხედვით აქ იმ ქართულწარწერებიანი და ვახტანგის სახელით აღნიშნული ასტროლაბის დამზადება იგულისხმება, რომელიც დღეს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული). ესაა ცნობილი ასტრონომის ნასირ ედ-დინ თუსელის (1201—1274) თხზულება „20 თავი ასტროლაბის შესახებ“ (ქართულად „სტროლაბის სასწავლებელი წიგნი“), რომელიც შესანიშნავი ინსტრუქცია არის ასტროლაბის პრაქტიკულად გამოყენებისათვის. ჩვენი აზრით ტერმინი „გამოდება“ ამ შემთხვევაში და წინასიტყვაობის შემდგომ წინადადებაში („შეასრულონ ქართულის ენითა ფილაფოსობა და გამოიღონ“) უფრო ზოგად ცნებას შეიცავს და დაახლოებით პრაქტიკაში დამკვიდრება-დანერგვის ღონისძიებას უნდა გულისხმობდეს. (ამასვე უნდა ნიშნავდეს სტამბის „გამოდება“ ან „მოდება“, რაც ხშირად გვხვდება ვახტანგისეული სტამბის წიგნების შესავალ-წინასიტყვაობებში). უკვე ის ფაქტი, რომ ვახტანგმა საგანგებოდ თარგმნა ასტროლაბის თუსელისეული ინსტრუქცია, ამ ხელსაწყოს მასობრივად გამოყენების ჩანაფიქრზე მეტყველებს. მართლაც, როგორც გამოჩენილი ფრანგი ასტრონომის აკად. ჟ. ნ. დელილის (1688—1768) ცნობებიდან ჩანს, თავის დროზე ვახტანგის ინიციატივით ისპაჰანში დამზადებული ასტროლაბებით (და არა ასტროლაბით!) განხორციელდა ამიერკავკასიის ქალაქების განედების გაზომვა. ამასთან, როგორც გაირკვა, თვით ვახტანგის ასტროლაბიც ისპაჰანში არის დამზადებული აღმოსავლური სამეცნიერო ხელსაწყოების ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ოსტატის აბდ ალ-აიმ უმცროსის (XVII—XVIII სს) მიერ, რომელსაც მისთვის უჩვეულო სამუშაო (ქართული წარწერებისა და ევროპული ციფრების ამოტიფრვის თვალსაზრისით) ვახტანგთან უშუალო თანამშრომლობით შეუსრულებია. ეჭვგარეშეა, რომ ამავე ისპაჰანელ ოსტატს უნდა დაემზადებინა ჟ. დელილის მიერ მოხსენიებული ასტ-



როლაბებიც, და თანაც ქართული წარწერებით, ვინაიდან სპარსულის მცოდნე ვახტანგმა თავისთვის თუ „ქართული“ ასტროლაბი მთლიანად მითუმეტეს ასევე მოიქცეოდა ის ქართლის პრაქტიკაში დასანერგად ანუ „გამოსაღებად“ გათვალისწინებული ეგზემპლარებისათვის.

ვახტანგის წინასიტყვაობა წიგნის პირველი ოთხი დაუნომრავი გვერდის მე-2 და მე-3 გვერდზე არის მოთავსებული. პირველ გვერდზე, ე. ი. თავფურცელზე (ხუცური შრიფტით) მოხსენიებულია ვახტანგი, როგორც მთარგმნელი, შემდეგ—რედაქტორი ნიკოლოზ ორბელიანი, გამოცემის ადგილი და თარიღი — თბილისი, 1721 წ. 14 აგვისტო. მეოთხე გვერდზე ბაგრატიონთა ღერბია გამოსახული. რაც შეეხება ქართული ასორიცხვნიშნებით დანომრილ 148 გვერდს, საკუთრივ „ქმნულების ცოდნის წიგნი“ პირველი 128 გვერდი უჭირავს, ხოლო 129—148 გვერდზე გეოგრაფიული შინაარსის თხზულება არის დაბეჭდილი. პირველ თხზულებაში 29 ნახაზია (აქედან სამი 28—29 გვერდებს შორის ჩართულ ფურცელზე), მეორეში კი — მხოლოდ ერთი. ნახაზები ხელით არის შესრულებული ბეჭდვისას მათთვის წინასწარ დატოვებულ ცარიელ ადგილებში. დღეისათვის ცნობილი ეგზემპლარებიდან ზოგიერთში წითელი, ზოგიერთში კი შავი საღებავი არის გამოყენებული, ხოლო ერთი ეგზემპლარი საერთოდ ნახაზების გარეშეა დარჩენილი.

„ქმნულების ცოდნის წიგნი“ ანუ „სპარსული აიათი“ შედგება შესავლისა და ორი კარისაგან, თავის მხრივ კი პირველი კარი 6 თავს, ხოლო მეორე კარი 11 თავს შეიცავს. შესავლის პირველი ნაწილი გეომეტრიის ძირითად ცნებათა განსაზღვრებებს ეთმობა, ხოლო მეორე — სხეულისა და მოძრაობის სხვადასხვა ფორმების დახასიათებას.

I კარის 6 თავი ასტრონომიის საფუძვლებს ეთმობა და სამყაროს გეოცენტრული სისტემის საფუძველზე განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: სამყაროს სფერული აგებულება და მისი შემადგენელი 9 ცის სფერო; სფერული ასტრონომიის ძირითადი წრეები; მერვე და მეცხრე ცის სფეროების თავისებურებები; მზის, მთვარის და 5 პლანეტის მოძრაობა. II კარის 11 თავში ასტრონომიის პრობლემებთან ერთად გაშუქებულია გეოგრაფიის, ე. წ. „ნატურალური ასტროლოგიის“¹, ქრონოლოგიის და სხვა დარგების შემდეგი საკითხები: „იყლიმები“ (ე. ი. კლიმატები) და ქვეყნები; პორიზონტი და ეკლიპტიკა; ზოდიაქოს თანავარსკვლავედთა აღვლენა და მათი გავლა მერიდიანზე; დილისა და

¹ დარგი, რომელიც ასტროლოგიური წინასწარმეტყველებისათვის ასტრონომიული მონაცემებით სარგებლობს.



სალამოს ბინდი; დღე-ღამე, თვე, წელიწადი და წელთაღრიცხვები; გნომიკის ელემენტები; შუადღის ხაზის განსაზღვრა ინდური წრის საშუალებით; მანძილები მზემდე, მთვარემდე და პლანეტებამდე და მათი ზომები.

სხვა აღმოსავლური თხზულებების ფონზე „ქმნულების ცოდნის წიგნი“ ყურადღებას იქცევს ზოგიერთი თავისებურებებით. ასტრონომიის (კოსმოგრაფიის) სხვა სახელმძღვანელოების მსგავსად, აქაც ძალზე ხშირად მოყვანილია რაოდენობრივი მონაცემები, მაგრამ ზოგჯერ ისეთი ფორმით, რომ ეს მონაცემებიც უშუალოდ ავტორს უნდა ეკუთვნოდეს. მოგვყავს დამახასიათებელი ფრაზები და წინადადებები: „ჩვენის გაწილვით² ოცდასამი მენაკი ოცდაათი წამი და ჩვიდმეტი წუთია“ (გვ. 21), „მაგრამ ჩვენ ახალი ზიჯი უწინდელის რიგით გავაკეთეთ“ (გვ. 43), „ეს რიგები ჩვენის გაწილვის ანგარიშით არის“ (გვ. 52), „ამათი ამბავი ეს არის, რომ მარკმის პირველს რვაას ორმოცდაერთს წელიწადს იჯრის ქორანიკონს გასულს ახლის ზიჯის ქორანიკონი იქილამ მოვყევით მაშინ“ (გვ. 60), „ესეები რომ ვთქვით, ჩვენის გაწილვის ანგარიშით არის“ (გვ. 61). ამავე დროს ავტორს, რომელსაც საკუთარ დაკვირვებათა მათემატიკური დამუშავების შედეგები შეაქვს სახელმძღვანელოში, საჭიროდ არ მიაჩნია აქვე ფაქტების დასაბუთებისათვის მათემატიკური დამტკიცებები გამოიყენოს, რაც ჭერ კიდევ პტოლომეუსის (87—165) „ალმაგესტიდან“ მოყოლებული, ჩვეულებრივი მოვლენა იყო ასტრონომიული სახელმძღვანელოებისათვის.

ეს უკანასკნელი თავისებურება ადვილად აიხსნება. როგორც ჩანს, ავტორის ჩანაფიქრით თხზულება გათვალისწინებული იყო მეცნიერებით დაინტერესებული ფართო წრეებისათვის და ის მარტო სახელმძღვანელოს ფუნქციებით არ უნდა შემოფარგლულიყო.

რაც შეეხება ავტორის დაკვირვებათა მონაცემებს, ყველაფერი გარკვევა მისი ვინაობის დადგენის შემდგომ. „ახალი ზიჯის“ მოხსენიება 1437 წლისათვის³ უკვე თავისთავად მიუთითებს, რომ საძიებელი პიროვნება სამარყანდის ასტრონომიული სკოლის წარმომადგენელი იყო. ქართული თარგმანის პირველი გვერდის ქვესათაურში სპარსული ფორმით მოყვანილმა პირველწყაროს დასათაურებამ — „ფარსი აიათი“ — კიდევ უფრო გააადვილა ძიება. აღმოჩნდა, რომ მსგავსი დასათაურების

² ტექსტში „გაწილვა“ დაკვირვების აზრით იხმარება.
³ პიჯარის 841 წ. I მუჰარამი — ჩვენი წელთაღრიცხვით 1437 წ. 5 ივლისს შეესაბამება.

(„რისალა-იი ფარსია და რ ჰაიათ“) თხზულება ეკუთვნის ულუღ-ბეგის უახლოეს თანამშრომელს და მისი საქმის გამგრძელებელს ალ-ყუშჩის (გარდ. 1474 წ.), რომელთა იგივეობა აღნიშნული თხზულებისა და ქართული თარგმანის ურთიერთშედარებით დადგინდა. დედნიდან „გადახვევა“ ვახტანგმა მხოლოდ ერთხელ დაუშვა (II კარის IX თავში, სადაც მან თავის მხრივ შეიტანა მოკლე ცნობები ქართული კალენდრის შესახებ). ამიტომ ალი ყუშჩის „ზიჯისეული“ რიცხვითი მონაცემები სახელმძღვანელოში პირველი პირის მრავლობითი ფორმითაა მოყვანილი.

კიდევ უფრო გასაგები ხდება „ფარსი აიათში“ მათემატიკური აზარატის არარსებობის საკითხი. „ზიჯში“, რომლის თეორიულ შესავალში ყველა პრობლემა ნაკადრი მათემატიკური დამტკიცებებით არის წარმოდგენილი, თავმოყრილი იყო სამარყანდის სკოლის დაკვირვება-გათვლების მრავალწლიანი შედეგები. იმავე შედეგების გადმოცემა, მხოლოდ უკვე პოპულარული ფორმით, დამწყებ ასტრონომთათვის და საერთოდ ამ დარგით დაინტერესებულ პირთათვის „ფარსი აიათში“ იტვირთა. მართლაც, მთელი რიგი ცნობებიდან ჩანს, რომ სახელმძღვანელო აღმოსავლურ სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, შეფასებული იყო როგორც პოპულარული სახელმძღვანელოს ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში და მისთვის მთელნა რიგმა მეცნიერებმა საგანგებო კომენტარები შეადგინეს.

ალი ყუშჩის ავტორობის დადგენით კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება ვახტანგის შემოქმედებითი ორიენტაცია. აშკარად ჩანს, რომ სპარსეთში მას ყველაზე უფრო მოწინავე სკოლის — სამარყანდის ასტრონომიული სკოლის მემკვიდრეობაზე შეუჩერებია თავისი არჩევანი⁴. ამაში, რა თქმა უნდა, დიდი დამსახურება მირზა აბდურჩა თავრიზელს უნდა მიუძღოდეს, მაგრამ, გასათვალისწინებელია, რომ სპარსეთში ჩასვლამდე ვახტანგმა ევროპელი მისიონერებისაგან საკმაოდ ფართო ცოდნა მიიღო, რის საფუძველზე მას დამოუკიდებლადაც შეეძლო ამ საკითხებში გარკვევა.

„ქმნულების ცოდნის წიგნის“ შემდეგ ქართულ ბეჭდურ გამოცემაში 129—148 გვერდებზე წარმოდგენილია გეოგრაფიული თხზულება სათაურით: „იყლიმების ზოგიერთი ადგილების მოთხრობა“. გეოგრაფიული ცნობების გადმოცემას აქ საფუძველად უღევს დასახლებული დედა-

⁴ სხვათა შორის, მის ასტროლაბზე ამოტვიფრული ქალაქების გეოგრაფიული განედების ცხრილიც პრაქტიკულად „ზიჯის“ მონაცემებს ემთხვევა. როგორც ჩანს, ისტატი აბდ ალ-აიმიც, ისევე როგორც ვახტანგის მასწავლებელი და თანაშემწე მირზა აბდურჩა თავრიზელი, სამარყანდის სკოლის მიმდევრები იყვნენ.

მიწის დაყოფა 7 იყლიმად, ე. ი. კლიმატად (დედამიწის ზედაპირის ნებად პარალელებს შორის).

აღნიშნული თხზულება ტიპური ნიმუშია აღმოსავლური აღწერითი გეოგრაფიის იმ ლიტერატურული განშტოებისა, რომელიც გეოგრაფიული ობიექტების აღწერასთან ერთად ჭარბად იყენებდა სასწაულებრივი ელემენტებით შეზავებულ კოსმოგრაფიულ ცნობებს. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებდა განშტოების სახელწოდება „მეცნიერება ქვეყნების საკვირველებათა შესახებ“ („ილმ აჯაიბ ალ-ბილად“).

სამწუხაროდ ჯერჯერობით ვერ დადგინდა თუ კონკრეტულად რომელი სპარსული თხზულებიდან ითარგმნა „იყლიმები“. მაგრამ გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა თარგმანის შედარება აბდ არ-რაშიდ ალ-ბაქუვის (XIV—XV სს) ანალოგიური ტიპის თხზულებასთან — „შემოკლება წიგნისა „ძეგლების“⁵ შესახებ და ძლევა მოსილი მეფის საოცრებანი“, რომელიც 1403—1414 წლებით თარიღდება.

„იყლიმების“ და ალ-ყაზვინის პირველწყაროს ბაქუვისეული რედაქციის წყობა და მასალის გადმოცემის პრინციპი სავსებით იდენტურია. შესავალი ორივე თხზულებაში დედამიწის ეკვატორის, ოიკუმენას (დასახლების მეოთხედის) და კლიმატების ზოგად მიმოხილვას ეძღვნება. შვიდსავე ქვეთავში ერთნაირად — ჯერ ჩამოთვლილია განსახილველ კლიმატში მოქცეული გეოგრაფიული ობიექტები, ხოლო შემდეგ მოყვანილია ქალაქ-ქვეყნების ცალკეული აღწერები. ეს აღწერები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა. კერძოდ, „იყლიმებში“ მოყვანილი 50 გეოგრაფიული ობიექტიდან 14 ობიექტის აღწერილობის წინადადებები თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორებულია ბაქუვის რედაქციის ანალოგიურ ფრაგმენტებში. ერთადერთი განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ქართული ტექსტი უფრო შემოკლებული ჩანს და ყველა იმ წინადადებას არ მოიცავს, რომლებიც ბაქუვის უფრო სრულ ფრაგმენტებში არის წარმოდგენილი. 6 ობიექტისათვის იდენტურობა ნაწილობრივია, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ბაქუვის რედაქციისაგან, განსხვავებით თარგმანში დამატებითი ინფორმაციაც არის მოყვანილი. 5 ობიექტი შედარებისთვის არ გამოდგება, ვინაიდან თარგმანი ამ შემთხვევაში ისე არის შემოკლებული, რომ თვითეული მათგანი უკომენტაროდ ან მხოლოდ ერთი წინადადებით არის წარმოდგენილი. ასე რომ, სინამდვილეში შედარებისთვის 45 ობიექტი გვრჩება. 45-დან 20 ობიექტისათვის

⁵ „ძეგლებში“ ივულისხმება ზაქარია იბნ-მუჰამედ ალ-ყაზვინის (1203—1283) საყოველთაოდ აღიარებული თხზულება — „ქალაქთა ძეგლები და ცნობები ალაპის მონათა შესახებ“.



აღწერილობის იდენტურობა და ამავე დროს თხზულებათა ერთნაირი წყობა და შედგენილობა იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ ქართული თარგმანი ალ-ყაზვინის შრომის კიდევ ერთი შემოკლებული რედაქციიდან უნდა მომდინარეობდეს. ვინაიდან ქართულ თარგმანში ხშირად გვხვდება XV ს. მეორე ნახევრისთვის ან უფრო მოგვიანო პერიოდისთვის დამახასიათებელი ცნობები, უცნობი რედაქციის შექმნის თარიღი შეიძლება მიახლოებით XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე ვივარაუდოთ.

ბაქუვის რედაქციისგან განსხვავებული შემოკლებები, რომლის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა ნიშნით ვახტანგს უნდა ეკუთვნოდეს და არა მის პირველწყაროს.

აღნიშნული ცვლილებების მიზანი რომ გასაგები გახდეს, გავარკვიოთ რა დამოკიდებულებაშია ამ გამოცემაში შეტანილი ორი თხზულება: „ქმნულების ცოდნის წიგნი“ და „იყლიმები“. ორივე თხზულების კოლონტიტულებზე ერთი და იგივე სათაური — „ქმნულების ცნობა“ არის გატანილი. „ქმნულების ცნობა“ იგივე „ქმნულების ცოდნას“ ნიშნავს და, მაშასადამე, „იყლიმები“ „ქმნულების ცოდნის წიგნის“ ორგანულ ნაწილად ცხადდება. ეს კავშირი, სხვათა შორის, უშუალოდ ტექსტიდანაც ჩანს. „ქმნულების ცოდნის წიგნის“ 72-ე გვერდზე მოყვანილი დედამიწის ეკვატორის („მართლა სწორი ხაზის“) განსაზღვრა „იყლიმების“ 129-ე გვერდზე დამოწმებულია არა როგორც სხვა თხზულების, არამედ როგორც ერთიანი შრომის წინა ნაწილის მასალა („მართლა სწორი ხაზი, როგორც ამას წინ გვითქვამს, ერთი ხაზია...“). ასეთი გაერთიანება კი მხოლოდ იმ ფაქტზე მეტყველებს, რომ „იყლიმები“ ნაბეჭდ გამოცემაში ძირითადი ნაწილის დამატებად არის ჩაფიქრებული.

„ქმნულების ცოდნის წიგნის“ მსგავს პოპულარულ კოსმოგრაფიულ სახელმძღვანელოებში აღწერითი გეოგრაფიის მასალა ჩვეულებრივ უფრო მეტი რაოდენობით არის წარმოდგენილი და ვახტანგის ღონისძიებაც ამ ხარვეზების შევსებას უნდა ემსახურებოდეს. „იყლიმების“ დამატებად გამოყენებისას კი ცხადია, მისი რაოდენობრივი წილი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ძირითად ნაწილთან.

„ქმნულების ცოდნის წიგნთან“ ერთად „საკვირველებათა“ შემცველი თხზულების მოყვანა შეიძლება მოულოდნელიც ჩანდეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღმოსავლეთში უკანასკნელ დრომდეც კი ასეთი თხზულებები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. აღმოსავლური ლიტერატურის ტრადიციებზე აღზრდილი მკითხველი გეოგრაფიულ თხზულებათა „საკვირველებებში“ ამ ლიტერატურის მითურ-ლეგენდური ფენის თავისებურ ანარეკლს ხედავდა და ამიტომაც ინტერე-



სით ეტანებოდა ასეთ წყაროებს. ზუსტად ასევე, ქართველი მკითხველიც „საკვირველებებს“ ლიტერატურულ ასპექტში აღიქვამდა და სწორედ ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული ვახტანგის არჩევანიც. თვითონ მას რომ კარგად ჰქონდა შეგნებული „საკვირველებათა“ ნამდვილი არსი, ეს ცხადად ჩანს მისი ერთ-ერთი წინადადებიდან, სადაც ასეთი სახის ერთ-ერთ ცნობას „არაკად“, ე. ი. ზღაპრად თვლის.

საგულისხმოა, რომ ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ფონდში დაცულია ხელნაწერი (იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა კოლექცია, №77), რომელშიც „ქმნულების ცოდნის წიგნის“ ბეჭდური გამოცემიდან გადაწერილი „იულიმების“ ტექსტიც არის. იგი, მასში გამოყენებული უ-ბრჯგუს მიხედვით, ბეჭდური გამოცემიდან კარგა ხნის შემდეგ, XVIII ს. შუორე ნახევარში ან XIX ს. დასაწყისში უნდა იყოს გადაწერილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ თხზულებისადმი ინტერესი ათეული წლების შემდგომაც არ განელებულა.

სასწავლო-სამეცნიერო ღირებულებით როგორც „ქმნულების ცოდნის წიგნი“ ისე მითუმეტეს „იულიმები“, ცხადია, დიდად ჩამორჩებოდნენ ანალოგიურ ევროპულ ნიმუშებს, მაგრამ ქართული სინამდვილისათვის მათი მნიშვნელობა უაღრესად დიდია. თავისთავად უნიკალურია თხზულების ბეჭდურად გამოცემის ფაქტი. აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ერთი შედარება: ალი ყუშჩის ეს თხზულება ასტრონომიის ისტორიის სპეციალისტის დ. გ. ვორონოვსკის თანახმად, პირველად 1824 წელს დაიბეჭდა სტამბოლში თურქულ ენაზე და თანაც მოქმედი სახელმძღვანელოს სტატუსით. თურქეთის ინიციატივა საესეებით გასაგებია, ვინაიდან თხზულების ავტორი თურქული ზუსტი მეცნიერებების ფუძემდებლად იყო აღიარებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროვნული სტამბა თურქეთში ჯერ კიდევ 1729 წელს დაარსდა, კიდევ უფრო თვალში საცემი ხდება ვახტანგის ოპერატიულობა, რომელმაც მთელი ერთი საუკუნით დაასწრო თურქებს სახელმძღვანელოს გამოცემა. ამიტომაც, აქამდე თუ აღმოსავლური ასტრონომიის ისტორიაში ვახტანგი ცნობილი იყო როგორც ულულ-ბეგის „ზიჯის“ ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი, ამიერიდან მის სახელს ალი ყუშჩის კოსმოგრაფიული სახელმძღვანელოს პირველგამომცემის პატივიც უნდა დაემატოს.

„ქმნულების ცოდნის წიგნის“ გამოცემა იმ მხრივაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ წიგნის დიდი ტირაჟის საშუალებით საქართველოში ასტრონომიული ცოდნის გავრცელების საქმეს გაცილებით ფართო მასშტაბური ხასიათი მიეცა. მითუმეტეს, რომ წიგნის მთელი რიგი თავები,



კერძოდ პირველი კარის II და III და მეორე კარის I, II, III და IX თავები სპეციალურ ასტრონომიულ ცოდნას არ მოითხოვდა და აღვილად ასათვისებელ ზოგადსაგანმანათლებლო მასალას წარმოადგენდა.

„ქმნულების ცოდნის წიგნი“ სრული სახით სახელმძღვანელოდ იყო გამოყენებული განათლებულ პირთა იმ ჯგუფისათვის, რომელიც ვახტანგის ხელმძღვანელობით ასტრონომიის სპეციალობას ეუფლებოდა. ულულ-ბეგის „ზიჯის“ თარგმანის ბოლო რედაქციის (S—161 ნუსხა) ვახტანგისეულ ლექსიკონში მთელი რიგი ტერმინების მნიშვნელობის განმარტებისათვის მითითებულია „ქმნულების ცოდნის წიგნი“ („ქმნულების წიგნით შეიტყობა“, „ქმნულების წიგნით შეიტყობ როგორც არი“, „ქმნულების წიგნით შეიტყობ რაც არი“ და ა. შ.). ე. ი. ვახტანგი „ქმნულების ცოდნის წიგნს“ „ზიჯის“ აუცილებელ დამხმარე დამატებად თვლიდა და, ცხადია, „ზიჯის“ შესწავლის საქმეში ამ სახელმძღვანელოს განსაკუთრებული როლი ექნებოდა განკუთვნილი.

ცხადია აგრეთვე ისიც, რომ თავის დროზე „ქმნულების ცოდნის წიგნს“ დიდი პოპულარობით უნდა ესარგებლა ქართველ მკითხველთა შორის. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სახელმძღვანელომ მოგვიანო წლებშიც შეინარჩუნა დიდი პოპულარობა. „ქმნულების ცოდნის წიგნი“ თითქმის ყველა ქართული წიგნის ძველ კოლექციასაშია წარმოდგენილი. 1836 წ. პეტერბურგში გამოცემული წიგნის — „მომოხილვა რუსეთის სამფლობელოებისა კავკასიონის იქით“ — პირველ ტომში ქართული ლიტერატურის ყველაზე ცნობილ 22 წიგნს შორის დასახელებულია სომხურიდან თარგმნილი (?) ასტრონომიული თხზულება „Разсужденіе об астрономии“, რომელშიც აშკარად „ქმნულების ცოდნის წიგნი“ იგულისხმება. 1878 წ. გაზეთ „დროებაში“ (№ 112, 10 ივნისი) გამოქვეყნებული ზ. მთაწმინდელის (ზ. ჭიჭინაძის) წერილიდან ჩანს, რომ „ქმნულების ცოდნის წიგნი“ იმ დროსაც ასრულებდა საკითხავი წიგნის ფუნქციებს. 1887 წ. კი დ. ჩუბინაშვილმა იგი „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ ერთ-ერთ ძირითად წყაროდ გამოიყენა.

აკაკის ფსევდონიმები, კრიტიკონები და
ფსევდონიმური ინიციალები

აკაკი წერეთელმა სამწერლო დებიუტი ფსევდონიმური ინიციალებითა და ფსევდონიმებით დაიწყო. მან, როგორც დამწყებმა პოეტმა, პირველად შეაღო ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის კარები. თავის თხზულებებს პირველ ხანებში აწერდა „წ“-ს, „აკ“-ს და სხვადასხვა კრიტიკონიმებს. ეს გამოწვეული იყო მოკრძალებით, რომ მისი წარმოდგენით, ლექსები ჯერ კიდევ მხატვრულად მოუმწიფებელი იყო და ვერ აკმაყოფილებდნენ ჭეშმარიტი პოეზიის საჭირო მოთხოვნებს. ჯერ კიდევ VI კლასის მოსწავლემ „ს-ლი“-ს (სხვიტორელი — შ. ბ.) ფსევდონიმური ინიციალით პირველად გამოაქვეყნა ლერმონტოვიდან თარგმნილი ლექსი „რტო პალესტინისა“¹. ამის გამო „ცისკრის“ რედაქტორმა სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია:

„ზოგიერთი იმ გვარის თხზულება მოგვდის რედაქციაში, რომლისაც დაბეჭდვის უფლება არა გვაქვს, ცენზურის კანონით ყოველ თხზულებას ქვეშ უნდა ეწეროს სახელი და გვარი ავტორისა... განუცხადებთ რა ამას თვით ავტორს „რტოს პალესტინისასაც“, ვთხოვთ გვაცნობოს: ვინ ბრძანდება ის უფალი და რა გვარი, მაშინა დიდის კმაყოფილებით დავბეჭდავთ იმ ჩინებულ ლექსებს, რა ლექსებიც მივიღეთ ფოსტით ამ ახლოს დღეებში“.

ასე მორცხვად შედგა პირველი ნაბიჯი აკაკიმ ლიტერატურაში და ათი წელი ჟურნალ „ცისკრის“ სამსახურში გაატარა.

პირველ ხანებში აკაკი მაინც ინიციალს აწერდა და მკითხველებს არ უმჟღავნებდა თავის ვინაობას.

„წ“-ს ფსევდონიმური ინიციალით დაიბეჭდა „ცისკარში“ აკაკის ლირიკული ლექსების ციკლი. სატრფიალო ლირიკის იშვიათი ნიმუშები

¹ ჟურნ. „ცისკარი“, 1858, № 11.



„ჩემს ვენერას“, „პ. წ.-სას“, „ნავი“, „ქართლის სალამი“, „ნოე“ და სხვა².

„ქართლის სალამი“ მიგვანიშნებს, რომ სამშობლოდან ჩრდილოეთის ყინულოვან ქვეყანაში გადახვეწილ აკაკის სულში სამშობლოს მონატრების გრძნობამ გაიღვიძა და ააფორიაქა იგი. ამ ლირიკულ ლექსში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული პესიმიზმი და პატრიოტული ოპტიმიზმი.

„ნავი“ ეროვნულ თემაზე ალეგორიული სტილით დაწერილი პოეტური შედევრია, რომელშიც მზის სინათლეზეა გამოტანილი რუსეთის ცარიზმის სამარცხვინო კოლონიური პოლიტიკა და მიმართულია თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. „ცისკრის“ რედაქტორმა ი. კერესელიძემ ლექსი დაამახინჯა და რუსეთის ცარიზმი საქართველოს გადამრჩენელად გამოიყვანა. ამის შესახებ აკაკი დედას სწერდა, რომ ივანე კერესელიძემ ჩემი ლექსი დაამახინჯა და აწი აღარ გავუგზავნიო. შემდეგ კი ივანე და აკაკი შერიგდნენ.

როგორც ცნობილია, ცარისტული ხელისუფლების დადგენილი კანონით, დაბეჭდვის დროს ავტორის ვინაობა უნდა სცოდნოდა ცენზორსა და რედაქტორს მაინც, თუ საზოგადოებას არა. თხზულება ისე არ უნდა დაბეჭდილიყო. აკაკი კი პირველ ხანებში ფსევდონიმებით გზავნიდა თავის თხზულებებს პეტერბურგიდან. „საიდუმლო ბარათი“ კი 1860 წელს ავტორის დაუკითხავად სახელითა და გვარით გამოაქვეყნა რედაქტორმა, რაზედაც აკაკი გამწყარალა.

„საიდუმლო ბარათი“ იყო ახალი სიტყვა, პირველი ნაბიჯი იმ ლიტერატურული ეტაპისა, რომელიც შემდეგ მას მოყვა. ლექსი მეტად პოპულარული გახდა და მისმა პუბლიკაციამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. აკაკი „ჩემ თავგადასავალში“ წერს:

„ეს ლექსია, რომელიც პირველად დაიბეჭდა ჩემი სახელით და გვარით. მანამდე კი უსახელოდ ვბეჭდავდი. ვერც ამ ლექსზე ვბეჭდავდი ჩემი ვინაობის გამოცხადებას, მაგრამ ჩემდა შეუტყობლად მოხდა. დაებეჭდა „ცისკრის“ რედაქტორს და თავისთავად მოეწერა ჩემი სახელი და გვარი“.

„ცისკრის“ რედაქტორი ი. კერესელიძე მეტად მოკრძალებულ წერილს უგზავნის აკაკის იმის გამო, რომ მის ნებადაურთველად მოაწერა ხელი ლექსზე, რითაც დაარღვია პოეტის ვინაობის საიდუმლოება, რომლის დაცვასაც მკაცრად მოითხოვდა აკაკი:

„ძმაო, აკაკი წერეთელო! იმერლობას ნუ გამოიჩენ და ნუ გაფხუ-

² „ცისკარი“, 1859, № 1, 3, 9, 10, 12.



კიანდები, რომ შენი სამაგალითო ლექსი „საიდუმლო ბარათი“ დავბეჭდო და უშენოდ შენი სახელი და გვარი მოვაწერე და არა მარტო უმნიშვნელო ორი ასო. აი, რა იყო მიზეზი: ჩვენი პლატონი, ფილოსოფოსი (პლატონ იოსელიანი — შ. ბ.) ასწავლის ბარიათინსკის ქართულს, იმას უჩვენებია შენი ლექსი მისთვის და დიდად მოსწონებოდა; დამიბარა მე და, როდესაც გაიგო ჩემგან შენი ვინაობა, მიბრძანა, რომ მისი სახელი და გვარიც მოაწერეო. მეც რაღა გზა მქონდა?! მაინც რა არის ეგ იმერული სიფრთხილე, რომ შენს ლექსებს სახელს არ აწერ? ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები, განსაკუთრებით ქალებს. იმლერიან კიდევცა. აბა შენ იცი, თუ მომეშველები მალ-მალე. შენი ივანე“.

ამ წერილმა აკაკის მწერლური რწმენა განუმტკიცა და გადააწყვეტინა მწერლობის გზას გააყოლოდა:

„ამგვარ წერილს დღეს სულ სხვა გვარ გავიგებდი, მაგრამ მაშინ კი დავიჯერე და დიდი გავლენაც იქონია ჩემზე. მით უფრო, რომ პროფესორმა დ. ჩუბინაშვილმა რომ წაიკითხა ჩემი სახელი, რომელსაც მანამდის არ ვამხელდი, მიმიხზო სახლში და კვერი დაჰკრა კერესელიძის სიტყვებს...“

იმ დღიდან კი გადააწყვიტე, რომ მწერლობას გამოვდგომოდი და თუ ვინმე ჩამომშორდებოდა, ის კი მის ნებაზე მიმეშვა. ეგებ რედაქტორმა, როგორც ყმაწვილს გულგასაკეთებლად, ისე მოაწერა, მაგრამ მე კი დავიჯერე და დიდათაც მეფონა, რომ ყურადღებასაც მაქცევენ-მეთქი“³.

„საიდუმლო ბარათის“ გამო საქართველოდან აკაკი პეტერბურგში მილოცვის წერილებს ღებულობდა. ანჩისხატის დეკანოზი ეფრემი, რომელიც იმ დროს ცენზორად მუშაობდა, პოეტს სწერდა:

„გილოცავ მეშაირობას და თანვე გთხოვ, მამაშვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეჭირვება და შენ კი რაღაც სოფლურ ენითა სწერ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ყველას გულში ხვდება. გამოსვლისთანავე სასიძლერო ლექსად გადაიქცა. განსაკუთრებით ქალები იმლერიან და ვაი თუ მაგ შენს ენას მიეჩვიონ და გადაიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართული“.

მეორე წერილში უცნობი მკითხველი (თავადი ირაკლი ლორთქიფანიძე) ახალგაზრდა პოეტს სწერდა, რომ ძველი ენით წერეო.

„ამ წერილებმა, — წერს აკაკი — გამაყოყოჩეს. ცხრამეტი წლის ახალგაზრდას სულსა და გულს მიტკბობდა უფრო ის, რომ „ქალები იმ-

³ „ჩემი თავგადასავალი“, თხზ. სრული კრებული თხუთმეტ ტომად ტ. VII, 1958, გვ. 93—94.

ღერიანო“, და მეც გადავსწყვიტე, თავი დავეუდვა მწერლობას, სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვწერო⁴.

მოგვიანებით ზაქარია ჭიჭინაძე წერდა:

„აკაკის ლექსებმა პირველს დროიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება, საზოგადოებამ პირველს ლექსებიდანვე შეადგინა მისი საბედოდ დასკვნა და ბრწყინვალე მომავალი... აკაკის მაშინვე შევამჩნიეთ პოეტური ნიჭი⁵.

როცა „ცისკარში“ აკაკის თხზულებები იბეჭდებოდა, იმ ნომერს ყოველთვის მეტს ვბეჭდავდით, ხოლო როცა მის ლექსებს მივიღებდი, სიხარულით აღარ ვიცოდით, რა მექნაო, — გადმოგვცემს ჟურნალის რედაქტორი ივანე კერესელიძე.

აკაკის ლექსებმა რომ იმთავითვე მიიქცია ხალხის ყურადღება, ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1859 წლის მარტის ნომერი აკაკის ხელმოწერილი ლექსებით იხსნება, რითაც დაირღვა იქ დამკვიდრებული „სუბორდინაცია“.

ამგვარად, აკაკისათვის ჟურნალი „ცისკარი“ გახდა შემოქმედებითი იმპულსის მიმცემი და წამახალისებელი, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა მის პროფესიულ მწერლად ჩამოყალიბების საქმეში.

რაც შეეხება აკაკის შემდგომ ლიტერატურული მომწიფებისა და დავაჟკაცების პერიოდს, როცა კვლავ იყენებდა ნაირ-ნაირ ფსევდონიმებს, კრიპტონიმებსა და ფსევდონიმურ ინიციალებს, ეს გამოწვეული იყო ეპოქალური მოვლენებით, რომლებმაც თავი იჩინეს „მამათა“ და „შვილთა“ აღიარებულ პოლემიკურ პაექრობაში. სხვა თერგდალეულებთან ერთად, აკაკის ღვთაებრივი ნიჭით მომადლებული პოეტური შემოქმედება ძველი ეპოქის მსხვრევის, რევოლუციური დემოკრატიისა და დიადი სოციალური გარდატეხის მაუწყებელი იყო. იგი, როგორც ნოვატორული, პროგრესული იდეების კორიფე, ახალი აზრებისა და ტენდენციების შემომტანი, შეუპოვრად იდგა ცარისტული რეჟიმის გადაგდებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზაპყვარედინზე.

როდესაც ძველ და ახალ თაობას შორის ენის საკითხებზე უკომპრომისო ბრძოლა გაჩაღდა, „ცისკრის“ თანამშრომლებში განხეთქილება მოხდა, იგი ორად გაიყო 'და ახალ თაობამ ილიას გახსნილ „საქართველოს მოამბეში“ გადაინაცვლა. აკაკი გარკვეული მოსაზრებით „ცისკარში“ დარჩა, თუმცა იგი ილიას იდეების თანამგრძნობი და თანამებრძოლი იყო და ყოველთვის ილიას პრინციპულ პოზიციებზე იდგა. ასე რომ „ცის-

⁴ აკაკი, ჩემი ნაწერები, პირველი წიგნი, 1912, გვ. 64—65.

⁵ ზ. ჭიჭინაძე, „აკაკის კრებული“, 1898, გვ. 44.

კარში“ დარჩენას აკაკისთვის ილიასთან მეგობრობაზე ხელი არ შეუშლია.

აკაკის დარჩენით გამხნევებული „ცისკრის“ რედაქცია ასე აუწყებდა თავის მკითხველებს:

„ვახარებით ჩვენს „ცისკრის“ მკითხველებს, რომ ჩვენმა გამოჩენილმა მოლექსემ თ. აკაკი წერეთელმა მიიღო „ცისკარში“ სამუდამოდ დავალებითი თანამშრომლობა. ახლა წავიდა პეტერბურღში, საიდანაც აპირებს საზღვარს გარეთ გასვლას სწავლის გასაგრძელებლად და დიდი იმედი აღგვითქვა იქიდან შემწეობის მოცემაზე.“⁶

ფსევდონიმებმა აკაკი მრავალჯერ გადაარჩინეს ციხეს, გადასახლება და კატორღას. რუსეთის თვითმპყრობელობის ჩინოვნიკი ცენზორები განუწყვეტლივ ფეხდაფეხ დასდევდნენ მის მამხილებელ თხზულებებს, შიგნავდა, გულ-ღვიძლს აცლიდა, რომ ეროვნული გრძნობა მიეძინებინა. აკაკი იძულებული გახდა ისევ ფსევდონიმისათვის მიემართა. 1961 წელს „ცისკარში“ (№ 3) გამოაქვეყნა ლექსი „ლოტოთი ლოთობა ქუთაისში“ და მოაწერა „თავ. იმერელი“⁷.

აკაკი იგონებს ერთ ეპიზოდს, როცა ცენზორმა დაიწუნა აკაკის პატრიოტული, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული ლექსი, მაგრამ რედაქტორმა ი. კერესელიძემ, მაინც მოახერხა მისი გაშვება.

1963 წელს აკაკიმ „ცისკრის“ რედაქციას გაუგზავნა ლექსი სათაურით „სიმღერა“, რომელშიც ასეთი სტრიქონებია:

„სამეფო ძველთა ძველო,
დღეს სნეულო, გულის მწველო,
დაჰქნა შენი ძველი ქება,
ვით, ზაფხულში მზისგან მდელიო,
მაგრამ თუ დრო შეიცვალა,
გაცოცხლდები, საქართველო!“

ივანეს ამ ლექსისთვის სათაური გამოუცვლია და „სიმღერის“ ნაცვლად ამ სიტყვებით დაუსათაურებია: „დიდის მთავრის მობრძანების დროს ახალთაობა უგალობს საქართველოს“... „აი ხერხს რა შეუძლიან!.. ლექსი სრულად გავაშვებინე და სათაური რაც უნდა ის იყოსო“ — ამბობდა გახარებული რედაქტორი.

„გადავწყვიტე, — წერს აკაკი, — რაც უნდა დამმართოდა, არ გადამხვია არჩეული გზისათვის... აღარავის ვზოგავდი, ვისაც კი შევნიშნავდი

⁶ პოეტის ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. (რედ.)

⁷ „ცისკარი“, 1861, № 3.



საზოგადო უკულმართობას და არავის ვეპუებოდით“.⁸ მაგრამ ცენზურის სდევნიდა როგორც ავტორს, ისე ჟურნალის რედაქტორსაც. ცენზურის დევნამ დააწერინა აკაკის ლექსი „ვედრება“, რომელიც 1869 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“.

ცენზურის შემოტევამ ვერ გასტეხა ივანე კერესელიძე. იგი მოქნილი მეთოდებით ცდილობდა აკაკის ავტორიტეტის ამაღლებასა და მთავრობის საწინააღმდეგო ლექსების გაპარებას „ცისკარის“ ფურცლებზე. იგი თავგანწირვის ფასად ახერხებდა ამას. ასეთი ლექსების მთელი ციკლი გამოაქვეყნა. მათ შორის აღსანიშნავია ლექსი „გლეხის აღსარება“, რომელმაც გამოიწვია თავადების აღშფოთება და კინალამ ხანჯლის წვერზე წამოაგეს აკაკი.

ამის შესახებ თვით პოეტი აღნიშნავს თავის მოგონებაში:

„...ამ ლექსმა, რომელიც ბატონყმობის გადავარდნამდეა დაწერილი, ძალიან უსიამოვნება გამოიწვია თავადებში და ბევრი მტერიც შემძინა. ერთმა მათგანმა თავადმა მიქელაძემ სასიკვდილოდ შემომიტირა და ალაღბელზე გადამარჩინეს“.⁹

აკაკიმ „მე სამე თერგ და ლეულის“ ხელმოწერით დაბეჭდა პოლემიკური შინაარსის სტატია „ახირებული ფურცელი“,¹⁰ რომელიც ეხებოდა გორისელის (ეფთვიმე წერეთლის) პოლემიკურ წერილს ი. ჭავჭავეძეზე. ამ პოლემიკურ სტატიაში რელიგიურადაა ასახული იდეური შეჯახება ჟურნალ „ცისკარის“ ირგვლივ გაერთიანებული კონსერვატიულ-ლიბერალური დოკუმენტის გამომხატველი ძველი თაობისა და რუსეთში განათლება მიღებული, რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილ პროგრესული ახალგაზრდობის ელიტას შორის, რომლებსაც ილია და აკაკი ხელმძღვანელობდნენ. აკაკიმ ნიღაბი ჩამოგლიჯა ეროვნული ასიმილაციისა და გადაგვარების გზაზე დამდგარ რეტროგრადებსა და რეაქციონერებს:

ქართულ ენას არად ხდიან,
შვილებს რუსულადა ზრდიან,
ტრეტიაკოვსკის აქებენ
და რუსთველს კი დასცინიან.

ამ ფსევდონიმის გახსნა გაძნელდა. მკვლევარი სერგი გორგაძე წერდა:

„განსვენებული მგოსნის ერთ-ერთმა მეგობარმა თ. კირილე ლორ-

⁸ აკაკი წერეთელი, თხზულებანი, სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. I, 1940 წ. გვ. 859.

⁹ აკაკი წერეთელი, ჩემი ნაწერები, ტ. I, გვ. 127.

¹⁰ „ცისკარი“, 1862, № 5, გვ. 24—30.



თქიფანიძემ გვარწმუნა, რომ აკაკის თავის მოღვაწეობის პირველ ხანაში რამდენიმე ნაწარმოები „თერგდალეულის“ ფსევდონიმით დაბეჭდავს. ჩვენ ვეძებთ „ცისკარსა“ და „დროებაში“ ასეთი ნაწარმოები, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვიპოვეთ. შესაძლოა, უფრო დაკვირვებულმა ძებნამ აღმოაჩინოს. მხოლოდ იმავე კირილეს სიტყვით ესევე ფსევდონიმი სხვა მწერალსაც ჰქონდა იმ დროს და ეს გარემოება რამდენადმე საქმეს ართულებს“.

ეს პრობლემა დღეს უკვე მოხსნილია.

ფსევდონიმი „თერგდალეული“ გამოყენებული ჰქონდა პეტერბურგში განათლებულ ოთხ ქართველ მწერალს. მათ შორის პირველი თერგდალეული იყო კირილე ლორთქიფანიძე, მეორე—გიორგი წერეთელი, მესამე — აკაკი, ხოლო მეოთხე — სამსონ აბაშიძე.

„აკ“-ის ხელმოწერით დაიბეჭდა მეტად პოპულარული ლექსი „მუშური“; „როგორ უნდა შეგკრიბოთ ზეპირგადმოცემები“, „ახმედ-ფაშა კახაბერი“ (ნეკროლოდი), რომელშიც ჩართულია ლექსი „ფარშავანგი“, „ივნისის 18 ქართული დრამატული საზოგადოების...“ (წევრთა კრებაზე გამგეობის არჩევა, წევრების სახუმარო დახასიათება). სხვადასხვა ამბები.

ფსევდონიმით „ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ა მ ა რ ი ძ ე“ აკაკიმ გამოაქვეყნა ლექსი „ჩემს მუზას“¹¹. ეს ფსევდონიმი აკაკის „ცისკარის“ ერთ ეგზემპლარში (იგი წ. კ. საზოგადოებას ეკუთვნოდა) ფანქრით გადაუხაზავს და დაუწერია: „აკ. წერეთელი“.

1871 წელს აკაკიმ „კრებულში“ დაბეჭდა ლექსი „ნადირობა“ (ვუძღვნი ჩემს ძალს)¹² ხელმოწერა: აკაკი წ. ამ ლექსით აკაკი თავს დაესხა სოფლის ბობოლებსა და ყოყლოჩინა პლუტოკრატებს, რის გამოც ატყდა ერთი ვაიუშველებელი. როგორც თვით აღნიშნავს აკაკი, ძალიან შეავიწროვეს და სოციალურად დეგრადირებული პირები მოკვლასაც ჰპირდებოდნენ, მაგრამ გულშემატკივარნიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ინსპირატორებს არ უსმენდნენ.

„წ.“-ს ხელმოწერით დაიბეჭდა აგრეთვე პუბლიცისტური სტატია „ვინ ტყუის? ჩვენი ძველი და ახალი თაობა“¹³, რომელიც ეხებოდა ი. ჭავჭავაძის „გამოცანებს“, „მამათა და შვილთა“ ბანაკის შეჯახებას.

აკაკის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ პოეტი პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე სწავლობ-

¹¹ ჟურნ. „ცისკარი“, 1868, № 6, გვ. 50—51.

¹² ჟურნ. „კრებული“, 1871, № 5.

¹³ „მნათობი“, 1872, № 6—7.



და და მაღალი აკადემიური მოსწრებით გადადიოდა კურსიდან ^{ენციკლოპედია} საკმაოდ ფლობდა სომხურ, თურქულ, ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს. მას ხშირად უხდებოდა ცოლ-შვილთან საფრანგეთში ცხოვრება და ურთიერთობა საფრანგეთის ინტელექტუალურ ელიტასთან. აი სწორედ მაშინ პოეტი მეტყველებდა ფრანგულად და წელში იყო გამართული ამ ენის ცოდნით. ასე რომ აკაკის პოლიგლოტის მაღალი ტალანტი ბუნებისაგან ჰქონდა ნაბოძები, ყოველისშემძლე ბუნებას იგი ამ მხრივაც დაეჯილდოებინა.

აკაკი წერეთელს აქვს, რუსულად დაწერილი ფელეტონები, წერილები, პოლემიკური, პუბლიცისტური, ალეგორიულ-სატირული სტატიები და დრამატურგიული თხზულებებიც, აგრეთვე იურიდიული ხასიათის სტატიები, აჯანყებული სვანების დასაცავად სასამართლო პროცესზე წარმოთქმული სიტყვა, სვანების სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ იგი მჭევრმეტყველების იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს.

რუსულ ენაზე აკაკის აქვს დროის მოთხოვნით ნაკარნახევი მრავალი თეატრალური რეცენზია და მეტად საჭირო წერილები თეატრალურ პრობლემებზე. ისინი აშუქებდნენ ეპოქის მტკივნეულ საკითხებს და მიმართულია ველიკორუსული შოვინიზმისა, პატარა ერების ასიმილაციისა და სოციალურ-კლასობრივი ექსპლუატაციის წინააღმდეგ.

რუსული მხატვრული თუ პუბლიცისტური სტატიების პუბლიკაციისას პოეტს გამოყენებული აქვს ფსევდონიმები და კრიპტონიმები, რომლებიც მხოლოდ სპეციალისტებისთვისაა ცნობილი.

ფელეტონი „В ожидании дня“¹⁴ დაიბეჭდა 1874 წელს, ხელმოწერილია ფსევდონიმით „Барон Квакенберг“ (იგი გახსნა მკვლევარმა თამარ მაჭავარიანმა). იმავე წელს გამოაქვეყნა წერილი „Ответ Квакенберга“¹⁵. 1878 წელს დაბეჭდილი პიესა „Сеятели“¹⁶ და ფელეტონი „Нежданный мороз“¹⁷ „კვ აკ ე ნ ბ ე რ გ ი ს“ ხელმოწერილია დაბეჭდილი. აქ მხილებული იყო ქუთაისის საშინაო ცხოვრება, რასაც საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოუწვევია. იმავე წელს რეცენზენტების ნ. კრაპივნიკოვასა და „ფუტურუმ“-ის საპასუხო წერილებიც დაბეჭდილია.¹⁸ „კვაკენბერგის“ ხელმოწერით აგრეთვე დაიბეჭდა ალეგორიული ხასიათის სტატია „Из грузин“¹⁹, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული მეფის ხელისუფლების ადგილობრივი მოხელეების საქმიანობა.

¹⁴⁻²² რუსული სტატიები იხ. «Тифлисский Вестник», 1874, № 16, 161, 25, 37; 43; 1878, № 292; Тифлисский Листок, 1874, № 30; Новое обозрение, 1889, № 17, 81.



შემდეგ კი „Сеятель“-ის პირველი მოქმედება ცალკე გამოაქვეყნდა. 1874 წელს აკაკის შესაფერი პასუხი გაუცია მოპაექრე ნ. კოპიოვი-ნიკოვასთვის და წერილი გამოუქვეყნებია სათაურით „Открытое Письмо моему рецензенту госпоже Нине Крапивниковой“ ხელმოწერით: „Ваш Барон Квакенберг“²¹

1889 წელს აკაკიმ დაწერა და დაბეჭდა სტატია „Китайские стены. Крещенский рассказ“²² ეს ალეგორიული სტილით დაწერილი თხზულება მიმართულია თვითმპყრობელობის მომხვეჭელ მოხელეთა წინააღმდეგ, ხოლო ცენზორის თვალის ასახვევად, თხზულების მოქმედება ჩინეთშია გადატანილი. თხზულების ქვეშ მოწერილი აქვს ფსევდონიმი „Сам-пью-Чай“.

„დროების“ 1874 წლის დეკემბერში აკაკიმ „ლეონ ვამეხისძე და დიანის“ ფსევდონიმით დაბეჭდა ანტირელიგიურ თემაზე დაწერილი პუბლიცისტური სტატია „მკვდრის სულის მოძებნა (მღვდლების შესახებ)“²³.

მკაცრი სატირული სტილით დაწერილი ეს სტატია ასახავს და სამარცხვინო სამსჯავროზე გამოაქვს კლერიკალური წოდების გაუმაძღრობას, გაუნათლებელი ხალხის სიბნელეში ყოფნას, მავნე, უსარგებლო ტრადიციების არსებობას. ამიტომ იგი პოეტმა ფსევდონიმით გამოაქვეყნა, რომ თავი დაეცვა სასულიერო წოდების თავდასხმისაგან. ეს ფსევდონიმი მხოლოდ ერთხელ აქვს გამოყენებული, ხოლო წერა-კითხვის საზოგადოების ეგზემპლარზე აკაკის მიერ ფსევდონიმი გადახაზულია და მიწერილია: აკაკი.

1875 წელს აკაკიმ დაბეჭდა პუბლიცისტური სტატია „საცივი“. იგი ეხება ტყიბულისა და გელათის ქვანახშირის საბადოების უმოწყალო ექსპლუატაციას. ავტორი აკრიტიკებს უგზოობას, ადამიანთა სიხარბესა და გაუმაძღრობას. სტატიას ბოლოში დართული აქვს ლექსი „ტყიბულმა სთქვა...“ აქ კი მგოსანი ტყიბულის ქვანახშირის გამოზიდვასა და მისი უცხოეთის ბაზარზე გატანას ეხება. ლექსის ბოლო გატეხილი სტრიქონი ფსევდონიმური სიტყვებით ბოლოვდება: „ვე რ მი ც ა ნ ი ნ ი ა ო“. ეს სიტყვები ორ ფუნქციას ასრულებს: ლექსის ფინალისას და სახუმარო ფსევდონიმისას.

1876 წელს „დროების“ რამდენიმე ნომერში გამოქვეყნებულ ფელეტონებსა და სტატიებს აკაკი „გიორგი ქართველიშვილის“ ფსევდონიმით ბეჭდავდა. „ნადულს“ („ღმერთმა მტერსაც ამოროს“), დარ-

²³ „დროება“, 1874, № 45.



თული აქვს გაზეთის რედაქციის შენიშვნა, რომ ავტორი მას ვერცხვობა, ყოველ კვირაში ამ სათაურით ორი-სამი ფელეტონის გამომგზავნას.²⁴

ფელეტონში ავტორი აანალიზებს ქალისა და კაცის ბუნებას, გრძნობას, ჭკუას და გამოაქვს შემაჯამებელი დასკვნა.

შემდეგ დაიბეჭდა პუბლიცისტური წერილი „ხარლამპიოს მოგონაკის წერილებიდან“ (ყანდიანში არეულობის შესახებ)²⁵.

სტატიაში მოტანილია ეპიზოდები ყანდიის (კუნძულ კრეტას) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან.

კრეტელი ბერძნები, რომლებიც თურქების საუკუნეობრივ მონობას განიცდიდნენ, მეცხრამეტე საუკუნეში ხმა აიმაღლეს დამპყრობელთა წინააღმდეგ. ამ მძლავრ ეროვნულ მოძრაობას გამოეხმაურა და მხარი დაუჭირა მსოფლიოს ინტელიგენციამ, მათ შორის ქართველმა მწერლებმა: ილიამ, აკაკიმ, გ. წერეთელმა სპეციალური სტატიები უძღვნეს ამ მოვლენას, რომელმაც ცივილიზებული მსოფლიოს ყურადღება მიიქცია. ამავე დროს ქართველმა მწერლებმა ეს მოვლენა ალეგორიულად შეუთავსეს საქართველოს თანამედროვე ვითარებას, ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კუთვნილ „დროების“ კომპლექტში ამ სტატიის დასასრულს ფსევდონიმი გადახაზულია და ფანქრით მიწერილია: „აკაკი წერეთელი“.

იმავე წელს დაიბეჭდა პუბლიცისტური სტატია „ჩონგური“,²⁶ რომელშიც ავტორი აშუქებს საქართველოს ცალკეული კუთხეების თავისებურებასა და ეროვნული მთლიანობის საჭიროებას. სტატიაში ჩართულია ლექსები: „იმერული ლექსი“, და მუხამბაზი“.

იმავე წელს დაიბეჭდა მეორე სტატია „ნადული“ (დარია თუ ავღარია... გათენება...)²⁷.

მესამე სტატიას „ნადული“ (ქორს წიწილა მიჰქონდა...)²⁸ ბოლოში დართული აქვს ლექსი „საწყალი და დარბაისელი“.

ამ სტატიებში ავტორი აანალიზებს ეპოქის აქტუალურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ეროვნულ მოვლენებს, მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, ეხება ძველ და ახალ თაობათა მოღვაწეობას და სახავს მომავალი ეროვნული ამოცანების პერსპექტივებს.

გიორგი ქართველიშვილი რომ ნამდვილად აკაკის ფსევდონიმია, ამას აღნიშნავს თვით „დროების“ რედაქტორი და აკაკის ახლო მეგობარი სერგეი მესხი მეუღლის ეკატერინე მელიქიშვილისადმი მიწერილ წერილში:

²⁴⁻²⁸ „დროება“, 1876, № 6, 8, 13, 16, 19.



„მე და აკაკი ამ მოკლე ხანში კიდევ წავიჩხუბეთ (არ ვიცი, ღმერთი მანი, რისთვის მემდურადა), მაგრამ შერიგებაც მოვასწარი. ახლა ის სწერს „ღრობაში“ ჩვეულებრივ ცოცხალ ფელეტონებს, სათაურით „ნადული“.

ქვევით „გიორგი ქართველი შვილი“ აქვს მიწერილი პსევდონიმად. არ უნდა, რომ სხვა ვინმემ შეიტყოს და ამიტომ ვთხოვ, გესაცვალე, კეკე, ნურც შენ ნურავის ეუბნები“²⁹.

როგორც აღინიშნა, ამ ფელეტონებზე მოწერილი გიორგი ქართველიშვილი აკაკის ფსევდონიმაა. აქედან ჩანს, რომ აკაკი ფსევდონიმს აწერს იმ სტატიას, რომელშიც გაშუქებულია მწვავე კრიტიკული და პოლიტიკური მოვლენები და საზოგადოების გულისტყვიელი.

1876 წელს „ღრობაში“ აკაკიმ დაბეჭდა ცხოვრების რეალური სინამდვილიდან აღებული ფაქტი, გამოკვეთა გაქნილი, გაიძვრა და წამგლეჯის ზოგადი ტიპი, რომელმაც ამ ხერხით არნახული სიმდიდრე მოიხვეჭა. იგი მოქმედებდა დევიზით: „ცხოვრებისათვის ბრძოლა საზოგადო კანონიაო!“ სტატია დაიბეჭდა სათაურით: „ხერხი სიმდიდრისა და წარმატების მოპოვება ეშმაკობით და მოხერხებით“.

აკაკის თხზულებათა კრებულის თხუთმეტტომეულში, რომელიც გ. აბზიანიძის საერთო რედაქციით გამოვიდა, (ტ. XI, გვერდი 393—395) ეს პუბლიცისტური სტატია დაიბეჭდა სათაურით „ხერხი“. გაზეთ „ღრობაში“ მასზე აკაკი ხელს აწერს რთული სახის ფსევდონიმით „ამ ხერხიანი კაცის უხერხული ძმათორნიკე!“³⁰

1872 წლიდან აკაკიმ თავისი მხატვრული ინტელექტითა და პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულებით ბრწყინვალე ავტორიტეტი მოიპოვა და თითქმის მთელმა ქვეყანამ გაიცნო. მისი სახელის ხსენებისას აღარ იყო საჭირო გვარის თქმა. იტყოდნენ აკაკის, გულისხმობდნენ აკაკი წერეთელს. ეს ღრმად ფესვებგადგმული ტრადიცია, საბედნიეროდ, დღესაც გრძელდება. პოეტი კარგად გრძნობდა ამას და ეს იყო მასტიმულირებელი იმისა, რომ იგი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, თავის ნაწარმოებს აკაკის აწერდა. ამ ფსევდონიმით სამუდამოდ დამკვიდრდა ქართულ ეროვნულ მწერლობაში. ამრიგად, აკაკის მიერ გამოყენებული ფსევდონიმების კლასიფიკაციიდან, თავისი სპეციფიკური ელფერთა და აქტიურობით „აკაკი“ მუდმივი ფსევდონიმის კატეგორიას მიეკუთვნება. რაც შეეხება შემთხვევით ფსევდონიმებს (აკაკის

²⁹ სერგეი მესხი, წერილები. იოსებ ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, სოხუმი, აფხაზეთის სახელგამი, 1950, გვ. 207.

³⁰ გაზ. „ღრობა“, 1876, 27 იენისი, № 65, გვ. 1.



ფსევდონიმთა თითქმის 95% შემთხვევითი ფსევდონიმების კატეგორიას (მიეკუთვნება), მათი უმრავლესობა მხოლოდ თითოჯერ არის გამოყენებული.

1872 წლიდან აკაკი გაზეთ „დროებაში“, როგორც პოეტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და პროზაიკოსი, თითქმის ყოველდღიურად ჩნდებოდა მისი მხატვრული და პუბლიცისტური პუბლიკაციებით. ხშირად ერთსა და იმავე ნომერში ქვეყნდებოდა აკაკის რამდენიმე მასალა. აი, სწორედ მაშინ იმარჯვებდა იგი ფსევდონიმს.

როგორც ცნობილია, აკაკის ბავშვით სათნო გული ჰქონდა. შემოქმედებით პროცესში იგი საჭიროებდა ხელშეწყობას, ფრთხილად მოფერებასა და აღერსს. სწორედ ამაზე წუხდა თავის წერილში გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი:

„გუშინ წინ აკაკის მივწერე წიგნი. თავი მოვუქონე და ვთხოვე, რომ ხშირად სწეროს „დროებაში“ თავისი ფელეტონები, თორემ ამ უკანასკნელ დროს „დროებამ“ რაღაც ერთობ კოჭლობა დაიწყო, და თუ ყველა არ მივეწველეთ, განსაკუთრებით ამ წლის დამდეგში, ცუდად არის საქმე“³¹.

აკაკის პოეტური ტალანტის პატივისცემელი და დამფასებელი, გარდა ზოგიერთი დეგრადირებული ნიჰილისტისა, მთელი პროგრესული ინტელექტუალური საქართველო იყო და განსაკუთრებით მისი ელიტარული ნაწილი, რომელიც ქართული ბეჭდვითი სიტყვის ბედს განაგებდა. ამიტომ ყველა ქართული თუ რუსული ჟურნალ-გაზეთის რედაქტორი ცდილობდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ აკაკი რედაქციის უახლოეს თანამშრომლად მიეწვია, რადგან მათ კარგად უწყობდნენ, რომ აკაკი იყო ჟურნალ-გაზეთის სულის ჩამდგმელი, ღონის მიმცემი, ნიჰისა და ენერჯის გამაცოცხლებელი. ეს ჩანს სერგეი მესხის გულწრფელი შეფასებიდან:

„აკაკი ყველაზე უფრო ნიჭიერი და ყველაზე უფრო გამოსადეგია გაზეთისათვის. ამისთანა ცოცხალი კალამი, მარჯვე, მკვირცხლი სიტყვა, ირონია და ადვილი წერის ნიჭი არც ერთს ჩვენს მწერალს არ აქვს. ამიტომ ძვირფასად მიმაჩნია ის გაზეთისათვის და, საზოგადოდ, ჩვენი ახლანდელი ლიტერატურისათვის“³².

ს. მესხი დიდად აფასებს აგრეთვე ი. ჭავჭავაძის ბელეტრისტულ ტალანტს და აღნიშნავს:

³¹ სერგეი მესხი, წერილები. იოსებ ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, სოხუმი, აფხაზეთის სახელგამი, 1950, გვ. 90.

³² იქვე, გვ. 189.



„აკაკის გარდა მე არავის არ ვსთხოვ, არავის არ შევეხვეწები, ვაზეთის შრომაში დამეხმაროს, აკაკის კი მუდამ ვსთხოვ, რადგან, ერთი რომ ვიცი, იმასთან თხოვნა გამოვა და მეორე, ამისთანა ძვირფას თანამშრომლად ეხლა ჩვენს ლიტერატურაში არავინ მიმაჩნია. ორ-სამ სტატიას ან მოთხრობას რომ საახალწლოდ ილიკო მომცემდეს, მეტი აღარა მიშავს რა. იმერეთს აკაკის შემწეობით დავიპყრობ და კახეთს ილიკოს დახმარებით“.³⁵

X—X კრიპტონიმით აკაკის წარუდგენია დასაბეჭდად, ვითომ ოსმალურიდან გადმოკეთებული და რეალურად ორიგინალური ლექსი „სოხტების სიმღერა“³⁴ ლექსი დაუკავებია ცენზურას 1883 წელს. „იგი აკაკის უნდა ეკუთვნოდეს“³⁵.

აღნიშნული ლექსი აკაკის ჩაურთავს თავის სამომოქმედებთან ისტორიულ დრამაში „კულტურ-ხანუმ“ და მისივე რეჟისორობით სცენაზე წარმოუდგენია.

1888 წელს „ივერიაში“ „ონელი მესტვირეს“ ხელმოწერით დაიბეჭდა აკაკის ორიგინალური პოემა „ჭიდაობა“³⁶ იგი ასახავს კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუას შერკინებას. 1888 წელს ათლეთურ თემაზე დაწერილი ეს პოემა თბილისში გრიგოლ ჩარკვიანმა ცალკე წიგნად გამოსცა. წიგნის თავფურცელზე მიწერილია ავტორის სიტყვები: „კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა, მესტვირული ლექსი, თქმული ონელი მესტვირესი“.

სერგი გორგაძის სავარაუდო აზრით, აკაკის უნდა ეკუთვნოდეს სტატია „გლდანელი და ესებუა“, რომელსაც ხელს აწერს „ძველი მოჭიდავე“³⁷.

ს. გორგაძემ სათანადო კვლევა-ძიება ჩაატარა, მოახდინა ტექსტუალური და სტილისტური ანალიზი და თავის დამაჯერებელ დასკვნაში „ძველი მოჭიდავე“ აკაკის ფსევდონიმად აღიარა.

ჩვენს მიერ ჩატარებული დამატებითი ბიბლიოგრაფიული წყაროების ძიებასა და მის ანალიზს ამ დასკვნამდე მივყავართ. ამის საფუძველს გვაძლევს გლდანელისა და ესებუას ჭიდაობის შესახებ დაწერილი რეცენ-

³³ დასახ. წიგნში, გვ. 64, 195.
³⁴ სოხტები თათრული სიტყვაა და გამოხატავდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ახალგაზრდობას.
³⁵ ამბერკი ვაჩეჩილაძე, აკაკი წერეთელი, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966, გვ. 134.
³⁶ „ივერია“, 1888, № 228.
³⁷ „ივერია“, 1888, № 169. (იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული შეიდ ტომად, ტ. III 1949, გვ. 691—693.
 13. მწიგნობარი

ზია მისი სტილისტური ნიშნებითა და შინაარსობრივი ანალიზით, ამის სასარგებლოდ კიდევ სხვა არგუმენტებიც არსებობს. აკაკი ^{პრედაქტორის} თემატიკით იყო გატაცებული. ამის დასტურია, გარდა ამ პოემისა და ზემოთ ნახსენები რეცენზიისა, „დროებასა“ და „ივერიაში“ მოთავსებული წერილები... ამგვარად, „ძველი მოჭიდავე“, ეს ფიზიკური ძლიერების აღმნიშვნელი სიტყვა აკაკის ფსევდონიმების სიას უნდა დაემატოს.

„იმერელი“ ფსევდონიმით აკაკიმ პირველად გამოაქვეყნა ლექსი „მეგრული ალელორია“ (მეგრელის საპასუხოდ).³⁸ ამ მამხილებელი ლექსით 1868 წელს გამოწვეული საზოგადოებრივი სენსაციისა და აუიოტაჟის შესახებ აკაკი გადმოგვცემს თავის გაჭირვებას:

„ცენზურა შეფახეს, მთავრობას დამბაზღეს, და აღარ ვიცი, როგორ ავიტანდი ამ განსაცდელს, რომ ქალები და ახალგაზრდები არ მყოლოდნენ თანამგრძობი?! და ამის შემდეგ, ორჯე-სამჯერ სიკვდილს გადაჩენილს, მოთმინება ფარად მქონდა, და თითონ კი უშიშრად ვუყუფდი ყოველგვარ ცუდ მივლინებას ჩვენში...“

მეორედ, „იმე“ (სატირა ქართველ თავად-აზნაურთა დეპუტაციაზე, რომელმაც ახალ მეფეს „ვენზელი“ მოთხოვა)³⁹ მესამედ, „გაფრთხილება“, ვუძღვნი ბ-ნ რედაქტორს და ამის თანამშრომლებს („ვიმმეს“ წინააღმდეგ, რომელიც ლანძღავს საზოგადო მოღვაწეებს.)⁴⁰

„ჩოხოსანი“-ს ფსევდონიმით აკაკიმ მხოლოდ ერთი სტატია გამოაქვეყნა: „ჭრელი ფიქრები“ (ქართველ მოღვაწეთა დახასიათება. ჩართული აქვს ლექსი: „როგორც რძალი და მულია“...⁴¹

სქოლიოში აკაკი ასეთ კომენტარს უკეთებს ამ ამბავს: „ეს ამბავი თავიდან ბოლომდე შეეხება ამერიკას და არა იმერეთს, სადაც სულ სხვა წესი და რიგია.“

„ცუცი“-ს ფსევდონიმით 1894 წელს „კვალში“ დაიბეჭდა „სახუმარო გასართობი“. „ალუჟი“ (გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილი „ძველი ამბის გამო“)⁴² წერილი პასუხია აკაკის წერილისა „ჭრელი ფიქრები“, რომელიც „კვალის“ 1894 წლის № 20-ში დაიბეჭდა.

ივერიაში“ დაბეჭდილ აკაკის სტატიას „საანბანო ჭეშმარიტება“ (ძველი თაობის მოღვაწენი)⁴³, ხელს აწერს: „მწირი მესამოცეთაგანი“. ამავე სტატიაში აკაკი თვით აღიარებს, რომ ერთი მესამოცეთაგანი თვითონ არის. ფსევდონიმი გახსნა მკვლვარმა თ. მაჭავარიანმა.

³⁸ ჟურნ. „ცისკარი“, 1868, № 1.

³⁹ „დროება“, 1881, IV, № 71.

^{40,42} „კვალი“, 1894, № 20, 21, 24.

⁴³ „ივერია“, 1903, № 185.



აკაკის ფელეტონს „რაცხა“ (ოდურგელას ამბავი)⁴⁴ ახლავს ნიშნა, რომლითაც იგი ჰპირდება მკითხველს, რომ მომავალში ნაწერებს ამ სათაურით გამოაქვეყნებდა, მაგრამ ამ სათაურით და ხელმოწერით სხვა ფელეტონი თუ სტატია არ გამოუქვეყნებია. მიწერილი აქვს ფსევდონიმი: „მ არ ა დ თ ქ ვ ე ნ ი მ ა დ ი დ ე ბ ე ლ ი ე რ თ ი კ ო ლ ო ბ უ ზ ი თ ა გ ა ნ ი ა კ ა კ ი ა ბ ა კ ა კ ი ა“.

აკაკის ფელეტონი „პირ-მადიანი რაინდის პასუხი“⁴⁵, დაიბეჭდა სახელის ინიციალური ხელმოწერით: ა. ეს ხელმოწერა პოეტმა მეორეჯერ გამოიყენა გაზეთ „თემში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე⁴⁶.

1890 წელს აკაკიმ „ქართველიზმი“ ხელმოწერით დაბეჭდა ფელეტონი „ჯერ არ გაგონილა“.

აკაკის ლექსი „ქართველი ძეგლის წინ“ დაიბეჭდა „ქართველის“ ხელმოწერით პოეტის გარდაცვალების ორი წლის შემდეგ. ჟურნალ „თავისუფლებაში“. ლიტერატურისმცოდნეთა ერთი ჯგუფი ამ ლექსს გრ. ორბელიანს მიაწერდა, მეორე—აკაკის. საბოლოოდ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგინდა, რომ ლექსი აკაკი წერეთელს ეკუთვნოდა.

ამ საკითხზე არსებობს ამ ჟურნალის რედაქტორის რ. ხომლეღის განმარტება. იგი წერს, რომ ეს ლექსი უფრო ადრე უნდა გამოქვეყნებულიყო, პოეტის სხვა დაუბეჭდავ ლექსებთან ერთად ჟურნალ „ცხოვრებაში“, მაგრამ ცენზურას დაუკავებია.

ლექსის იდეურ მხარეზე დაკვირვება საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს 900-იან წლებში, როცა ქართულ სკოლას იანოვსკი და ვოსტოროგოვი მესვეურობდა.

კავკასიის ცენზურის მოღვაწეობის ისტორიაში ყველაზე უფრო სახელი „გაითქვა“ ქართველმა ცენზორმა ლუკა ისარლოვმა (ისარლი-შვილმა). საქართველოს სახალხო პოეტი აკადემიკოსი — იოსებ გრიშაშვილი წერს:

„ყველაზე მეტი სასაცილო ამბები ლუკა ისარლოვის გარშემო არსებობს. ამ მწერალს ხშირად რედაქციებიც კი ფამილარულად ექცეოდნენ. მაგ. ჟურნ. „იმედი“ აცხადებდა:

„ამ ნომრისათვის აწყობილი სტატია ცენზორმა ლუკა ისარლოვმა სამუდამოდ დაიჭირა“.

ერთხელ ლ. ისარლოვმა აკაკის ერთი ლექსი („გლესავ და გლესავ,

⁴⁴ „ივერია“, 1904, № 206.

⁴⁵ „დროება“, 1881, № 52.

⁴⁶ გაზ. „თემი“ 1913, № 118.



ნამგალო“) არ გაუშვა. აკაკიმ ეს ლექსი ფოთში დაბეჭდა და შექვეყნდა. თავისი გვარის ნაცვლად, ლუკა ისარლოვი მოაწერა. მაშასადამე უდავოა, რომ „ლუკა ისარლოვი“ აკაკის ფსევდონიმი ყოფილა⁴⁷.

აკაკის ფსევდონიმების დადგენა გარკვეულ სიძნელებთანაა დაკავშირებული. საუკუნუნახევრის შემდეგ, როცა აკაკის მომსწრე პირები აღარ არიან, მკვლევარები ავტორიტეტული მომსწრე პირების აზრებს პრიორიტეტს ანიჭებენ. მაგალითად, „თერგდალეულის“ აკაკის ფსევდონიმად გამოცხადებისათვის სერგი გორგაძეს საბაზი მისცა აკაკის ამხანაგებმა. იგი აღნიშნავს:

„როგორც აკაკის ნაცნობ-მეგობრებმა გვარწმუნეს, პირველ ხანად აკაკის „თერგდალეულის“ ფსევდონიმი თავი დაუბეჭდია რამდენიმე ლექსი, ხოლო რუსულ ნაწერებში ფსევდონიმად ჰქონია „სამ-პიუ-ჩაი“⁴⁸. დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ აკაკი ნამდვილად წერდა „მესამე თერგდალეულის“ ფსევდონიმით.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავში აკაკის გადაუთვალეობა პრესის ის ნომრები, რომლებშიც მისი თხზულებები იყო დაბეჭდილი და საკუთარი ხელით ჩაუსწორებია ტექსტები, ზოგი ფსევდონიმი გადაუხაზავს და თავისი სახელი მიუწერია. ხელი მოუწერია იმ სტატიებზეც, რომელნიც ხელმოუწერლად ყოფილა დაბეჭდილი.

აქვე აღვნიშნავთ ისტორიულ წყაროებში დაშვებული აკაკის ფსევდონიმური ლაფსუსების შესახებ: აკაკის ფსევდონიმთა სიაში ხშირად არის მოხსენებული „სხვიტორელი“. იგი მოწერილია ისეთ მოთხრობებზე, როგორცაა: „ჩერქეზის ქალი“ (სხვიტორელის დღიურიდან), „ოთია მესხი“, „სოლომონ მეფე, ელიზბარ ერისთავი და კორინთელი“, „გივი ამილახვარი და მისი მოურავი“, „უტრების ჩხუბი“, „მახვილაძე“, „თუში“, „გურული და ახირებული მომჩივარი“, „ლანდია ხურო“, „ბატონები“ და „ბაქრაძის ქვრივი“. ამას უნდა დაემატოს კორესპონდენციები, ფელეტონები და პუბლიცისტური წერილები, რომლებიც გამოქვეყნებულია გაზეთ „დროებაში“: „მიზეზი ბათუმის ქართველების გადასახლებისა და სხვები, რომლებშიც მხილებულია მეფის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ აჭარელთა ტანჯვა-წამება და გადასახლება. ყველა ეს მოთხრობა და წერილი, რომლებიც სხვიტორელის ფსევდონიმით

⁴⁷ იოსებ გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბილისი 1927, გვ. 149.

⁴⁸ აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები ოთხ ტომად, ს. გორგაძისა და ა. აბაშელის რედაქციით, ტ. II, 1926 წ., წინასიტყვაობა, გვ. XXX.



პუბლიკაციაქმნილია, შეცდომით აკაკისათვის იყო მიკუთვნებული. სინამდვილეში კი მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ისინი ეკუთვნის აკაკის ძმას დავით როსტომის ძე წერეთელს, რომელიც იშვიათი ნიჭის პროზაიკოსი და პუბლიცისტი ყოფილა. დავით წერეთელს (1832—1902) დაუმთავრებია ქუთაისის გიმნაზია და უმუშავია მომრიგებელ მოსამართლედ იმერეთში. მაგრამ, როცა როსტომს სახლში წვევია მიხეილ ვორონცოვი და დავითისთვის შეუხედავს, მოსწონებია და ქართულ პოლკში ჩაურციხავს. ოსმალეთის ომის დროს 70-იან წლებში ოფიცერი დავითი მუშაობდა აქარაში, მაჭახედის სამხედრო უბნის უფროსად. სწორედ ამ პერიოდში იბეჭდებოდა მისი ნაწერები „დროებაში“⁴⁹.

დავით წერეთელი ნიჭიერი ორატორიც ყოფილა, რაც დასტურდება მისი იშვიათი და მჭევრმეტყველური სიტყვით, რომელიც მას დედის ცხედართან წარმოუთქვამს⁵⁰.

1874 წელს „ბოეტგაჩეჩილაძის“ ხელმოწერით აკაკიმ თბილისში გამოუცია წიგნაკი სათაურით „საახალწლო ხუმრობა“, რომელშიც შეტანილია ლექსები: „გლეხის სიმღერა“, „ჩვენ ამორჩეულ ხელოსნებს“, „არ ყაყანებენ ისე ბატები“, „იმერული ქუდი“, რომელსაც ქართულელებმა ფაფანაკი დაარქვეს“, „წერილი რედაქტორთან (ერთი ბლალოჩინის უწესო საქციელზე)“. „ზემო იმერეთის დეკემბრის 2-ს“ („დროების კორესპონდენცია“). ეს გამოცემა შესულია იშვიათ გამოცემათა სიაში და მხოლოდ ორიოდვე ეგზემპლარი მოიპოვება.

1873 წლის „დროებაში“ დაბეჭდილია აკაკის წერილი „უშიშარი თავგანწირულობა“, ქუთაისი 15 ნოემბერს (კორესპონდენცია). მასში მოთხრობილია ჯრუჭისა და კაცხის მონასტრის მიწებსა და ყმებზე. ხელს აწერს „უცნობი პირი“. წერილი თავისი შინაარსით მამხილებელი და კრიტიკულია. გაზეთის კომპლექტზე, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავს ეკუთვნოდა, აკაკის ხელმოწერა ფანქრით გადაუხაზავს და მიუწერია: აბაბი.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა პატარა კრიტიკულმა წერილმა, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „დროებაში“ სათაურით: „დროების“ კორესპონდენცია, ბათუმი 17 სექტემბერს“⁵¹.

კორესპონდენტი გადმოსცემს საზოგადოების უკმაყოფილებას ბათუმის გუბერნატორის (ველის) ჩიბუნჩი-თესლი-იაზუნ ოდლისადმი იმის

⁴⁹ „დროება“, 1875, № 48, 57, 58, 60, 64, 65, 108, 1876. № 35, 37.
⁵⁰ ამ საკითხზე დაწერილებით იხ. გიორგი აბზიანიძის ნაშრომი ქართველი კლასიკოსები, თბილისი, სახელგამი, 1950, გვ. 194, 204—207.
⁵¹ „დროება“ 1875, № 109.

გამო, რომ მან პირველი ხარისხის ჯილდო მისცა ბათუმის მეჯლიშის წევრებს პარამზადა-მაჭანკალ-ლეკი ოღლისა და ფეხევიგ-ფუშტი-ცხრაურ-ოღლის. ისინი მთელ მხარეს სძულს და ეზიზღებაო,— აღნიშნავს კორესპოდენტი, ხოლო თურმე ნუ იტყვიო, ბათუმის გუბერნატორს იმისთვის დაუჯილდოებია, რომ ბრძანება ჰქონია ტრაპიზონის გენერალ-გუბერნატორის მელიქ-ბალახჩი-უზუნ-ოღლისაგან, რადგან აღნიშნული პირები მისთვის ლამაზ ქართველ ქალებს შოულობენ.

აი, რა დამსახურება ყოფილა საჭირო მოწყალების მისაღებად, ნათქვამია წერილში. კორესპოდენტიაზე ხელს აწერს: „ქობულეთის მცხოვრები ისმაილ-თამაზ-ოღლი“.

ეს წერილი უნდა ეკუთვნოდეს აკაკის. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: აკაკი გაზ. „ტიფლისკი ვესტნიკის“ უახლოესი თანამშრომელი იყო. მოვეუსმინო ნიკო ნიკოლაძეს:

„მართლა, შენი დღევანდელი წერილი „იზ კობულეტა“ გაგზავნეს სტამბაში, — მიმართავს იგი აკაკის, — მაგრამ იმედი არ მაქვს მისი გაშვებისა. ამას წინათ გაუშვეს შენი სტატია პარამზადა-მაჭანკალ-ოღლიზე და თესლი ლუზინ-ოღლიზე“.

1875 წლის „დროებაში“ დაიბეჭდა სტატიების სერია „ძველი ამბები“, ამბავი „ყვავის საყდარი“ და „ამილახვრის გვარი“⁵². პირველზე ხელს აწერს: „ბ. უსიტჰველი“, ხოლო მეორეზე — „უსიტჰველი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ფსევდონიმები: „ბ. უსიტჰველი“ და „უსიტჰველი“ აკაკის უნდა ეკუთვნოდესო, მაგრამ სანამ ამის დამამტკიცებელი დამატებითი ბიბლიოგრაფიული წყაროები ხელთ არა გვაქვს, საკითხი ღიად რჩება.

ფსევდონიმებზე მუშაობის დროს ბიბლიოგრაფიული წყაროები და საჭირო მასალები მოგვაწოდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების გამგემ, პატივცემულმა კლარა რამიშვილმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

როგორც აღვნიშნეთ, მრავალი ტკივილი მიაყენეს მწერლის სათუთ გულს ცარიზმის ცენზურამ, ჰუმბარტი სიტყვისა და აზრის მკვლევებმა, კავკასიის დაქირავებული მარიონეტული ადმინისტრაციის დავალებათა აღმასრულებლებმა ერთი ღამე მეტეხის ციხეში „ანებივრეს“.

აი როგორ მოხდა ეს:

ცნობილია, რომ აკაკის სატირულ-იუმორისტული ტალანტი ბუნებისაგან ჰქონდა მომადლებული. მას ძნელად თუ ვინმე აჯობებდა გონე-

⁵² „დროება“, 1875, № 73., 79



ბამახვილობით. 1907 წელს, როცა ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა სისხლში ჩაახრჩვეს და სტოლინინი რევანშს იღებდა, ჩაკლული იყო ყოველგვარი სიხალისე, და როგორც იტყვიან, საზოგადოებას დანაპირს არ უღებდა, ამ დროს ცხოვრების დღისწესრიგში დადგა იუმორისტული ჟურნალის დაბადება. ეს ძნელი და საპასუხისმგებლო მისია სატირისა და იუმორის დიდოსტატმა აკაკიმ იტვირთა. პოეტს სურდა გამეზიარულებინა კრიჭაშვიკის საზოგადოება, თუმცა ისიც იცოდა, რომ „სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარე“ იყო.

1907 წლის 11 თებერვალს ქართველმა საზოგადოებამ წაიკითხა კოხტად მოკაზმული კარიკატურებიანი ჟურნალი „ხუმარა“. ქართულ ენაზე ეს გამოცემა პირველი მერცხალი იყო.

სამწუხაროდ „ხუმარა“ პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ მთავრობამ დახურა. ამის მიზეზი გახდა თბილისის მაშინდელი გენერალ-გუბერნატორი რაუშ-ფონ-ტრაუბენბერგი.

გუბერნატორი ალკოჰოლის მოყვარული ყოფილა. სასმელის მიღების შემდეგ წონასწორობას კარგავდა, რის გამოც ხშირად მოსდიოდა ინციდენტი.

ერთხელ ასეთი ინციდენტი ბაგრატიონთა ერთ-ერთი წარმომადგენლის დაკრძალვის შემდეგ მცხეთაში გამართულ ქელეხში მოსვლია და „მრავალყამიერი“ წამოუწყია. ქართველებს ეს ძალიან სწყენიათ, მაგრამ უპატივბიათ. სამწუხაროდ, ამნაირი შემთხვევა თბილისშიც ჰქონია და საიმპერატორო გვარეულობის ერთ-ერთი წარმომადგენლის პარაკლისის დროს სადაც თავმოყრილი იყო მთელი გენერალიტეტი, ტრადიციის მიხედვით ყოველთვის პირველ რიგში თბილისის თავადაზნაურობის მარშალი იდგა. ამჟამად კი რაუშს დაუტრფევია ეს წესი და მარშლის, ბაგრატიონ-დავითაშვილის წინ დამდგარა. ეს ხალხს შეუშინევია და შეშემუშნულა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მარშალი კი წაწეულა წინ და კუთვნილი ადგილი დაუკავებია. გუბერნატორს ეს არაფრად ჩაუგდია და შეგნებულად, კვლავ მარშლის წინ გამოჭიმულა. პოეტი-აკადემიკოსის ი. გრიშაშვილის გადმოცემით: „გაჩაღდა ბრძოლა „პირველობისათვის“... ბაგრატიონი ისედაც გულაჩხრეკილი იყო გუბერნატორის მიმართ. ახლა ეს ეტიკეტის დარღვევაც ზედ დაემატა და როცა პარაკლისის გათავების შემდეგ ფონ-რაუშმა ბაგრატიონ დავითაშვილს ხელი გაუწოდა, გულმოსულმა ბაგრატიონმა ხელი არ ჩამოართვა და ზურგი შეაქცია... აქედან დაიწყო მათი უმძრახობა. საქმე თითქმის ღუელამდე მივიდა...“

აკაკიმ „ხუმარას“ პირველი ნომრისათვის ეს ფაქტი გამოიყენა და



თავისებურად ხორცი შეასხა. მუშა მხატვარმა გიგო ზაზიაშვილმა აკაკის მითითებით, ქურნალის გარეკანზე კარიკატურის ერთ მხარეს ზაზიაშვილის ტანსაცმელში გამოწყობილი სახედარი დახატა, მეორე მხარეს მარშალი ნიშადურს ულესავს, ამის შემყურე კინტო სიცილით იგრიხება. სურათის ქვემოთ მიწერილი იყო აკაკის სატირული ლექსი:

„დიდურაანთ ყროყინას
ჩვენები ეჯავრება;
საიდანაც მოსულა,
იქით მიეჩქარება.
და ნიშადურს ულესავს
გულმოსული მარშალი,
რომ აქ აღარსად დარჩეს
იმ ვირის გზა და კვალი.
კინტო კი გაცეებით
შესცქერია ამ ამბავს
და ხმამალა იძახის:
„ამოუსვი, რაშუშა-ვს!“

აკაკის ეს ლექსი პოლიტიკურ პასკვილად ჩაუთვალეს, და როგორც „ხუმარას“ რედაქტორი, მეტეხის ციხეში ჩასვეს.

პატიმრებმა გაიგეს თუ არა, აკაკის დაპატიმრების ამბავი, დემონსტრატიულად გამოვიდნენ ციხის ეზოში და ატეხეს ხმამალალი ყვირილი. მათი ხმაური მთელი ციხის კედლებს აზანზარებდა. მოითხოვდნენ მგოსნის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ყოველივე ეს ციხის ადმინისტრაციამ აცნობა სამხედრო გუბერნატორ ტიმოფეევს, რომელმაც აკაკის განთავისუფლების სასწრაფო განკარგულება გასცა. უკვე დაღამდა, როცა განკარგულება მიღებულ იქნა ციხეში, მაგრამ აკაკიმ იმ ღამით ციხეში დარჩენა ამჯობინა.

თუკი მსცოვან პოეტს არ აპატიეს ამ პასკვილის გამოქვეყნება და ციხეში ჩასვეს, ადვილი წარმოსადგენია რა მოელოდა მსგავს შემთხვევაში ახალგაზრდა პოეტს. ამიტომ იყო, რომ სოციალურად და ოფიციალურად საშიშ თხზულებებსა და წერილების პუბლიკაციის დროს, რომელშიც ასახული იყო რთული ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური პრობლემები, აკაკი ყოველთვის ფსევდონიმს ამოეფარებოდა. იგი იყო მისი ვინაობის დასაფარავი ერთ-ერთი საშუალება, რომ თავი დაეცვა ოფიციალური ხელისუფლების ხელყოფისაგან.

აკაკის ლანდი

მდუმარე მხარეს შორი მთებისას
დაჰხარის ლამე და ანდამატი.
იქ, როგორც ლანდი მწუხარებისა,
გამოჩნდა მაღალ პოეტის ლანდი!
თეთრი ჭაღარით მოსილი თმები
ელავდა ელვის ელვა-ციმციმით
და მოხიბლული იყო მთიები
დიდებულ სახის ღვთაებრივ ღიმით.

.
გრძნობდა თანაბარ მოახლოებას
ვანცვიფრებული და დიდი მთები,
შეთუნობ-ხშირი შრიალით შეკრთა
მშობლიური ტყის მწვანე ზვირთები.
მაშინ ბავშვივით მიჩუმდა შქერი,
შეწყდა მდინარეთ ზვირთების მღერა,
მხოლოდ გრიალმა გზა მრავალფერი
ნაპერწყლის დროშით ააელფერა,
და საიდუმლო შუქით შემოსა
მიწყნარებული გზა იშვიათი: —
ჩუმად... დაღლილი სანთლებით მოდის
მწუხარე ლანდი... მაღალი ლანდი.
ოჰ! ასეთია დღეს განსაცდელი
და არ დაგვტოვებს პოეტი ობლად,
რომ არ აანთოს ისევ სანთელი
დავიწყებული ხატის მახლობლად.
იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,
იქნება ჩვენთან მარად და მარად!
ჩვენი სიზმრების სიღიადეში,
ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიავექარად.
არ მოგვაკლებს მადლს და შუქს უსიტყვოს
მისი, პოეტის მაღლით ანთება,
კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს,
კურთხეულ იყოს ეს მოლანდება!

„გამორჩეული წევრი საზოგადოებისა“ —
ზაქარია ფალავანდიშვილი

XIX საუკუნის საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ყველა ეტაპზე ჰყავდა წინამძღოლი და ერთი მიზნით, ერთი აზრითა და სულისკვეთებით შეკავშირებული თანამებრძოლები. სწორედ თანამებრძოლები ქმნიდნენ იმ აუცილებელ გარემოს, რომელშიც ერის სულიერი ცხოვრების შესვულები განსაზღვრავდნენ ბრძოლის ფორმებსა და მიმართულებას. დრომ ბევრ მათგანს გადააფარა მივიწყების საბურველი, ბევრის სახელს დაუკარგა პირვანდელი ელვარება. მათ შორისაა ზაქარია ფალავანდიშვილი, დღეს ნაკლებად ცნობილი, მაგრამ თავის დროზე თვალსაჩინო მოღვაწე, რომლის მეცნიერულმა, საგამომცემლო და ჟურნალისტურმა საქმიანობამ გასული საუკუნის ორმოციან წლებში დიდად შეუწყო ხელი 1832 წლის შეთქმულების დარბევის გამო მოდუნებული კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურული ცხოვრების აღორძინებას.

ზაქარია ფალავანდიშვილი დაიბადა 1818 წელს, თბილისში, თავის დროზე ცნობილი მწიგნობრისა და თარჯიმნის მიხეილ იოსების ძე ფალავანდიშვილის ოჯახში. მშობლები მას ადრე დაეხოცა და თბილისის აღზრდა თავს იდგა ბიძამ, ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა, შემდეგში თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა, 1832 წლის შეთქმულების გამცემის იასე ფალავანდიშვილის ძმამ. ზაქარია არ გაჰყვა ბიძების კვალს. მან ბავშვობიდანვე გულში ამოიჭრა თავისი მასწავლებლისა და მოძღვრის სოლომონ დოდაშვილის სიტყვები: „ქვეყნის დაარსებთგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი. და ჩვენი ხმა, სახელი და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყულული იყო დამხობილ მათგან.“



ხოლო აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისა? ჰგონობთა შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა?

რაისათვის არს ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?!

ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენი-სა?!

ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესეოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?!

მაშა რაისათვის ვცოცხალვართ?!"

თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ზაქარია მიემგზავრება მოსკოვს. აქ იგი შედის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში, რომელიც იმ წლებში ჩვეულებრივი სასწავლებელი იყო და უფლებრივად მხოლოდ კეთილშობილთა პანსიონს უთანაბრდებოდა. ამიტომ, უმაღლესი განათლების მიღების მიზნით, ზაქარია შედის მოსკოვის უნივერსიტეტში, საიდანაც გადადის პეტერბურგის უნივერსიტეტში და წარმატებით ამთავრებს მას 1840 წელს.

მოსკოვში სწავლისას ზაქარია ფალავანდიშვილი იმყოფებოდა თავისი ნათლის, — ცნობილი ქართველი მწერლის, პოლიტიკური მოღვაწისა და მოგზაურის, — გიორგი ავალიშვილის მზრუნველობის ქვეშ. აქვე დაუახლოვდა იგი XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მოღვაწეს, მწერალსა და კალიგრაფს პეტრე ქებაძეს. სავარაუდოა, რომ სწორედ გიორგი ავალიშვილისა და პეტრე ქებაძის მეშვეობით გაიცნო ზაქარია ფალავანდიშვილმა პეტერბურგიდან მოსკოვში სამეცნიერო მივლინებით ჩამოსული მარი ბროსე. ეს ნაცნობობა გაგრძელდა პეტერბურგშიც და შემდეგ იგი გადაიზარდა მჭიდრო მეგობრობასა და თანამშრომლობაში. შემდგომში ზაქარია მარი ბროსეს თბილისიდან პეტერბურგში ატყობინებდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ყველა სიახლეს. ამასთანავე, სისტემატურად აწვდიდა მეცნიერული ხასიათის ინფორმაციას. კერძოდ, იგი დაეხმარა უცხოელ ქართველოლოგს ვახუშტი ბაგრატიონის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის დადგენაში, აღუწერა ვახუშტის ხელნაწერი კრებული, უგზავნიდა მასალებს საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ზეპირსიტყვიერების, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის საკითხებზე.

ზაქარია ფალავანდიშვილი მარი ბროსეს თვლიდა ქართველთა დიდ მეგობრად, ქართული კულტურის უანგარო მსახურად და ქომაგად. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი აღფრთოვანებული სიტყვები მარი ბრო-



ზაქარია ფალავანდიშვილი

ხოლო ვახტანგ გორგასალი, — არც მეტი, არც ნაკლები, — თურქების ბელადად გამოჰყავდა.

თავის მხრივ, მარი ბროსეც დიდად აფასებდა ახალგაზრდა ქართველ მეგობარს და უწოდებდა მას მამულისათვის მამუგრალ ნიჭიერ და პატიოსან მოღვაწეს.

1840 წელს ზაქარია ფალავანდიშვილი „რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში“ აქვეყნებს თავის პირველ ნაშრომს — რეცენზიას დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონზე. ამ რეცენზიაში 22 წლის ავტორი იძლევა საფუძვლიან შენიშვნებს ლექსიკონის ზოგიერთი სიტყვის განმარტებაზე. ამასთანავე, მიმოიხილავს ქართული ლექსიკოგრაფიის მოკლე ისტორიას, სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიას, მის ლექსიკოლოგიურ მოღვაწეობასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას. „ეს პატარა ნაწარმოები ფალავანდიშვილს წარმოგვიდგენს, როგორც სერიოზულსა და კარგად მომზადებულ პიროვნებას“ (მაქს. ბერძინიშვილი).

1840 წლის დასასრულს ზაქარია ფალავანდიშვილი საქართველოში მოემგზავრება. მისი სამშობლოში ჩამოსვლა დაემთხვა უმძიმეს პერიოდს ქართველი ხალხის ცხოვრებაში. 30-იან წლებში ისედაც მოშლილი საზოგადოებრივი ცხოვრება ამ დროს თითქმის ჩამკვდარია. არ არსებობს ქართული პრესა, თეატრი, კანტი-კუნტად იცემა წიგნი, არ არის არც ერთი ეროვნული დაწესებულება, უაღრესად საშიშ სახესღებულობს ქართველთა სულიერი ცხოვრების რუსიფიკაციის პროცესი. იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის სავალალო მდგომარეობა იქი-

სესადმი, როცა ამ უცნაურ-ნასკნელმა გამანადგურებელი პასუხი გასცა რუს მეცნიერს, პროფესორ თ. სენკოვსკის, იმ სენკოვსკის, რომელიც სერიოზულად ამტკიცებდა, რომ XII საუკუნემდე ქართველებს საქართველოში არ უცხოვრიათ, ძველ წყაროებში მოხსენიებული იბერები და დღევანდელი ქართველები სხვადასხვა ხალხიათ,



დანაც ჩანს, რომ თანამედროვეები სათანადოდ ვერ აფასებენ ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიას, არსებითად შეუმჩნეველი რჩებათ გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება და ა. შ. მხოლოდ რამდენიმე კაცი ცდილობს მოღუნებული ეროვნული ენერჯის გამოცოცხლებას. მათ შორის არიან დიმიტრი ყიფიანი და პლატონ იოსელიანი. ზაქარია ფალავანდიშვილი მათი უახლოესი მეგობარი და თანამშრომელი ხდება. მაგრამ ახალგაზრდა მოღვაწე ცხოვრებისეული დილემის წინაშე აღმოჩნდა — საჭიროა ცხოვრების სახსრის გაჩენა. არც ლიტერატურული, არც მეცნიერული, არც ჟურნალისტური საქმიანობით ეს მაშინ ვერ მოხერხდებოდა. ამის თაობაზე ზაქარია მარი ბროსეს სწერდა: „უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოში მრავლადაა განათლებული ხალხი, ისეთი ხალხი, სამშობლოს შეწვევის სურვილით რომ არიან აღძრულნი, მაგრამ ვერანაირად რომ ვერ მოუპოვებიათ პური არსობისა, იძულებულნი ხდებიან შევიდნენ სახელმწიფო სამსახურში, ემსახურონ იმპერიას“. გამონაკლისი ვერც ამ სიტყვების ავტორი იქნებოდა. ისიც იძულებულია სახელმწიფო სამსახურში ჩადგეს — სამსახურს იწყებს „სახელმწიფო ქონებათა საქართველო-იმერეთის პალატაში“, საიდანაც გადადის მთავარმართებლის კანცელარიაში. მაგრამ მამულისთვის თავდადებულ მოღვაწეს ერთი წუთითაც არ ავიწყდება ზნეობრივი მოვალეობა — სამშობლო ქვეყნის სამსახური.

პირველი დიდმნიშვნელოვანი ეროვნული საქმე, რომლის განხორციელებაშიც ზაქარია ფალავანდიშვილი მონაწილეობს, არის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა 1841 წელს. წიგნის თავფურცელს ასე აწერია: „ვეფხისტყაოსანი რუსულად Барсова кожа პოემა დაწერილი შოთა რუსთველის მიერ ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა სანკტ-პეტერბურლს“. ესაა მეორე გამოცემა 1712 წლის ე. წ. ვახტანგისეული გამოცემის შემდეგ და მას ღღეს „ბროსესეულს“ უწოდებენ. ამ ახალმა გამოცემამ იმდროინდელ საქართველოში მკვეთრად გამოაცოცხლა ინტერესი რუსთველისა და მისი პოემისადმი, კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაანახვა ქართველ ხალხს, თუ რა უდიდესი ეროვნული განძის მფლობელი იყო იგი. ამასთანავე, ხელი შეუწყო „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომ მეცნიერულ შესწავლას.

მართალია, ზაქარია ფალავანდიშვილის როლი „ბროსესეულ“ გამოცემაში ძირითადად ტექნიკურ-ორგანიზაციული საქმიანობით შემოიფარგლა, მაგრამ, ვფიქრობ, ეს სრულიადაც არ ამცირებს მის უდავო წვლილს ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელებაში.



საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზაქარია ფალავანდიშვილი დაწვეტილი ჰქონია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ფრანგულ (სხვა-სხვა ენებზე) ბით — რუსულ) ენაზე, რომელიც მან ბრწყინვალედ იცოდა, მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა არ დააცალა ამ განზრახვის ხორცშესხმა.

1842 წელს დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით დაარსდა საქართველოში პირველი საჯარო ბიბლიოთეკა („ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა“), რომლის შესაქმნელადაც დიმიტრი ყიფიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის და სხვათა მხარდამხარ აქტიურად იღვწოდა ზაქარია ფალავანდიშვილი. უფრო მეტიც, იგი ამ ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დირექტორი იყო.

რა მდგომარეობაში იყო ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება 1840-იან წლებში, ზემოთ ვნახეთ, და ამგვარ პირობებში ბიბლიოთეკის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. და მართლაც, სულ მალე იგი გადაიქცა ერთგვარ კულტურულ-ლიტერატურულ ცენტრად. ამასთანავე, პოლიტიკური პროპაგანდის კერადაც, ვინაიდან იმ დროს, — და საერთოდ მთელს XIX საუკუნეში, — კულტურასა და ლიტერატურაზე ზრუნვა თავისთავად გულისხმობდა გარკვეულ პოლიტიკურ მიზანდასახულობასაც. ბიბლიოთეკა დაკომპლექტებული იყო ქართული, რუსული, უცხოური წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით და მოთავსებული იყო დიმიტრი ყიფიანის სახლში. პეტერბურგიდან წიგნების გამოწერა ზაქარია ფალავანდიშვილს დაევალა. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი დაუკავშირდა მარი ბროსეს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დატულია მათი მიმოწერა აღნიშნული საკითხის გარშემო. სწორედ ამ მიმოწერიდან ირკვევა, რომ ბიბლიოთეკის მესვეურებს დიდი მიზნები ჰქონიათ. კერძოდ, ძველი ქართული ხელნაწერების შეგროვება და დაცვა, შესაძლებლობისამებრ, მათი კლასიფიკაცია და შესწავლა, მცირე ფორმატის პერიოდული ორგანოს დაარსება, მთარგმნელობითი საქმიანობისთვის ხელის შეწყობა. ერთი სიტყვით, ჩაფიქრებული იყო კულტურულ-საგანმანათლებლო, ლიტერატურული და სამეცნიერო ცენტრის შექმნა. მაგრამ ქართველთა სულიერი ცხოვრების აღორძინებისთვის დამაშვრალთა გეგმებს განხორციელება არ ეწერა. 1848 წელს მიხეილ ვორონცოვის განკარგულებით კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან შეიქმნა სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, რომელმაც მისივე შთანთქა „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა“.

საერთოდ, ზაქარია ფალავანდიშვილი ენერგიულად იღვწოდა ქართული აზროვნების ევროპეიზაციისთვის. ამ მხრივ მრავლისმთქმელია



სია იმ წიგნებისა, რომელთა შექენასაც იგი სთხოვს მარი ბროსეს, აქაა შექსპირის, მონტესკიეს, გოეთეს, ალფრედ დე ვინის, პუშკინის, მეს, ალფრედ დე მიუსეს, დიკენსის და სხვათა მხატვრული ნაწარმოებები; შარდენის, გიბონის, მიშლეს, მალთუსის თხზულებები.

ზაქარია ფალავანდიშვილი ძალზე დაინტერესებული იყო ქართული ჟურნალისტიკის აღორძინებით. 1840-იან წლებში საქართველოში არ არსებობდა ქართული პრესა. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისია გაზეთი „კავკასიის მხარეთა უწყებანი“, რომლის რამდენიმე ნომერი გამოვიდა 1845 წელს. ზაქარია ფალავანდიშვილის სახელი აქ მითითებულია, როგორც მთარგმნელისა, მაგრამ სინამდვილეში იგი იყო გაზეთის ფაქტობრივი ხელმძღვანელი.

„კავკასიის მხარეთა უწყებანი“ პლატონ იოსელიანის რედაქტორობით გამოძვეალი „ზაკავკასკი ვესტნიკის“ ოფიციალური ნაწილის დუბლიკატი იყო. ზაქარია აპირებდა ქართული გაზეთი დაეშორებინა რუსული დედნისთვის და იგი მაქსიმალურად დაეახლოებინა საზოგადოების ეროვნული ინტერესებისთვის, მაგრამ სიკვდილმა არც ამ განზრახვის შესრულება აცალა.

მართალია, „კავკასიის მხარეთა უწყებანს“ არ დაუმჩნევია მნიშვნელოვანი კვალი ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე, მაგრამ იგი წინა პერიოდის გამოცემებთან ერთად ქმნიდა იმ ტრადიციას, რომელზედაც ამოიზარდა 60-იანი წლების დიდი ქართული ეროვნული ჟურნალისტიკა. ამ ტრადიციების შექმნაში კი ზაქარია ფალავანდიშვილს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს.

თანამედროვეთა გადმოცემით ზაქარია ფალავანდიშვილი იყო ჭეშმარიტი ინტელიგენტი, უაღრესად ნათელი გონებისა და ფართოდ განათლებული პიროვნება, უანგარო მეგობარი, შეუპოვარი მებრძოლი ანგარებისა და კარიერიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. ნებისმიერი პროგრესული მოვლენა ერის ცხოვრებაში, — ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტიც კი, — მასში იწვევდა უსაზღვრო სიხარულსა და აღფრთოვანებას.

მოვლენების ანალიტიკურად შეფასების უნარი, ღრმა ნიჭი, ქვეყნის ინტერესებისთვის თავგანწირვის სურვილი, ზნეობრივი სისპეტაკე მას ხდიდა იმდროინდელი საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წევრად, კულტურულ-საგანმანათლებლო, ლიტერატურული და სამეცნიერო ცხოვრების ერთ-ერთ მეთაურად.

სამწუხაროდ, ზაქარია ფალავანდიშვილი არ იყო ჯანმრთელი — ხში-



რად ავადმყოფობდა. 1844 წლის ივნისში იგი მარი ბროსეს სწორდა: „ჩემი მორიგი ავადმყოფობა, — ამჯერად შარშანდელი ციების შემდეგ, — თითქმის თვენახევარს გაგრძელდა, მაგრამ, ღვთის მადლით უკეთ შევიქენი, ფეხზედაც წამოვდექი და დღითი დღე მემატება ძალა“. ამ სიტყვების ავტორს ერთი წლის სიცოცხლე აქვს დარჩენილი. ეს ერთი წელიწადიც მან თავაულებელ შრომაში გაატარა, მაგრამ დასუსტებულმა ორგანიზმმა მეტი ვეღარ შეიძლო. 1845 წლის 10 ივლისს სრულიად ახალგაზრდა, 27 წლის მოღვაწე, რომელსაც დიდი იმედით შეჰყურებდა მაშინდელი ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობა, უცერად გარდაიცვალა. მოგვიანებით მისი მეგობრები „ზაკავკასკი ვესტნიკსა“ და „კავკასში“ წერდნენ: ჩვენ დავმარხეთ გამორჩეული წევრი საზოგადოებისა. ვინ იცის, რამდენი იმედი დაიმარხა მასთან ერთად. სწორედ ამიტომ მოვრწყეთ ცრემლებით მისი საფლავიო.

ზაქარია ფალავანდიშვილი დაკრძალულია მთაწმინდაზე. დღეს მისი საფლავი დაკარგულია

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაქს. ბერძენიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980; II, თბ., 1983.
2. ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგიები, თბ., 1970.
3. სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბექდვის ისტორიიდან (XVIII—XIX სს.), თბ., 1966.
4. გ. შარაძე, დავით ჩუბინაშვილი — რუსთველოლოგი, თბ., 1982.
5. Буачидзе Г. С., Мари Броссе, Тб., 1983.
6. «Закавказский вестник», 1845, № 15.
7. «Кавказ», 1846, № 7.

* * *

ვაჟა ფიზიკურად ჯანმრთელი და ღონიერი იყო და ამ მხრივ ყველასთვის თითოთ საჩვენებელი. ამას თვით ვაჟაც გრძნობდა და კიდევაც ამაცობდა ამით. მისი სახელი, როგორც კარგი მოკრივისა და მოჭიდავისა, განთქმული იყო ყველგან, სადაც კი ვაჟა ყოფილა — თელავში თუ თბილისში, გორში, ერწო-თიანეთში თუ სხვაგან. პეტერბურგში გამართულმა მუშტი-კრივმა ხომ მთლად განაცვიფრა ამ კრივის დამსწრე ხალხი და იქაური პოლიცია.

ვაჟას უფროსი ძმა გიორგი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. ვაჟამაც გადაწყვიტა იმავე უნივერსიტეტში შესვლა...

ერთხელ პეტერბურგში სწავლის დროს ვაჟას და გიორგის ფული სრულიად გამოლოდათ და მშვივრები დადიოდნენ. ქუჩაში შეხვედრიათ ერთი ნაცნობი გერმანელი სტუდენტი და, ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ, სტუდენტს უთქვამს: — წამოდი, ბილიარდი ვითამაშოთ და ვინც წააგოს, სადილი იმან გადაიხადოსო. ვაჟას ძალიან გახარებოდა. ბილიარდს კარგად თამაშობდა და მოგების იმედი ჰქონდა.

— გერმანელის ლუდხანაში ჩავედით, — ამბობს ვაჟა, — ჩემი ძმა გიორგიც იქ არის. თამაში ჩემს სასარგებლოდ დამთავრდა და ჩვენ უკვე სადილისათვის ვემზადებოდით, რომ ჩემი მოპირდაპირე მეუბნება: ცოტა ხნით გავალ, ... მოვალ და ვისადილოთო. წავიდა, მაგრამ აღარ დაბრუნებულა, თურმე, როგორც შემდეგში მიაბზო, არც იმას ჰქონია ფული, ისიც ჩემს დღეში ყოფილა, იმას ჰგონებია, რომ ბევრი ფული მქონდა, უნდოდა გამომრჩენოდა.

ბილიარდის პატრონმა გვიყურა, გვიყურა და როცა ჩვენ სადილი აღარ მოვითხოვეთ, მოვიდა და ბილიარდის ფული მოგვთხოვა. ჩავვარდი უხერხულ მდგომარეობაში. გროში ჭიბეში არ მიდევს. აღარ ვიცი რა ვქნა. ვუხსნი ამ კაცს, რომ პირობისა და ჩვეულების მიხედვით, ფული წამგებმა უნდა გადაიხადოს, დაიცა, მოვა და გადაიხდის-მეთქი, მაგრამ ის ფულს დაუინებით ჩემგან მოითხოვს, ხმას უმაღლებს, ბიჭებს უძახის.





ბიჭებიც მოდიან და უნდათ გიროში ქული წამართვან. მე ქულს არ ვანებებ, იმათ ძალით მოინდომეს, მოიტანეს ჩემზე იერიში, მაგრამ მეც მაგრად დავხვდი. ერთმა მათგანმა მაგარი მუშტი მითაფაზა, მას სხვებიც აპყვნენ. გიორგი, რომელიც სეირს უყურებდა, უცბად ქორივით დააფრინდა ჩემს გამრტყემლს, უმაღვე ქვეშ ამოიღო და დაუწყო ცემა. რა თქმა უნდა, მეც მკლავი გავშალე და ვისაც შემოვუწნიავე, ფეხზე არავინ დავაყენე, მეორედ შემოკვრა არავის სჭირდებოდა.

შეიქმნა აურზაური. მუშტრები გულჯახეთქილები გარეთ გარბოდნენ, რადგან რესტორნის პატრონი ხმამაღლა გაჰკიოდა — მიშველეთ, ყაჩაღები დაგვეცნენო.

რესტორანი დაცარიელდა, სამაგიეროდ ყველა მომსახურე და ლაქია იქ მოგროვდა, ყველა ჩვენ დაგვესია, გამშველებელი არავინ იყო, ყველა ჩვენ გვეცემდა, ჩვენც ვპასუხობდით და შეიქნა გახურებული მუშტი-კრივი. თითო-თითოს შემოჰკრავს მუშტს გიორგი, დააპირქვავებს და დამიძახებს: „დაჰკარიკავ, ლუკურიკავ, ძმასი ჰირიმე... დაჰკა, დაჰკა... აჰ გყავს შენი ძმა გიორგი“.

მეტი ჩარა აღარ იყო, ძალიან უნდა მომეწადინა და გამებედნა, რადგან 20—25 კაცი გვესეოდა და, მართლაც, ბევრს ვადინე ცხვირ-პირიდან სისხლი, ბევრს შუბლზე კოპი დავასვი. მაგრამ რადგან ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ, ჩვენ დაღლილობა დაგვეტყო და საბოლოო გამარჯვება იმათი უნდა ყოფილიყო, ოთხსავე კუთხიდან შემოეხვივნენ გიორგის და სცემენ, მე კიდევ ორ კედელშუა კუნჭულს ზურგით მივეყუდე, მუშტებს ვიქნევ და ჩემთან არავის ვუშვებ. მინდა გიორგის მივეშველო, მაგრამ ვერ ვახერხებ.

უცბად გიორგი დაუსხლტა ხელიდან ამ ბრბოს, გავარდა გარეთ და დამიძახა: — არ გატყდე, ძმაო, დაჰკა, ვაჟავ, დაჰკა, მე ეხლავ პოლიციას მოვიყვანო. მართლაც, თვალის დახამხამებაში გიორგიმ პოლიციის ბოქაული მოიყვანა თავისი „გოროდოვოებით“. ბოქაულს ყველანი ჩივილით მისცივიდნენ, გვიშველეთ, ბატონო, ყაჩაღები დაგვეცნენო. ბოქაულის შეკითხვაზე, თუ სად არიან ყაჩაღებიო, რესტორნის პატრონმა უპასუხა, ორი ყაჩაღია, ერთი — თქვენ რომ მოვიყვანათ, მეორე კი კუთხეში რომ დგას, ის არისო და ჩემზე მოუთითა. მე ისევ საომრად გამზადებულს ჩემი პოზიცია მეკავა.

— არ მესმის, — განცვიფრებით წარმოთქვა ბოქაულმა და გადმოგხედა ჩვენ ორსა და მოპირდაპირეებს, — სირცხვილია, აბა როგორ შევაყენო ოქმი, ამოდენა ხალხი უჩივით ორ კაცს, გვეცემესო! — დაიკარგეთ აქედან! შეუყვირა ბოქაულმა და წავიდა.



გაიარა რამდენიმე ხანმა. ვაჟას ძმა გიორგი მიდის ნევის ^{გეროტაპე-}ტზე. მისკენ მოდის ვილაც ახალგაზრდა, ევროპულად ჩაცმულ^ს, ცხლინ^სდრიანი კაცი. უცნობი მიუახლოვდა გიორგის, ზრდილობიანად მიესალმა და ცილინდრი მოუხადა.

გიორგიმ გაკვირვებით შეხედა უცნობს.

— ვერ მიცანიო? — ღიმილით ჰკითხა მან ფშაველს. არა უშავს რა, მოგაგონებთ, თუ შეიძლება სადმე დავსხდეთ და ვილაპარაკოთ, ძალიან მინდა თქვენთან საუბარი.

უცნობმა შეიყვანა ის ერთ ევროპულ სასადილოში, მოატანინა სასმელ-საჭმელი და შემოუსხდნენ მაგიდას. აბა, რა თქმა უნდა, მშვიერი ფშაველისათვის ასეთი სუფრა სიზმარი იყო. ლაპარაკობენ, შეექცევიან გიორგი და უცნობი.

— მაშ ვერ მცნობთ, არ გაგონდებო? აბა მოიგონეთ, სად შევხვდით ერთმანეთს? — შეეკითხა გიორგის უცნობი.

— მაპატიეთ. ვფიქრობ, მაგრამ არა მაგონდება რა. ვერ გცნობთ.

— მაშ, ლუდხანაში ამა და ამ დროს ჩხუბი რომ ჩამოვარდა, იმ ორში ერთი თქვენ არ იყავით? — ჰკითხა უცნობმა.

— დიახ, ვიყავი, — მიუგო გიორგიმ.


— მეც იქ ვიყავი, — ღიმილით უთხრა უცნობმა, — მეც ვიღებდი მონაწილეობას, მეც გეჩხუბეთ. ერთი მითხარიო, თქვენთან ის მეორე ვინ იყო?

— ჩემი ძმა იყო. რად იკითხეთ?

— რას ბრძანებთ, — თავის ქნევით უთხრა უცნობმა გიორგის, — მე მოკრივე ვარ. მთელი ევროპა მაქვს შემოვლილი. ჩემს გარტყმულს ძნელად თუ ვინმე უძლებდა, მაგრამ თქვენი მუშტი უფრო მწვავე ყოფილა. თქვენმა ძმამ ისეთი შემომკრა ფერდში, რომ მოცელილი ბალახივით დავეცი იატაკზე. შინ რომ მივედი, ფერდი დალურჯებული მქონდა და სამი დღე და ღამე კომპრესი მდებოდა...

ვეფხო აკოგაფვილი

- პირველი იუმორისტული მოთხრობა რამ დაგაწერინათ?
- იუმორმა.
- ამბობენ, ბალზაკს თავისი ყველა ნაწარმოები წაკითხული არ ჰქონდაო. თქვენ რას იტყვით თქვენს ნაწარმოებებზე?



— ვინც მაგას ამბობს, ბალზაკსა სავსებით არა აქვს წაკითხული და ჩემი ნაწარმოებები კი — მით უმეტეს!

— ჩვენ ბასკებთან სავსებით გენეზისი გვაქვს. ზომ არ არსებობს ჰიპოთეზა, რომ სერვანტესის დედა გურიიდან იყო?

— გამორიცხებულია! სერვანტესის დედა რომ გურიიდან ყოფილიყო, ბახმაროს ჰაერით და ადესა ღვინით გაზრდილ ქალს ესპანეთში რა წაიყვანდა?

— „ნიანგი“ თუ გაქვთ გამოწერილი?

— არა. მე მგონია კაცი, რომელიც ცხრა წლის განმავლო-

ბაში „ნიანგის“ რედაქტორი იყო, კია იმის ღირსი, რომ „ნიანგის“ თითო ნომერი სახლში გაუგზავნონ!

- ამბობენ, ჰუმორი ჯენმრთელობააო. სატირა რაღაა?
- სატირაც და ჰუმორიც ორივე აქიმიია.
- რამდენი ჰობი გაქვთ?
- არც ერთი! იმიტომ რომ თავისუფალი დრო არა მაქვს.
- ყველა ნაკლოვანება რომ გამოსწორდება, რაზე დაიწერება სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები?
- იმაზე, რომ საზოგადოება ისე გაფუჭდა, იუმორის გრძნობა დაჰკარგა!

ინტერვიუ აიღო ავთანდილ ადგიუშვილმა



* * *

1939 წელს გაზაფხულზე ივანე ჯავახიშვილი ბირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ამასთან დაკავშირებით გადაწყდა მოეწყოთ შეხვედრა ბატონ ივანესთან. შეხვედრა-ბანკეტი დანიშნული იყო სასტუმრო „ორიანტის“ დარბაზში... საზოგადოება უკვე მოწვეული იყო, როცა გამოიჩქვია, რომ ივანე უგუნებობის გამო ვერ ახერხებდა ბანკეტზე მოსვლას. შეიქმნა უხერხული მდგომარეობა... გადაწყდა, ერთხელ კიდევ ეთხოვათ ბ-ნ ივანესათვის ცოტახნით მობრძანება. ამ დავალების შესრულება მე მომენდო... როდესაც ბ-ნ ივანეს ბინას მივადექი და ზარი დავრეკე, კარი თვითონ ბ-ნმა ივანემ გამიღო... ღიმილით მომეგება და კაბინეტისკენ გამიძღვა... ვხვდებიო, მითხრა; თუ, რისთვის შეწუხებულხარო, ბანკეტზე მპატიებთო. მე უკვე ვთქვი უარი, მოგეხსენებათ, ავად ვარ, არაფრის ჭამა და სმა არ შემიძლია... თქვა და შეჩერდა. ალბათ საცოდავი გამომეტყველება მქონდა. საბოლოოდ ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი მისია უშედეგოდ დასრულდა. ეტყობა, ეს კარგად იგრძნო ბ-ნმა ივანემ, ისევ გამიღიმა... და ბოლოს დაურთო: „ახლავე მოვდივარ“. პიჯაკი გადაიცვა...

— ერთი წუთით დაგტოვებთ, შინაურებს გავაფრთხილებო, — მითხრა.



მართლაც იმ წუთშივე დაბრუნდა. ხელში პაწაწინა შეკვრა ეჭირა.

— ნამცხვარია გახვეული. ეს არის ჩემი ვახშმის არჩივო, — აღსარებასავით წარმოსთვა ივანემ.

გარეთ ეტლი გველოდებოდა. მალე „ორიანტში“ გავჩნდით. ივანე ჭავჭავაძის გამოჩენამ უზომო სიხარული და გულწრფელი აღტაცება გამოიწვია. ბევრი სადღეგრძელო და თბილი სიტყვა ითქვა იმ ბანკეტზე. მეც მომიხდა სიტყვის წარმოთქმა, ბ-ნ ივანეს მაშინ ვუწოდე ქართული მეცნიერების სინდისი. ეს ფორმულა ძალიან გავრცელდა.

ალექსანდრე ბარამიძე,




59

* * *

პროფესორმა კორნელი კეკელიძემ უნივერსიტეტში დატოვება რომ შემომთავაზა, ერთ უმთავრეს პირობად მომთხოვა, ასპირანტურის პერიოდში არ მეფიქრა პირადი ცხოვრების მოგვარებაზე, კერძოდ, ოჯახის შექმნაზე. პირობა მივეცი, თუმცა გული მეთანადრებოდა. მართალია, ოჯახის შექმნის საკითხი ჩემს წინაშე პრაქტიკულად არ დასმულა, მაგრამ მაშინ ძლიერ მიჯნურული სნებით ვიყავი შეპყრობილი. ჩემი ცხოვრების მომავალ თანამგზავრთან (ნინო ივანეს ასულ ელიაშვილთან) მოვითათბირე, შევეთანხმდი, შეუღლება ორი წლით მაინც უნდა გადამედო. ნინოს მშობლებმაც მოიწონეს ჩვენი გადაწყვეტილება... სამსახურს თავი დავანებე და საასპირანტო მუშაობას შევუდექი... ბოლოს მოვიაზრეთ, ჩუმი და გვეწერა ჯვარი, გაუხმაურებლად, ასე ვთქვათ, არალეგალურად, რომ ეს ამბავი არ მისულიყო ბატონ კორნელის ყურამდე.

1926 წლის 14 იანვარს, ნინოების დღეს, ჯვარი დავიწერეთ და ძალიან მოკრძალებული ქორწილი გადავიხადეთ... ნინოც და მისი მშობლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ჩემთვის შინაური გარემო შეექმნათ, საქორწილო ვიზიტებისაგან თავს ვიკავებდით... ბედად, ერთხელ ვეახელით ალექსანდრე წერეთელს... კარები შევალე და ადგილზევე გავშეშდი. ვხედავ... მასპინძელს ესაუბრება კორნელი კეკელიძე. ტანში ჟრუანტელმა დამიარა და ცივმა ოფლმა დამასხა. იგივე მოუვიდა ნინოსაც... მასპინძელმა დაგვინახა... შინ მიგვიწვია და ბ-ნ კორნელის წინაშე წარგვადგინა. აკანკალებული ხელი შევაგებე ბ-ნ კორნელის ჩემსკენ ცივად გამოწვდილ ხელს... მასპინძელს არ გამოპარვია სიტუაციის სიმწვავე... და გაშლილ სუფრასთან მიგვიპატიჟა... მასპინძელმა სასმისი აიღო, ჩვენი შემოსწრებისა (და ქორწინების) სადღეგრძელო წარმოსთქვა... სასმისს ხელი შეახო ბ-ნმა კორნელიმაც... ნინოს მიუბრუნდა და დამარცვლით უთხრა: „დღემდის ალექსანდრეზე პასუხს ვაგებდი, უთოდ ნიჭიერია, გულმოდგინეა და შრომისმოყვარე. ამიტომაც დავიტოვე ჩემთან, გარკვეული პირობაც ჩამოვართვი. მას ჩემი მცნება დაუურღვევია. მიზეზი თქვენა ხარო. იცოდეთ, ალექსანდრეს ბედი თქვენს ხელთაა. დღეიდან ჩემთან ერთად სანახევროდ მაინც (თუ მეტად არა), თქვენ პირადად აგებთ პასუხს ალექსანდრეს მომავალზე. ღმერთმა ქნას, რომ იმედი არ გამიცრუვდეს“. შემდეგ მე შემომხედა წყრომით, თუმცა არაფერი უთქვამს. სასმისი დაცალა...

ალექსანდრე ბარამიძე,



* * *

..ჩემი ქორწილის ამბები უნდა გიამბოთ, ვინაიდან პაოლოს ავთანდილობა აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა.

აი უკვე დანიშნულია ქორწილის დღე. სამწუხაროდ, ნეფე — ტიცინი მაინცდამაინც იმ დღეებში გახდა ცუდად. მთელი სიმძიმე პაოლოს დააწვა მხრებზე. მთელი დღეობით დაჰქროდა ქალაქში, ყვავილებისათვის ბათუმშიც კი წავიდა.

ერთი სიტყვით, ქორწილისათვის მზადება გახურებული იყო, მაგრამ აი უბედურებაც: არც პაოლოს, არც ტიცინას და არც მე საკუთარი ბინა არ გვექონდა. ამიტომ საქორწილო ნადიმის შემდეგ, დილით ქუჩაზე რომ გამოვედით, აღარ ვიცოდით, საით წავსულიყავით. ჩვენს მეგობართა შორის ბინა ჰქონდა მხოლოდ ლელი ჯაფარიძეს, რომელიც ბროსეს ქუჩაზე ცხოვრობდა. მაგრამ იმ დილით, ქორწილის შემდეგ, ლელის ვიღაც ქალიშვილი გაეცილებინა სახლში, გზაში მოჰგონებოდა, რომ ჩვენ

არსად წაგვესვლებოდა, მიეტოვებინა ქალიშვილი შუა გზაზე და მოქცეულიყო, რათა თავისთან წავეყვანეთ.

მივედით ლელი ჯაფარიძის ბინაზე. წელან უკვე ვთქვი, ტიცინი შეუძლოთ იყო-მეთქი. გავუზომეთ სიცხე, ორმოცი გრადუსი ჰქონდა, ბოდავდა. ისევ პაოლო დატრიალდა. საავადმყოფოში წაიყვანა.

ტიციანი რომ კარგად გახდა, პაოლომ მის გამოსაყვანად მთელ პოეტებს მოუყარა თავი. წავედით. ავადმყოფი კარგ გუნებაზე დაგვხვდა. ვიჭირავთ ეტლი და მოვდივართ, არ ვიცით კი სად, — ბინა ისევ არა გვაქვს. პაოლოს სასტუმროში ნომერი დაუჭირავენბია და იმის იმედი აქვს. თანაც ქალაქის თავისთვის შეუტყობინებია ჩვენი გაჭირვების ამბავი და ისიც დაჰპირებია, — ეგებ რამე გიშველოთო. თითქოს ბედზე, საავადმყოფოდან წამოსულებს ქალაქის თავი შემოგვეყარა გზაზე. მან თავისი მანქანა გააჩერა, პაოლოს თვალი ჩაუკრა, ხოლო ტიცინს მიმართა:

— ბიჭო, გავიგე ცოლი შეგირთავს და თურმე თავშესაფარი კი არსადა გაქვს. აჰა, გასაღები... შენს ბედზე, ვაჭართა კლუბი მიგკეტე ახლახან. დაე, ეგ იყოს შენი ბინა.


წამოვედით. გახარებულებმა გავაღეთ დაკეტილი კლუბი, მაგრამ ახლა მისი მოწყობა არ გინდა! რა თქმა უნდა, ისევ პაოლო დატრიალდა და ჩვენი ბინა, იმ დროის კვალობაზე, შესანიშნავად მოაწყო.

ნინო ტავიძე



საქართველოს
წიგნების კავშირი

შევობრეული შანგი
ნაბ. ვ. ფარცხელაძე



პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი აკადემიაში ხშირად მოგვინახულებდა ხოლმე. ხან თავის ლექსებსა თუ გამოკვლევას გვისახსოვრებდა, ხან კი რომელიმე იშვიათ წიგნს გვიჩვენებდა და საინტერესო ამბებს მოგვითხრობდა.

ერთხელ სოსომ უცნაური თხოვნით მომმართა:

— ამას წინათ რომ ლექსების კრებული მოგიძღვენი, თუ შეიძლება, ის ეგზემპლარი დამიბრუნე და სამაგიეროდ იმავე გამოცემის მეორე ცალი წაიღეო.

გამიკვირდა. ორი, ერთი და იმავე გამოცემის წიგნის გაცვლის აზრი ვერ გავიგე. როდესაც ჩემი ეჭვი გავუზიარე, გაიცინა და აღმითქვა:

— იმ ცალს რომ დამიბრუნებ, საიდუმლოებას მაშინ შეიტყობო.

წიგნი მეორე დღესვე მივუტანე. სოსომ სასწრაფოდ დაიწყო ფურცლა და მიაღწია რა გარკვეულ ადგილს, შვებით ამოისუნთქა.

— ვარდის ფურცელი თავის ადგილზეა. რომ იცოდე, როგორ დავმშვიდდიო, — მომმართა სოსომ და გადაშლილი წიგნი მომაწოდა. შეცვლოდა და ჩემთვის სახსოვრად ლექსების ის კრებული მოგიძღვნა, რომელშიც მეგობარი ქალის მიერ ნაჩუქარ ვარდის ფურცელს ინახავდა.

ვარდს წითელი ფერი ოდნავ დაჰკარგვოდა, მაგრამ მაინც ნაზად და ლამაზად გამოიყურებოდა.

გადაშლილ წიგნს ალბათ დიდხანს დავცქეროდი, რადგან სოსომ მკითხა:

— რა მოხდა, ასეთი რა იგრძენიო?


იმ ხანად მე ერთ ფრანგ მეცნიერთან — ჟან რიბერო-გძიონთან პოლემიკა მქონდა იმის თაობაზე, თუ რატომ უფერულდებიან ბუნებრივი საღებავები... მე მომეჩვენა, რომ სოსოს ვარდის ფურცელიც ჩემი მოსაზრების სისწორეს ადასტურებდა.

სოსომ მოიწყინა.

— არ მეგონაო, — გაიკვირვა, — ამ ვარდის ფურცელს რომ ვხედავ, მე ნარიყალის მიწისა და ჩემი მეგობარი ქალის მკერდის სურნელება მათრობს, შენ კი რაღაც მოლეკულების გადაჯგუფებაზე ფიქრობ, სერგი. მე და ჩემმა ღმერთმა, მეცოდები!

ჩემი თავი მეც შემეცოდა.

სარბი ლურმეზიძე.



სამსახურის მუშაობა

ჩვენს გიორგის თოფის ბათქი
აფრთხოვს და არ აქეზებს,
უფრო ეტრფის სოფიიდან
ჩამოტანილ ანკესებს!

ივრისპირად გაზრდილია,
რას ისურვებს უკეთესს?
ითევზაოს, სანამ იორს
გზა არ გადაუკეტეს...

როცა თევზებს იჭერს, თევზებს
ლხინით გული ევსებათ,
რადგან თევზებს ამის შემდეგ
თვლიან უკვდავ თევზებად!

„ნიანგის“ ფოტო-ატელიე.

* * *

არჩილი სადაც არ უნდა ყოფილიყო, არავითარი საქმეც რომ არ
ჰქონოდა, მაინც დარეკავდა, შინ რას შვრებიითო? — იკითხავდა. მხოლოდ
იმ დღეს არ დაურეკავს, არც სალამოს. მთელი ღამე არ დამეძინა. გა-
თენებისას ტელეფონის ზარმა შემაკროთ. ნაზი, შენ?—მომესმა თინა
ლალიძის აკანკალებული ხმა. არ შეგეშინდეს, გადარჩენილები ვართ.
პატარა ავარია მოუვიდათ ჩვენებს... ყურმილი ლამარა მილორავამ გა-
მოართვა — შენთან ახლოს ვართ. აქვე, კამოს ქუჩაზე რომ საავადმყო-
ფოა...

კამოს ქუჩაზე საავადმყოფოს წინ მოძრაობა შეჩერებული იყო. ძლივს
გავარღვიე ხალხი. მეტი არაფერი მახსოვს. გონს რომ მოვედი, არჩილის

საწოლთან ვიდექი. სახე არ უჩანდა, ისე ჰქონდა შეხვეული. ეტყობა, რომ
 მი გამხნევება მოინდომა, ტუჩები ძლივს აამოძრავა: — მენახსმარებ?




ვარ. არ მაქვს ცხვირზე საფა-
 რი, — წაიძვრა და ჩემი გამო-
 ჯავრება დაიწყო: რომ შემოხვე-
 დი და ფეხების გასინჯვა დამიწ-
 ყე, გეგონა ინვალიდი ქმარი შე-
 გრჩებოდა? ნუ გეშინია, ყველა-
 ფერი რიგზეა.

საგურამოში ყოფილან, უქე-
 იფიათ. თბილისში რომ ბრუნ-
 დებოდნენ, მანქანა ხრამში გა-
 დავარდნილა. საჭესთან რევან
 ლალიძე მჯდარა. მგზავრები —
 არჩილი, შოთა მილორავა და
 სულხან ნასიძე. იყვნენ. მანქა-
 ნა ისე იყო დამტვრეული, ვერა-
 ვინ წარმოიდგენდა, თუ იქედან
 ვინმეს ცოცხალს ამოიყვანდნენ.
 გონზე პირველი არჩილი მოსუ-
 ლა. რა მოგივიდათო დაუყვი-
 რია, მაგრამ ხმა არავის გაუცია.
 დიდი წვალებით გამოძვრალა
 მანქანიდან. ხოხვით ამოსულა
 გზაზე, ძლივძლივობით ფეხზე
 დამდგარა და გამვლელი მანქა-

ნისათვის ხელი აუწვევია: — უშველეთ, იქ ბიჭები დაიხოცნენო, —
 უყვირია. ყოველივე ამას დიდი გაჭირვებით მოყვა. დაუმატა: „რა
 თქმა უნდა, ღირსნი ვართ, ღმერთმა დაგვსაჯაო. რატომ-მეთქი? ილიას
 ძეგლთან კოლია არეშიძემ საკუთარი ლექსი წაიკითხა და ღმერთი ამას
 როგორ გვაპატიებდა?“ — ხუმრობას არც ახლა იშლიდა.

იმ დღიდან მეგობრები ყოველ წელს აღნიშნავდნენ „გადარჩენის“
 დღეს და ავარიის ადგილზე მიემგზავრებოდნენ.

ნახი ზავზანიძე



რვენი პუბლიკაცია

წიგნი სალაროა ჩვენი ხსოვნისა, წი-
გნი ხილია წარსულისა, აწყობსა და მო-
მავალს შორის, ამიტომ უნდა გიყვარ-
დეს წიგნი.



კონსტანტინე გამსახურდია

ჩემი ავტობიოგრაფია

ჩემი დაბადება და ბავშვობაც თითქმის ზღაპრულია, თუ გავიმეორებ დედაჩემის ნაამბობს. მამაჩემი — მოხუცი შოტლანდიელი, დედა — ახალგაზრდა გურული ქალი (ოზურგეთის მაზრა, ქუთაისის გუბერნია), მე დავიბადე ქალ. ქუთაისში, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე, ეგრედ წოდებულ „ფერმაში“, სადაც მამა ჩემი ხელმძღვანელობდა სასოფლო-სამეურნეო სკოლას. აქ მამა ჩემის მიერ იყო გაშენებული დიდი ბაღი სუბტროფიულ ფლორის ნიმუშებიდან. აქ იყო მაგნოლიების მთელი ტყე.

დედა-ჩემს ქონდა მიღებული შინაური განათლება, მამა კი უნივერსაინტი იყო, ბუნების-მეტყველი და ისტორიკოსი. ყველაზე მეტად მამას აინტერესებდა ზოტანიკა. მატერიალურ გაჭირვების დროს მან დაიწყო მებაღეობა კავკასიაში. მან პირველად მოახდინა იბლნიანი ცდა ჩაის ხის დარგვისა გურიაში.

თუმცა მამას ნათესაეების მხრივ იყვნენ ფრანგებიც, რუსებიც და ესპანელებიც (ნათესაეები მისი პირველი ცოლისა), მე გავატარე ბავშვობა განსაკუთრებით ქართველებს შორის. ჩვენ ძალიან ადრე გადავსახლდით ქალ. ოზურგეთში, ქართველ ფეოდალების დარიბ შთამომავლის ოჯახში; და აქ მთე მაგონდება შეხვედრები, როგორც ადგილობრივ, აგრეთვე ჩამოსულ ქართველ მსახიობებთან და პოეტებთან, აგრეთვე ურთიერთობა მოსამსახურეებთან — მეჭინბესთან და მემიმინოებთან, რომელნიც ყოველთვის გარშემოხვეულნი იყვნენ მწევრებით და მეძებრებით. აქვე, ეზოში ოსმალ-ბავშვები და მათი მშობლები, უფრო ხშირად დედები, დაჭერილნი „კორდონზე“ (რამოდენიმე ვერსის მანძილზე იყო ოსმალეთის საზღვარი). მთელ დროს ვატარებდი ბურთაობაში და სირბილში, რაშიდაც არ მყავდა მეტოქე. ყოველსაღამოს ქალწული ქართული სოფლიდან მიამბობდა სულ ახალ ახალ ქართულ ზღაპრებს, რომელნიც ჰვადნენ შეხერხადას ზღაპრებს. აქვე გვერდით მამა ინგლისურ გაზეთით ან ინგლისურ წიგნით. შემდეგში იმ მწარე შენიშვნებიდან, რომელიც მე ამოვიკითხე მაშისაგან დარჩენილ წიგნზე (მაკ-



ლის სიტყვები), მე გავიგე რომ მამაჩემი იყო კონსერვატორი. მაგრამ მე მაშინ, ბავშვობისას, არ შემეძლო ამაზე მსჯელობა. თვითონ ვიცი, რომ ლისური კითხვა მე ვისწავლე გაცილებით უფრო გვიან. მამისაგან მე მივიღე ერთად ერთი დალოცვა: „არაფერი სახეირო შენგან არ გამოვა“. ეს ნათქვამი იყო მის მიერ დიდ დაკვირვების შემდეგ ჩემს თამაშზე და ჩემგანვე გაკეთებულ სათამაშოებზე. დედა პირიქით, ამყარებდა გადანიტებულ იმედებს თავის შვილზე. ის ხედავდა ჩემში ყოველივეს, რაც მიაჩნდა მას იდეალურად. მაგალითად, მას უფრო მოსწონდა ქერა ადამიანი და ის არწმუნებდა ყველას, რომ მე გავშავდი მხოლოდ ზაფხულის მზისაგან, რომ თითქოს მე ყოველთვის თეთრი ვიყავი და წაბლის ფერი თმა მქონდა. (მე ყოველთვის მახსოვს ჩემი თავი შავგვრემანი, თითქმის შავი).

მამას და დედას არ ჰქონდათ საერთო ენა. მამა გარდა მშობლიურ ინგლისურ ენისა, თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად; დედამ იცოდა მხოლოდ ქართული. ურთიერთობამ ფორმალურად შექმნილ ენაზე, რომელშიდაც არეული იყო დამტკრეული რუსული და ქართული სიტყვები, თავისებური გავლენა მოახდინა ჩემს ლექსიკონზე. მაგრამ საზოგადოდ მე მიმაჩნია სამშობლო ენად ქართული, უფრო კი გურული კილო. პირველი წერა-კითხვა მე ვისწავლე ქართულ ენაზე. შემდეგ მამასთან მეცადინეობა ფრანგულ ენაში, ქართული ასოების სარგებლობით ფრანგული სიტყვებისათვის.

პირველი მეცადინეობა სამაზრო სასწავლებელში იწყება ცელქობით და გადამეტებული სიცილით., რომელიც ედებოდა მთელ კლასს, რისთვისაც ძალიან ხშირად მტოვებდნენ უსადილოთ. ამ სასჯელის ტეხნიკა იყო ასეთი: მე მართმევდნენ ქუდს და მტოვებდნენ სკოლაში უყურადღებოდ; მაგრამ მე ეს არ მაკავებდა და მივიპარებოდი სახლში თავდაუხურავი სასადილოთ, რის შემდეგ შეუმჩნევლად ვბრუნდებოდი სასწავლებელში და ველოდი, როდის მომცემდნენ ქუდს.

რვა წლის ვიყავი, როდესაც მამა დაგვარგე. ის დასაფლავებს დიდ ამბით. მე და დედა-ჩემი ფაქტიურად უპატრონოთ დავრჩით. ყველას ეგონა, რომ მე განწირული ვარ, რომ მე ვიქნები უფიცი და მამისაგან დარჩენილ წიგნების წაკითხვასაც ვერ შევძლებ. სხვათა შორის, ამ წიგნებს ეწვია სასტიკი ბედი — მამა-ჩემის ბიბლიოთეკა ჩვენი სახლის თავანზე ელაგა, და შემდეგ გამოყენებული იყო ბუხრის დასანთებად და კედლებისათვის შპალერის მაგივრად. ნათესავებმა მალე გამოგვრეკეს სახლიდან. დედამ მოახერხა ჩემი მოთავსება კლასიკურ გიმნაზიაში — ეს იყო პატივისცემა მამაჩემისადმი, რომელიც მოღვაწეობდა სასოფლო



მეურნეობაში. მე გიმნაზიაში მიმიღეს, მიუხედავად ჩემი მოუშადადებლობისა, განსაკუთრებით სამღვთო სჯულში. ამ შემთხვევაში მე გადა-
 მარჩინა დირექტორის განცხადებამ ჩემი ინგლისელობის შესახებ. პირ-
 ველმა ჩემმა წერიტმა შრომამ რუსულ ენაში მოახდინა შემადრწუნებელი
 შთაბეჭდილებანი. იქ იმდენი შეცდომა იყო, რამდენიც მარცვალაია, ასოები
 თუ არა. მაგრამ რუსული ენის მასწავლებელმა ბლაგოდაროვმა რატომ-
 ლაც მომაქცია ყურადღება, უვიც ბავშვში მან დაინახა ნიჭიერი მოწა-
 ფე. მე გამივარდა სახელი სხვა დარგში, სადაც ჩვეულებრივად ხდებო-
 და ბავშვების ნამდვილი ქლეტა — ეს იყო ლათინული ენა. კლასში, რო-
 მელიც განსაკუთრებით შედგებოდა ქართველებისაგან, არავის არაფერი
 არ გაეგებოდა, რადგან მკვდარ ენას ასწავლიდნენ რუსული ენის საშუა-
 ლებით, რომელიც აგრეთვე გაუგებარი იყო მოწაფეებისათვის. მე კი,
 მოულოდნელად გამოვდექი საუკეთესო ლათინისტი. მე მიხდებოდა სუსტ
 მოწაფეებისათვის შრომების წერა და ექსტემპორალიების შესრულება
 ლათინურად. უარის თქმისთვის ან ცუდი შესრულებისათვის — მცემ-
 დენ სასტიკად, ერთხელ კიდევაც დამჭრეს დანით თეძოში. ხანდახან მას-
 წავლებლები მიჭერდენ დანაშაულის ჩადენის დროს და მსვამდენ კარ-
 ცერში, რომელიც იყო ერთი დაწესებულების გვერდით, რომლის სუ-
 ნი ახლაც მაგონდება ძალიან მწვავედ. პირველი წიგნი, რომელიც მე წა-
 ვიკითხე ქართულ ენაზე, იყო ზღაპრების კრებული, რუსულ ენაზე კი
 (უკვე გიმნაზიაში, მეორე კლასში) — „რობიზონ კრუზო“. წიგნებმა გა-
 დამიშალეს ახალი სამყარო. დედა-ჩემი, კიდევ ახალგაზრდა, ლამაზი
 ქალი მეგრელს გაჰყვა ცოლად. შეძლებისდაგვარად ის თვალყურს მა-
 დევნებდა, მაგრამ პანსიონი და წიგნი იყო ის სამყარო, რომელშიდაც მე
 უმთავრესად ვსცხოვრობდი. ჩემი დაუდგრომელი ხასიათი აწუხებდა
 მასწავლებლებს, რომელნიც კარგად მეპყრობოდენ. ყოველი ჩემი ცელ-
 ქობისათვის შეეძლოთ ჩემი გამოგდება გიმნაზიიდან მგლის პასპორ-
 ტით, მაგრამ მე ყველაფერს მაპატიებდენ, რადგანაც მაფასებდენ, რო-
 გორც მომღერალს და გიმნაზიის ორკესტრის მონაწილეს (მე ვუკრავდი
 კლარნეტზე). უნდა ითქვას, რომ აქაც, საქმე არ თავდებოდა უსკანდა-
 ლოთ, რაიც ახდენდა გავლენას ჩემს ნიშანზე ყოფაქცევაში. მე საშინ-
 ლად მიყვარდა სირბილი, რაც უბედურებით გათავდა. ერთხელ მე ვილ-
 რძე ფეხი. ავადმყოფობა გართულდა და სპეციალისტების კონსილიუმის
 კომპეტენტურ გადაწყვეტილებით ჩემთვის ფეხი უნდა მოეჭრათ. მხო-
 ლოდ დედა ჩემმა უარი განაცხადა ფეხის მოჭრაზე. მე გადავურჩი და-
 სახიჩრებას და ადგილობრივი ქირურგის დახმარებით, რომელიც ძვლის
 ჩამყენი იყო, მე ფეხი მოვირჩინე. ამის გამო მე გამოვტოვე მეცადი-



ნეობის მთელი ნახევარი წელიწადი. დედას არაფერი გააჩნდა, ის უსახ-
 ლკარო იყო. ამ დროს სკოლაში შენიღდეს ბერძნული ენა, მე ვაპირებ-
 დი გიმნაზიის დატოვებას და ტელეგრაფისტად შესვლას, რომ გამომეკ-
 ვება რამენაირათ საკუთარი თავი და დედა ჩემი. მაგრამ დედა არ დამე-
 თანხმა ამაზე. ბერ.ნულ ენაში რომ დავეწოდი ანხანაგებს, მე ვმეცადი-
 ნეობდი შობის უქმეებზე, ქართულ ქოხში, რომელსაც არ ჰქონდა არც
 ჭერი და არც იატაკი, სიცივეში, ცეცხლის მკრთალ სინათლეზე. მე მო-
 ვახერხე მაინც მეცადინეობა და, როცა დავბრუნდი გიმნაზიაში, ვაო-
 ცებდი ძველ ენების მასწავლებლებს იმით, რომ წინასწარ ვხვდებოდი
 მათ განმარტებას. მე ვიშოვე ამ მიზნით გერმანული კომენტარები, რომე-
 ლითაც ისინი თვითონ ემზადებოდნენ. გიმნაზიაში სწავლობდნენ ფრან-
 გულს, იტალიურს, გერმანულს, ინგლისურს, ბერძნულსა და ლათინურ
 ენებს. და რადგანაც მე მქონდა კარგი მოწაფის სახელი, მე გადავდიო-
 დი კლასიდან კლასში, თუმცა უფრო ხშირად ვკითხულობდი წიგნებს,
 ვიდრე ვამზადებდი ვაკვეთილებს. ჩემს უცნაურ პასუხებს მოუშვადებ-
 ლობის თუ უყურადღებობის გამო, ხსნიდნენ ჩემი ჭირვეულობით. მე გა-
 ტაცებული ვიყავი ლიტერატურული მოღვაწეობით ქართულ ენაზე. ვწე-
 რდი ლექსებს და ვცემდი გაზეთს, რის გამო მე შევეჩვიე ქართული სი-
 ტყვის ტეხნიკას, რომელიც შემდეგში გადაიქცა ჩემი სპეციალობის
 საგნად. მაგალითად, მე მოვათავსე ქალაქ ბათუმის სახელწოდების გან-
 მარტება, სხვა სავაზეთო წერილების რიცხვში, ესე იგი გაბედულად ვა-
 მუშავებდი საკითხს ისტორიულ ტოპონიმიკიდან, რომელიც გადაიქცა
 ჩემს სპეციალობად უკანასკნელ წლებში.

პასუხად ცნობილ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელს, რომელმაც და-
 წერა 1 მარტის 1881 წლის ამბავის შესახებ (ალექსანდრე მეორის მოკ-
 ვლა). „ჩრდილოეთიდან მოფრენილი ჩიტის სასიხარულო სიმღერა“, მე
 მოვათავსე გაზეთში ლექსი „მოწოდება“ — მოქმედებისაკენ, ჭიკჭიკის
 მაგივრად.

კლასიკების კითხვა ფრანგულ და გერმანულ ენებზე შეიცვალა რომ-
 მანტიულ ლიტერატურის კითხვით, აგრეთვე ზოლათი („რუგონების
 ოჯახი“). დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე წაკითხულმა გერმა-
 ნულ ორიგინალში, იმ დროს შერრის პოპულარულმა წიგნმა „მსოფლიო
 ისტორიის კომედია“. მოვიხსენიებ გიმნაზიიდან ორჯერ გაქცევას. პირ-
 ველად გავიქეცი ტფილისში, ბოტანიკურ ბაღში, რომ მემუშავნა ბოტა-
 ნიკაში, მაგრამ უსახსრობის გამო მე გავხდი ბიბლიოთეკაში მომუშავე.
 გიმნაზიის მთავრობამ გამომიგზავნა სარეკომენდაციო წერილი, რომე-
 ლიც მიმართული იყო ხელისუფლებისა და დაწესებულებებისადმი, რომ



ჩემთვის აღმოეჩინათ დახმარება, როგორც სამეცადინეო მივლინებულისათვის. მეორედ მე გავიქეცი გიმნაზიიდან, რადგანაც არ მსურდა ჩემბარებინა სიმწიფის მოწმობაზე. თუმცა სრული საშუალება მქონდა მიმელო ოქროს მედალი. მე ისე ვიყავი გატაცებული ბერძნული ენით, რომ მინდოდა მისი ზედმიწევნით შესწავლა უნივერსიტეტში შესვლამდე, სადაც ვაპირებდი მედიკურ ფაკულტეტზე მეცადინეობას. ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა შლეიდენის წიგნის „ზღვის“ კითხვა, სადაც ბლომად იყო ციტატები ბერძნულ ავტორებიდან, და მე გადავწყვიტიმდენად შემესწავლა ბერძნული, რომ სრულიად შემეთვისებია ის. და აი კლასიციზმის ძალდატანებით გავრცელების დროს გიმნაზიაში, ჩემი სურვილი — დავრჩენილიყავი გიმნაზიაში კიდევ ერთი წელიწადი — ბერძნული ენის შესწავლისათვის, მიჩნეული იყო ფსიქიურ შესწლილობის დამამტკიცებლად, და მე გიმნაზიიდან გამომრიცხეს. გადამწყვეტი ნაბიჯი ბუნებისმეტყველებიდან და მედიცინიდან ფილოლოგიისაკენ, კერძოდ კავკასიის მცოდნეობისაკენ, მე გადავდგი ისტორიის მასწავლებლის სტოიანოვის ზეგავლენით, რომელიც კავკასიის ეტნოგრაფიის კვლევა-ძიებას ეწეოდა და მოგზაურობდა სვანეთში; აქ იყო აგრეთვე გავლენა ფრანგული ენის მასწავლებლის ნარბუტის, რომელმაც შემათვისებინა მეთოდი რომანულ ენის შესწავლისა და ამ ახალ ენების დამოკიდებულებისა ლათინურ ენისადმი.

ხელმეორედ მიღებულმა გიმნაზიაში, მე წარმატებით დავასრულე ის და გადავწყვიტე წინააღმდეგ ყველა რჩევისა შევსულიყავი აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. მასწავლებლები და ზოგიერთი ამხანაგები მეუბნებოდენ: „ნუ მარხავ შენს ნიჭს, ნუ ლუპავ შენს თავს. რა უნდა გამოვიდეს შენგან ბოლოს და ბოლოს? მასწავლებელი ქართული ენისა, ესე იგი სოფლის მასწავლებელი და მეტი არაფერი“. ამის შემდეგ მე ყველას უსმენდი, ვინც რჩევას მაძლევდა, რომ ხშირად მოქეცულიყავ სრულიად სხვანაირად.

„ვეფხისტყაოსნის“ გავრცელება

ბიბლიოგრაფიული სამიხეობი

1. [რუსთველი შოთა.] ვეფხის ტყაოსანი / აწ ახალი დაბეჭდილი ქართულსა ენასა ზედა ქამსა ამალღებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა ვახტანგისა, შრომითა და წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა; გაიმართა კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა. — ქალაქსა ტფილისისასა, ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და თორმეტსა [1712], დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვილიათას ორას ოცსა. — [4], ტნა [351] გვ.

2. რუსთველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი: რუსულად Барсова кожа / ახლად დაბეჭდილი შეერთებულთა დეაწლითა უფალთა [მ.] ბროსეტ, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინოვისათა. — სპბ., 1841. — XIV, 238 გვ.

3. [რუსთველი შოთა.] ვეფხვის-ტყაოსანი // ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან / დ. ჩუბინოვის მიერ. — СПб., 1846. — ნაწილი მეორე. — გვ. 1—223.

4. რუსთველი შოთა. ვეფხვის-ტყაოსანი / ახლად დაბეჭდილი დ. ჩუბინოვისაგან განმარტებითურთ // ქართული ქრისტომატია ან გამოწერილი სტატიები სხვათადასხვათა ჩინებულთა მწერალთაგან / ახლად დაბეჭდილი დ. ჩუბინოვისაგან. — სპბ., 1860. — ნაწილი მეორე. ქართული ლექსები. — გვ. 1—244.

5. რუსთველი შოთა. ვეფხვის-ტყაოსანი / [გ. წერეთლისა და დ. ყიფიანის გამოცემა.] — ტფ., 1867. — 232, 11 გვ.

6. რუსთველი შოთა. ვეფხვის-ტყაოსანი. — მეექვსედ დაბეჭდილი. — თფ.: [გამოცემული] ა. კალანდაძისა და ამხ. გან, 1875. — XII, 220 გვ.

7. რუსთველი შოთა. ვეფხვის-ტყაოსანი. — ქუთაისი: პ. წულუკიძის გამოცემა, 1883 — 183 გვ.

8. რუსთველი შოთა. ვეფხვის-ტყაოსანი. — ტფ.: გამოცემული გ. ჩარკვიანისაგან, 1887. — VIII, 271 გვ.

9. რუსთველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი. — ტფ.: გამოცემული გ. ქართველიშვილის მიერ, 1888. — 359 გვ.

10. რუსთველი შოთა. ვეფხის ტყაოსანი. — მეცხრე გამოცემა. — თფ.: ქართული წიგნის მაღაზიის გამოცემა, 1890. — 404 გვ.

11. რუსთველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი. — ოზურგეთი: გამოცემა ა. მიქელიაშვილისა და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიის, 1891. — VIII, 248 გვ.

12. რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი. — ბათომი: გამოცემა ძმ. თავართქილაძისა, 1892.—XIV, 247 გვ.
13. რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი. — ახალ-სენაკი: გამოცემა კ. თავართქილაძისა, 1896—XVI, 248 გვ.
14. რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი. — მეთოთხმეტე გამოცემა. — თბ.: [გამოცემული] ვ. ყიფიანის მიერ, 1899. — VIII, 256 გვ.
15. რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი. — ბათომი: გამოცემა ძმ. თავართქილაძეებისა, 1899.—VIII, 288 გვ.
16. რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი. — ბათომი. გამოცემა ძმ. თავართქილაძეებისა. 1899. — VIII, 288.
17. რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი. — თბ.: გამოცემული გ. ჩარკვიანის მიერ, 1900.—VIII, 412 გვ.
18. რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი. — თფ.: გამოცემა ძმ. თავართქილაძეებისა, 1903.—VIII, 272 გვ.
19. რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი / დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით.—მეცხრამეტე გამოცემა.—ტფ.: ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემა, 1903.—XXX, 361 გვ.
20. რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი. — მეოცე გამოცემა. — თფ.: გამოცემა კ. თავართქილაძისა, 1910.—XVIII, 268 გვ.
21. [რუსთაველი შოთა.] ვეფხის ტყაოსანი: ნამდვილი და ჩანართი / ს. კაკაბაძის რედაქტორობით. — ტფ.: 1914. — 68, II, 251 გვ.
22. რუსთაველი შ[ოთა] ვეფხის-ტყაოსანი. / ი. აბულაძის რედაქტორობით. — მე-22-ზე გამოცემა. — თფ.: ამხ. „წიგნობრობის ქვეყანა“, 1914. — LXVII, 266 გვ.
23. რუსთაველი შოთა. ვეფხის ტყაოსანი. — ქუთაისი: თ. შთავრიშვილის ამხანაგობის გამოცემა, 1918.—207, III გვ.
24. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი: შინაარსის და ვრცელის ლექსიკონის დართვით / დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით. — ტფ., წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოების გამოცემა, 1920.—კვ [23], 326 გვ.
25. რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი / ი. აბულაძის რედაქტორობით; ტექსტი ახლად შეიმუშავა, ვრცელი წინასიტყვაობა ვარიანტებით და ლექსიკონი საძიებლევით დაურთო და მეორედ გამოსცა ი. აბულაძემ. — მე-26-ე გამოცემა. — ტფ., 1926.—XCIX, 356 გვ.
26. რუსთაველი შოთა. ვეფხის ტყაოსანი: გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი / ს. კაკაბაძის რედაქტორობით. — გამოცემა მეორე. — ტფ., 1927.—CXLVI, 216 გვ.
27. რუსთაველი შოთა. ვეფხის ტყაოსანი. / ს. კაკაბაძის რედაქტორობით. მე-27 გამოცემა. ტფ., 1927.—IV, 216 გვ.
28. რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი. — ტფ.: შრომა, 1927. — 479 გვ.
29. რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი / კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით. — [ტფ.:] ფედერაცია, [1934.] — XXXVII, 690 გვ.
30. რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი (კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით. — [ტფ.:] ფედერაცია, [1934.]— XXXVII, 355 გვ.
31. რუსთაველი შოთა. ვეფხის ტყაოსანი: ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა / აღდგენილი ა. შანიძის მიერ. — ტფ.: ფსუ გამ-ბა, 1937. — XII, 411 გვ. — (ქართული ლიტერატურის ძეგლები. I).



32. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი, / სარედაქციო კოლეგია: ი. აბულაძე, ე. ბურჭულაძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, გ. კვიციანი, კ. ჩარკვიანი. — თბ.: თსუ გამ-ბა, 1937.—XLIV, 399 გვ.
33. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი / სარედაქციო კოლეგია: ი. აბულაძე, ე. ბურჭულაძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, გ. კვიციანი, კ. ჩარკვიანი. — თბ.: სახელგამი, 1937.—LVIII, 406 გვ.
34. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი / სარედაქციო კოლეგია: ი. აბულაძე, ე. ბურჭულაძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, გ. კვიციანი, კ. ჩარკვიანი. — ტფ.: სახელგამი, 1937.—405 გვ. — (სასკოლო ბიბლიოთეკა).
35. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. — თბ.: თსუ გამ-ბა, 1938.—434 გვ.
36. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. — [თბ.:] სახელგამი, 1941.—408 გვ.
37. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. — ბერლინი: დ. ზელდის გამოცემა, 1943. — 576 გვ.
38. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი.—თბ.: საბჭოთა მწერალი, 1949.—386 გვ. — (პოეტის ბიბლიოთეკა).
39. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი / სარედაქციო კოლეგია: ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე. — თბ.: სახელგამი, 1951.—410 გვ.
40. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი (სარედაქციო კოლეგია: ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე. — თბ.: სახელგამი, 1951.—387 გვ.
41. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი / პ. ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით. — თბ.: საბჭოთა მწერალი, 1955. — 520 გვ.
42. ვეფხისტყაოსანი: ჩანართი და დანართი ტექსტებით (ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო ს. ყუბანეიშვილმა. — თბ.: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამ-ბა, 1956.—012, 360 გვ.
43. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი / სარედაქციო კოლეგია: ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე. — თბ.: სახელგამი, 1957. — 404 გვ.
44. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი / სარედაქციო კოლეგია: ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე // ჩვენი საუწყე: ქართული მწერლობა: ოც ტომად. — თბ.: ნაკალული, 1960. — ტ. 3. — 332 გვ.
45. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი: ტექსტი და ჩანართი / აღდგენილი მ. წერეთლის მიერ. — პარიზი, 1963. — ნაწილი პირველი. — V, 248 გვ.
46. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1963.—328 გვ.
47. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი: ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ: ორ ტომად / ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით.—თბ.: მეცნიერება, 1966. — [ტ.] 1. ტექსტი და ვარიანტები. — 535 გვ.
48. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი / ტექსტი მოამზადეს გამოსაცემად გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა, გ. კარტოვიამ.—თბ.: საბჭოთა საქართველო, 1966.—320 გვ.
49. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი / სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი. — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1966. — 304 გვ.
50. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი / სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი. — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1966.—296 გვ.



51. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. — თბ.: განათლება, 1966.—368 გვ. გეოგრაფიული
სამსახური
52. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. თბ.: განათლება, 1966.—წ. 2—368 გვ.
- (უსინათლოთათვის).
53. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი / ტექსტი პ. ინგოროვჯახ რედაქციითა და ისტორიულ-ლიტერატურული და ტექსტოლოგიური გამოკვლევების დართვით: ორ წიგნად. — თბ.: მერანი, 1970. — წიგნი პირველი. ტექსტი. — 494 გვ.
54. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1970. — 287 გვ.—(მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა).
55. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი: სასკოლო გამოცემა / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ. — თბ.: განათლება, 1974.—548 გვ.
56. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი // ქართული პოეზია: თხუთმეტ ტომად. — თბ.: ნაკადული, 1974, — ტ. 2 — 460 გვ.
57. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი: პირველი ბექდური (ვახტანგისეული) გამოცემა 1712 წ. / აღდგენილია ა. შანიძის მიერ 1937 წ. — ფოტორეპროდუქციული გამოცემა — თბ.: მეცნიერება, 1975. — XVI, 411 გვ. —(ძველი ქართული ენის ძეგლები. 14).
58. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. — თბ.: საბჭოთა საქართველო, [1975.]— 308 გვ.
59. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი: მეორე შესწორებული და შევსებული სასკოლო გამოცემა / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ. — თბ.: განათლება, 1976. — 552 გვ.
60. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი / ტექსტი აღდგენილი მ. წერეთლის მიერ. — პარიზი, 1977. — 329 გვ.
61. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1978.— 280 გვ.
62. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. — თბ.: საბჭოთა საქართველო, [1982.]— 304 გვ.
63. რუსთაველი შოთა ვეფხისტყაოსანი // ქართული პოემა: ხუთ წიგნად. — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1983.—წიგნი I. — გვ. 64—286 გვ.
64. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. — თბ.: ნაკადული, 1983.—327 გვ.— („სიყვარულო, ძალსა შენსა“).
65. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი / რედაქცია, შესავალი წერილი და ლექსიკონი ს. ცაიშვილისა. — თბ.: მერანი, 1986. — 352 გვ.
66. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი: მესამე სასკოლო გამოცემა. / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ბოლოსიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ. — თბ.: განათლება, 1986.—552 გვ.
67. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1986. — 288 გვ.
68. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი.—თბ.: საბჭოთა საქართველო, [1987.]— 304 გვ.
69. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი: გამოცემული გ. ქართველიშვილის მიერ, ტფილისი, 1888 წ. — [აღდგენილი გამოცემა.] — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1988. — 360 გვ.



70. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი / ქართული მწერლობა: ოცდაათი წლის აღწერა / ტომის რედაქტორი ს. ცაიშვილი. — თბ.: ნაკადული, 1988. — ტ. 4. — 241 გვ.

71. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი / მთავარი რედაქცია: ა. ბარამიძე, გ. წერეთელი, ს. ცაიშვილი, გ. კარტოზია, ი. აბაშიძე, ილ. აბულაძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური. — თბ.: მეცნიერება, 1988. — 256 გვ.

72. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი // რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი; ორბელიანი სულხან-საბა, სიბრძნე სიცრუისა; გურამიშვილი დავით, დავითიანი. — თბ.: ნაკადული, 1990. — გვ. 27—260. (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის).

შინაარსი

წიგნი და ცხომრება

სოსო სიგუა, „მთვარის მოტაცება“ — ეპოქის დოკუმენტი	7
კონსტანტინე გამსახურდია, ახალი სიტყვები	20
ნოდარ ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი	24

ჟალმით და ფუნჯით

მერი კარბელაშვილი, ელენე ახვლედიანის წიგნის ილუსტრაციები	69
--	----

ძიებანი

ლევან მენაბდე, დიდი გზის დასაწყისი	85
ზურაბ ჭუმბურიძე, დავით აღმაშენებლის ანდერძი	112

მსოფლიო მემორიალზე

ალექსანდრე ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის თარგმანები	125
ნინო ჭაჭაია, ღვაწლმოსილნი	131
სერგო თურნავა, ფრანგი ქართველოლოგი	142
ანდრე კარბელაშვილი, საქართველოს ფრანგი მეგობარი	152

წარსულის ფურცლები

რაულ ჩაგუნავა, „ქმნულების ცოდნის წიგნი“	171
შოთა ბარამიძე, აკაკის ფსევდონიმები, კრიპტონიმები ად ფსევ- დონიმური ინიციალები	187
თამაზ ჯოლოგუა, „გამორჩეული წევრი საზოგადოებისა“	202

ჩვენი კვლევები

ნიკო მარი, ჩემი ავტობიოგრაფია	227
ვეფხისტყაოსნის გამოცემები (ბიბლიოგრაფიული საძიებელი) შეად- გინა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნი- ვერსიტეტის რუსთაველის კაბინეტმა	232

ქართველ მოღვაწეთა მეგობრული შარყები და მოგონებები ჩართულია
 20, 61—66, 209—224 გვერდებზე (მოგვაწოდა ეურნალისტმა დავით მჭედვენიძემ
 ზუკაშვილმა).



ლექსები

გალაკტიონ ტაბიძე, უნაზესი ხელნაწერი	68
მურმან ლებანიძე, *** („რომ დავესაჯეთ“...)	168
გალაკტიონ ტაბიძე, აკაკის ლანდო	201

რედაქტორი პ. ლელუცვა
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი ც. ჩოხელი
გამომშვები მ. ხვედელიძე

გადაეცა წარმოებას 1. IX. 91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. VIII. 92.
საბეჭდი ქალაქი № 2. ოფსეტური. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი
მაღალი პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14,22. პირ. საღ.-გატ. 15,2. სააღრ.-
საგამომცემლო თაბახი 11,71. ტირაჟი 1000. შეკვ. № 1212.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა, გრ. რობაქიძის გამზ. № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе департамента
по печати Республики Грузия, пр. Гр. Робакидзе № 7.

300
ՄԵՐՅԱՆ
ՅՈՒՐՈՒՄ